ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა

სალომე კანდელაკი

# მართლმადიდებელ ეკლესიებსა და სახელმწიფოებს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის როლი საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებში

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი კორნელი კაკაჩია,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თბილისი

24 სექტემბერი, 2025

# ს ა მ ა დ ლ ო ბ ე ლ ი

პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს პროფესორ კორნელი კაკაჩიას პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე ჩასაბარებლად მოტივაციის მოცემისთვის, ასევე მისი რწმენისთვის რომ ამ რთულ გზას გავივლიდი. მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი საყვარელი უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს პროფესორ სალომე დუნდუას და პოლიტიკურ მეცნიერებაში სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს პროფესორ მალხაზ მაცაბერიძეს მუდმივი მხარდაჭერისთვის. ჩემგან დიდი მადლობა ეკუთვნის ამავე ფაკულტეტის პროფესორებს პროფესორ თამარ ქარაიას და პროფესორ ზვიად აბაშიძეს კრიტიკულ დროს სწორი რჩევების მოცემისთვის. ასევე დიდი მადლობა სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ყოფილ და ამჟამინდელ წარმომადგენლებს თეა ქუსიკაშვილს და ირმა ჩხეიძეს ყურადღებისთვის და ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებაში ჩართულობისთვის. გარდა ამისა, მადლობა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ყველა წევრს, რომლებიც სხვადასხვა ეტაპზე საჭირო რჩევებს მაძლევდნენ.

მადლობა ვარშავაში მდებარე ნატოლინის ევროპის კოლეჯს რვა თვიან სასტიპენდიო პროგრამაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობისთვის და მის ფარგლებში მოლდოვაში და ბრიუსელში სადოქტორო კვლევითი ვიზიტების განხორციელებისთვის. ასევე მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს მეგობრებს ნინუცა აბზიანიძეს და თიკა ლოლომაძეს წერის პროცესში გამოსადეგი კვლევითი ინსტრუმენტების გაზიარებისთვის.

მადლობა მთელს ჩემს ოჯახს მხარში დგომისთვის. განსაკუთრებული მადლობა კი ჩემს მეუღლეს გრიგოლ გეგელიას საოცარი მორალური მხარდაჭერისთვის, ვის გარეშეც ჩემი კარიერის ამ ეტაპის გავლა შეუძლებელი იქნებოდა!

# აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია მართლმადიდებელ ეკლესიებსა და სახელმწიფოებს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის როლი საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებში. საკითხის შესწავლის საჭიროება შეიქმნა იქიდან გამომდინარე, რომ აღმოსავლეთ ევროპის სამივე სახელმწიფოში მართლმადიდებელი ქრისტიანობა დომინანტი რელიგიაა და მართლმადიდებელ ეკლესიებს განსაკუთრებული როლი მიუძღვით როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში. კვლევის ფარგლებში პასუხი გაეცა შემდეგ ძირითად საკვლევ შეკითხვას: რა როლი გააჩნია მართლმადიდებელ ეკლესიებსა და სახელმწიფოებს შორის ასეზულ ძალაუფლებრივ ინტერაქციას საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესებში? დისერტაციაში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული თანამედროვეობაზე, კერძოდ კი სამ სახელმწიფოში 2014 წლიდან 2024 წლამდე პერიოდის შესწავლაზე. ხოლო კონტექსტუალიზაციისთვის დროში გაანალიზებულია სხვადასხვა ხელისუფლებების პირობებში ეკლესიებთან მთავრობების ურთიერთობის დინამიკის ძირითადი საკვანძო მომენტები დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის ჭრილში 90-იანი წლებიდან, კერძოდ დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდიდან. ნაშრომი ეფუძნება სეკულარიზმის, დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის თეორიებს. წინამდებარე ნაშრომი იყენებს სეკულარიზმის იმგვარ გაგებებსა და თეორიებს, რომელიც კონცენტრირებულია არამხოლოდ ეკლესიისა და სახელმწიფოს ფორმალურ გამიჯვნაზე, არამედ ასევე იაზრებს "პოსტ-სეკულარულ" მომენტს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოდერნიზაცია *a priori* არ გულისხმობს რელიგიის როლის შეუქცევად კლებას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სივრცეში. დემოკრატიზაციის გააზრებისას, წინამდებარე ნაშრომი სამ საკვლევ სახელმწიფოში ტრადიციულად არსებული პოლიტიკური ვითარების ანალიზის უზრუნველსაყოფად იყენებს ჰიბრიდული რეჟიმის ერთ-ერთ ტიპს, "კონკურენტულ

ავტორიტარიზმს", ისევე როგორც "გეოპოლიტიკური მართლმადიდებლობის" ცნებას. რაც შეეხება ევროპეიზაციას, ნაშრომი მას განიხილავს როგორც *საშინაო ინსტიტუტების* ადაპტაციის პროცესს *ევროპულ პოლიტიკურ ინსტიტუტებთან.* ამავე დროს, სამი საკვლევი სახელმწიფოს ევროპეიზაციისა და ევროპული ინტეგრაციის ისტორიული პროცესების კრიტიკულად შესაფასებლად, ნაშრომში გამოყენებულია ე. წ. "შერჩევითი ევროპეიზაციის" და "ჰიბრიდული ევროპეიზაციის" თეორიული განზომილებები. დისერტაციის მთავარი მეთოდოლოგიური ჩარჩოა მსგავსებებზე დაფუძნებული შემთხვევების შედარებითი ანალიზი, ხოლო უშუალოდ ცალ-ცალკე სხვადასხვა ქვეყნებში სიტუაციის გასაანალიზებლად გამოყენებულია თემატური ანალიზი ინდუქციის და დედუქციის ტექნიკების მეშვეობით და კრიტიკული დისკურს ანალიზი ე.წ. „ფრეიმინგის" (Framing-ის) გამოყენებით.

კვლევის ძირითადი მიგნებებიდან მნიშვნელოვანია გამოიყოს, რომ სამივე სახელმწიფოში საერო და სასულიერი სფეროები ინსტიტუციურ დონეზე სამართლებრივად გამიჯნულია, თუმცა პრაქტიკაში ეს ზღვარი დაცული არ არის. საქართველოს და უკრაინის შემთხვევაში სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობაში დომინანტური როლი სახელმწიფოს აქვს. ხელისუფლებები მოლდოვაშიც დომინირებენ ეკლესიებზე, მაგრამ მუდმივად უწევთ მათგან ლეგიტიმაციის მოპოვება. სამივე ქვეყანაში საგარეო პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნის პროცესში, სახელმწიფო ცდილობს ეკლესიის პოზიციის შესმენას და მის მიმხრობას საკუთარი პოლიტიკური მიზნების და ამოცანების წარმატების უზრუნველსაყოფად. ეკლესია-სახელმწიფოს შორის არსებულ ძალაუფლებრივ ინტერაქციას დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებში ირიბი როლი გააჩნია, უმეტესწილად შემაფერხებელი, ხოლო ზოგჯერ ხელშემწყობიც. ეს შედეგი კი თავის მხრივ გამომდინარეობს ორი აქტორის ღირებულებებიდან, ამ სახელმწიფოებში სეკულარიზმის შინაარსიდან, მართლმადიდებელი ეკლესიების შიდა სტრუქტურული დაყოფიდან და გეოპოლიტიკური კონტექსტიდან. სამიზნე სახელმწიფოებში ეკლესია, როგორც ინსტიტუტი ერთ-ერთი ცვლადია მრავალთა შორის. თუმცა, თავისთავადად ცალკე

აღებული ეკლესიას არ გააჩნია ავტონომიურად განსაკუთრებული როლი დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებში, მაგრამ ამავე დროს ცხადია ისიც, რომ ვერც ხელისუფლება ვერ იღებს გადაწყვეტილებას სრული ავტონომიურობით ამ პროცესებში. საკვლევი სახელმწიფოების კონტექსტში, კრიტიკულ მომენტებში (critical junctures), საერო და სასულიერო სფეროებს შორის თანამშრომლობა საბოლოო ჯამში გარდაუვალი ხდება ხოლმე.

**საკვანძო სიტყვები:** მართლმადიდებელი ეკლესია, სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობა, დემოკრატიზაცია, ევროპეიზაცია

## Abstract

This dissertation analyzes the role of power interaction between Orthodox churches and states in the processes of democratization and Europeanization of Georgia, Moldova, and Ukraine. The need to study the issue arose from the fact that Orthodox Christianity is the dominant religion in all three Eastern European states and Orthodox churches play a significant role in the process of forming public opinion on both domestic and foreign policy issues. The following main research question was answered within the framework of the study: What role does the power interaction between Orthodox churches and states play in the processes of democratization and Europeanization of Georgia, Moldova, and Ukraine? The dissertation focuses on modernity, in particular on the study of the period from 2014 to 2024 in the three states. For contextualization, the main key moments of the relationship dynamics between governments and churches under different regimes are analyzed in time in the context of democratization and Europeanization since the 1990s, in particular, since the period of the declaration of independence of these states. The work is based on the theories of secularism, democratization and Europeanization. The present work uses such understandings and theories of secularism that focus not only on the formal separation of church and state, but also consider the "post-secular" moment, which means that modernization does not *a priori* imply an irreversible decline in the role of religion in the public and political space. In understanding democratization, this paper uses one type of hybrid regime, "competitive authoritarianism", as well as the concept of "geopolitical orthodoxy", to provide an analysis of the traditionally existing political situation in the three study countries. As for Europeanization, the paper considers it as a process of adaptation of domestic institutions to European political institutions. At the same time, in order to critically assess the historical processes of Europeanization and European integration in the three study countries, the paper uses the theoretical dimensions of the so-called "Selective Europeanization" and "Hybrid Europeanization". The main methodological framework of the dissertation is the similarity-based comparative case-study analysis, while thematic analysis through induction and deduction techniques and critical discourse analysis by employing the so-called "framing" are used to directly analyze the situation in different countries separately.

As the key findings of the study, it is necessary to mention that in all three states, the secular and spiritual spheres are legally separated at the institutional level, although in practice this boundary is

not observed. In the case of Georgia and Ukraine, the state has a dominant role in state-church relations. Similar is the situation in Moldova, but the authorities constantly have to gain legitimacy from the churches. In the process of creating a foreign policy agenda in all three countries, the state tries to listen to the position of the church and support it in order to ensure the success of its own political goals and objectives. The power interaction between the church and the state has an indirect role in the processes of democratization and Europeanization, mostly hindering, and sometimes facilitating these processes. This result, in turn, stems from the values of the two actors, the content of secularism in these states, the internal structural division of the Orthodox churches, and the geopolitical context. In the target states, the church as an institution is one variable among many. However, the church taken separately does not have an autonomously special role in the processes of democratization and Europeanization, but at the same time, it is also clear that the government cannot make decisions with complete autonomy in these processes either. In the context of the study state, at “critical junctures” moments, cooperation between the secular and religious spheres ultimately becomes inevitable.

**Keywords:** Orthodox Church, state-church relations, democratization, Europeanization

# სარჩევი


შესავალი ........ 1
1. საკითხის შესწავლის თეორიული საფუძვლები ........ 19
1.1. სეკულარიზმის გაგება აღმოსავლეთ ევროპის მართლმადიდებლობაში ........ 19
1.1.2. ცეზაროპაპიზმი და სიმფონია ........ 23
1.2. რამდენად თავსებადია მართლმადიდებელი ქრისტიანობა დემოკრატიასთან? ........ 31
1.2.1. დემოკრატიზაცია აღმოსავლეთ ევროპის კონტექსტში ........ 34
1.3. ევროპეიზაციის თეორიები აღმოსავლეთ ევროპის კონტექსტში ........ 40
2. კვლევის მეთოდოლოგია ........ 43
2.1. თვისობრივი შემთხვევების შედარებითი ანალიზი ........ 43
2.2. თემატური ანალიზი ........ 45
2.3. დისკურს ანალიზი ........ 48
3. სამ ქვეყანაში მართლმადიდებლობის ისტორია და სამართლებრივი ჩარჩო ........ 50
3.1. საქართველოში მართლმადიდებლობის ისტორია და სამართლებრივი ჩარჩო ........ 50
3.2. მოლდოვაში მართლმადიდებლობის ისტორია და სამართლებრივი ჩარჩო ........ 58
3.3. უკრაინაში მართლმადიდებლობის ისტორია და სამართლებრივი ჩარჩო ........ 66
4. სეკულარიზმი პრაქტიკაში: ინტერვიუების ანალიზი ........ 80
4.1. სეკულარიზმის გაგება საქართველოში ........ 81
4.1.1. ფაქტები და მოსაზრებები საპატრიარქოს დაფინანსებაზე ........ 94
4.1.2. შეხედულებები ეკლესია-სახელმწიფოს შორის არსებულ და სასურველ შესაძლო თანამშრომლობაზე ........ 97
4.1.3. საქართველოში ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების ცვალებადობის დინამიკა 90-იანი წლებიდან სხვადასხვა მთავრობების დროს ........ 101
4.2. სეკულარიზმის გაგება მოლდოვაში ........ 109
4.2.1. ფაქტები და მოსაზრებები მოლდოვაში ეკლესიების შემოსავლებზე ........ 114
4.2.2. შეხედულებები ეკლესია-სახელმწიფოს შორის პრაქტიკაში არსებულ თანამშრომლობის სფეროებზე ........ 116
4.2.3. მოლდოვაში ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების ცვალებადობის დინამიკა 90-იანებიდან სხვადასხვა მთავრობების დროს ........ 119
4.3. სეკულარიზმის გაგება უკრაინაში ........ 132
4.3.1. ფაქტები და მოსაზრებები ეკლესიების შემოსავალზე ........ 140
4.3.2. შეხედულებები ეკლესია-სახელმწიფოს შორის პრაქტიკაში არსებულ თანამშრომლობის სფეროებზე და გამოწვევებზე ........ 142
4.3.3. უკრაინაში ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების ცვალებადობის დინამიკა 90-იანი წლებიდან სხვადასხვა მთავრობების დროს ........ 147
5.მართლმადიდებელი ქრისტიანობა როგორც ღირებულებითი საზომი ........ 164
5.1. მართლმადიდებელი ქრისტიანობა და ეროვნული იდენტობა ........ 164
5.2. მართლმადიდებელი ქრისტიანული და დემოკრატიული ღირებულებები ........ 170

5.3. სულიერება vs სამართალი Covid-19 პანდემიის რეგულაციურ კონტექსტში ................ 178
5.3.1. 2021 წლის სააღდგომო ეპისტოლეების ანალიზი კოვიდ-პანდემიის კონტექსტში .. 182
6. მართლმადიდებელი ეკლესიების როლი ევროპეიზაციის პროცესში .................................. 191
6.1. საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში მართლმადიდებელი ეკლესიების სახელმწიფოებთან ინტერაქცია ლიბერალურ კანონდებლობასთან მიმართებით ................ 194
6.1.1. საქართველოს ევროსკეპტიკური მართლმადიდებლობა......................................... 201
6.1.2. მოლდოვის ეკლესიების გაყოფა ევროინტეგრაციის პრიზმაში................................ 205
6.1.3. საეკლესიო სქიზმა და მისი როლი უკრაინის ევროინტეგრაციაზე .......................... 207
6.2. უკრაინის ომის ეფექტი სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობაზე ევროინტეგრაციის პრიზმაში ................................................................................................ 210
დასკვნა ................................................................................................ 223
ბიბლიოგრაფია ................................................................................................ 238
ეპისტოლეები ................................................................................................ 277
დანართი 1 - სამაგისტრო თეზისისთვის 2017 წელს საქართველოში ჩატარებული ინტერვიუების ტრანსკრიფტები ................................................................ 279
დანართი 2 - სადოქტორო დისერტაციისთვის საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში ჩატარებული ინტერვიუების ტრანსკრიფტები ................................................ 279
დანართი 3 - სადოქტორო დისერტაციის ინტერვიუების რესპონდენტების პროფილები..... 279
დანართი 4 - მატრიცა - 2021 წლის სააღდგომო ეპისტოლეების კოდირება .......................... 280
დანართი 5 - სადოქტორო დისერტაციის ინტერვიუების გზამკვლევი................................. 280

## ცხრილები

ცხრილი 1. საქართველოში ჩატარებული ინტერვიუების რესპონდენტთა აღწერა
ცხრილი 2. მოლდოვაში ჩატარებული ინტერვიუების რესპონდენტთა აღწერა
ცხრილი 3. უკრაინაში ჩატარებული ინტერვიუების რესპონდენტთა აღწერა

## აბრევიატურები

**GOC** – Georgian Orthodox Church (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია)

**OCU** - Orthodox Church of Ukraine (უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია)

**UOC-MP** - Ukrainian Orthodox Church (UOC) under Moscow Patriarchate (მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია)

**UOC-KP**- Ukrainian Orthodox Church under Kyiv Patriarchate (კიევის საპატრიარქოს ქვეშ არსებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია

**MOC** - Metropolis of Chișinău and All Moldova under Moscow Patriarchate (მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული კიშინოვისა და სრულიად მოლდოვის სამიტროპოლიტო)

**MB** - Metropolis of Bessarabia under Romanian Patriarchate (რუმინეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ბესარაბიის მიტროპოლია)

**GOC** - Georgian Orthodox Church (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია)

# შესავალი

აღმოსავლეთ ევროპის[1] ქვეყნების დიდ ნაწილში, სადაც დომინანტი რელიგია მართლმადიდებელი ქრისტიანობაა, ეკლესიებს განსაკუთრებული როლი გააჩნიათ როგორც საზოგადოებრივ, ისე პოლიტიკურ პროცესებში. საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში, 1990-იანი წლების შემდეგ, დომინანტი მართლმადიდებელი ეკლესიების სოციალური და პოლიტიკური როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ოფიციალურად, როგორც საქართველო, ისე მოლდოვა და უკრაინა სეკულარულ სახელმწიფოებს წარმოადგენენ, სადაც საერო და სასულიერო სფეროები ინსტიტუციურად ერთმანეთისგან გამიჯნულია. უფრო მეტიც, არც ერთ მათგანს არ აქვს ოფიციალური სახელმწიფო რელიგია. ამის მიუხედავად, აღნიშნულ ქვეყნებში მართლმადიდებელი ეკლესიები ცდილობენ თავიანთი თავი წარმოადგინონ ერის ექსკლუზიურ ხმებად. ამ სამ ქვეყანაში მართლმადიდებელი ეკლესიების როლი განისაზღვრება მათი სოციალური გავლენით და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში წვლილის შეტანით.

საქართველოში 2020 წლამდე ჩატარებული კვლევის შედეგებით, საქართველოს მოსახლეობის 82% ეკლესიის საქმიანობას დადებითად აფასებდა (CRRC Georgia, 2020a). თუმცა პანდემიამ აჩვენა რომ მართლმადიდებელი ეკლესიისადმი დამოკიდებულება შესაძლოა კრიტიკულად შეცვლილიყო საკვანძო მომენტებში. კერძოდ 2020 წელს პანდემიის დაწყების შემდეგ, როდესაც საერო და სასულიერო ინსტიტუტებს შორის არ იყო სრული თანხვედრა პანდემიასთან გასამკლავებლად გარკვეულ შემზღუდავ წესებთან დაკავშირებით, ჩატარებული CRRC-ის კვლევის თანახმად ეკლესიისადმი

[1] ტექსტში „აღმოსავლეთ ევროპა" გამოყენებულია ჰანთინგტონის (Huntington, 1998) და გოტიეს (Gauthier, 2022) განმარტებების მიხედვით კულტურულ-ცივილიზაციურ კონტექსტში და ევროკომისიის განმარტება ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის კონტექსტში, რაშიც სხვა ქვეყნებთან ერთად მოიაზრება საქართველო, მოლდოვა და უკრაინა (European Commission, 2009).

ნდობამ 69%-დე დაიწია და 2023 წლის მონაცემებითაც იგივე მაჩვენებელი დარჩა (CRRC Georgia, 2020b; CRRC, 2023). მოლდოვას რაც შეეხება, 2019 წლის მონაცემებით მოსახლეობის ეკლესიისადმი ნდობა 70%-ი იყო (IPP, 2019); ხოლო 2023 წლის მონაცემებით ზოგადად ეკლესიისადმი ნდობა უშუალოდ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ 58%-მდე დავიდა (IPP, 2023). აღსანიშნავია, რომ მოლდოვის და უკრაინის შემთხვევაში, მართლმადიდებლობა არამხოლოდ დომინანტი რელიგიაა, არამედ ამ ქვეყნებში რამდენიმე მართლმადიდებელი ეკლესია ფუნქციონირებს. უკრაინის შემთხვევაში, განსხვავებული სიტუაციაა თავად შიდა მართლმადიდებლურ სტრუქტურაში. სადაც 2019 წლის 6 იანვარს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის ოფიციალურად მოპოვების მიუხედავად (კანდელაკი, 2019), უკრაინის ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიასა (OCU) და რეალურად მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარაბაში დარჩენილ ეკლესიას (UOC-MP) შორის კვლავ დაპირისპირებაა, რაც განსაკუთრებით გამწვავდა 2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ. 2022 წლის მონაცემებით, უკრაინის მოსახლეობის ზოგადად მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ნდობამ 44%-ი შეადგინა, რაც 2021 წელთან შედარებით 7%-ით დაბალი მაჩვენებელი იყო (CNE, 2023). მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით უკრაინის მოსახლეობის 54% მიიჩნევდა რომ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია სრულად უნდა აკრძალულიყო (Kiis, 2022). ხოლო 2024 წლის გამოკითხვის შედეგების თანახმად, მოსახლეობის 84%-მა განაცხადა, რომ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარაბაში დარჩენილ ეკლესიას (UOC-MP) არ ენდობოდა, ხოლო უკვე 63%კ მის აკრძალვას ითხოვდა (Ukrainska Pravda, 2024). ეკლესიებისადმი საზოგადიოების დამოკიდებულებები და ექსპერტების შეფასებები მომდევნო თემატურ თავებშია განხილული.

აღსანიშნავია, რომ ეკლესიებისადმი ნდობის მაჩვენებლები საკმაოდ დაბალია 2000-იან წლებთან შედარებით, როდესაც იმ დროისთვის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ნდობა ყველა ამ ქვეყანაში 90% ან მეტი იყო (Pew Research Center 2017). თუმცა, სხვა

ინსტიტუტებთან შედარებით, ზოგადად მართლმადიდებელი ეკლესიები სამივე ქვეყანაში კვლავ უმაღლესი ნდობით სარგებლობენ. უბრალოდ განსხვავებებია მოლდოვასა და უკრაინაში ქვეყნის შიგნით არსებულ სხვადასხვა მართლმადიდებელი ეკლესიებისადმი ნდობის მაჩვენებლებში. ამ სახელმწიფოებში მართლმადიდებელი ეკლესიების დომინანტური როლი თვალნათლივ დასტურდება იმითაც, რომ საქართველოს მოსახლეობის 89% (IRI 2023), მოლდოვის მოსახლეობის 92% და უკრაინის მოსახლეობის 78% საკუთარ თავს მიიჩნევს მართლმადიდებლად (Pew Research Center 2017). აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი გახდა ამ სახელმწიფოებში ისეთი ძლიერი ინსტიტუტების, როგორიც მართლმადიდებელი ეკლესიებია ხელისუფლებებთან ურთიერთობის შესწავლა, მათი ფორმალური, თუ არაფორმალური კომპეტენციების გააზრება და უფრო კონკრეტულად კი სახელმწიფო-ეკლესიის ძალაუფლებრივი ინტერაქციის როლის გაანალიზება დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესებში.

კვლევის ***მიზანია***, სახელმწიფოებთან ძალაუფლებრივი ურთიერთობის ჭრილში გაანალიზდეს მართლმადიდებელი ეკლესიების როლი საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის სახელმწიფოების დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებში. თემაზე ***ახალი ცოდნის შექმნის საჭიროება*** იმდენად გამოიკვეთა, რამდენადაც არ არსებობს სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობის სიღრმისეული შედარებითი კვლევები სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც აქცენტი დასმულია კონკრეტულად მართლმადიდებელი ეკლესიების საერო ხელისუფლებებთან ინტერაქციის როლზე დემოკრატიზაციისა და ევროინტეგრაციის ჭრილში. არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ საკვლევია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული ურთიერთგადამკვეთი კომპეტენციების მიზეზები და შედეგები უფრო ფართო სპექტრში. ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის დინამიკის შესწავლა ასევე ხელს შეუწყობს სამეცნიერო საზოგადოებას და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს უკეთ გაიზრონ ამ ძალაუფლებრივი ინტერაქციის მნიშვნელობა სახელმწიფოების დემოკრატიული განვითარების გზაზე. კვლევის

***ინოვაციურობა*** იმაშიც მდგომარეობს, რომ შესწავლის ობიექტი არ არის მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე სახელმწიფო. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას რომ ცალკე აღებული მართლმადიდებელი ეკლესიის როლის გაანალიზება არ ხდება ნაშრომში, არამედ მათი უშუალოდ სახელმწიფოებთან ინტერაქციის როლის გააზრებაა მნიშვნელოვანი საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის გზაზე. კერძოდ კი ნაშრომი აანალიზებს თუ როგორ თანამშრომლობენ, ეჯიბრებიან, ან როგორ ანიჭებენ ურთიერთლეგიტიმაციას ეკლესია-სახელმწიფო ერთმანეთს კრიტიკულ მომენტებში. კვლევის ინოვაციურობა ასევე მდგომარეობს დისერტაციისთვის პირველადი წყაროების მოპოვების შესაძლებლობაში უშუალოდ სამივე ქვეყანაში სახელმწიფო, სასულიერო და ექსპერტულ საზოგადოებებთან ინტერვიუების ჩატარების გზით. ეს არა მხოლოდ საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების, არამედ კომპეტენტურ რესპონდენტთა განსხვავებული შეხედულებების ჭრილში საკითხის შეჯამების და ანალიზის საშუალებას იძლევა.

კონტექსტუალიზაციისთვის, ნაშრომში 1990-იანებიდან მოყოლებული მართლმადიდებელი ეკლესიების ძალაუფლების ზრდა და კლება აიხსნება, როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებით. კვლევისას ძირითადი აქცენტი კეთდება თანამედროვეობაზე, განსაკუთრებით 2014 წლიდან - აღნიშნული სამი სახელმწიფოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების დადებიდან 2024 წლის ჩათვლით პერიოდზე. აქვე აღსანიშნავია რომ კონტექსტუალიზაციისთვის ნაშრომში მიმოხილულია თუ როგორ იცვლებოდა ეკლესია-სახელმწიფოს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქცია 90-იანი წლების შემდეგ სხვადასხვა მთავრობების პირობებში.

***კვლევის ინოვაციურობა*** ასევე იმაში მდგომარეობს, რომ საკვლევი პერიოდის ჭრილში ფოკუსის დასავიწროვებლად, მნიშვნელოვანია სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობის გაანალიზება ამ სამი სახელმწიფოსთვის რელევანტური გლობალურ-რეგიონალური კონტექსტების გათვალისწინებით. ასევე საკვანძოა იმის გამოვლენა, თუ რომელ კონტექსტში რომელმა აქტორმა ითამაშა უფრო მნიშვნელოვანი, პოზიტიური ან

ნეგატიური როლი სახელმწიფოების დემოკრატიზაციასა და ევროპეიზაციაში და რამდენად არსებობდა ამ აქტორებს შორის ურთიერთგაგება კრიტიკული მნიშვნელობის საკითხებზე, რაც ქვეყნების დემოკრატიზაცია-ევროპეიზაციის პროცესზე აისახა. ამით შესაძლებელია იმის შეფასება, თუ რამდენად არის სეკულარიზმის მაღალი/დაბალი ხარისხი დემოკრატიზაციის მასტიმულირებელი/შემაფერხებელი ფაქტორი ტრანზიტული დემოკრატიის, ჰიბრიდული რეჟიმების მქონე ქვეყნებში, ისეთში როგორიც საქართველო, მოლდოვა და უკრაინაა (Freedom House 2022). გლობალურ კონტექსტებში გასაანალიზებლად გამოყოფილია ომი უკრაინაში და კოვიდ პანდემია. ხოლო ევროინტეგრაცია მოაზრებულია როგორც რეგიონალური კონტექსტი ამ სამი ქვეყნისთვის. დემოკრატიის ხარისხის და რელიგიური თავისუფლების გასაზომად კვლევაში გამოყენებულია Freedom House-სის ინდექსები, ასევე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტემენტისა და Pew Research Center-ის ანგარიშები.

კვლევის ***ამოცანაა*** იმ ძირითადი ურთიერთგადამკვეთი კომპეტენციების გამოვლენა რაც ეკლესია-სახელმწიფოს ინსტიტუციურ დონეზე ფორმალურად, თუ არაფორმალურად გააჩნიათ სამივე ქვეყანაში. ასევე, კვლევის ***ამოცანაა*** აღნიშნულ სახელმწიფოებში სეკულარიზმის შინაარსის გააზრება. გარდა ამისა, კვლევის ერთ-ერთი ***ამოცანაა*** იმ ღირებულებითი, ინსტიტუციური და გეოპოლიტიკური ფაქტორების ანალიზი რამაც შესაძლოა ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ჭრილში გარკვეული როლი იქონიოს ამ სამი სახელმწიფოს დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესებზე. კვლევის კიდევ ერთი ***ამოცანაა*** იმ დისბალანსის შევსება, რაც არსებულ ლიტერატურაშია და შედარება ისეთი ქვეყნების მაგალითთან, სადაც მართლმადიდებელი ეკლესია დომინანტია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, პასუხი გაეცეს ***შეკითხვას:***

> *რა როლი გააჩნია მართლმადიდებელ ეკლესიებსა და სახელმწიფოებს შორის ასებულ ძალაუფლებრივ ინტერაქციას საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესებში?*

ნაშრომის კვლევითი შეკითხვა გამომდინარეობს ფოქსის თეორიიდან, რომლის თანახმადაც, თანამედროვე სეკულარიზმმა შეიძინა იდეოლოგიური ფორმა და ის ძირითადად წარმოადგენს „საზოგადოებაში არსებულ შეჯიბრს სეკულარისტულ და რელიგიურ პოლიტიკურ ძალებს შორის" (Fox, 2016), რა პრიზმაშიც საინტერესო ხდება სახელმწიფო-ეკლესიას შორის არსებული ურთიერთგადამკვეთი კომპეტენციების და მისი შედეგების კვლევა და მათ შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის როლის გამოვლენა დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესებში (Kandelaki, 2017).

***დაშვება*** მდგომარებს შემდეგში:

> *საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში მართლმადიდებელ ეკლესიებსა და სახელმწიფოებს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის როლი დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებში ძირითადად არის შემაფერხებელი, თუმცა ზოგჯერ ხელშემწყობიც ამ ორი აქტორის ღირებულებებიდან, ამ სახელმწიფოებში სეკულარიზმის შინაარსიდან, მართლმადიდებელი ეკლესიების შიდა სტრუქტურული დაყოფიდან და გეოპოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე.*

იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლება დემოკრატიულია, მეტია ალბათობა იმისა რომ აღნიშნულმა ინტერაქციამ დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესისათვის სასარგებლო როლი ითამაშოს; ხოლო იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლება ავტორიტარიზმისკენაა მიდრეკილი, მეტია ალბათობა იმისა, რომ დასახელებულ ორ აქტორს შორის ინტერაქციის როლი დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესის შემაფერხებელი იყოს.

საკითხის გასააზრებალდ მნიშვნელოვანია განისაზღვროს საკვლევი თემის ძირითადი ასპექტები, პირველი ესაა უშუალოდ ეკლესია-სახელმწიფოს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქცია, მეორე ესაა დემოკრატიზაცია და მესამე კი ევროპეიზაცია. საკვლევი თემის შემთხვევაში ეკლესია-სახელმწიფოს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის

*ოპერაციული განსაზღვრება* კაზანოვას და ფოქსის განმარტებების შერწყმით გამოდის ინტერესებზე დაფუძნებული დინამიური ურთიერთდამოკიდებული პროცესი, როდესაც მართლმადიდებელი ეკლესიები იდეოლოგიურ და ინსტიტუციურ ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფოებზე, ხოლო სახელმწოფო ეკლესიას იყენებს ლეგიტიმაციისთვის, ეროვნული იდენტობის ფორმირებისა და საზოგადოებროვი მხარდაჭერის მოპოვებისთვის. აღნიშნული ძალაუფლებრივი ინტერაქცია ეყრდნობა როგორც ფორმალური კანონით რეგულირებულ უფლებებს და კომპეტენციებს, ისე არაფორმალურ დონეს როგორიცაა საზოგადოებაში სასულიერო პირების მორალური ავტორიტეტის ფაქტორი. ეს არის პროცესი როდესაც ეკლესია-სახელმწიფო ურთიერთქმედებენ ზეგავლენის, ლეგიტიმაციის და რესურსების ჭრილში (Fox, 2008; Casanova, 2006). უშუალოდ ეკლესია-სახელმწიფოს შორის ურთიერთობის დინამიკის შესასწავლად საკვანძო ცნებაა *სეკულარიზმი*, რის გარეშეც შეუძლებელია ამ ორს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის შესწავლა. წინამდებარე ნაშრომში ლიტერატურის კრიტიკული ანალიზისას სეკულარიზმის მრავალგვაროვანი განმარტებებია წარმოდგენილი, თუმცა უშუალოდ საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის შემთხვევების გასაანალიზებლად სეკულარიზმის ე.წ. „რბილი“ და მარტივი განმარტებაა გამოყენებული. კერძოდ სეკულარიზმი როგორც სახელმწიფოსგან რელიგიური ინსტიტუტების გამიჯვნა, რელიგიის მიმართ სახელმწიფოს ნეიტრალობა და რწმენის თავისუფლება (Baubérot, 2022). ეს არ გულისხმობს რელიგიის საჯარო სფეროდან გამოთიშვას, თუმცა არც იმას რომ სახელმწიფო რომელიმე კონკრეტულ რელიგიურ მიმდინარეობას ანიჭებდეს უპირატესობას (Baubérot, 2022). ამ შემთხვევაში კვლევა ასევე ეყრდნობა პოსტ-სეკულარისტულ თეორიას, რის მიხედვითაც რელიგია საჯარო სივრცის განუყოფელი ნაწილია და მოდერნიზაცია აპრიორი რელიგიურობისგან საზოგადოების დაცლას არ გულისხმობს (Habermans, 2003). უშუალოდ ისეთ სახელმწიფოებში სადაც მართლმადიდებელი ქრისტიანობა დომინანტი რელიგიაა, მართლმადიდებელი ეკლესია გამოირჩევა “ცეზაროპაპიზმითა და სიმფონიით” – რაც ნიშნავს სეკულარული და რელიგიური ძალაუფლების გაერთიანებისკენ მისწრაფებას (Anderson, 2003). ეს ტერმინები აღწერს ეკლესია-

სახელმწიფოს შორის ურთიერთობის თავისებურ ფორმებს, რომლებიც საკვლევი სამი სახელმწიფოს შემთხვევაში რელევანტურია. კერძოდ, ცეზაროპაპიზმი ეს არის ეკლესია-სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ფორმა, სადაც სახელმწიფოა დომინანტი, როდესაც საერო ხელისუფლება აქტიურად მონაწილეობს სასულიერო ინსტიტუტების საქმეებში (Weber, 1922). ხოლო სიმფონია, ესაა ეკლესია-სახელმწიფოს შორის ჰარმონიული, შეთანხმებული ურთიერთობა, როდესაც მაღალია ურთიერთდამოკიდებულების დონე, მაგრამ ეკლესია გარკვეულ ავტონომიურობას ინარჩუნებს (Leustean, 2009: 89). ასევე აქვე მნიშვნელოვანია „პოლიტიკური ორთოდოქსიზმი" რაც წარმოადგენს იდეოლოგიურ ენას, რელიგიური იდეების პოლიტიზაციას (Ayubi, 1991). ასევე, მაშინ როდესაც დემოკრატიზაციის, თუ ევროპეიზაციის პროცესზე საგარეო ფაქტორების როლს განვიხილავთ, მნიშვნელოვანია „გეოპოლიტიკური მართლმადიდებლობის" ცნების შემოტანაც, რაც გულისხმობს ეკლესიის გამოყენებას გეოპოლიტიკურ ინსტრუმენტად გარე აქტორების მხრიდან (Stoeckl, 2016). სეკულარიზმის ზემოთ წაროდგენილი განმარტება და ეკლესია-სახელმწიფოს შორის ურთიერთობის აღმწერი აღნიშნული ტერმინები რელევანტურია სხდასახვა ხელისუფლებების პირობებში და ასევე სხვადასხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან მიმართებით საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის შემთხვევების გასაანალიზებლად და თეორიული ჩარჩოს ჩამოსაყალიბებლად.

კვლევა ეყრდნობა რამდენიმე მნიშვნელოვან ***თეორიას,*** რომელიც ხსნის საკვლევი თემის შესახებ არსებულ მიგნებებს და შესაძლებელს ხდის კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნას. დემოკრატიის ფორმირებაში რელიგიის როლის განხილვისას, საყურადღებოა ჯონ ანდერსონის თეორია, სადაც იგი ამტკიცებს, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანობა ისტორიულად გამოირჩევა სახელმწიფოზე დამოკიდებულებით (Kandelaki, 2017). მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია, კათოლიკურისგან განსხვავებით, ცენტრალიზებული არ არის, ის თითოეული ქვეყანის შემთხვევაში იერარქიული ხასიათისაა და ნაკლებად ახასიათებს სხვა ქვეყნების მართლმადიდებელ ეკლესიებთან შეთანხმებული მოქმედება (Nodia, 2005).

შესაბამისად, ის უფრო მეტად არის გადაჯაჭვული ეროვნულ, კულტურულ და ტრადიციულ სენტიმენტებთან (Metreveli, 2021). როგორც ლინცი და სტეფანი ამტკიცებენ, მართლმადიდებლურ სახელმწიფოებში სადაც არაკონსოლიდირებული, ან ნაწილობრივ კონსოლიდირებული დემოკრატიაა, პლურალიზმის წახალისება ძალიან რთულია, განსხვავებით იმ ქვეყნებისგან სადაც კათოლიკური ეკლესიაა დომინანტი (Linz and Stepan, 1996). საინტერესო თეორიას ავითარებს სტეფანი, რაც ერგება საქართველოს, მოლდოვას და უკრაინის მაგალითებს, კონკრეტულად იმის შესახებ, რომ ქვეყნის კონსოლიდირებულ დემოკრატიად მიჩნევა შეუძლებელია მანამ, სანამ „კრიტიკული სამოქალაქო საზოგადოების განვითარება არ იქნება შესაძლებელი, რომელიც გააკონტროლებს სახელმწიფოს და შეიმუშავებს ალტერნატიულ გზებს განვითარებისთვის“ (Stepan, 2012:38). სამი ქვეყნის მაგალითზე დაყრდნობით, კვლევისას შესაძლებელია აღნიშნული თეორიების დატესტვა და იმის გამორკვევა, თუ რამდენად წარმოადგენს კრიტიკული საზოგადოების არ-ყოლა და რელიგიურობა სახელმწიფოების კონსოლიდირებულ დემოკრატიად გარდაქმნის შემაფერხებელ ფაქტორებს (Kandelaki, 2017).

საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის კონტექსტის გათვალისწინებით უშუალოდ დემოკრატიზაციის პროცესი აღწერილია *„კონკურენტული ავტორიტარიზმის“* გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს ისეთი ჰიბრიდული რეჟიმის ტიპს სადაც დემოკრატიზაცია სრულფასოვნად ვერ ხერხდება. კერძოდ, დემოკრატიზაცია ეს არის ავტორიტარული რეჟიმების დემოკრატიულ ინსტიტუტებად გარდაქმნის პროცესი და საბოლოოდ კონსოლიდირებულ დემოკრატიად ჩამოყალიბება (Levitsky and Way, 2010). ამის მისაღწევად მნიშვნელოვანია თავისუფალი, გამჭვირვალე და კონკურენტული არჩევნების ჩატარება, პლურალიზმი, სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და ზოგადად კრიტიკული საზოგადოების სოციო-პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა. თუმცა კონკურენტული ავტორიტარიზმის დროს ეს გარდამავალი პერიოდი ბოლომდე ვერ სრულდება და ყოველთვის არ პროგრესირებს, რაც დამახასიათებელია სამი საკვლევი ქვეყნისთვის. კერძოდ, აქ იგულისხმება რომ ფორმალურად არსებობს

ინსტიტუტები, ტარდება არჩევნები, მაგრამ დამახინჯებული და არასრულფასოვანი ფორმით, რაზეც წინამდებარე ნაშრომის თეორიული საფუძვლების მომიხილვაში უფრო დეტალურადაა საუბარი. ამ შემთხვევაში საგულისხმოა, რომ მართლმადიდებელი ეკლესიებს ავტორიტარულ რეჟიმებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვთ და გარკვეულწილად კონფორტულადაც გრძნობენ თავს, სადაც მათ ეძლევათ გარკვეული პრივილეგიები, ხოლო თავად რეჟიმების მალეგიტიმირებლების როლში არიან ხოლმე წარმოდგენილნი (Levitsky and Way, 2010).

საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის შემთხვევაში დემოკრატიზაცია, განსაკუთრებით ბოლო ათი წლის მანძილზე, გადაჯაჭვულია ევროპეიზაციის პროცესზე. ევროპეიზაცია ეს არის პროცესი როდესაც ევროპული (ძირითადად იგულისხმება ევროკავშირის) ინსტიტუციური და პოლიტიკის დინამიკა ნელ-ნელა ვრცელდება ეროვნულ პოლიტიკურ სტრუქტურებზე (Graziano and Vink, 2012). ევროპეიზაციის პროცესის აღსაწერად საქრთველოს, მოლდოვის და უკრაინის შემთხვევებში ყველაზე მეტად გამოსადეგია “შერჩევითი ევროპეიზაციის” (იგივეა რაც სელექციური ევროპეიზაცია) და “ჰიბრიდული ევროპეიზაციის” თეორიული განზომილებები, სადაც პირველის შემთხვევაში შერჩევითი სახით ხდება ევროკავშირის ნორმების, წესების, პოლიტიკის და რეგულაციების ადაპტირება და ჰარმონიზება; ხოლო მეორეს შემთხვევაში კი არსებობს მისი სრულად ადაპტირების პოლიტიკური სურვილი, თუმცა ქვეყანაში არსებული ინსტიტუტები არ არის იმდენად გამართული რომ ეს მოხერხდეს. შესაბამისად ფორმალურად შესაძლოა ევროპეიზაციის პროცესი მიმდინარეობდეს, მაგრამ შინაარსობრივად ადგილობრივ რეალობასთან ადაპტირების საჭიროება იქმნება (Simao, 2018; Sasse, 2008). სწორედ ეს ორი მოდელია შესაფერისი სამი საკვლევი სახელმწიფოს შემთხვევების აღსაწერად გამომდინარე იქიდან, რომ არც ინსტიტუციური გამართულობის და არც მართლმადიდებელი ეკლესიების მიმღებლობის თვალსაზრისით ევროპეიზაციის პროცესის წარმართვა ამ სახელმწიფოებში არ არის მარტივი. საყურადღებოა, რომ ზოგადად აღმოსავლეთ მართლმადიდებლობაში ეკლესიები კრიტიკულად არიან განწყობილი ლიბერალური

ღირებულებებისადმი, რაც ევროპეიზაციის პროცესის შემაფერხებელი ძირითადი ფაქტორია (Casanova, 2006). თუმცა ზოგიერთ ეკლესიას (უკრაინასა და მოლდოვაში) ევროპეიზაციის პროცესისადმი გეოპოლიტიკური ინტერესი, ან წინააღმდეგობაც გააჩნია, ამგვარად ამ ქვეყნებში ეკლესია-სახელმწიფოს შორის ინტერაქციის როლი ევროპეიზაციაზე მათი გეოპოლიტიკური ხედვიდან განისაზღვრება.

არსებული სამეცნიერო ***ლიტერატურა*** ცხადყოფს, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას გააჩნია მნიშვნელოვანი ღირებულებითი, ისე ინსტიტუციური ფუნქცია, რაც განსაკუთრებით საქართველოს შემთხვევაში ეროვნული და პოლიტიკური იდენტობის ფორმირების პროცესზეც ახდენს გარკვეულ ასახვას (აბესაძე, 2019). მართლმადიდებელ ეკლესიას ხალხის აზრის ფორმირებაზეც გააჩნია გავლენა, თუმცა მისი მხრიდან საზოგადოებრივი აზრის მონოპოლიზება ვერ მოხერხდება მთავრობების მხარდაჭერის გარეშე (Ladaria, 2012), ან ეკლესიის სახელმწიფოსადმი მორჩილების, თუ უბრალოდ თანამშრომლობის გარეშე (აბზიანიძე, 2006). ამ თვალსაზრისით ეკლესიის მნიშვნელოვანი როლი თავის მხრივ აისახება დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებზეც. ამას მოწმობს საქართველოს და ასევე დანარჩენი ორი ქვეყნის მაგალითებიც.

სახელმწიფო-ეკლესიას შორის ურთიერთობის ანალიზისას ასევე საგულისხმოა სამი სამიზნე ქვეყნის საკანონმდებლო ჩარჩოების გათვალისწინება, - იქნება ეს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის სპეციალური შეთანხმება (საქართველო) (Chitanava, 2015), თუ რელიგიური თავისუფლების შესახებ (მოლდოვა, უკრაინა) კანონები. საქართველოს შესახებ არსებულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკური განცხადებები და კანონების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაზე და ევროპეიზაციაზე ეკლესიის პოზიტიური როლის არსებობას (Kakachia, 2014).

საქართველოს მსგავსად, მოლდოვაშიც სასულიერო პირები ღიად გამოხატავენ თავიანთ პოლიტიკურ სიმპათიებს (Gohlke, 2022), რაც მრევლის დემოკრატიულ არჩევანზე ზეგავლენას ახდენს (Mitrofanova, 2019). თუმცა აქვეა ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ტრადიციულად მოლდოვის ხელისუფლებები უპირატესობას რუსეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ მოლდოვის მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებდნენ (Pociumban, 2020). მსგავსად დანარჩენი ორი ქვეყნისა, მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესია განათლების სისტემაზე და ამ სფეროში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე დიდი გავლენით სარგებლობს (Solik & Baar, 2019). თუმცა მოლდოვას შემთხვევაში გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასულიერო პირების უმეტესობა განათლებას მოსკოვის მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო სემინარიაში იღებს (Solik & Baar, 2019). შესაბამისად, გარდა იმისა რომ სახელმწიფომ დოგმატიზმისგან დაცლილი სეკულარული სწავლება უნდა უზრუნველყოს, რაც თავისთავად არ გამორიცხავს რელიგიის სწავლებას, აქ ასევე შემოდის სახელმწიფოს მხრიდან რუსეთის რბილი ძალის გავრცელების თავიდან არიდება, რაც რელიგიური განათლების გზით შეიძლება მოხდეს. აღნიშნული წლების მანძილზე უკრაინაშიც საკმაოდ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენდა. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შემთხვევაში ცალსახად და ფორმალურად რუსული გავლენები არ იკვეთება, პრაქტიკაში პერიოდულად ჩნდება ხოლმე რუსეთის ირიბი ზეწოლის ნიშნები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზეც. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის 2016 წლის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე არდასწრება (RFERL, 2016).

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო კომპეტენციებში ჩარევის კუთხით, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მაგალითი მსგავსია, განსხვავებულია უკრაინის აწ უკვე გაერთიანებულ დამოუკიდებელ მართლმადიდებელ ეკლესიას (OCU) და მოსკოვის საპატრიაქროს დაქვემდებარებულ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას (UOC-MP) შორის არსებული დამოკიდებულება ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისადმი. პირველი მათგანი ემხრობა ქვეყნის ევროპულ არჩევანს, ხოლო მეორე კვლავ პრო-

რუსულ ნარატივს მიყვება (Zhurzhenko, 2014). შესაბამისად, უკრაინის მთავრობის პოზიტიური და მჭიდრო დამოკიდებულება უკრაინის დამოუკიდებელი მართლმადიდებლური ეკლესიისადმი გამომდინარეობს ქვეყნის განვითარების საერთო ხედვიდან. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სეკულარიზმის პრინციპები ბოლომდე არც უკრაინაშია დაცული და მეტიც, პოლიტიკურ ელიტებს უკრაინაშიც გადაუდგამთ გარკვეული გარდამტეხი ნაბიჯები უკრაინელი მრევლის ხმების მოსაგებად (კანდელაკი, 2019).

***საკითხის კვლევის მნიშვნელობა*** იმაშიც მდგომარეობს, რომ საინტერესოა ამ სამი ქვეყნის მაგალითების შედარება იმის გამოსავლენადაც, თუ სად ჭრის და სად არა, პოლიტიკური ელიტების მხრიდან რელიგიური გრძნობებისა, თუ სიმბოლოების გამოყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ასევე საკვანძოა იმის გააზრება, თუ როგორია ამ ქვეყნებში მართლმადიდებელი ეკლესიების ძალაუფლება ნორმატიული თვალსაზრისით; გარდა ამისა, საჭიროა იმის გამოვლენა, თუ რეალურად რა დოზით, ფორმით და შინაარსით ხდება სახელმწიფო-ეკლესიის კომპეტენციების გადაკვეთა სამ სამიზნე ქვეყანაში, ამ უკანასკველი ფაქტორის როლის დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესებში გამოსაკვეთად.

ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა მსგავსებებზე დაფუძნებულ თვისობრივ შედარებით ***კვლევის მეთოდს.*** თუმცა კვლევის შესაბამის ფაზებში თვისობრივი მეთოდებიდან ასევე გამოყენებულია თემატური ანალიზი და დისკურს ანალიზი. საკვლევი ***პოპულაცია*** არის პოსტ-სოციალისტური, აწ უკვე აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოები. კერძოდ კი ***სამიზნეა*** ე.წ. “ასოცირებული ტრიოს” ქვეყნები: საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. ***კვლევის ღერძი*** არის მართლმადიდებელი ქრისტიანობა, რომელიც ამ ქვეყნებს ერთ საკვლევ კონტექსტში ათავსებს. კონკრეტულად აქცენტი კეთდება მსგავსებებზე დაფუძნებულ შედარებით ანალიზზე და მთავარი მსგავსება რაც ამ ქვეყნების ***შესარჩევად*** იყო გამოყენებული არის დომინანტი მართლმადიდებელი ეკლესიისადმი მრევლის მიკუთვნებულობა (Pew Research Center, 2017), რელიგიის იდენტობასთან დაკავშირება, მსგავსი ისტორიული

გამოცდილება და არაკონსოლიდირებულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ყოფნა, ხშირ შემთხვევაში ავტორიტარიზმის ნიშნებით (Freedom House, 2022). მსგავსებაა იმ კუთხითაც, რომ სამივე ქვეყანაში მართლმადიდებელი ეკლესიები წინააღმდეგობაში მოდიან უმცირესობების უფლებებთან და ზოგადად ლიბერალური ტიპის თანასწორობის პრინციპებთან. ამ სამი ქვეყნის მთავარი განმასახვავებელი ფაქტორია ის, რომ მოლდოვამ და უკრაინამ ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებით კანდიდატის სტატუსის შემდეგ გაწევრიანების მოლაპარაკებები დაიწყეს, ხოლო საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მოიპოვა და შემდგომი პროცესები კი შეჩერდა.

კვლევა შედგება შემდეგი ***ძირითადი ფაზებისგან,*** პირველი ეტაპი მოიცავს სამაგიდე კვლევის ფორმატში არსებული ლიტერატურის მოკვლევას და მის თემატურ ანალიზს. კერძოდ ის მოიცავს მეორადი ლიტერატურისა და სტატისტიკის მიმოხილვას, რასაც შემდგომ ეფუძვნება ისტორიული კონტექსტებისა და სამართლებრივი ჩარჩოების თემატური ანალიზი. ეს ფაზა ასევე მოიცავს ჩემს მიერ სამაგისტრო კვლევის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგების ანალიზს, როგორც მეორადი მონაცემების დამუშავებას. მონაცემების დამუშავების მეთოდად გამოყენებულია თემატური ანალიზი NVivo-ს პროგრამის მეშვეობით და მატრიცის შექმნის გზით. კოდირების მეთოდად გამოიყენება Vivo კოდირების ტექნიკა, რომლის მიხედვითაც თემატურად ჯგუფდება „რესპონდენტთა მიერ წარმოთქმული სიტყვები და ფრაზები“ (Miles, 2014). ამის საფუძველზე ხდება კომპლექსური და საბოლოო კვლევის დიზაინის შემუშავება, ისევე როგორც კვლევითი ვიზიტების დაგეგმვა და ამისათვის შესაბამისი დაფინანსების წყაროების მოპოვება.[2] კვლევის აღნიშნული პირველი ფაზა იმ ძირითადი საბაზისო ცოდნის, სამართლებრივი საფუძვლების, სტატისტიკური და ისტორიული კონტექსტის შექმნის საშუალებას იძლევა, რაც კვლევის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო ანალიზის გაკეთებას ხდის შესაძლებელს.

---

[2] ვარშავაში მდებარე ნატოლინის ევროპის კოლეჯის 8 თვიანი პროექტის სტიპენდიანტი ვიყავი, რის ფარგლებშიც მოვახერხე მოლდოვაში და ბრიუსელში კვლევითი ვიზიტების დაგეგმა

მეორე ფაზაში, კვლევის ფარგლებში მიზნობრივად ხდება ეკლესიების განცხადებების და ეპისტოლეების თემატური ანალიზი. ამის საჭიროება შეიქმნა იქიდან გამომდინარე, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქები თავიანთ მიმართვებში არა მხოლოდ რელიგიურ, არამედ პოლიტიკურ და სოციალურ შინაარსსაც დებენ, რისი გაანალიზებაც რელევანტურია. ეპისტოლეების ანალიზი თავდაპირველად ეფუძნება ინდუქციურ მეთოდს, როდესაც გლობალური კონტექსტის, კერძოდ კი პანდემიის ჭრილში ხდება პანდემიის მიწურულს გამოცემული ეპისტოლეების ანალიზი სამივე ქვეყნის მაგალითზე. კონკრეტულ შემთხვევაში, საინტერესოა უშუალოდ ეპისტოლეებიდან ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ჭრილში ამოსული შედეგები; ხოლო მესამე ფაზა მოიცავს სხვა ლოკალურ, რეგიონალურ და გლობალურ კონტექსტში საკითხების გაანალიზებისას იმ ეპისტოლეების და განცდახებების შერჩევას, რომლებიც საკვლევი კითხვიდან და თეორიული ჩარჩოდან გამომდინარეობს, კერძოდ კვლევასთან უშუალო კავშირში არსებული შედეგების გასაანალიზებლად. ეპისტოლეების და ეკლესიების განცხადებების ანალიზის საპირწონედ, კვლევისას ასევე საკვანძოა სახელმწიფო მეთაურების განცხადებებიც. ეს კვლევას ეხმარება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის შესწავლაში და იმის გამოვლენაში, თუ რამდენად მოდის ერთმანეთთან თანხვედრაში მათი რიტორიკა სამიზნე ქვეყნებისთვის მნიშვნელოვან ეროვნულ, მათ შორის რეგიონალურ და გლობალურ საკითხებზე; კერძოდ გარდამტეხი მნიშვნელობის (“critical juncture”) ლოკალური, რეგიონალური და გლობალური შემთხვევების გარშემო. კვლევის ერთ-ერთი ბოლო და საკვანძო ეტაპი მოიცავს ინტერვიუების გზით მონაცემების შეგროვებას, რასაც ეფუძნება დისერტაციის ძირითადი შედეგები. ინტერვიუების დამუშავების ჭრილში კვლევის კონკრეტული მეთოდები და ინსტრუმენტები შესაბამის ქვეთავშია დეტალურად აღწერილი. ეკლესიების და სახელმწიფოების ლიდერების მიმართვების, განცხადებების და მიზნობრივად შერჩეული რიგი ეპისტოლეების დასამუშავებლად გამოყენებულია კოდირების აპლიკაცია „MAXQDA.“ თითოეული ეპისტოლეს დასამუშავებლად გამოყენებულია თემატური და დისკურს ანალიზის მეთოდები (Teun 2006). კვლევის მეორე ფაზა როგორც არსებული ფაქტობრივი ლიტერატურის, ისე ძირითადი საკვლევი

აქტორების საჯაროდ გავრცელებული ნარატივების და ქმედებების, და ინტერვიუების გზით ამ ძირითადი აქტორების შეხედულებების და ექსპერტების შეფასებების შეჯამებით დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა კვლევის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

***კვლევის ლიმიტაციებში*** შეიძლება მოვიაზროთ ის გარემოება რომ მოლდოვაში ჩატარებული ინტერვიუებიდან, უშუალოდ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული კიშინიოვისა და სრულიად მოლდოვის სამიტროპოლიტოს (MOC) სასულიერო პირთან ვერ მოხერხდა ინტერვიუს ჩატარება ქვეყანაში პოლიტიკური პოლარიზაციის და უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ კონკრეტული ეკლესიის სასულიერო პირების უფრო მეტად ჩაკეტილობის გამო. თუმცა მონაცემების დასაბალანსებლად ინტერვიუ ჩატარდა მოლდოველ თეოლოგთან რომელიც ამ ეკლესიის საქმიანობას ზედმიწევნით კარგად იცნობს; ინტერვიუ ასევე ჩატარდა ბელარუს მკვლევართან რომელსაც ახლო კავშირი აქვს აღნიშნული ეკლესიის მაღალი რანგის სასულიერო პირებთან. მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვაში ინტერვიუების ჩასატარებლად ადგილზე ჩასვლა მოხერხდა, ზოგადად მოლდოვაში რესპონდენტების მხრიდან ნაკლები ღიაობა იყო, რაც იმაშიც ჩანს რომ ყველაზე მეტი რესპონდენტი რომლებმაც ანონიმურობა მოითხოვეს მოლდოვიდან იყვნენ. კვლევის კიდევ ერთ ლიმიტაციად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი რომ უკრაინაში კვლევითი ვიზიტი დაიგეგმა, თუმცა ომის გამო მიღებული უსაფრთოების ზომებიდან გამომდინარე ადგილზე ჩასვლა ვერ მოხერხდა და ყველა ინტერვიუ ონლაინ ჩატარდა. თუმცა ამას კვლევის შედეგებზე უარყოფითი ასახვა არ ჰქონია. მეტიც, უკრაინაში ყველაზე დაბალანსებული და მრავალფეროვანი რესპონდენტების მოძიება მოხერხდა.

წინამდებარე ***ნაშრომი შედგება შემდეგი თავებისგან:*** პირველი, ეს არის თეორიული ჩარჩო და მისი კრიტიკული ანალიზი, სადაც მიმოხილულია სეკულარიზმის სხვადასხვა ფორმები, სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობის „ცეზაროპაპიზმისა და სიმფონიის“ მოდელები, ასევე “პოლიტიკური ორთოდოქსიზმი.” ამავე თავში ახსნილია

დემოკრატიის და ლიბერალური დემოკრატიის თავსებადობა ქრისტიანულ რელიგიასთან, განხილულია დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის სხვადასხვა ტიპები და მორგებულია თითიეული საკვლევი სახელმწიფოს შემთხვევის სწორად გასაანალიზებლად. გეოპოლიტიკურ კონტექსტში მართლმადიდებელი ეკლესიების როლის დასადგენად ასევე გამოყენებულია "გეოპოლიტიკური ორთოდოქსიის" (Geopolitical Orthodoxy) ცნება. მეორე თავი ეთმობა მეთოდოლოგიას, სადაც მთავარ მეთოდოლოგიურ ჩარჩოდ გამოყენებულია თვისობრივი ხასიათის შედარებითი კვლევის ანალიზი, ხოლო სხვადასხვა თემატური თავების უშუალოდ კონკრეტული სახელმწიფოების კონტექსტის გასაანალიზებლად გამოყენებულია თემატური ანალიზი, რისთვისაც ძირითადად სამართლებრივი ჩარჩოს და ინტერვიუების დამუშავება მოხდა, ხოლო დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის ჭრილში არსებული კრიტიკული შემთხვევების გასაანალიზებლად, რაც ძირითადად ისეთ მასალებს დაეფუძნა როგორიცაა ეკლესიების და ხელისუფლებების ლიდერების განცხადებები, ამისთვის გამოყენებული იყო კრიტიკული დისკურს ანალიზის მეთოდი. მესამე თავიდან იწყება უშუალოდ კვლევის შედეგების ანალიზი და კერძოდ პირველი ასეთი თავი ეთმობა მოკლე ისტორიული ექსკურსების გაკეთებას თითოეული ქვეყნის კონტექსტის უკეთ გასააზრებლად და ასევე სამივე ქვეყანაში რელიგიასთან დაკავშირებული შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოების მიმოხილვას. მეოთხე თავი უშუალოდ ჩემს მიერ ჩატარებული ინტერვიუების შედეგების ანალიზს ეთმობა, სადაც ინტეგრირებულია ფაქტობრივი მონაცემები რესპონდენტების პასუხების გადამოწმების მიზნით. კერძოდ ეს თავი ეთმობა საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში სეკულარიზმის გაგებას და ამ სახელმწიფოების სეკულარიზმის ფორმის, თუ ხარისხის დადგენას და სახელმწიფო-ეკლესიას შორის ძირითადი ურთიერთგადამკვეთი კომპეტენციების გამოვლენას. აღნიშნულ თავში ასევე განხილულია ეკლესიების დაფინანსების წყაროები და სქემები. გარდა ამისა, ამავე თავში მიმოხილულია 90-იანი წლებიდან მოყოლებული სამივე სახელმწიფოში სხვადასხვა მთავრობების პირობებში ეკლესიასთან ურთიერთობის და ამ სახელმწიფოთა დემოკრატიზაციის დინამიკა. მეხუთე თემატური თავი ეთმობა ღირებულებებს. კერძოდ, ამ თავში გაანალიზებულია

მართლმადიდებელი ეკლესიების როლი ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების ჭრილში; ასევე გაანალიზებულია მართლმადიდებელი ქრისტიანობის დემოკრატიულ ღირებულებებთან თავსებადობის საკითხი. გარდა ამისა, აღნიშნულ თავში მიმოხილულია გლობალური და რეგიონალური მნიშვნელობის საკითხები რამაც გავლენა მოახდინა ეკლესია-სახელმწიფოს შორის ურთიერთობაზე, დემოკრატიზაციასა და ევროპეიზაციაზე. ბოლოს კი გაანალიზებულია კოვიდ პანდემიის როგორც გლობალური მოვლენის გავლენა ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის დინამიკაზე და დემოკრატიულ წესრიგთან თავსებადობაზე; მეექვსე თავში რეგიონალურ ჭრილში, გაანალიზებულია ევროინტეგრაციის პროცესში საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის მიერ მიღებული ლიბერალური კანონმდებლობის გარშემო არსებული ნარატივები, კერძოდ კი ეკლესიიების წინააღმდეგობის მეთოდები და შედეგები. სულ ბოლო თემატური ქვეთავი ეთმობა უკრაინაში ომის როგორც გლობალური მოვლენის როლს საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის ევროინტეგრაციის პროცესში სახელმწიფო-ეკლესიის ძალაუფლებრივი ინტერაქციის ჭრილში. საბოლოოდ შეჯამებულია დისერტაციის ყველა თავში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები სამი სახელმწიფოს შედარებითი ანალიზის პრიზმაში.

# 1. საკითხის შესწავლის თეორიული საფუძვლები

## 1.1. სეკულარიზმის გაგება აღმოსავლეთ ევროპის მართლმადიდებლობაში

სეკულარიზმი პოლიტიკის მეცნიერებაში და რელიგიის კვლევებში ერთერთი ყველაზე გავრცელებული და დომინანტური ტერმინია, თუმცა რამდენადაც გავრცელებულია ამდენადვე საკამათო და მრავალგვაროვანი. წინამდებარე ნაშორმის საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, რაც ეკლესია-სახელმწიფოს ძალაუფლებრივ ინტერაქციას ეხება, ამ თეზისის მიზნებისთვის სეკულარიზმი ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო საკითხია, რომელიც ნაშრომის განხილვის საკითხის ეპიცენტრშია. შესაბამისად, კონცეპტუალური სიცხადისთვის, აუცილებლობას წარმოადგენს დასაწყისისთვის პირველ რიგში როგორც ცნების ისტორიისა და სხვადასხვა მნიშვნელობების მიმოხილვა, ასევე იმ მნიშვნელობის გამოკვეთა, რომლითაც ეს ტერმინი წინამდებარე ნაშრომშია გამოყენებული.

ყველაზე ფართო გაგებით, სეკულარიზმი, როგორც პოლიტიკური პრინციპი გულისხმობს საერო და სასულიერო ძალაუფლების განცალკევებას. როგორც ჩარლზ ტეილორის კლასიკური განმარტება ამბობს, სეკულარულია ისეთი სახელმწიფო, რომელიც “არ მისდევს რომელიღაც რელიგიას, არ ახორციელებს რაიმე რელიგიურ მიზნებს, რელიგიურად განმარტებული სიკეთეები კი არ ხვდება ამ სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი მიზნების კატალოგში” (Taylor 1998, 35). სეკულარიზმი ჟან ბებორის მიხედვით განიმარტება როგორც “რელიგიური ინსტიტუტების გამიჯვნა სახელმწიფო ინსტიტუტებისგან” რასაც ასევე რწმენის თავისუფლება და რელიგიის მიმართ სახელმწიფოს ნეიტრალობა ემატება (Baubérot, 2022). ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, სეკულარიზმის საფუძვლები მდებარეობს სიტყვაში saeculum (Wilson 1992), რომელიც საუკუნეს, ხანას, საერო დროს ნიშნავს. შესაბამისად, ტერმინის ეტიმოლოგიურ საფუძვლებშივე გვხვდება მიწიერი, ამქვეყნიური დროის იდეა. ამრიგად, სეკულარიზმი,

ფართო ფილოსოფიური გაგებით, არარელიგიური, არაპროფანული სივრცისა და დროის მოძღვრებაა. ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით სეკულარიზმი რელიგიისა და საზოგადოებრივ-სახელმწიფობრივი სფეროების (პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურული სფერო) გამიჯვნის დოქტრინას წარმოადგენს. „მეოცე საუკუნეში, სეკულარიზმი ზოგადად ცნობილია, როგორც იდეოლოგია რომელიც ადვოკატირებს რელიგიური გავლენების აღმოფხვრას პოლიტიკური, საზოგადოებრივი და საგანმანათლებლო ინსტიტუტებიდან. როგორც მსოფლხედვა, სეკულარიზმი ზოგადად ხაზს უსვამს რელიგიურ და პოლიტიკურ სფეროებს შორის გამიჯვნას“ (Monshipouri, 1998). ტერმინი პირველად ვიქტორიანული ეპოქის მოაზროვნესთან, ჯორჯ ჯეიკობ ჰოლიოუკთან გვხვდება, თუმცა საკუთრივ ტერმინის შინაარსს ბევრად უფრო ვრცელი ისტორია აქვს. მთელს რიგ საზოგადოებებში, და მათ შორის ჩვენი კვლევის რეგიონში, ფართოდ გავრცელებული ცრუ შეხედულების მიუხედავად, რომლის თანახმად სეკულარიზმი ქრისტიანობას მტრობს, სინამდვილეში სეკულარიზმს თვითონ ქრისტიანული ფილოსოფიის წიაღში გააჩნია საფუძვლები. ბიბლიური შეგონება, „ღმერთს თვთისა, კეისარს კეისრისა“, რომელიც სწორედ ორი სფეროს თვისებრივ განცალკევებაზე მიგვითითებს და სეკულარულ განაცხადს წარმოადგენს, ქრისტიანობის ისტორიის ქრისტეს შემდგომ ეპოქაშიც გაგრძელდა. ხოლოეკლესიის ყველა დიდი მამა, რომელთაც შექმნეს ქრისტიანობა, როგორც მოძღვრება, სეკულარისტი იყო იმ თვალსაზრისით, რომ ისინი საერო და სასულიერო ხელისუფლების განცალკევებას საზოგადოებრივი მოწყობის ქრისტიანული იდეალის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად განიხილავდნენ. მათ შორისაა ნეტარი ავგუსტინე, ამბროსი მილანელი. ამის მიუხედავად, შუა საუკუნეების დასავლეთის პოლიტიკური პრაქტიკა შორს იყო სეკულარიზმისგან. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანულ ეკლესიას რომის პაპი განაგებდა, რომელიც ისტორიულად სასულიერო და პოლიტიკური ფიგურა იყო, დასავლეთის ეკლესია იშვიათად თუ ყოფილა პრაქტიკულად განცალკევებული პოლიტიკური მოვლენებიდან. 313 წლის მილანის ედიქტის არ იყოს, რომელიც იმპერატორმა კონსტანტინემ გამოსცა, რითაც რომის ისტორიაში ცეზაროპაპისტულ ეპოქას დაუდო სათავე, პაპების მიერ გამოცემული ედიქტები, ექსკომუნიკაციები, თუ ინდულგენციები, ხშირად მკაფიოდ

პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და სრულიად პირდაპირი გავლენა ჰქონდა საერო-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ხსენებული პრინციპის დასტურად, საკმარისია გავიხსენოთ ინგლისური რეფორმაცია, როგორც მკაფიოდ პოლიტიკური დაპირისპირება სუვერენ მონარქსა და რომის ეკლესიას შორის, რაც სქიზმით და ახალი რელიგიური ინსტიტუტის შექმნით დასრულდა.  ამრიგად, ერთი მხრივ, სეკულარიზმს ქრისტიანული თეორიული საფუძვლები გააჩნია; მეორე მხრივ კი, ისტორიულ პრაქტიკაში, ქრისტიანული ეკლესია არსებითად არასეკულარული მიდრეკილების უფრო ყოფილა, ვიდრე სეკულარულის. სწორედ ამ გააზრებამ დაუდო დასაბამი ტერმინს „პოლიტიკური თეოლოგია," რომელიც ყველაზე მეტად გერმანელ პოლიტიკურ ფილოსოფოსთან, კარლ შმიტთან ასოცირდება, თუმცა ფართო რანგის გამოყენებაც გააჩნია. პოლიტიკური თეოლოგიის გამოხატულებაა "პოლიტიკური ორთოდოქსალიზმი" და „სიმფონიის" ბიზანტიური იდეაც, რომელსაც ქვევით მიმოვიხილავთ (McGuckin 2010, 391–395).

მნიშვნელოვანია, რომ ტერმინები „სეკულარიზმი" და „სეკულარიზაცია" ადეკვატურად იქნას გამიჯნული. მართალია, ეს ორი ცნება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, თუმცა ისინი არ წარმოადგენს სინონიმებს. თუკი სეკულარიზმი ეკლესიისა და პოლიტიკის გამიჯვნის შესახებ არსებულ აზრებს, თეორიებსა და პარადიგმებს გულისხმობს, სეკულარიზაცია საკუთრივ ამგვარი გამიჯვნის პროცესია. სეკულარიზაცია შესაძლებელია პოლიტიკურ პროცესში წინასწარ გამიზნული საბოლოო პროდუქტი იყოს, ან გარკვეულ ფაქტორთა თანხვედრის შედეგი (Wu, 2007, 56). არსებობს სეკულარიზაციის რამდენიმე ძირითადი თეორია, რომლებიც ადეკვატურად მიესადაგება წინამდებარე ნაშრომში განხილულ რეგიონსა და საკვლევ პრობლემას.

სეკულარიზაციის ინტერპრეტაციის ერთ მიდგომას პირობითად *სტრუქტურალისტური* სკოლა ეწოდება, რომელსაც წარმოადგენენ ისეთი ავტორები, როგორებიცაა პ. ბერგერი, ბ. უილსონი, ტ. ლუკმანი, ნ. ლუმანი და ტ. ო'დეა. ეს მიდგომა სწავლობს სეკულარიზაციის ფორმებსა და ტიპებს და აცხადებს, რომ სეკულარიზმი შეუქცევად პროცესს წარმოადგენს, რომელიც ეტაპობრივად, თუმცა მტკიცედ ასუსტებს რელიგიის გავლენას, რაც საბოლოო ჯამში აისახება რელიგიის კლებასა და

ინსტიტუციონალიზებული რელიგიის გაქრობაში. უილსონი, როგორც სტრუქტურალისტური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ამ მიმდინარეობის აზროვნების კარგი მაგალითია. სეკულარიზაციას იგი განმარტავს, როგორც პროცესს, "რომლის დროსაც რელიგიური ინსტიტუტები, ქმედებები და ცნობიერება კარგავს თავის სოციალურ მნიშვნელობას" (Wilson, 1992, 4).

მსგავს წაკითხვას ვაწყდებით კაზანოვას სეკულარიზაციის თეორიაშიც, სადაც სეკულარიზაციის პროცესი სამ ცალკეულ მომენტად არის წარმოდგენილი, რომელთაგან თითოეული აღწერილია შესაბამის თეზად: დიფერენცირების თეზა, რელიგიის შემცირების თეზა და პრივატიზების თეზა. დიფერენცირების თეზა "სეკულარული სფეროების - უმთავრესად სახელმწიფოს, ეკონომიკისა და მეცნიერების - რელიგიური სფეროსაგან ემანსიპაციისა და მათი ფუნქციური დიფერენცირების პროცესია, რელიგიის თანმდევი დიფერენცირებითა და სპეციალიზებით თავის ახლად აღმოჩენილ რელიგიურ სფეროში". ამ თეზისის ძირითადი არსი პირდაპირ კავშირში საზოგადოებრივი მოდერნიზაციის საკითხთან და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს დროთა განმავლობაში რელიგიური და პოლიტიკური სფეროების ავტონომიურ მიმართულებებად ჩამოყალიბებაზე თანამედროვე სახელმწიფოს ინსტიტუტების, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის, სამოქალაქო იდეისა და მეცნიერების განვითარების კვალდაკვალ. კაზანოვას ორი დანარჩენი თეზა, გამომდინარე პირველიდან, საუბრობს რელიგიის შემცირებაზე, რაც საზოგადოებაში რელიგიის როლის ვარდნას ეხება, პრივატიზაციის თეზისი კი რელიგიის სულ უფრო მეტად პრივატულ გამოცდილებად გადაქცევასა და შედეგად საჯარო სივრცეში მისი შესაძლო მარგინალიზაციის შესახებ სვამს აქცენტებს (Casanova 1994, 14).

აღმოსავლეთ ევროპის კონტექსტში საუბრისას, ენიედი აღნიშნავს, რომ "ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობები, როგორც ხშირად ხდება სხვა ეროვნული სტრუქტურების შემთხვევაში, ისტორიული ტრადიციებისა და შეგნებული, რაციონალურად დაგეგმარებული და დემოკრატიული ლეგიტიმურობის მატარებელი სახელმწიფოებრიობის პროდუქტია" (Enyedi, 2005, 219). კომპლექსური რეალობების

ანალიზისათვის, ენიედი სახელმწიფოსა და ეკლესიის თანამშრომლობის შვიდ კომპონენტს გამოყოფს: 1) სახელმწიფოს აღიარებაში არსებულ პრივილეგიებს 2) სახელმწიფოს აღიარების ზღვარს 3) ფინანსურ სუბსიდიებს 4) დისკრიმინაციას 5) რელიგიის მიმართ სახელმწიფოს ზოგად დამოკიდებულებას 6) ეკლესიის ავტონომიას 7) ეკლესიის გავლენას განათლებაზე (Enyedi, 2005, 225). პანაინტე (2006) მართებულად აღნიშნავს, რომ "ურთიერთობათა ამ თარგის კონკრეტულ ქვეყანაზე გავრცელებით, შესაძლებელია აღმოვაჩინოთ არის თუ არა დამოკიდებული ეკლესია სახელმწიფოზე იმ სიკეთეებთან მიმართებით, რითაც იგი სარგებლობს (გადასახადებისგან გათავისუფლება, სუბსიდიები, ფინანსური მხარდაჭერა).

დაბოლოს, საკვლევი სახელმწიფოების კონტექსტში, კრიტიკულად მნიშვნელოვანია პოსტ-სეკულარული თეორია არა იმდენად სახელმწიფოსა და რელიგიის ფორმალური გამიჯვნის პრიზმაში, რამდენადაც საჯარო სივრცეში რელიგიის ფუნქციისა და მნიშვნელობის ხელახალი დაბრუნების კუთხით (Kandelaki, 2024). პოსტ-სეკულარული თეორია უპირისპირდება სწორედ მოდერნიზაციის ტელეოლოგიას, რომელიც ეფუძნება მთელ რიგ დაშვებებს, დასკვნებსა და მიჩნევებს მოდერნიზაციასთან დაკავშირებით - მაგალითად, რომ მოდერნიზაცია *a priori* გულისხმობს და შეიცავს სეკულარიზაციას (Kandelaki, 2024). ამის სანაცვლოდ, პოსტ-სეკულარული თეორია აცხადებს, რომ მოდერნიზაცია სავსებით არ გულისხმობს საჯარო სივრციდან რელიგიის არც სრულ გაქრობას და არც თუნდაც შეუქცევად შემცირებას (Habermas, 2003). პირიქით, პოსტ-სეკულარული თეორია ხაზს უსვამს, რომ რელიგია ინარჩუნებს გადამწყვეტ როლს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში და ილაშქრებს მოდერნულობისა და გლობალიზაციის სეკულარული ტენდენციების წინააღმდეგ (Casanova, 2006).

### 1.1.2. ცეზაროპაპიზმი და სიმფონია

იანუ (2016, 17) მართებულად აღნიშნავს, რომ „მართლმადიდებელ ეკლესიებსა და სახელმწიფოს შორის თანამედროვე ურთიერთობების ანალიზი უნდა ემყარებოდეს მისი

სოციალური და პოლიტიკური როლის გათვალისწინებას წინარე პერიოდებში, იმ დროიდან, როდესაც იმპერიის დამხობის შემდგომ ავტონომიური ერი სახელმწიფოები ჩამოყალიბდა“. ამ კუთხით, როდესაც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებულ ძალაუფლებრივ ურთიერთობაზე ვსაუბრობთ, სეკულარიზმის გარდა, მნიშვნელოვანია ყურადღება მივაპყროთ ცეზაროპაპიზმის სოციო-კულტურულ და პოლიტიკურ ფენომენს, ისევე როგორც „სიმფონიის“ იდეას, რადგან ორივე მათგანი ისტორიულად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აღმოსავლური მართლმადიდებლობის არსებობასა და განვითარებაში.

ცეზაროპაპიზმი მნიშვნელოვან იდეას წარმოადგენს, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიანობის ისტორიაში, ასევე სამეცნიერო ნაშრომებში მის შესახებ, რაც მაღალი რელევანტურობით სარგებლობს საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას შემთხვევაშიც. პოპულარულ რიტორიკაში, ტერმინი ცეზაროპაპიზმი ხშირად გამოიყენება სეკულარიზმისა და სეკულარულობის ნაკლებობის კრიტიკის კონტექსტში - მათ შორის მაშინ, როდესაც კრიტიკოსს სურს საერო ხელისუფლებისა და ეკლესიის სასულიერო წინამძღოლთა პოლიტიკური ჰარმონიის შესახებ კომენტარის გაკეთება. ამრიგად, ტერმინი ცეზაროპაპიზმი ხშირად არასწორადაა გამოყენებული და ზოგ შემთხვევაში ისეთი ტიპის კონცეპტუალურ აღრევებსაც წარმოშობს, რომელიც ტოლობის ნიშნებს სვამს, მაგალითისთვის, ცეზაროპაპიზმსა და თეოკრატიას შორის. სინამდვილეში, ცეზაროპაპიზმი არათუ არ წარმოადგენს თეოკრატიას, არამედ მისი საპირისპირო მდგომარეობა და სრული ინვერსიაა. ტერმინი ცეზაროპაპიზმი მართალია ძველთაძველ სოციო-პოლიტიკურ წესრიგს აღწერს, თუმცა საკუთრივ ტერმინმა დღის სინათლე პირველად მეჩვიდმეტე საუკუნის გერმანელმა საეკლესიო იურისტმა, იუსტუს ჰენინგ ბიომერმა შექმნა, ხოლო შემდგომში მაქს ვებერმა განავითარა, რომელიც აღნიშნავდა რომ „სეკულარისტი, ცეზაროპაპისტი მმართველი ... საკუთარი ავტონომიური ლეგიტიმურობის ხარჯზე ახორციელებს უზენაეს ძალაუფლებას საეკლესიო საკითხებში“ (Weber, 1922). ამრიგად, ცეზაროპაპიზმი წარმოადგენს იმგვარ პოლიტიკურ და სოციო-კულტურულ ფორმას, რომელშიც სახელმწიფო ინსტიტუტები

განაგებენ საეკლესიო ინსტიტუტებს. შესაბამისად, ცეზაროპაპიზმის კონტექსტში, ეკლესია დაქვემდებარებულია საერო ხელისუფლებასთან, რომელიც თავის მხრივ უპირატესი გავლენით სარგებლობს. *ცეზაროპაპიზმი* აღწერს მდგომარეობას, რომელიც სრულად უარყოფს *თეოკრატიას*, რომელიც სასულიერო პირთა თუ ინსტიტუტთა მიერ ღვთაებრივი ლეგიტიმაციის გამოყენებით საერო პოლიტიკური ერთეულის მართვას გულისხმობს.

ცეზაროპაპიზმის კლასიკური მაგალითი წარმოშვა რომის იმპერიამ, რომელმაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. 313 წლის მილანის ედიქტის კვალდაკვალ, იმპერატორმა კონსტანტინემ საეკლესიო საკითხებში ჩარევა რუტინულ პრაქტიკად აქცია, რაც შუა საუკუნეების განმავლობაში ფართოდ გავრცელდა როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ ქრისტიანულ ტრადიციებში. საერო პოლიტიკურ ხელისუფლებას გააჩნდა საეკლესიო მეთაურების დანიშვნისა და განთავისუფლების უფლებამოსილება, ისევე როგორც საეკლესიო კანონების გამოცემის, საეკლესიო საბჭოების შეკრებისა და სხვადასხვა დოგმატურ საკითხებში ჩარევის უფლება. რომაული მემკვიდრეობა ყურადსაღებია იმ თვალსაზრისითაც, რომ სწორედ აღმოსავლეთ რომის იმპერია, ანუ ბიზანტია გახდა აღმოსავლური ქრისტიანობის აკვანი, რამაც პირდაპირი გავლენა იქონია რუსული, ქართული, უკრაინული თუ მოლდოვური მართლმადიდებელი ეკლესიების პარადიგმის ჩამოყალიბებაზე.

აღმოსავლეთ მართლმადიდებლობაში, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებულ ურთიერთობებს საფუძვლად უდევს „ჰარმონიული სიმფონიის," მეორენაირად უბრალოდ "სიმფონიის" იდეა (symphonia), რომელიც სათავეს ბიზანტიის პერიოდიდან იღებს (Byrnes 2006: 293). ამ ცნების იდეა იმაში მდგომარეობს, რომ საერო (პროფანული) და ღვთაებრივი (წმინდა) ძალები ერთმანეთთან ჰარმონიულ ურთიერთდამოკიდებულებაში უნდა იყვნენ და ერთობლივი ძალისხმევით მუშაობდნენ. როგორც ლუსიან ლოისტენი (2009:89) აღნიშნავს, „მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გამიჯვნა სახელმწიფოს სრულად საერო ხასიათსა და ეკლესიის რელიგიურ სტატუსს შორის, *symphonia* მხარს უჭერს თანასწორობას და ახლო ურთიერთობას ამ

ინსტიტუტთა შორის, თუმცა, სხვადასხვა პრიორიტეტებითა და ოპერირების მეთოდებით“. „სიმფონიის“ იდეა არამხოლოდ საუკუნოვან ინტელექტუალურ მემკვიდრეობას წარმოადგენს, არამედ კვლავაც აქტუალურია აღმოსავლეთ მართლმადიდებლობაში, მიუხედავად საჯარო აზროვნების შედარებითი სეკულარიზაციისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების დროთა განმავლობაში საზოგადო მოდერნიზებისა. თანამედროვე აღმოსავლურ მართლმადიდებლურ სახელმწიფოებში, ამგვარი „სიმფონია“ (ჰარმონიულობა) ასახულია როგორც პოლიტიკური ელიტების რიტორიკაში, ასევე მთელ რიგ პრივილეგიებში და მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მინიჭებულ ჰეგემონურ უპირატესობებში, რაც სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ეფექტების მატარებელია.

კიდევ ერთი რელევანტური ამხსნელი ცნებაა „პოლიტიკური ორთოდოქსიზმი“, როგორც სახელმწიფოსა და ეკლესიის პოლიტიკურ თეორია (Ayubi, 1991). რაკიღა სხვაობები რელიგიურ და პოლიტიკურ ძალაუფლებებს შორის მართლმადიდებელ სამყაროში ისტორიულად არარსებულია, „პოლიტიკური ორთოდოქსიზმი“ „უარს აცხადებს კერძო სფეროს პრივილეგირებული სტატუსის, ან კერძოსა და საჯაროს შორის განსხვავებების აღიარებაზე“ (იანუ, 30). შაკმანი მართებულად აღნიშნავს, რომ „პოლიტიკურ ორთოდოქსიზმს“ შეუძლია ჩამოყალიბდეს „თანამედროვე“ პოლიტიკურ ენად, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს დასავლეთში გავრცელებულ სეკულარულ შეხედულებებს რელიგიისა და პოლიტიკის თაობაზე (Shakman, 2008).

სამივე ცნება სემინალური მნიშვნელობისაა აღმოსავლეთის მართლმადიდებლობის თეორიისა და პრაქტიკის აღსაქმელად. შესაბამისად, კონცეპტუალური სიცხადის შემოტანის მიზნით, აუცილებელია მათი საბაზისო მნიშვნელობების შეჯამება. როგორც ზევით ითქვა, ისინი ურთიერთშეკავშირებული, თუმცა განსხვავებული ცნებებია, რომელთაგან თითოეული ავტონომიურ მნიშვნელობას ატარებს. პირველ რიგში, *ცეზაროპაპიზმი* აღნიშნავს იმგვარ სოციო-პოლიტიკურ და კულტურულ წყობას, როდესაც სასულიერო ძალაუფლება სუბორდინირებულია საერო ძალაუფლებასთან. მეორე რიგში, *„სიმფონიის“* იდეა აღწერს კულტურულ და პოლიტიკურ

დამოკიდებულებას ინსიტუტებს შორის, რომლის ფარგლებშიც უპირატესია საზოგადოებრივი მოწყობის ჰოლისტური ხედვა, რომელიც ორიენტირებულია ორგანული მთლიანობის აღქმაზე, სადაც ეკლესია და სახელმწიფო ერთი მთლიანის ორი განსხვავებული ნაწილია, რომელიც ერთობლივი „ჰარმონიული სიმფონიის" შექმნას ისახავს მიზნად. მესამე რიგში, *„პოლიტიკური ორთოდოქსიზმი",* როგორც პოლიტიკური ენა, რელევანტურია იმ თვალსაზრისით, რომ იგი წარმოადგენს სპეციფიკურ პოლიტიკურ ენას, რომელიც დასავლური სეკულარული იდეების საპირწონედ გამოყენებულ რიტორიკულ ინსტრუმენტს წარმოადგენს. როგორც ამ ნაშრომში იქნება ნაჩვენები, „პოლიტიკური ორთოდოქსიზმი" სასარგებლო ამხსნელ ტერმინს წარმოადგენს აღმოსავლეთ მართლმადიდებლობის ანალიზისას.

აღსანიშნავია, რომ თითოეული ზემოთხსენებული ამხსნელი ტერმინი ადეკვატურად მიესადაგება როგორც წინამდებარე ნაშრომში განხილულ რეგიონს, ასევე სამ კონკრეტულ სახელმწიფოს: საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას. მაგალითისთვის, რუსული მართლმადიდებლური ტრადიცია ცეზაროპაპიზმის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. ფართოდაა ცნობილი კრემლისა და მოსკოვის საპატრიარქოს ახლო პოლიტიკური და ფინანსური კავშირების თაობაზე.

საქართველოს შემთხვევა სხვადასხვა პერიოდში სახეზეა სიმფონიის და ცეზაროპაპიზმის ნიშნები, ასევე პოლიტიკური ორთოდოქსიზმი საქართველოს პოლიტიკური კლასი ტრადიციულად მიესწრაფვოდა - სულ მცირე რიტორიკულად - "სიმფონიის" იდეას, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო და ეკლესია, თუგინდ ფორმალურად განცალკევებული, საერთო საქმეების სამსახურში ერთიანდებოდა. ამის ერთი კლასიკური მაგალითია, საქართველოს მეორე პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის განცხადება: „ეკლესია და სახელმწიფო ერთად მუშაობს" (Kavadze, 2020, 126). თუმცა ასევე ბოლო ხელისუფლებების დროს იკვეთებოდა ცეზაროპაპიზმის კონტურებიც, როცა სახელმწიფო დომინირებდა ეკლესიაზე; და ასევე პოლიტიკური ორთოდოქსიზმის ნიშნები, როდესაც პოლიტიკოსების მხრიდან სარწმუნოების იდეოლოგიურ და სიმბოლურ გამოყენებას ჰქონდა ადგილი ლეგიტიმაციის მიღწევის

მიზნით. მოლდოვის შემთხვევაში MOC-თან მიმართებით სახეზეა ცეზაროპაპიზმის და სიმფონიის ჰიბრიდი, ე.წ. “ცეზაროპაპისტული სიმფონია” როდესაც არის მოჩვენებითი ჰარმონია, თითქოს თანასწორობაა, თუმცა სახელმწიფო დომინირებს და ეკლესიას ხელისუფლების მალეგიტიმირებელია ფუნქცია აქვს. ასევე იკვეთება პოლიტიკური ორთოდოქსიზმის ნიშნები, კერძოდ როგორც მოლდოვის, ისე რუსეთის ხელისუფლებების მხრიდან ყოფილა რელიგიური თემების ინსტრუმენტალიზების მცდელობა, როდესაც ხელისუფლებები ეკლესიის მხრიდან ლეგიტიმაციას მოიპოვებდა, ხოლო ეკლესია პრივილეგიებს. მართლმადიდებლობა ამ შემთხვევაში არის იდეოლოგიური ფორმა და ეროვნული იდენტობის გამომხატველი, რაც MOC-თან ურთიერთობაში დამახასიათებელია. ხოლო მოლდოვაში MB-სთან სახელმწიფოს ურთიერთობის ჭრილში ცეზაროპაპიზმი შეიძლება აღწერდეს ხელისუფლებების ამ ეკლესიასთან ინტერაქციას, რადგან ამ ეკლესიას დიდი უფლებამოსილებები და განსაკუთრებულად დიდი მრევლი არ ჰყავს, ამიტომ ძირითადად ხელისუფლებები დომინირებენ მასზე ურთიერთობაში. უკრაინის შემთხვევას რაც შეეხება, UOC-MP-სთან და UOC-KP-სთან მიმართებით სახეზეა კლასიკური ფორმის ცეზაროპაპიზმი, როდესაც ფაქტობრივ დონეზე სახელმწიფი აკონტროლებს ეკლესიას და დომინირებს მასზე, განსაკუთრებით UOC-MP-სთან ურთიერთობაში ბოლო დროს სამართლებრივი შეზღუდვების შემოღების ფონზე. ხოლო რაც შეეხება OCU-სთან სახელმწიფოს ურთოერთობას, ეს უფრო მეტად შეიძლება იყოს აღწერილი როგორც სიმფონია, როდესაც სახელმწიფო და ეკლესია თანამშრომლობით ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან, როდესაც სახელმწიფო პასუხისმგებლობას იღებს მიწიერ, საერო საკითხებზე, ხოლო ეკლესია სულიერზე და საერთო მიზანი აქვთ; როდესაც მათ შორის თანასწორობაა და რეალურად სამართლებრივ დონეზე უკრაინაში ასეცაა, რადგან პლურალისტური კანონმდებლობაა. თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმას რომ OCU-ს ჩამოყალიბება სახელმწიფოს ეროვნულ პროექტადაც აღიქმება, “ცეზაროპაპისტული სიმფონიის” მოდელიც შეიძლება რელევანტური აღმოჩნდეს უკრაინაში სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობის აღსაწერად.

როგორც საქართველოში, ასევე მოლდოვასა და უკრაინაში, ფორმალურად ეკლესია და რელიგია განცალკევებულია ერთმანეთისაგან. სამივე ქვეყნის კონსტიტუცია ნათლად მიჯნავს ამ ორი სფეროს საქმიანობას. თუმცა, სეკულარიზაციის და მოდერნიზაციის მიუხედავად, სამივე რესპუბლიკაში ეკლესიას გააჩნია პირდაპირი ელექტორალური გავლენა ტრადიციონალისტური და კულტურული მიზეზების გამო. კაზანოვას თეორია ამბობს, რომ რელიგიისა და საზოგადოებრივი სფეროების ნათელი გამიჯვნა ისტორიული განვითარებისა და ინსტიტუციური დიფერენცირების პროცესის შედეგია, ისევე როგორც სოციალური მოდერნიზაციის პირდაპირი ნაყოფი. კაზანოვას თეორია შესაძლოა კარგად ხსნიდეს სეკულარიზაციის პროცესს დასავლეთ ევროპის ისტორიული მაგალითის შემთხვევაში (Casanova, 1994) თუმცა, მას გააჩნია გარკვეული სისუსტეები აღმოსავლეთ ევროპის ახსნისას. კერძოდ, ისეთი არაკონსოლიდირებული, პოსტ-სოციალისტური სახელმწიფოების შემთხვევაში, როგორიცაა საქართველო, უკრაინა და მოლდოვა, სადაც სრულყოფილი დემოკრატიზაცია, ან სოციალური მოდერნიზება ჯერ არ მომხდარა, სეკულარული და რელიგიური სფეროები არ არის სრულად გამიჯნული.

შესაბამისად, თუკი მონშიპურისა და ტეილორის კლასიკურ განმარტებებს გამოვიყენებთ, ხსენებული სამი სახელმწიფო მინიმალისტური გაგებით სეკულარულია - მათ მიერ ფორმალურად გაცხადებული პოლიტიკური მიზნები არ განიმარტება მათი კავშირით რელიგიურ სიკეთეებთან. თუმცა, ისტორიული პოლიტიკური პრაქტიკა საპირისპიროს მოწმობს. ამავე პრობლემას ვაწყდებით სტრუქტურალისტურ მიდგომაშიც, რომელიც სეკულარიზაციას შეუქცევად პროცესად წარმოაჩენს, რაც ეტაპობრივად ასუსტებს რელიგიის გავლენას და აისახება რელიგიის კლებასა და ინსტიტუციონალიზებული რელიგიის გაქრობაში. თუმცა, საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას შემთხვევები აჩვენებს, რომ რელიგიური ინსტიტუტები და ცნობიერება არ კარგავს თავის სოციალურ მნიშვნელობას.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, უფრო შესაფერის თეორიულ ხედვას წარმოადგენს ფოქსი, რომელიც ამბობს, რომ “თანამედროვე გამოწვევები არ იწვევს რელიგიის

გარდაუვალ კლებას” (Fox, 2016:158). იგი მიიჩნევს, რომ სეკულარიზმმა შეიძინა იდეოლოგიური ფორმა და შეჯიბრი მიმდინარეობს “სეკულარიზმისა და რელიგიის პოლიტიკურ ძალებს შორის საზოგადოებაში” (159). ეს ადეკვატურად აღწერს საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში არსებულ დინამიკას. ამასთან, მნიშვნელოვანია გვესმოდეს ისტორიული მემკვიდრეობის როლიც, რის წაკითხვაშიც სტრუქტურალისტური მიდგომა და კაზანოვას თეორია ნაკლებად გვეხმარება, რაშიც ცეზაროპაპიზმისა და სიმფონიის როლი მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით, ჯონ ანდერსონი აღნიშნავს, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანობა ისტორიულად გამოირჩევა სახელმწიფოსთან ზმითა და დამოკიდებულებით (Kandelaki, 2017). სწორედ ამგვარი ცეზაროპაპისტული ტენდენციით აიხსნება შტეფანის მართებული შენიშვნაც, რომ კომუნისტურ ეპოქაში მართლმადიდებელმა ეკლესიამ ვერ შეძლო ჩამოყალიბებულიყო ოპოზიციური აქტივობის ძალად რადგან იგი სახელმწიფოზე იყო დამოკიდებული (Stepan, 2012, 245). ამავე კრიტიკულ ჭრილში, ასევე რელევანტურია ენიედის თეორიული მოსაზრება, რომელიც ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობებს განიხილავს კონკრეტული ისტორიული პროცესებისა და პოლიტიკური კონფიგურაციების თანაკვეთის პროდუქტად.

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია ენიედის შვიდპუნქტა კატეგორიზაცია სამი კონკრეტული სახელმწიფოს შემთხვევის ანალიზისთვის, რადგანაც ეს თეორიული მიდგომა და ენიედის ე.წ. “ჩექლისტის” გამოყენება შესაძლებელს ხდის საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობების რეალურ ანალიზს ნაშრომის მიერ წამოჭრილი კითხვების პასუხად. როგორც ეს ნაშრომი ამტკიცებს, სამივე ქვეყანაში ვაწყდებით პრივილეგიებს სახელმწიფოს მიერ მართლმადიდებელი ეკლესიებისთვის მინიჭებულ აღიარებასა და პოლიტიკურ-სამართლებრივ დამოკიდებულებებში, სახელმწიფოს მიერ მართლმადიდებელი ეკლესიების ფართო აღიარების ზღვარს, ფინანსურ პრივილეგიებს, ეკლესიის გავლენის ფართო არეალს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ორგანიზების სხვადასხვა სფეროებზე და გულუხვ ფინანსურ სუბსიდიებს. სამიზნე ქვეყნების კონტექსტებში, თითოეული ამ

ფაქტორის სიღრმისეული ანალიზისთვის, წინამდებარი ნაშრომის შემდეგ თავში ასახულია საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის მართლმადიდებლობის მოკლე ისტირიული ექსკურსი და მიმოხილულია სამართლევრივი ჩარჩოები რელიგიასთან მიმართებით.

## 1.2. რამდენად თავსებადია მართლმადიდებელი ქრისტიანობა დემოკრატიასთან?

ამ კითხვის საპასუხოდ, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ცნება “დემოკრატიის” კრიტიკულად აღქმა და გარკვეული დეკონსტრუქცია. თანამედროვე აზროვნებაში, და განსაკუთრებით ბოლო ათწლეულების გლობალური ლიბერალური მედიის სააზროვნო ენაზე, მოხდა დემოკრატიის გაიგივება ლიბერალიზმთან, რასაც ისტორიული ახსნაც გააჩნია. ბერლინის კედლის დაცემა, საბჭოთა კავშირის კოლაფსი, ახალი სუვერენული ერი-სახელმწიფოების აღმოცენება, ევროპული კავშირისა და NATO-ს გაფართოება - ამ ისტორიულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო სახელმწიფოთა დემოკრატიზაციას და ლიბერალიზაციას. ამავე ტენდენციებმა შექმნა ზემოთხსენებული მცდარი სააზროვნო ტენდენცია, რომლის თანახმად დემოკრატია *a priori* ლიბერალურია. თუმცა, მსოფლიოში უკანასკნელ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ხელახლა შეგვახსენა, რომ ეს სავსებით არ არის ასე. საქმე ისაა, რომ თავისი კლასიკური არსით, დემოკრატია არა ხარისხობრივი, არამედ ფორმალური ტერმინია. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ეს ცნება აღწერს მმართველობის *ფორმას*, მაგრამ არსებითად არაფერს არ ამბობს მმართველობის თუ პოლიტიკის *შინაარსის* თაობაზე. მინიმალუსტური გაგებით, დემოკრატია არის ძალაუფლების განაწილების ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებით ხალხი ანაწილებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალაუფლებას. თუმცა, ეს სავსებით არ გულისხმობს არც კონსერვატიულობას, არც ლიბერალურობას და არც სოციალურობას. შესაბამისად, დემოკრატიული პოლიტიკური ერთეულის *შინაარსი* ასახულია არა

დემოკრატიაში, არამედ პრეფიქსში რომელიც მას უძღვის წინ. რამდენადაც ამგვარი ინსტრუმენტის არსებობა შესაძლებელია ისეთ პოლიტიკურ სივრცეებშიც, სადაც არ არის თავისუფლების ინსტიტუციური წესრიგი, შესაძლებელია ისიც, რომ არსებობდეს დემოკრატია, მაგრამ არა ლიბერალიზმი (Zakaria, 1997).

ამრიგად, ანალიტიკური თვალსაზრისით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ ერთი მხრივ დემოკრატია და მეორე მხრივ ლიბერალური დემოკრატია. შესაბამისად, ყველაზე ფართო გაგებით, დემოკრატიად შესაძლებელია აღიქვა ნებისმიერი ისეთი პოლიტიკური სივრცე, სადაც ხალხის უმრავლესობა აკეთებს არჩევანს გარკვეული პოლიტიკური კურსის თუ ჯგუფის სასიკეთოდ. თუმცა დემოკრატია, როგორც უმრავლესობის მმართველობა არჩევნების გზით, აუცილებლად არ გულისხმობს კანონის უზენაესობის არსებობას, რომელიც შესაძლოა სუსტი იყოს, ან საერთოდ არ არსებობდეს, ისევე როგორც ის არ ნიშნავს არც ძალაუფლების განაწილების უზრუნველყოფას, არც თავისუფალ და დამოუკიდებელ ინსტიტუტებს და არც ფუნდამენტური თავისუფლებების გარანტირებულ წინაპირობას. ისტორიას ახსოვს იმგვარი დემოკრატიების არაერთი მაგალითი, სადაც არსებობდა არჩევნების გზით უმრავლესობის მმართველობის მნიშვნელოვანი ნიშნები, თუმცა არ არსებობდა სამოქალაქო თავისუფლებები, ინსტიტუციური თავისუფლება, ძალაუფლების დანაწილება. ამის მაგალითებია ჩავესის ვენესუელა, ორბანის უნგრეთი, კაჩინსკების პოლონეთი, ფიცოს სლოვაკეთი, თანამედროვე რუსეთის ფედერაცია, ისევე როგორც ჩრდილოეთ კორეა. რადგან ამ სახელმწიფოებში ატარებენ “არჩევნებს”, ფართო ფორმალური გაგებით შესაძლოა “დემოკრატიადაც” იქნან აღქმული, რადგან ფორმალური თვალსაზრისით ხალხი მონაწილეობს ძალაუფლების განაწილების პროცესში. თუმცა, ხსენებული სახელმწიფოები რადიკალურად დაპირისპირებულია კონსტიტუციურ ლიბერალიზმთან და მის ტრადიციულ ატრიბუტებთან. შესაბამისად, “უბრალო დემოკრატია” ძალზედ მარტივად შეიძლება გადაიქცეს, ტოკვილს თუ დავესესხებით, “უმრავლესობის ტირანიად” (Tocqueville, 2000), თანამედროვე თვალსაზრისით კი ე. წ. ელექტორალურ ავტოკრატიად, ან კონკურენტულ

ავტორიტარიზმად, სადაც ფორმალურად არსებობს არჩევნები, როგორც მარტივი დემოკრატიის წინაპირობა, თუმცა არ არსებობს დამცველი მექანიზმები.

უბრალო დემოკრატიისგან განსხვავებით, ლიბერალური დემოკრატიის აუცილებელ ნიშნად, ფართო თეორიული თვალსაზრისით, შესაძლებელია მივიჩნიოთ კონსტიტუციური ლიბერალიზმის იმგვარი ინსტრუმენტების და გარემო-პირობების არსებობა, როგორიცაა თავისუფალი ინსტიტუტები, პოლიტიკური პლურალიზმი, ადამიანის უფლებები, თავისუფალი არჩევნები, ძალაუფლების დანაწილება, და სახალხო სუვერენულობა, როგორც ლეგიტიმური პოლიტიკური ძალაუფლების ექსკლუზიური წყარო. ლიბერალური დემოკრატია წარმოშობს მარტივი დემოკრატიისაგან ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის აუცილებელ მექანიზმებს, რაც წარმოადგენს ერთი მხრივ "უმრავლეობის ტირანიისგან" და მეორე მხრივ ელექტორალურ ავტოკრატიად გადაქცევისგან დაცვის საშუალებას.

მხოლოდ ამ განხილვის ფონზე ხდება შესაძლებელი დაისვას კითხვა მართლმადიდებელი ეკლესიისა და დემოკრატიის თეორეტიკულ თავსებადობაზე თითოეულის საპირწონედ. პირველ რიგში, თუკი ავიღებთ დემოკრატიის ფართო ცნებას, ისტორიული პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ მართლმადიდებლობას არ გააჩნია ანტი-დემოკრატიული პოლიტიკური პოზიცია. სხვანაირად თუ ვიტყვით, მართლმადიდებელი ეკლესიები ზოგადად არ მოითხოვენ ისეთი პოლიტიკური წყობილების თუ ფორმების დანერგვას, რომელიც კლასიკური გაგებით ანტი-დემოკრატიული იქნებოდა და მიემხრობოდა სახალხო მმართველობის კომპონენტის ავტორიტარული, ან აბსოლუტური მონარქიული წესით ჩანაცვლებას. ამრიგად, მართლმადიდებელი ეკლესიები ფართო გაგებით არ წარმოადგენენ ანტი-დემოკრატიულ ენერგიას. თუმცა, როდესაც საქმე შეეხება *ლიბერალურ* დემოკრატიას, რომელიც ნორმალურ შემთხვევაში ზემოთაღწერილი კრიტიკული კომპონენტებით ხასიათდება, ვხედავთ რომ მართლმადიდებელი ეკლესიების სწავლება და პოზიციონირება ძალზედ ხშირად მოდის ღირებულებით წინააღმდეგობაში მასთან. ჰანტინგტონის (1998) თქმით, მართლმადიდებლობას აკლია ის მახასიათებლები,

რომლებიც ლიბერალური დემოკრატიის მხარდაჭერას გახდიდა შესამლებელს, რადგან იგი არ არის კომფორტულად ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ეკლესიის და სახელმწიფოს როლების განცალკევება, რელიგიური პლურალიზმი, მულტიკულტურალიზმი და განსხვავებულობის მიღება (Huntington, 1998). მართლაც, მართლმადიდებელი ეკლესიების პოზიციონირება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ადამიანის უფლებები, პლურალიზმი, ინსტიტუციური ბალანსი/გავლენა, ხშირად სრულიად პირდაპირ წინააღმდეგობაშია იმ ნორმატიულ დღის წესრიგთან, რაც ახასიათებს ლიბერალურ დემოკრატიას, თუმცა ისევ და ისევ, არ მოდის წინააღმდეგობაში მარტივი დემოკრატიის, ან თუნდაც ცალკეულად წარმომადგენლობითი პრინციპის საკითხთან.

## 1.2.1. დემოკრატიზაცია აღმოსავლეთ ევროპის კონტექსტში

დემოკრატიზაცია არადემოკრატიული რეჟიმების უფრო დემოკრატიულად გარდაქმნის პროცესია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას რომ ეს პროცესი ყოველთვის პროგრესულად დემოკრატიული კონსოლიდაციისკენაა მიმართული (Huntington, 1991). ამ სამი სახელმწიფოს შემთხვევაში სახეზეა ჰანთინგტონისეული დემოკრატიზაციის მესამე ტალღა, რომელიც პოსტ საბჭოთა ქვეყნების კონტექსტში 90-იანი წლებიდან იღებს სათავეს (Huntington, 1991). პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ფერადი რევოლუციების ჭრილში ზოგიერთი ავტორი ასევე დემოკრატიზაციის მეოთხე ტალღის დასაწყისის შესაძლო კონტურების არსებობასაც არ გამორიცხავს, თუმცა საქართველოს (2003 წლის “ვარდების რევოლუცია”), მოლდოვის (ე.წ. 2009 წლის “Twitter რევოლუცია”) და უკრაინის (2004 წლის “ნარინჯისფერი რევოლუცია” და შემდეგ 2014 წლის “მაიდანი”) ფერადი რევოლუციები ვერ გარდაიქმნა სრულად დემოკრატიად, უმეტეს შემთხვეაში ეს გარდამავალი პროცესი შეფერხდა და უკუქცევა განიცადა (Bunce, McFaul, & Stoner-Weiss, 2009).

დემოკრატიზაციის მირითადი მახასიათებლებია კონკურენტული არჩევნები, ხელისუფლების გამიჯვნა, კანონის უზენაესობა და პოლიტიკური პლურალიზმი (Dahl, 1989; Huntington,1991). ამ ჭრილში, ლერი დაიმონდი გამოყოფს დემოკრატიზაციის სამ ფაზას: გარდამავალს, როდესაც ავტორიტარიზმიდან დემოკრატიისკენ ხდება სვლა, რისი მცდელობებიც საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის შემთხვევაში არაერთხელ ყოფილა; მეორე ესაა, დემოკრატიის კონსოლიდაცია. როდესაც ხდება ინსტიტუტების გამყარება და მესამეა გაღრმავების ფაზა, როდესაც საუბარია დემოკრატიულ ღირებულებებზე, კანონის უზენაესობაზე და მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველჰყოფაზე (Larry Diamond (1999, Developing Democracy: Toward Consolidation). საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის მაგალითზე სისტემა დაუცველი დარჩა უკუსვლისგან (Diamond, 2015). აქ საუბარია "დემოკრატიის რეცესიაზე", კერძოდ აღნიშნული პოსტ-საბჭოთა ქვეყნების "ჰიბრიდულ რეჟიმებად" ჩამოყალიბებაზე, რაც მოიცავს „ნახევრად ავტორიტარულ" და „კონკურენტულ ავტორიტარიზმად" ქცევას, რომელიც კონსოლიდირებულ დემოკრატიად რთულად გარდაქმნადია (Diamond, 2015).

ამ სამ სახელმწიფოში დემოკრატიზაციის პროცესის ასახსნელად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონცეპტუალურ-თეორიული ჩარჩო, რომელსაც წინამდებარე ნაშრომი იყენებს და ეყრდნობა არის "კონკურენტული ავტორიტარიზმი" (Levitsky and Way, 2002). კონკურენტული ავტორიტარიზმი ცნება პირველად სტივენ ლევიტსკიმ და ლუკან ვეიმ შემოიღეს საეტაპო მნიშვნელობის ესსეში - "კონკურენტული ავტორიტარიზმის აღმასვლა" (2002), რომელიც შემდგომში ვრცელ მონოგრაფად განვითარდა (Levitsky and Way, 2010) და თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერებების კლასიკათა რიგებში დამსახურებული ადგილი დაიკავა. ლევიტსკისა და ვეის თეორია დაიბადა კრიტიკულ დაპირისპირებაში ადრეულ სამეცნიერო ლიტერატურასთან, სადაც რეჟიმები რომლებიც ავტორიტარიზმისა და დემოკრატიის ელემენტებს ერთდროულად შეიცავდა კვლავაც კლასიფიცირებული იყო, როგორც "ტრანზიციული რეჟიმები", "ტრანზიციული დემოკრატიები", რაც თავისთავად გულისხმობდა, რომ ისინი დემოკრატიის ფორმებია, თუმცა არასრულყოფილი ფორმები, რომლებიც ჯერაც ტრანზიციაში არიან იდეალური

ფორმისაკენ მიმავალ გზაზე. პირველ რიგში, ლევიტსკიმ და ვეიმ კრიტიკით უპასუხეს სწორედ ამგვარ ტელეოლოგიას, სხვანაირად თუ ვიტყვით "დემოკრატიზაციულ მიკერძოებას" ("democratizing" bias"). როგორც კაროტერსიც აღნიშნავდა, 1990-იანების რეჟიმების ემპირიული დაკვირვება აჩვენებდა, რომ ძალზედ ხშირად, სხვადასხვა ჰიბრიდული რეჟიმები სულაც არ მიილტვოდნენ წინასწარ დადგენილი იდეალური ფორმისკენ, დემოკრატიისკენ (Carothers, 2002). ძალზედ ხშირად, რეჟიმები რჩებოდნენ ჰიბრიდული ტიპის წარმონაქმნებად, რომელიც სულაც არ მიემართებოდა დემოკრატიისკენ, არამედ განგრძობითად ხდებოდა ავტორიტარიზმისა და დემოკრატიის ნიშნების შერწყმა, ან სულაც, პირიქით, უკუქცევადი ავტორიტარიზმის გზას ადგებოდა. როგორც ლევიტსკი და ვეი აღნიშნავენ, "განსაკუთრებით აფრიკასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში, ბევრი რეჟიმი ან ჰიბრიდულ ფორმაში დარჩა, ან ავტორიტარული მიმართულებით წავიდა" (Levitsky and Way, 2002, 51). მეორე რიგში, ლევიტსკი და ვეი აღნიშნავდნენ, რომ ტერმინები, როგორიცაა ნახევრად-დემოკრატიული, ნახევრად-ავტორიტარული და ნაწილობრივ თავისუფალი არ ასახავდა რეჟიმის ტიპებს შორის არსებულ მნიშვნელოვან ისტორიულ, კულტურულ თუ პოლიტიკურ განსხვავებებს. "კონკურენტული ავტორიტარიზმის" ცნება ამ ორი ფუნდამენტური კრიტიკის პასუხად დაიბადა.

ლევიცკი და ვეი "კონკრენტულ ავტორიტარიზმს" განიხილავენ ჰიბრიდული რეჟიმის ერთერთ ფორმად, რომელშიც "ფორმალური დემოკრატიული ინსტიტუტები ფართოდ განიხილება, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების მთავარი საშუალება". თუმცა, ამავე დროს, ძალაუფლები დემოკრატიულ წესებს "ისე ხშირად და იმ დოზით არღვევენ, რომ რეჟიმი დემოკრატიული სტანდარტის კონვენციურ მინიმუმსაც კი ვერ აღწევს" (Levitsky and Way, 2022, 52). კონკურენტული ავტორიტარიზმი არც სრულყოფილი დემოკრატიაა და არც სრულყოფილი ავტორიტარიზმი; ეს არის რეჟიმის ტიპი, სადაც არსებობს არჩევნები რომელიც უსამართლოა, მართლმსაჯულება რომელიც მიკერძოებულია, რესურსები, რომელიც არათანაბრადაა განაწილებული, კანონმდებლობა რომელიც მორგებულია მმართველ

გუნდზე, ოპოზიცია რომელიც იდევნება სამართლებრივად ან/და ფიზიკურად, მედია რომელიც განიცდის ფინანსურ თუ სამართლებრივ წნეხს. თუმცა, განსხვავებით სრულყოფილი ავტოკრატიისგან, არ არის აკრძალული პარტიები, არ ხდება ოპოზიციის ფიზიკური დევნა და ხელყოფა, არამედ ადგილი აქვს სამართლებრივი, ადმინისტრაციული და რესურსების გამოყენებით განხორციელებულ წინააღმდეგობრივ ზეწოლას (Levitsky and Way, 2022, 52; Levitsky and Way, 2010).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც ლევიტსკი და ვეი უსვამენ ხაზს არის ე. წ. "კავშირების"/"ბმის" თეზა. არსებითად, "ბმულები" გულისხმობს კონკრეტული სახელმწიფოს ბმის ხარისხსს გარე აქტორთან, განსაკუთრებით კი აშშ-სთან და ევროკავშირთან, და ამგვარი ბმის ხარისხსა და სიღრმეს. ბმებმა შესაძლოა ბევრი ფორმა შეიძინოს, მათ შორის არამარტო პოლიტიკური, არამედ კულტურული და სოციალური ხასიათის. მაღალი ბმის არსებობის პირობებში, უფრო მეტია მოსალოდნელი სანქციის, საერთაშორისო კრიტიკისა და ზეწოლის შესაძლებლობა, ისევე როგორც დემოკრატიული წესწყობილებისა და ნორმების გავრცელება - ხოლო პირიქით, დაბალი ბმის ('low linkage') შემთხვევაში, ნაკლებია ამგვარი დამოკიდებულება. ლევიტსკისა და ვეის მოსაზრებით, რაც უფრო დიდია ბმა დასავლური ტიპის სახელმწიფოებთან, მით უფრო ძვირი ჯდება ავტორიტარიზაცია: "ბმულები დასავლეთთან … ზრდის ავტორიტარიზაციის ფასს, რაც კონკურენტული ავტოკრატიების დემოკრატიზაციას უფრო შესაძლოს ხდის. სადაც დასავლური ბმულები უფრო სუსტია, ან ალტერნატიული, არადემოკრატიული ჰეგემონები (როგორიცაა რუსეთი და ჩინეთი) საგრძნობ გავლენას ახორციელებდა, კონკურენტული ავტოკრატიები უფრო მეტად გადარჩებოდნენ ხოლმე, ან უფრო მეტად ავტორიტარულ გზას დაადგებოდნენ" (Levitsky and Way, 2022, 60).

"კონკურენტული ავტორიტარიზმის" თეორიული მოდელი განსაკუთრებულად რელევანტურია წინამდებარე ნაშრომის საკვლევი რეგიონის პოლიტიკურ კონტექსტში. პირველ რიგში, როგორც ქვემო განხილვა მოწმობს, საკვლევი სამი სახელმწიფოს პოლიტიკური ისტორიის მეტი ნაწილი სწორედ "კონკურენტული ავტორიტარიზმის"

მოდელის არსებობას მიუთითებს. გამონაკლისების გარდა (საქართველოში შევარდნაძე; მოლდოვაში: ლიბერალური კოალიცია, ტიმოფტი და სანდუ; უკრაინაში - იუშჩენკო, პოროშენკო და შესაძლოა ზელენსკი), ყველა სხვა რეჟიმი, რაც ამ სამ სახელმწიფოში არსებულ რეჟიმთა სულ მცირე ნახევარია, სწორედ "კონკურენტული ავტორიტარიზმის" ტიპს განეკუთვნებოდა. მეორე რიგში, წინამდებარე ნაშრომის საკვლევ სამ სახელმწიფოში ისტორიულად განვითარებული პოლიტიკური დინამიკა მოწმობს, რომ დემოკრატიზაციის დონე, ხარისხი და ხანგრძლივობა ფაქტობრივად მუდმივად მყიფე და ძალიან სწრაფად ცვალებადი იყო; ყველა სახელმწიფოში, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ კი მოლდოვასა და უკრაინაში, პრო-დასავლური დემოკრატიზაციის მყიფე და ხანმოკლე ფაზას ფაქტობრივად მომენტალურად ანაცვლებდა ავტორიტარიზაციის ფაზა. ეს ადასტურებს ლევიტსკისა და ვეის ფუნდამენტურ უკმაყოფილებას "ტრანზიციულობასთან" მიმართებით და ადასტურებს, რომ ნაცვლად დემოკრატიისკენ ტრანზიციულობისა, სინამდვილეში, უფრო ხშირად ადგილი ჰქონდა კონკურენტული ავტორიტარიზმის მოდელს, რომელიც დროდადრო უთმობდა ადგილს დემოკრატიულ გამონათებებს, თუმცა ადრე თუ გვიან ისევ იჩენდა თავს. დაბოლოს, წინამდებარე ნაშრომის კონტექსტში, გამორჩეულად რელევანტურია "კავშირების"/"ბმულების" ფაქტორიც. როგორც საკვლევი რეგიონის პოლიტიკური ისტორია აჩვენებს, დემოკრატიზაციისა და ავტორიტარიზაციის ფაზებს შორის არსებული მუდმივი ქანქარისებური მოძრაობა, ხშირად განპირობებული იყო სწორედ "კავშირების" შიდა ეკონომიით, რომელშიც გარე აქტორები, გეოპოლიტიკური მხარეები, გავლენას ახდენდნენ ერთი თუ მეორე ფაზის ბედზე.

ეს მნიშვნელოვანი გარემოება გვაგონებს კიდევ ერთ გავლენიან თეორიულ მიდგომას, კერძოდ კი "გეოპოლიტიკური დემოკრატიის" თეორიას, რომელიც ამტკიცებს რომ დემოკრატია არ არის მხოლოდ ადგილობრივი პროდუქტი, არამედ გეოპოლიტიკური გარემოებებით განპირობებული ფენომენი. ამ ხედვის თანახმად, დემოკრატიზაცია დამოკიდებულია არამარტო შიდა აქტორებზე, არამედ ასევე დიდწილად განსაზღვრული საგარეო ძალთა ბალანსით და გლობალურ ველზე არსებული ფართო

სტრატეგიული სურათით (Levitsky and Way, 2010). შესაბამისად, დემოკრატიზაციას გააჩნია წარმატების მეტი შანსი იმგვარ სტრატეგიულ და გეოგრაფიულ გარემოში, სადაც ჭარბობს დემოკრატიული სახელმწიფოები და პირიქით, წარმატების ნაკლები შანსი აქვს სადაც ჭარბობს არადემოკრატიული სახელმწიფოები (Tolstrup, 2013).

ამავდროულად, თეორიულად რელევანტურია "გეოპოლიტიკური მართლმადიდებლობის" ცნებაც, რომელიც მართალია არ წარმოადგენს სრულყოფილ აკადემიურ თეორიას, მაგრამ აღწერს მნიშვნელოვან ფენომენს, რომელიც შესაძლებელს ხდის მართლმადიდებლობის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების კრიტიკულ აღქმას, განსაკუთრებით რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში. რუსეთი მართლმადიდებლობას იყენებს საკუთარი ანტი-დასავლური მსოფლხედვის ფორმირების პროცესში NATO-სა და ევროკავშირის წინააღმდეგ, ისევე როგორც საკუთარი საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო ნაბიჯებისათვის მორალური ლეგიტიმურობის მისანიჭებლად (Stoeckl, 2016). მეტიც, საინტერესო მონოგრაფში, ადამსკიმ აჩვენა რამდენად მნიშვნელოვანი კავშირი აქვს მართლმადიდებლობას თვით რუსეთის ატომური დოქტრინის შემუშავებაში (Adamsky, 2019). როგორც "გეოპოლიტიკური დემოკრატიის" თეორია, ასევე "გეოპოლიტიკური მართლმადიდებლობის" ცნება, გამორჩეული რელევანტურობით სარგებლობს წინამდებარე ნაშრომის საკვლევ რეგიონში. როგორც უკვე იქნა აღნიშნული, მოცემულ რეგიონში დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის (ისევე როგორც მათი საპირისპირო ფაზების) ბედი მკვეთრად არის გადაჯაჭვული საგარეო აქტორთა შორის არსებული ძალთა ბალანსის და დინამიკის კვალდაკვალ. სხვანაირად თუ ვიტყვით, ამ სახელმწიფოებში დემოკრატიის ბედზე გავლენა აქვს არამარტო ადამიანების მოქმედებებს, არამედ გარე აქტორების დინამიკასაც. ამავე დროს, სამივეგან გავლენიანია "გეოპოლიტიკური მართლმადიდებლობის" გავლენაც, რომელსაც რუსეთი და მასთან აფილირებული მხარეები ენერგიულად იყენებენ.

## 1.3. ევროპეიზაციის თეორიები აღმოსავლეთ ევროპის კონტექსტში

საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის შემთხვევაში დემოკრატიზაციის გზა ევროპეიზაციის გზასთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული, რაც მკაფიოდ იჩენს თავს მოყოლებული 1990-იანებიდან, განსაკუთრებით კი 2014 წლიდან ე.წ. „ასოცირებული ტრიოს" ჩამოყალიბების შემდეგ. ამას მოწმობს როგორც ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები, ასევე ქვემოთ მოცემული პოლიტიკურ მოვლენათა განხილვა. საქართველოში ბოლო წლებში განვითარებული პოლიტიკური პროცესები, მათ შორის 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ განვითარებული კრიზისის მაგალითი ნათლად მოწმობს, რომ ევროპეიზაციიდან გადახვევის კვალდაკვალ დემოკრატიის დონე პირველად შემცირდა და მერე საერთოდ ავტორიტარიზმისკენ გადაიხარა.

ევროპეიზაცია ფართო ცნებაა, რომლის ირგვლივაც მოცულობითი აკადემიური პოლემიკა არსებობს. სხვადასხვა გაგებასა თუ გამოყენებაში, ტერმინი ევროპეიზაცია ხშირად იხმარება ისეთი პროცესების და ფენომენების სინონიმად, როგორიცაა "ევროპაში დაბრუნება", "ვესტერნიზაცია", "ევრო-ინტეგრაცია". თუმცა, გრაციანო და ვინკი (2012) მართებულად გვახსენებენ, რომ ცნება "ევროპეიზაცია" არ უნდა იქნას აღრეული და მითუმეტეს გაიგივებული ისეთ ახლობელ ტერმინებსა თუ პროცესებთან, როგორიცაა "ჰარმონიზაცია", "თანხვედრა" (convergence), ან თუნდაც "პოლიტიკური ინტეგრაცია" (Graziano and Vink, 2012, 38). სანაცვლოდ, ევროპეიზაცია უნდა იყოს აღქმული როგორც *ეროვნული/საშინაო* პოლიტიკური ინსტიტუტების ევროპულ კავშირთან ადაპტაციის პროცესი - სხვანაირად თუ ვიტყვით, *მათი გაევროპულების* პროცესი. შესაბამისად, გრაციანო და ვინკი ახდენენ დიფერენცირებას პროცესსა და შედეგს შორის; მაგალითისთვის, ამა თუ იმ პოლიტიკის კურსის "თანხვედრა" (convergence) შესაძლებელია იყოს ევროპეიზაციის შედეგი, მაგრამ არა თვითონ ევროპეიზაცია, რომელიც აღწერს ეროვნული ინსტიტუტების მიერ განვლილ პროცესს იმ წერტილამდე, ვიდრე ესა თუ ის შედეგი დადგებოდა. მთელი რიგი ავტორები,

როგორებიცაა რადაელი და ლადრეკი, ევროპეიზაციის ანალიზისას აქცენტს სწორად სვამს *ეროვნულის/საშინაოს* მიერ განვლილ პოლიტიკურ პროცესებთან. ლადრეკის კლასიკური განმარტებით, "ევროპეიზაცია არის ინკრემენტული პროცესი, რომელიც ახდენს პოლიტიკის მიმართულებისა და ფორმის რეორიენტირებას იმ ხარისხით, რომ ევროპული საბჭოს პოლიტიკური და ეკონომიკური დინამიკა ხდება ეროვნული პრაქტიკული პოლიტიკის (policy) და პოლიტიკის (politics) კურსის შექმნის ორგანიზაციული ლოგიკის ნაწილი" (Ladrech, 1994, 69). წინამდებარე ნაშრომში "ევროპეიზაციას" მოვიაზრებთ, როგორც პოლიტიკურ პროცესს, რომელშიც ადგილობრივი/საშინაო ინსტიტუტები განიცდიან გარდაქმნას ევროპულ პოლიტიკურ სივრცესთან ადაპტირების მიზნით, და რომლის შედეგიც შეიძლება იყოს თანხვედრა (convergence/alignment), ჰარმონიზება და პოლიტიკური ინტეგრაცია. აღმოსავლეთ ევროპის მაგალითზე, არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, შესაძლებელია პირობითად გამოიყოს ევროპეიზაციის რამდენიმე ტიპი. პირველ რიგში, სახეზეა "ნაწილობრივი ევროპეიზაცია," რაც არის შემთხვევათა ის ჯგუფი, როდესაც სახელმწიფო ახორციელებს ევროპეიზაციის გარკვეულ ნაწილს, მაგრამ უარს აცხადებს დანარჩენის სრულად შესრულებაზე. სხვანაირად თუ ვიტყვით, ეს არის არასრული ევროპეიზაციის პროცესი, როდესაც სახელმწიფოს მიერ სელექციურად ხდება ევროკავშირის ნორმების, სტანდარტების და პრაქტიკების მიღება და დანერგვა. შესაბამისად, ამგვარი სელექციური ევროპეიზაციის კონტექსტში, სახელმწიფოები ინარჩუნებენ სივრცეს, რომელშიც ევროპეიზაციის პარალელურად, ადგილობრივი/საშინაო პოლიტიკური ველისათვის მეტი ავტონომია ნარჩუნდება. სწორედ აღმოსავლეთ პარტნიორობის კონტექსტში, არაერთ სამეცნიერო კვლევაში აღნიშნულა "დიფერენცირებული ევროპეიზაციის" არსებობის თაობაზე, რაც სწორედ სელექციური ევროპეიზაციის შემთხვევა, როდესაც კონკრეტული სახელმწიფო ატარებს ევროპეიზაციის კურსს, თუმცა ამგვარი კურსი სხვადასხვა მიზეზით შესაძლებელია იყოს არასრული, დიფერენცირებული და ფრაგმენტირებული (Simao, 2018; Sasse, 2008). ამ თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპეიზაციის სელექციურობა თუ დიფერენცირებულობა შესაძლოა გამოიხატოს არამარტო საკუთრივ რომელიღაც

სახელმწიფოს მიერ გატარებული ევროპეიზაციის კურსის რაობაში, არამედ თვითონ ევროპული კავშირის არაწევრი სახელმწიფოებისადმი მიდგომისა ხასიათიშიც (Simao, 2018). მაგალითად, როგორც სასე აჩვენებს, ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP), წარმოშობს სწორედ იმ ტიპის ინსტრუმენტს, რომელსაც აღწერს სელექციური თუ დიფერენცირებული ევროპეიზაცია - მიდგომას, რომელიც მორგებულია სხვადასხვა სახელმწიფოს საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე და რომელიც აქტორებს შეუძლიათ რომ აირჩიონ "როდესაც ეს ხელსაყრელია მათი დღის წესრიგისთვის - პრო ან ანტი-ევროპული დღის წესრიგისთვის" (Sasse, 2008, 372). მეორე რიგში, იკვეთება ევროპეიზაციის კიდევ ერთი ქვე-ტიპი, ე. წ. "ჰიბრიდული ევროპეიზაცია," რომელიც შეიძლება ეწოდოს პროცესს, რომლის განმავლობაში ადგილი აქვს გარკვეულ ევროპეიზაციას, თუმცა მაღალია ადგილობრივი ფაქტორების, ინსტიტუტების და შიდა პოლიტიკური დინამიკის როლი ევროპეიზაციის პროცესსა და ხარისხზე კონკრეტული კონტექსტის საპირწონედ. არაერთი სამეცნიერო კვლევა ადასტურებს, რომ ევროპეიზაციის ხარისხსა და ზომას განსაზღრავს საშინაო კონტექსტები და ევროკავშირთან დაკავშირებული ცვლილებები "რჩება, როგორც ეროვნულად სპეციფიკური" (Papadimitriou et al., 2017), რაც ხსნის ვარიაციას ეკონომიკური და დემოკრატიული მაჩვენებლების მოსწრებაში (Ágh, 2016). ამ თვალსაზრისით, აგრეთვე მნიშვნელოვანია ისეთი თეორიები, როგორიცაა შიმელფენინგი და სედელმაიერი (2005) და დიმიტროვა (2007). ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მაგალითით, შიმელფენინგი და სედელმაიერი ყურადღებას ამახვილებენ სწორედ საშინაო ფაქტორებზე და ევროპეიზაციას წარმოაჩენენ, როგორც საშინაო აქტორების მიერ განვლილ კომპლექსურ და დინამიურ *ადაპტაციურ პროცესს.* შიმელფენინგის და სედელმაიერის მონოგრაფი ხაზს უსვამს ევროპეიზაციის გამოცდილებებში არსებულ ვარიაციას, რომელსაც განსაზღვრავს განსხვავებული წარსული ტრაექტორიები, სხვადასხვა საშინაო აქტორთა მიერ არჩეული განსხვავებული სამოქმედო გეგმები და სხვა ფაქტორები, რაც ახდენს გავლენას იმაზე, თუ როგორ ხდება ევროპულ ნორმატიულ წესრიგთან ადაპტირება ცალკეულ სახელმწიფოებში.

# 2. კვლევის მეთოდოლოგია

## 2.1. თვისობრივი შემთხვევების შედარებითი ანალიზი

კვლევის ძირითადი მეთოდოლოგიაა მსგავსებებზე დაფუძნებული თვისობრივი შემთხვევების შედარებითი ანალიზი (Gisselquist 2014) და ე.წ. "Within Case" (კონკრეტული შემთხვევის შესწავლა) და ე.წ. „Cross-Case" (სხვადასხვა შემთხვევებს შორის) ანალიზი (Rohlfing 2012). ქვეყნებს შიგნით ანალიზისას, ეკლესია-სახელმწიფოს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქცია განხილულია როგორც დამოუკიდებელი ცვლადები. ხოლო პროგრესი დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის გზაზე განხილულია როგორც დამოკიდებული ცვლადი. შესაბამისად კვლევით სასურველი იყო დადგენილიყო ეკლესია-სახელმწიფოს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის ცვალებადობის როლი დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესებზე. ასევე კვლევაში შემოვიდა სატესტო ცვლადები, როგორიცაა სეკულარიზმის შინაარსი, გეოპოლიტიკური ფაქტორები, მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის შიდა ინსტიტუციური დაყოფა და ასევეღირებულებითი ფაქტორები. კვლევისას განხორციელდა არსებული თეორიების მორგება აღმოსავლეთ მართლმადიდებლობაში სეკულარიზმის თავისებურების აღსაწერად, ეკლესია-სახელმწიფოს ძალაუფლებრივი ინტერაქციის დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესისადმი დამოკიდებულების და მისი შესაძლო გავლენების ასახსნელად. კვლევაში მთავარი აქცენტი გაკეთდა თანამედროვე ისტორიაზე, თუმცა უზრუნველყოფილია 90-იანი წლებიდან მოყოლებული 2024 ჩათვლით ეკლესიებსა და სხვადასხვა მთავრობებს შორის ურთიერთობების ცვალებადობის ისტორიულ კონტექსტში განხილვა.

თვისობრივი ხასიათის შედარებითი ანალიზი არის მთელი ტექსტის ძირითადი მეთოდოლოგიური ჩარჩო, რაც დისერტაციის ყველა ქვეთავს გასდევს. შესაბამისად, მეთოდოლოგიური ქოლგის შესაქმნელად, გამოყენებულია ჯორჯის და ბენეტის მიერ ჩამოყალიბებული ქეისების "სტრუქტურული" ანალიზი, რის მიხედვითაც თემა მოიცავს

ყველა გასაანალიზებელი ე.წ. ქეისისთვის საერთო გამაერთიანებელ საკვლევ შეკითხვათა გზამკვლევს და შედარება კეთდება მთავარი საკვლევი საკითხების გარშემო. ხოლო ეს საკითხები ჩამოყალიბებულია დემოკრატიზაციასა და ევროპეიზაციაში უშუალოდ მართლმადიდებელი ეკლესიებისა და სახელმწიფოების ძალაუფლებრივი ინტერაქციის როლის გამოსარკვევად, რისთვისაც საკვლევი საკითხები, როგორიცაა სეკულარიზმი თანამედროვეობაში და 90-იანი წლებიდან მოყოლებული დინამიკაში, რელიგია-დემოკრატიის თავსებადობა და ეკლესიის როლი ევროინტეგრაციის პროცესზე სისტემურად არის გაანალიზებული სამივე საკვლევ ქვეყანაში (George & Bennett, 2005). "სისტემური შედარების ანალიზის" საშუალებად მარტივია ე.წ. „ქეისებს" შორის ძირითადი მსგავსებების და განმასხვავებელი მარკერების გამოვლენა, სისტემატიზება. ასევე დროში ეკლესია-სახელმწიფოს ურთიეთობების ანალიზისას მიზეზ-შედეგობრიობის გამორკვევის საშუალებასაც იძლევა და ასევე ხელს უწყობს არსებული თეორიების და ჰიპოთეზის დატესტვას.

საგულისხმოა რომ თითოეული თავი თვისებრივად განსხვავებულ მონაცემებს მოიცავს და შესაბამისად დამხმარე მეთოდოლოგიური ინსტრუმენტებია გამოყენებული. თუმცა შედარების ჭრილში, პირველ თავშიმოკლე ისტორიული ექსკურსები და სამივე ქვეყნის სამართლებრივი ჩარჩოებია დამუშავებული უშუალოდ სათითაო ქვეყნის შემთხვევის თემატურ ანალიზზე დაყრდნობით, შემდეგ კი „ქეისებს" შორის ძირითადი სამარლებრივი გადაკვეთები და განსხვავებების თემატური ანალიზია გაკეთებული. მომდევნო თემატური თავი რომელიც მთლიანად სახელმწიფოებსა და ეკლესიებს შორის ურთიერთობის ანალიზს ეხება დღევანდელობაში და ასევე დინამიკაში, ძირითადად ეყრდნობა ინტერვიუების ანალიზს და ამ ინტერვიუებიდან ამოსული პასუხებიდან გამომდინარე შემდგომ სისტემურ შედარებით ანალიზს. ბოლო თავი კი რომელიც მთლიანად ღირებულებებს ეთმობა უშუალოდ თითოეული ქეისის გაანალიზებისას კრიტიკული დისკუსის ანალიზის, კერძოდ „ფრეიმინგის" (Framing-ის) ტექნიკას ეყრდნობა და ასევე ჰარმონიულადაა შერწყმული ინტერვიუებიდან ამოსული შედეგების თემატურ ანალიზთან. ხოლო ამ ორი მეთოდის ჭრილში დამუშავებული

თითოეული ქვეყნის თემატური ქვეთავი სისტემურადაა შედარებით ჭრილში გაანალიზებული.

## 2.2. თემატური ანალიზი

ნაშრომში თემატური ანალიზი, როგორც ზემოთ მოკლედ იყო ნახსენები, ძირითადად ორი ტიპის მონაცემების დასამუშავებლადაა გამოყენებული: სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზისას და ინტერვიუების ანალიზისას. სამივე ქვეყანაში რელიგიის შესახებ არსებული სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზისას გამოყენებული იყო *დედუქციური* თემატური ანალიზი, სადაც მნიშვნელოვანი იყო გამომეკვეთა სეკულარიზმის სამართლებრივი ასპექტები, რელიგიური თავისუფლების და ეკლესიის პრივილეგიების საკითხები, ეკლესიის როლი სახელმწიფოში, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთგადამკვეთი კომპეტენციების და შესაძლო თანამშრომლობის სფეროები, ეკლესიის დაფინანსება და სხვა ისეთი საკითხები, რაც სამიზნე ქვეყნებში ეკლესია-სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ხარისხს და ფორმას აღწერს (Braun & Clarke, 2006). მონაცემებზე დაყრდნობით შემდეგ მოხდა მასალის კოდირება, თემების დაჯგუფება, შემდეგ ამ თემების რელევანტური კოდების მინიჭება რაც სხვა ქეისებში გამოვლენილ შედეგებთან შედარების საშუალება  და შემდეგ უკვე უშუალოდ ანალიზის გაკეთება გახადა შესაძლებელი.

კვლევის მანძილზე შეგროვებული ინტერვიუების შედეგების ანალიზისას ასევე გამოყენებული იყო *დედუქციური მეთოდი* ინტერვიუს კითხვარის გზამკვლევიდან გამომდინარე, რომელიც თავის მხრივ დისერტაციის თეორიულ ჩარჩოს და სამართლებრივი ანალიზის შედეგად გამოკვეთილ ცვლადებს ეყრდნობოდა. დედუქციური მეთოდით, ინტერვიუების ანალიზი იმავე პრინციპით მოხდა, როგორც ქვეყნების სამართლებრივი ჩარჩოების მიმოხილვისას, თუმცა უშუალოდ კონკრეტულ, წინასწარ განსაზღვრულ ფართო თემატურ კატეგორიებშიც ამოვიდა რესპონდენტების

ისეთი პასუხები, რაც წინასწარ არ იყო განსაზღვრული. კერძოდ, რესპონდენტების პასუხებიდან ამოვიდა ძირითადი კატეგორიების ქვეკატეგორიები რაც ინდუქციური მეთოდით იყო თემატურად გაანალიზებული თითოეული „ქეისის“ ჭრილში და შემდეგ კი მოხდა შედარება იმისა თუ მსგავსი ტენდენციები ხომ არ გამოვლინდა სხვა ქვეყნების შემთხვევაში, ან შესაძლოა მსგავსი თემა ყოფილიყო წამოწეული რესპონდენტის მიერ, თუმცა იმ თემის გარშემო სხვადასხვა ქვეყანაში აბსოლუტურად საპირისპირო დამოკიდებულებები გამოვლენილიყო რესპონდენტების მხრიდან.

უშალოდ ინტერვიუების ჩატარებას რაც შეეხება, ლიტერატურის დამუშავების შემდეგ, ველზე გასვლამდე წინასწარ შემუშავდა თვისობრივი ნახევრად სტრუქტურიზებული ინტერვიუების გზამკვლევი (Berg, 2009) - ექსპერტ ინტერვიუების შემთხვევაში რესპონდენტების შერჩევა მოხდა მიზნობრივად (Ritchie and Lewis 2003), ხოლო სამიზნე სახელმწიფოებში სასულიერო პირებთან ინტერვიუების შემთხვევაში ე.წ. თოვლის გუნდის შერჩევის პრინციპის გამოყენება მოხდა. საქართველოს შემთხვევაში, წყაროებად ასევე გამოყენებულია ჩემს მიერ წინა კვლევის დროს უკვე ჩატარებული ინტერვიუების ტრანსკრიპტები (Kandelaki, 2017). საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის შემთხვევაში ჩატარდა პირისპირ და ონლაინ ინტერვიუები. კვლევის ფარგლებში ინტერვიუს ჩასატარებლად ვიმყოფებოდი კიშინიოვში, მოლდოვაში, სადაც ადგილზე მოხერხდა ინტერვიუების ჩატარება. საქართველოს შემთხვევაში ჩატარდა როგორც პირისპირ, ისე ონლაინ ინტერვიუები. უკრაინაში დაგეგმილი კვლევითი ვიზიტის მიუხედავად, უსაფრთხოებიდან გამომდინარე საბოლოოდ ჩასვლა ვერ მოხერხდა, მაგრამ ინტერვიუები ჩატარდა ონლაინ რეჟიმში. რესპონდენტები ძირითადად იყვნენ სასულიერო პირები, პოლიტიკოსები, ხელისუფლების წარმომადგენლები, ექსპერტები (სოციოლოგები, თეოლოგები, სოციალურ და პოლიტიკურ და ასევე საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევრები და იურისტები) და ასევე რიგ შემთხვევებში ჟურნალისტებიც. ინტერვიუები ჩატარდა ანონიმურბის დათქმით, თუმცა ბევრმა რესპონდენტმა გამოთქვა ღიაობა მათი სახელის ტექსტში საჯაროდ დატანაზე და შესაბამისად რესპონდენტების ნაწილი საჯაროვდება, ნაწილი

კი არა და შესაბამისად დანომრილი გამოქვეყნდება. სამივე ქვეყნის ინტერვიუს გზამკვლევი (დანართი 5) და ყველა ტრანსკრიპტი ატვირთულია ორ ფაილად და დისერტაციას ახლავს დანართის სახით (დანართი 2).

ინტერვიუს გზამკვლევი ნახევრად-სტანდარტიზებულია. ინტერვიუს გზამკვლევი შედგება ე.წ. „warm up, core & cooling down" ფაზებისგან (Berg, 2009). თითოეული ინტერვიუს ხანგრძლივობა 60 წუთით იყო განსაზღვრული, თუმცა რეალურად 40-დან 60 წუთამდე გასტანა, ზოგმა კი უფრო დიდხანსაც. ინტერვიუები ასახულია ჩამწერზე და გაკეთებულია თითოეულის დეტალური ნედლი ტრანსკრიპტი პროგრამა "Pinpoint Journalist Studio"-ს მეშვეობით. თითოეულ ქვეყანაში რესპონდენტების დაგეგმილი რაოდენობა იყო 10 ადამიანი, ხოლო რეალურად თითოეულში 10 და უფრო მეტი ინტერვიუ ჩატარდა, ჯამში კი 34 ინტერვიუა ჩატარებული. მათი სურვილის შემთხვევაში, რესპოდენტთა ანონიმურობა დაცულია საქართველოს და ევროკავშრის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკაზე დაყრდნობით. ინტერვიუების ჩატარების მიზანი იყო ლიტერატურაში არსებული ხარვეზების და ნაკლოვანებების ამოვსება. გარდა ამისა, გამომდინარე იქიდან რომ ინტერვიუების რესპონდენტები მიზნობრივად შერჩეული დარგის მცოდნე ადამიანები, ან პრაქტიკოსები იყვნენ, ასევე მოხდა მათი მხრიდან მიღებული ახალი ინფორმაციის დამუშავება, გადამოწმება და თეორიულ ჩარჩოსთან დადარება. ზოგიერთ სპეციფიურ სიტუაციებში, როდესაც ინტერვიუს ჩამორთმევა გაჭირდა, შესაძლებელი გახდა ეთნოგრაფიული კვლევის ელემენტების გამოყენებაც, მაგალითად ასეთი შემთხვევა იყო მოლდოვის და საქართველოს ეკლესიებში, როდესაც ადგილზე მისვლა და მცირე გასაუბრება და სიტუაციის მოკვლევის საშუალება მომეცა (Hammersley 2016). უკვე ჩატარებულ ინტერვიუზე დეტალური ჩაშლილი აღწერა წარმოდგენილია დისერტაციის მეორე თემატურ თავში, რომელიც ეხება სეკულარიზმს პრაქტიკაში. დისერტაციის აღნიშნული თავის შესავალში ზედმიწევნითაა გაწერილი ინტერვიუს ჩატარების ყველა ეტაპი, რასაც შემდგომ ებმის უშუალოდ ინტერვიუების შედეგების ანალიზი.

## 2.3. დისკურს ანალიზი

სადისერტაციო ნაშრომის ბოლო თავის ანალიზისას ძირითადად გამოყენებულია კრიტიკული დისკურს ანალიზის მეთოდი, რაც შერწყმულია ინტერვიუების თემატურ ანალიზთან და კვლევის ძირითად მეთოდთან - თვისობრივი „ქეისების" შედარებით ანალიზთან. კერძოდ, ბოლო თავი ეთმობა სახელმწიფო-ეკლესიას შორის ურთიერთობაში ღირებულებით ასპექტებს. უფრო კონკრეტულად მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგიისა და დემოკრატიული ღირებულებების თავსებადობას, მართლმადიდებელი ეკლესიების როლს ევროპეიზაციის პროცესში და ეკლესიის ჭიდილს ლიბერალურ ღირებულებებსა და პოლიტიკასთან, უკრაინაში ომის დაწყების ეფექტს საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ევროპეიზაციის პროცესებზე. ამ თავში მაგალითად მოყვანილია ის კრიტიკული შემთხვევები (ქეისები) რამაც ეკლესია ქვეყნების ევროინტეგრაციის პროცესში ლიბერალურ პოლიტიკასთან შეაპირისპირა და ასევე შემთხვევები, როდესაც ომის ფაქტორმა სახელმწიფოების ევროპული ინტეგრაციის პროცესი განსაზღვრა. ამ შემთხვევაში დაკვირვების საგანი იყო ომის ფონზე სამიზნე სახელმწფოებსა და ეკლესიებს შორის ურთიერთობის გადალაგების პროცესი დისკურსულ და ასევე ქმედებების დონეზეც. მეთოდოლოგიურად, გამოყენებულია ვან დიიკის კრიტიკული დისკურს ანალიზის მოდელი, სადაც ის ელიტებზე და მათ მანიპულაციურ დისკურსზე ამახვილებს ყურადღებას - იმაზე თუ როგორ ხდება კონკრეტული სოციალური, პოლიტიკური, თუ ღირებულებითი ნორმების და მოვლენების ვერბალურად, თუ ტექსტუალურად წარმოჩენა, საზოგადოების აზრზე ზეგავლენის მოხდენის გზით, კონკრეტული პოლიტიკის გატარების მიზნით (van Dijk, 2008). ამგვარად, სიტუაციის გასააზრებლად ნაშრომში მიმოხილულია სამივე ქვეყანაში ლიბერალური კანონმდებლობის მიღების პროცესებში ეკლესიების რეაქციები, კერძოდ მათი განცხადებები, შესაბამისი ეპისტოლეები და ამაზე ხელისუფლებების საპასუხო განცხადებები. დისკურს ანალიზისას გამოყენებულია ე.წ. „ფრეიმინგის" (Framing) როდესაც ელიტები რეალობის ერთ ასპექტს იღებენ და მასზე აგებენ უფრო გაბუქებულ მათთვის სასურველ საკომუნიკაციო დისკურსს (Hallahan,

1999). კირკ ჰალაჰანის მიერ გამორჩეული 7 „ფრეიმინგის (Framing) მოდელიდან კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ოთხი ტიპის მოდელი, მაგალითად როდესაც ეკლესია, ან სახელმწიფო არჩევანს, ქმედებას, საკითხს და მათზე დაკისრებულ, ან სხვის პასუხისმგებლობას წარმოაჩენს ისე როგორც მათ სურთ რომ ეს საზოგადოებამდე მივიდეს (Hallahan, 1999).

კრიტიკული დისკურს ანალიზის მეთოდის გამოყენებითვე გაანალიზებულია უკრაინაში ომის დაწყების ფონზე ევროინტეგრაციის პროცესთან მიმართებით გაკეთებული განცხადებები და ქმედებები იმისთვის რომ გამორკვეულიყო თუ რამდენად ემთხვეოდა, ან აცდენაში იყო ეკლესიების და ხელისუფლებების ხედვები. ასევე ამგვარად გაანალიზდა მათ შორის დისკურსული ინტერაქციის როლი ევროინტეგრაციაზე. დისკურს ანალიზის გასაკეთებლად, კონკრეტული კრიტიკული „ქეისების“ გამოვლენა ნაწილობრივ ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით მოხდა. გარდა ამისა, ამ კრიტიკული შემთხვევების ფონზე გაკეთებული განცხადებების დისკურს ანალიზისა და ინტერვიუების თემატურ ანალიზზე დაყრდნობით მოხდა მონაცემების დადარება. კერძოდ ის, თუ რამდენად ემთხვეოდა ევროპეიზაციის პროცესზე ეკლესიის როლზე რესპონდენტების მიერ გაკეთებული შეფასებები უშუალოდ ეკლესიების და ხელისუფლებების ქმედებების და ნარატივების გაანალიზების საფუძველზე მიღებულ დასკვნებს. ტექსტუალური ტიპის (განცხადებების) კრიტიკული დისკურს ანალიზის ჩარჩო სამ რამეს დაეფუძნა: პირველ რიგში, ეკლესიების და სახელმწიფოების ანტილიბერალური და ანტიდასავლური დისკურსების გამოვლენას; მეორე რიგში ძალაუფლებისა და იდეოლოგიის ჭრილში გამოვლინდა თუ რომელმა აქტორმა მოახდინა მეორეზე გავლენა თითოეულ სახელმწიფოში - ეკლესიებმა ხელისუფლებებზე, თუ ხელისუფლებებმა ეკლესიაზე, თუ ურთიერთ-ლეგიტიმაციის შემთხვევებთან გვქონდა საქმე; ხოლო, მესამე რიგში, გამოიკვეთა ის თუ როგორი როლი ჰქონდა , ამ შესაძლოა იქონიოს სახელმწიფო-ეკლესიას შორის დისკურსულმა ინტერაქციამ (დისკურსულმა თანხვედრამ, თუ განსხვავებამ) საზოგადოებრივ განწყობებზე და ევროპეიზაციის პრაქტიკულ გამოვლინებებზე (Fairclough, 2003).

# 3. სამ ქვეყანაში მართლმადიდებლობის ისტორია და სამართლებრივი ჩარჩო

საქართველოში, მოლდოვაში და უკრაინაში მართლმადიდებლობის ისტირიისა და სამართლებრივი ჩარჩოების მიმოხილვის მიზანია დადგინდეს თუ როგორ იცვლებოდა სახელმწიფო-ეკლესიას შირის ძალაუფლებრივი ურთიერთობები დინამიკაში და რა უფლებამოსილება გააჩნიათ მართლმადიდებელ ეკლესიებს ნორმატიული თალსაზრისით. ასევე ეს ქვეთავი ამოცანად ისახავს იმ სფეროების გამოვლენას,რომელშიც ეკლესიები კანონიერად ერევიან და შეფასებას, თუ რამდენად აქვთ აღნიშნულ სახელმწიფოებს კონტროლი რელიგიურ ინსტიტუტებზე. კვლევის შემდგომ ეტაპზე კი პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე გაანალიზებულია, თუ რამდენად ჯდება მართლმადიდებელი ეკლესიების ფუნქციონირება სამართლებრივ ჩარჩოებში და პრაქტიკაში ისეთი რა კომპეტენციებით სარგებლობენ რაც საერო კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული და რა აძლევთ მათ ლეგიტიმაციას.

## 3.1. საქართველოში მართლმადიდებლობის ისტორია და სამართლებრივი ჩარჩო

საქართველომ IV საუკუნეში მიიღო ქრისტიანული რელიგია და XI საუკუნეში ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა. რუსეთთან 1783 წელს დადებული „გეორგიევსკის ტრაქტატის“ მიხედვით, საქართველო უნდა დარჩენილიყო სუვერენული საშინაო საქმეებში, ხოლო ეკლესია ავტოკეფალიური; თუმცა, რუსეთმა დაარღვია ეს შეთანხმება და 1811 წელს ეკლესია გამოცხადდა რუსეთის ნაწილად (Jones, 1990, 294). ქართველმა ეპისკოპოსებმა ავტოკეფალია 1917 წელს გამოაცხადეს, თუმცა ის ოფიციალურად 1943 წლამდე აღდგა (აბაშიძე, 2006, 90). მიუხედავად ამისა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კომუნისტური რეჟიმის

დროს ძალიან შევიწროებული იყო, საქართველომ მხოლოდ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1995 წელს შექმნა ახალი კონსტიტუცია. მასში 2013 წელს შევიდა ცვლილებები, ხოლო 2017 წელს ახალი კონსტიტუცია დამტკიცდა, რომელიც 2018 წლიდან ძალაში შევიდა.

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ სხვა რელიგიურ კონფესიებთან შედარებით პრივილეგირებული ადგილი დაიკავა კონსტიტუციაში და ზოგადად სახელმწიფოში ქვეყნის ისტორიაში განსაკუთრებული როლის და „სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობის" გამო (მუხლი 9), თუმცა კონსტიტუციაში არ არის ნახსენები რომ სახელმწიფო სეკულარულია. რელიგიის ძირითადი საკანონმდებლო ბაზა საქართველოს კონსტიტუციაა, რომლის მიხედვითაც გარანტირებულია რელიგიისა და რწმენის თავისუფლება და ყველა თანასწორია კანონის წინაშე, განურჩევლად რელიგიისა (მუხლი 14). 2002 წელს შევარდნაძის ხელისუფლების დროს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაფორმდა კონსტიტუციური შეთანხმება, რომლის იდეაც ვატიკანსა და სხვადასხვა სახელმწიფოს შორის კონკორდატის ფენომენით იყო შთაგონებული. საქართველოში კონკორდატის შექმნის სურვილი 1990 წლიდან არსებობდა. კონკორდატის გაფორმება შესაძლებელი გახდა 2001 წლის მარტის კონსტიტუციის ცვლილების შემდეგ, რომლის საფუძველზეც კონსტიტუციური შეთანხმება შეიძლებოდა შესაბამებოდა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს (მუხლი 9).

კონკორდატი გაფორმებულია მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან და არა სხვა რელიგიურ კონფესიებთან. უფრო მეტიც, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, თავიდან ვერც ერთმა რელიგიურმა ორგანიზაციამ ვერ მოახერხა რომ სახელმწიფოს მიერ ყოფილიყო აღიარებული. იმ დროიდან ქართული მართლმადიდებელი ეკლესია იყო ერთადერთი რელიგიური კონფესია, რომელიც ოფიციალურად იყო რეგისტრირებული, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. 2005 წლამდე სამოქალაქო კოდექსში მითითებული იყო,

რომ „რელიგიური ორგანიზაცია იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი“ (აბაშიძე, 2006), რისი მიზეზიც ბევრისთვის ბუნდოვანი იყო (Tsintsadze, 2007).

2005 წელს საქართველოს პარლამენტმა გააუქმა ეს კონკრეტული მუხლი, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მთავრობას სურდა დაერეგისტრირებინა სხვა რელიგიური დენომინაციები როგორც არაკომერციულ, არამომგებიან იურიდიულ პირებად. თუმცა, სხვა რელიგიური ორგანიზაციები ბოლომდე არ დაკმაყოფილდნენ ამ გადაწყვეტილებით. დარეგისტრირებამდე ისინი ბევრად თავისუფლები იყვნენ, რადგან ხელისუფლება მათ ვერ აკონტროლებდა. უკმაყოფილების კიდევ ერთი მიზეზი იყო ის, რომ მათ ასევე სურდათ უფრო მაღალი სტატუსი, ისეთივე, როგორიც ეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ჰქონდა. შესაბამისად მათ არ სურდათ დარეგისტრირებულიყვნენ კერძო სამართლის „იურიდიულ პირაებად“ (Chitanava 2015, 8). თუმცა ეს გადაწყვეტილება მთავრობამ ერთხმად მიიღო რელიგიურ ჯგუფებთან კონსულტაციების გარეშე (აბაშიძე 2006, 102).

რელიგიური უმცირესობების უფლებების დასაცავად 2005 წელს ომბუდსმენის აპარატის ფარგლებში შეიქმნა ტოლერანტობის ცენტრი და რელიგიათა საბჭო (Chitanava, 2015, 7). 2011 წლის 5 ივნისს სიტუაცია შეიცვალა და სამოქალაქო სამართლებრივ კოდექსში განხორციელებული ცვლილების შედეგად შემოვიდა ახალი მუხლი - 1509, რომლის მიხედვითაც სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, როგორიცაა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია (Chitanava, 2015). ამიტომ, სხვა რელიგიური კონფესიები კანონიერად გაუთანაბრდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. თუმცა ამ ფაქტს ძალიან ეწინააღმდეგებოდა საქართველოს პატრიარქი ილია მეორე. გარდა ამისა, 2014 წლის 27 იანვარს საქართველოს მთავრობამ შექმნა დადგენილება საბჭოთა რეჟიმის მიერ მიყენებული „მატერიალური და მორალური ზიანის“ ანაზღაურების შესახებ, რომელიც ეხებოდა არა მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას, არამედ სხვა ოთხ რელიგიურ ორგანიზაციას: ისლამურ, ებრაულ და რომაულ-კათოლიკური და სომხური

სამოციქულო კონფესიები, რომლებიც რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად“ (TDI, 2014). თუმცა, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ ესეც კი აღწერილია, როგორც დისკრიმინაციის ფორმა. მათივე თქმით, გაუგებარია, რა წინაპირობებია რეგისტრაციისა და სახელმწიფოსგან კომპენსაციის მისაღებად. TDI-მ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არსებობენ სხვა რელიგიური ორგანიზაციები, როგორიცაა იეზიდები, ლუთერანები, კრიშნაიტები და სხვები, რომლებზეც ასევე უარყოფითი გავლენა იქონია საბჭოთა რეჟიმმა (TDI, 2014). ანგარიშებში რელიგიის შესახებ უფრო მეტი კანონია მოხსენიებული, მაგალითად, 2005 წელს მიღებული კანონი ზოგადი განათლების შესახებ, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს საჯარო სკოლების თავისუფლებას რელიგიური ერთეულებისგან (მუხლი 3) და კრძალავს რელიგიურ ინსდოქტრინაციებს, პროზელიტიზმს და იძულებით ასიმილაციას კონკრეტულ რელიგიურ კონფესიებთან (მუხ.13). ხოლო რაც შეეხება უმაღლესი განათლების შესახებ კანონს, ის განსაზღვრავს შინაარსს (მუხ. 2), ასეთი საგანმანათლებლო დაწესებულების დაარსების წესს და სასწავლო პროცესის წარმართვას (თავი IV1, მუხ. 894, 895, 896) და მის პროგრამებს (მუხ. 475, 565).

უფრო მეტიც, 2010 წელს მიღებულ საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე რელიგიური საქმიანობა განისაზღვრება, როგორც არაეკონომიკური (მუხ. 9). ამ კანონის მიხედვით რელიგიური ორგანიზაციები თავისუფლდებიან თავიანთი ქონების დაბეგვრისგან და რაც შეეხება საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას, მათ აქვთ დამატებითი პრივილეგიები სხვადასხვა მიმართულებით საგადასახადო საქმიანობის კუთხით. ხოლო საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელი თავისუფალია საბაჟო კონტროლისგან (მუხლი 219).

2014 წელს შექმნილი საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ანგარიშში მითითებულია, რომ 1999 წელს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე, დანაშაულის ჩადენა გარკვეული რელიგიური

ორგანიზაციისადმი კუთვნილების გამო, დამამძიმებელ გარემოებად არის გამოცხადებული (მუხ. 53). გარდა ამისა, დანაშაულად ითვლება აგრეთვე „ადამიანთა თანასწორობის დარღვევა რელიგიის ან რწმენის საფუძველზე“ (მუხ. 143) და „მართლსაწინააღმდეგო ჩარევა საღვთო მსახურების ან სხვა რელიგიური რიტუალების შესრულებაში“ (მუხ. 155). ძალადობაზე ორიენტირებული რელიგიური ორგანიზაციის შექმნა გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას დაახლოებით სამი წლის ვადით და „ტერორისტული მიზნებით მძევლების აყვანა რელიგიური ორგანიზაციის იძულების მიზნით“, იწვევს თავისუფლების აღკვეთას თორმეტ წლამდე (Kandelaki, 2017).

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2014 წელს მიღებულ იქნა კანონი “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ”, ე.წ. “ანტიდისკრიმინაციული” კანონი, რათა საქართველოს შიდა კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსულიყო (საქართველოს პარლამენტი, 2014). ეს კონსტიტუციის დამატებითი კანონია დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ამ კანონის თანახმად, დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმა აღმოიფხვრება, მათ შორის რელიგიის ან რწმენის დისკრიმინაცია (მუხლი 1) და ასევე განმარტებულია, რომ კანონი არ შეიცავს რელიგიური თავისუფლების რაიმე სახის შეზღუდვას, რამდენადაც „ამ უფლებების განხორციელება. არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებს“ (მუხ. 5). თუმცა 2024 წელს მიღებული კანონი “ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ” (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2024) რამდენიმე ჭრილში მოდის წინააღმდეგობაში “ანტიდისკრიმინაციულ” კანონთან. კერძოდ, რელიგიურ თავისუფლებას და თანასწორობას რაც შეეხება, აღნიშნული კანონის მიხედვით “ოჯახის” კონცეფცია მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანული გაგებით განისაზღვრება, რაც სხვა რელიგიების მიმართ დისკრიმინაციულ პრაქტიკას ქმნის.

*კონკორდატის ანალიზი*

საკვანძო დოკუმენტი, როგორიცაა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, ე.წ. “კონკორდატი” შეიცავს მთელ რიგ მუხლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგირებულ პოზიციას სახელმწიფოში. კონკორდატის მიხედვით, სახელმწიფომ და ეკლესიამ დამოუკიდებლად უნდა იმოქმედონ, რაც ყოველთვის არ შეესაბამება პრაქტიკას. კონკორდატმა საჯაროდ ბევრი დისკუსია გამოიწვია მისი ნაკლოვანებების გამო.

ეკლესიის თვალსაჩინო პრივილეგიების თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პატრიარქი ხელშეუხებელია (მუხლი 1, პუნქტი 1) და ყველაზე დიდი მართლმადიდებლური რელიგიური ღონისძიებები ეროვნულ დღესასწაულებს უკავშირდება. ეკლესია-სახელმწოფოს ძალაუფლებრივი ურთიერთობის ჭრილში ასევე ყურადსაღებია კონკორდატის მეორე მუხლის მიხედვით გათვალისწინებული აღსარების საიდუმლოების პრინციპის დაცვა, რასაც სახელმწიფო უჭერს მხარს, მაგრამ ამის უზრუნველჰყოფა ევალება უშუალოდ სასულიერო პირს. აქ საინტერესოა რომ სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული საიდუმლოების დაცვაზე არ არის ყურადღება გამახვილებული, არ ჩანს ვალდებულებითი ხასიათი. შესაძლოა იქიდან გამომდინარეც რომ სახელმწიფოსგან სასულიერო პირებისადმი რაიმე ვალდებულების აღება, ან დაწესება სეკულარიზმის პრინციპს, საერო და სასულიერო სფეროების გამიჯვნას ეწინააღმდეგება.

საგულისხმოა, რომ სასულიერო პირები თავისუფალი არიან სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან. საგულისხმოა, რომ ეს ეხება საჯარო სამართლის მიხედვით რეგისტრირებულ ყველა რელიგიურ კონფესიას. ეს ფაქტორი თავის დროზე სათავისოდ გამოიყენა ლიბერტარიანულმა პოლიტიკურმა პარტიამ - “გირჩმა,” რომელმაც თავი რელიგიურ ორგანიზაციად დაარეგისტრირა და დაიწყო მღვდლის ტიტულის მინიჭება ორგანიზაციაში ახალწვეულებისთვის, რათა მათ თავიდან აეცილებინათ სავალდებულო

ჯარი (BBC, 2017). კონკორდატით ასევე გათვალისწინებულია ჯარში და საპატიმრიებში სახელმწიფოს ხელშეწყობით მოძღვრის ინსტიტუტის შექმნა, ე.წ. “კაპელანის ინსტიტუტის” ჩამოყალიბება (მუხლი 4, პუნქტი 2), რაც საკმაოდ წარმატებით ხორციელდება.

კონკორდატის პირველი მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით ეკლესია-სახელმწიფოს შორის შესაძლებელია სხვადასხვა სფეროში ერთობლივი ინტერესებიდან გამომდინარე შეთანხმებების დადება. ეს იძლევა საკმაოდ ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას და შესაბამისად თანამშრომლობის სფეროები შეიძლება მრავალფეროვანი იყოს. თუმცა, კონკორდატის ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლი ეხება ეკლესია-სახელმწიფოს თანამშრომლობას საგანმანათლებლო საკითხებში. კერძოდ, საქართველოს ეკლესიის განსაკუთრებული პრეროგატივაა, კონსულტაციები გამართოს სახელმწიფო დაწესებულებებთან საგანმანათლებლო სისტემის, სასწავლო გეგმების და პროგრამების შესახებ. სახელმწიფო ეკლესიას აძლევს უფლებას განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა და შექმნას საკუთარი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთა დიპლომები ოფიციალურად არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ. რაც შეეხება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, იქნება ეს საშუალო სკოლა თუ უნივერსიტეტი, რელიგიური განათლება უნდა იყოს ნებაყოფლობითი. ეს არის ყველაზე პრობლემური საკითხი, რომლისირგვლივაც ყველა დაინტერესებულ მხარეს განსხვავებული მოსაზრებები აქვს. ერთი მხრივ ეკლესიის წარმომადგენლებს გარკვეული პრივილეგიები და უფლებები გააჩნიათ საგანმანათლებლო საკითხებთან მიმართებით, მეორე მხრივ კი სახელმწიფოს არ შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით, და არა მარტო, გადაწყვეტილებები და ამ საკითხზე საზოგადოებრივი აზრი ორად არის გაყოფილი (Kandelaki, 2017). არანაკლებ მნიშვნელოვანია სოციალური დაცვის მიმართულებით სახელმწოფოსა და ეკლესიის ერთობლივი პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების საკითხი. აღსანიშნავია რომ კონკორდატში სოციალური დაცვისკენ მისამართი ძალისხმევა სავალდებულო ხასიათს არ ატარებს, უფრო რეკომენდაციული სახით არის გაწერილი (მუხლი 4, პუნქტი

3), რაც ხშირად კრიტიკის საგანია. მკვლევრების აზრი ეკლესიის სოციალურ ფუნქციაზე გაყოფილია, ნაწილი მიიჩვენს რომ ეკლესია უკეთ უნდა იყოს ჩართული სოციალური დაცვის უზრუნველჰყოფის საკითხებში (რესპონდენტი 14, ექსპერტი, პირადი კომუნიკაცია, 2017; რესპონდენტი 1, პირადი კომუნიკაცია, 2025; ჭედია, პირადი კომუნიკაცია, 2025).

მართლმადიდებელ ეკლესიას ასევე აქვს საკუთარი საკუთრების ქონის უფლება და ფლობს ყველა მონასტერს, ეკლესიას და ზოგადად მართლმადიდებელ რელიგიასთან დაკავშირებულ შენობა-ნაგებობებს (Gegenava, 2018). კონკორდატის თანახმად, ეკლესია თავისუფლდება გადასახადისგან მხოლოდ საეკლესიო საქონლის წარმოებისთვის (მუხლი 6). უფრო მეტიც, სახელმწიფოსაც და ეკლესიასაც უფლება აქვთ განახორციელონ ერთობლივი სოციალური დაცვის პროგრამები (მუხლი 43). ვალდებულებების კუთხით, სახელმწიფოს თავის თავზე აღებული აქვს სახელმწიფოს გარეთ არსებულ ტერიტორიებზე მდებარე ქართულ მართლმადიდებელ სასულიერო ძეგლებზე ზრუნვა (მუხ. 10).

რაც შეეხება ეკლესიის დაფინანსებას, არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას ეკლესიის დაფინანსებაზე (Kandelaki, 2017). ეკლესიას პრაქტიკულად შეუძლია ფულის მიღება ყველასგან, სხვადასხვა ორგანიზაციიდან და საზოგადოებრივი შემოწირულობებიდან (მუხლი 6, პუნქტი 4). თუმცა, ეს კონკორდატის 64-ე მუხლი იძლევა ინტერპრეტაციის შესაძლებლობასაც. რაც შეეხება საეკლესიო შეზღუდვებს, კონკორდატის მიხედვით „ეკლესია არ უნდა ახორციელებდეს უშუალოდ ბიზნეს საქმიანობას“ (მუხლი 6, პუნქტი 3). თუმცა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთი ანგარიში აჩვენებს, ეს აკრძალვა ხშირად ირღვევა, რადგან ეკლესია დაკავშირებულია რამდენიმე ბიზნესკომპანიასთან, რომლებიც რეალურად ახორციელებენ ბიზნეს საქმიანობას და აქვთ საკუთარი ღვინის ქარხნები და სხვა მცირე ბიზნესი (Kandelaki, 2017; TI საქართველო, 2014). უშუალოდ ეკლესიის სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებას რაც

შეეხება, სახელმწიფომ კონკორდატის მიხედვით XIX-XX საუკუნეებში ეკლესიისთვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების გამო აიღო მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციის ვალდებულება, თუმცა გაურკვეველია თუ რა ონედობის და რა ვადით, რაც ხშირად ხდება თეოლოგების, თუ დარგის მკვლევრების კრიტიკის საგანი (რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025; ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025; მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025; ნოდია, პირადი კომუნიკაცია, 2025; მეტრეველი, პირადი კომუნიკაცია, 2025). ეკლესიის დაფინანსების საკითხი უფრო ვრცლად მომდევნო თავებშია მიმოხილული.

## 3.2. მოლდოვაში მართლმადიდებლობის ისტორია და სამართლებრივი ჩარჩო

მოლდოვაში ქრისტიანობის ფესვების გადგმა დაახლოებით II საუკუნიდან იწყება, მისი კონსოლიდაცია მე-14-ე საუკუნით თარიღდება, ხოლო როგორც ბიზანტიის იმპერიის ნაწილი მოლდოვა აღმოსავლეთის მართლმადიდებლობას შეუერთდა 1054 წლის დიდი სქიზმისას. დღევანდელი სამართლებრივი ჩარჩოს გაანალიზებამდე, მნიშვნელოვანია ისტორიის მანძილზე მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესიის რუსეთისა და რუმინეთის მართლამდიდებლურ ეკლესიებზე დამოკიდებულების ხარისხის ცვლის მიმოხილვა, რათა უფრო ნათელი გახდეს, თუ რამდენად დამოიკიდებელია მოლდოვაში მართლმადიდებელი ეკლესია(ები). საკვანძო პერიოდებიდან უნდა გამოიყოს 1812 წელი, როდესაც რუსეთის იმპერიამ მოახდინა ბესარაბიას ანექსია (დაახლოებით მოლდოვის აღმოსავლეთის ნახევარი) და შედეგად მოლდოვის ეკლესია რუსეთის მართლმადიდებელი პატრიარქის მმართველობის ქვეშ მოექცა. არანაკლებ ყურადსაღებია ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, რუმინეთის საზღვრების გაფართოებისას, 1918 წელს რუმინეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ შექმნა ბესარაბიის მეტროპოლია იმ დროისთვის ე.წ. მოლდავეთის ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველობის ქვეშ. მოლდოვის სსრკ-ს მიერ

ოკუპირების შემდეგ, ბესარაბიის მიტროპოლია გაუქმდა და 1944 წელს და მოლდოვის ავტონომიური ეკლესია ისევ მოსკოვის საპატრიარქოს დაექვემდებარა. რუმინეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ მოახერხა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ბესარაბიის მიტროპოლიის აღდგენა, მაგრამ მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესია წლების მანძილზე მხოლოდ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში რჩებოდა (Panainte, 2006).

მოსკოვის სინოდის მეოხებით შეიქმნა კიშინიოვისა და სრულიად მოლდოვის სამიტროპოლიტო 1991 წელს, რომელიც ოფიციალურად რუსეთის იუსტიციის სამინისტროში დარეგისტრირდა, ხოლო 1993 წლის 7 თებერვალს კი ის მოლდოვის მთავრობამაც აღიარა, რაც რელიგიურ საკითხებში მთავრობის კონტროლის გამყარებასაც ემსახურებოდა. თავისმხრივ რუსეთი მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული მართლმადიდებელი ეკლესიის გავლით შეეცადა მოლდოვაზე გავლენების შენარჩუნებას. ბესარაბიის მიტროპოლიის ოფიციალურად დარეგისტრირების საკითხის წამოწევა იმ დროს ეპისკოპოსის და აწ უკვე ბესარაბიის მიტროპოლიტმა პეტრუ პადურარუმ პრორუმინული განცხადების გამო მისი ეკლესიიდან გაძევებას მოყვა.  რის საფუძველზეც 1992, იმ დროისთვის ეპისკოპოსმა პეტრუმ და მისმა მიმდევრებმა დააარსეს ავტონომიური ბესარაბიის მიტროპოლია, რაც რუსეთის ეკლესიის გვერდის ავლით რუმინეთის მართლმადიდებელმა საპატრიარქომ აღიარა (Panainte, 2006). მმართველი კომუნისტური პარტიის ანტირუმინული დისკურსის გამო ბესარაბიის მიტროპოლიტმა სარჩელი ECHR-ში დაარეგისტრირა, რის საფუძველზეც ქვეყანას ევროპის საბჭოდან გარიყვაც კი დაემუქრა და შესაბამისად 2002 წელს მთავრობა იძულებული გახრა ბესარაბიის მიტროპოლია ოფიციალურად დაერეგისტრირებინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი ეკლესიიდან არც ერთი არ არის ავტოკეფალიური. თითოეული მათგანი ეკუთვნის სხვადასხვა კონკურენტ დედაეკლესიებს, კერძოდ რუსეთისა და რუმინეთის საპატრიარქოებს (Zabarah, 2011). ცხადია, მოსკოვის საპატრიარქოსა და რუმინეთის ეკლესიებს დაქვემდებარებული მართლმადიდებელი ეკლესიები, რომლებიც მოლდოვის იურისდიქციის ქვეშ

იმყოფებიან, ინსტიტუციური შეჯიბრის გარდა რუსეთისა და რუმინეთის სახელმწიფო ინტერესების გატარების მიზნით იბრძოდნენ მოლდოვაში აღნიშნული ეკლესიების გაძლიერებით (Munteanu, 2015). მოლდოვის ეკლესიას 2015 წლის მონაცემებით ჰქონდა 1231 სამრევლო და თითქმის 1400 მღვდელი. ბესარაბიის მეტროპოლიას კი 84 სამრევლო (Munteanu, 2015), რა ციფრიც 2022 წელს უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ შეიცვალა და დაიწყო მოლდოვის რუსული ეკლესიიდან მღვდლების ბესარაბიის ეკლესიაში მღვდლების გადასვლის ტენდენცია. აღნიშნული უფრო ფართოდ შემდგომ თავებშია განხილული.

მოლდოვაში, ისევე როგორც საქართველოში, რელიგიური თავისუფლება 1994 წლის კონსტიტუციის 31 მუხლით არის გარანტირებული (Constitute, 1994, rev. 2016). კერძოდ, კონსტიტუციურად გარანტირებულია რელიგიური ღვთისმსახურების ავტონომიურობა, სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობა. ხოლო სახელმწიფოს შეუძლია რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა ჯარისთვის, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებისთვის, მოხუცთა თავშესაფრებისა და ბავშვთა სახლებისთვის რელიგიური ტიპის მხარდაჭერის აღსრულების მიზნით (Art 31). კონსტიტუციის 36 მუხლის თანახმად არ არის შეზღუდული რელიგიური განათლების უზრუნველყოფის თავისუფლება. ასევე მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს იმ ფარქტზე, რომ ორგანული კანონი არეგულირებს რელიგიური ღვთისმსახურების ზოგად სისტემას, რაც საქართველოს შემთხვევაში ასე მკაფიოდ არ არის კონსტიტუციურად ჩამოყალიბებული (Article 36). რელიგიური მსახურება შესაძლებელია, როგორც რუმინულად, ისე რუსულად.

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას დაქვემდებარებული მოლდოვის ეკლესიის კიშინიოვის მიტროპოლიტმა 2000-იან წლებში ხელისუფლებას ფაქტიურად ეკლესიის პრივილეგირებული როლის გაოფიციალურება სთხოვა. კონკრეტულად კი მისი ეს ნაბიჯი შთაგონებული იყო კონკორდატით, კერძოდ საბერძნეთის და საქართველოს ეკლესიების სპეციალური კონსტიტუციური დონის შეთანხმებებით სახელმწოფოსთან. ამ პრივილეგიებში შედიოდა მთელი მართლმადიდებელი ეკლესიის ქონების

კიშინიოვის მიტროპოლიისთვის გადაცემა, მართლმადიდებლური დღესასწაულების სახელმწიფო დღესასწაულებად გამოცხადება, რელიგიური განათლების სავალდებულოდ გახდომა და მსგავსი უპირატესობები, რაზეც ნაწილობრივ და ეკლესიას მკაცრად განემარტა რომ განათლებას სეკულარული სახე უნდა შეენერჩუნებინა, ხოლო რელიგიური განათლება არჩევითი უნდა ყოფილიყო (Panainte 2006). თუმცა ეკლესიისთვის პრივილეგიების მიცემამ, ასევე გააძლიერა სახელმწიფოს ჩარევა რელიგიურ საკითხებში და მისი ინსტრუმენტად გამოყენება, რისი ერთ-ერთი ნათელი მაგალითი იყო 2005 წელს ბიბლიის ახალი ტექსტის გამოცემის ყდაზე მოლდოვის იმდროინდელი პრემიერ მინისტრის ვასილე ტარლევის სახელის მიწერის მოთხოვნა (Panainte, 2006).

ეკლესია-სახელმწიფოსშორის მჭიდრო ურთიერთკავშირს და შეიძლება ითქვას ნაწილობრივ პოლიტიკურ ზეწოლასაც ისიც მოწმობს, რომ მოლდოვაში რელიგიურ საქმიანობას ზედამხედველობას უწევს ე.წ. რელიგიურ საქმეთა სამდივნო, რომელიც თავის მხრივ მოლდოვის პრემიერ მინისტრის დაქვემდებარებაშია. აღნიშნული სამდივნო წლების მანძილზე ფავორიტიზმით გამოირჩეოდა კიშინოვის და სრულად მოლდოვის მიტროპოლიისადმი, რაც განსაკუთრებით საბჭოთა რეჟიმის ექსპროპრირებული საკუთრების, ან განადგურებული ქონების ალტერნატივის მათთვის შეთავაზებაში გამოიხატებოდა (Stan and Turcescu, 2003).

იმისთვის, რომ რელიგიურმა ორგანიზაციებმა გარკვეული პრივილეგიები მიიღონ, საჭიროა მათი იუსტიციის სამინისტროში ოფიციალურად დარეგისტრირება, თუმცა მათი ფუნქციონირებისთვის რეგისტრაცია სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. თუმცა სხვა რელიგიური ორგანიზაციების დარეგისტრირების საკითხი ხშირად დროშია ხოლმე გაწელილი მიუხედავად იმისა, რომ 2007-6-8 წლებში მოლდოვის კანონმდებლობაში ამ კუთხით გარკვეული ცვლილებები შევიდა (ACN International, 2021). რეგისტრაციითრელიგიურ ორგანიზაციებს დაუწესდებათ გარკვეული საგადასახადო შეღავათები, ქონების და მიწის ნაკვეთის ფლობის უფლება, ასევე რელიგიური სახის

ლიტერატურის გამოცემისა და საბანკო ანგარიშების, თანამშრომლების დაქირავების უფლება. ამ თვალსაზრისით, საქართველოსთან შედარებით მოლდოვის კანონმდებლობა უფრო მეტადაა თანასწორობაზე ორიენტირებული გამომდინარე იქიდან, რომ რიგ შემთხვევებში გადასახადებიდან გათავისუფლება საქართველოს შემთხვევაში მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას ეხება. ეკლესიის გადასახადებიდან გათავისუფლებისა და დაფინანსების თაობაზე უფრო ვრცლად შემდგომ თავებში იქნება განხილული, რათა სამიზნე ქვეყნებში ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთამოკიდებულების ხარისხი ფისკალური თვალსაზრისითაც შეფასდეს.

უფლებრივი თვალსაზრისით სამართლებრივი ჩარჩოს და პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, მოლდოვაში, ისევე როგორც საქართველოში, 2013 წელს შეიქმნა დისკრიმინაციის აღკვეთისა და აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფის საბჭო. საბჭოს მოვალეობაა დისკრიმინაციის საჩივრების განხილვა, მათ შორის რელიგიური ხასიათის დისკრიმინაციის ან რელიგიური კუთვნილების საფუძველზე არსებული დისკრიმინაციული შემთხვევების შესწავლა (US Department of State, 2021). აღნიშნული საბჭო შეიქმნა თანასწორობის უზრუნველყოფის შესახებ კანონი 121-საფუძველზე, რომელიც სხვა ფაქტორებთან ერთად რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას უზრუნველყოფს (Lawyers Moldova, 2012).

### *რელიგიური კონფესიების შესახებ მოლდოვის კანონის ანალიზი*

მოლდოვაში, ისევე როგორც საქართველოსა და უკრაინაში, რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონები განიმარტება და აღსრულდება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად. კანონში აღნიშნულია, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს „განსაკუთრებულ მნიშვნელობა და ფუნდამენტური როლი“ ქვეყნის ცხოვრებაში, ისტორიასა და კულტურაში (USDOS, 2020).

რელიგიური კონფესიებისა და მათი შემადგენელი ნაწილების შესახებ კანონის მიხედვით, ყველას როგორც რელიგიური თავისუფლების, ისე აზრისა და მათ შორის სინდისის უფლება. "ეს უფლება უნდა განხორციელდეს ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით." ამ კანონის თანახმად ყველას აქვს უფლება თავად გადაწყვიტოს რომელ რელიგიას მიეკუთვნება, დატოვებს, თუ ახალ რელიგიურ კონფესიაში გაერთიანდება (მუხლი 4).  ამასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს იმაზე რომ კანონის თანახმად აკრძალულია პროზელიტიზმი, რაც ამ შემთხვევაში გულისხმობს რელიგიური მრწამსის შეცვლა იძულების გზით (Lawyers Moldova, 2007).

კანონი კრძალავს რელიგიურ სუბიექტებს პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვას, რაც უფრო ნათლადაა განმარტებული მოლდოვის შემთხვევაში, ვიდრე საქართველოსაში, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულზე მეტწილად გადაწყვეტილებას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდი იღებს. სინოდის საელკესიო გადაწყვეტილებით აქვთ სასულიერო პირებს პოლიტიკაში ჩართვა აკრძალული, თუმცა საერო კანონმდებლობაში ეს საკითხი ბუნდოვანი და დასახვეწია (*იგივე*). თუმცა, მოლდოვის კანონმდებლობა იმითაც საინტერესოა, რომ "რწმენა, აზრი, რელიგია და რელიგიური კონფესიის ფარგლებში აქტიურობა ადამიანებს, რელიგიურ პირებს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს არ უზღუდავს" (Article 4). რაშიც რეალურად სამოქალაქო აქტიურობა, არჩევნებში მონაწილეობა იგულისხმება, თუმცა კანონში აღნიშნული ჩანაწერი შესაძლოა ფართო ინტერპრეტაციის საშუალებასაც იძლეოდეს, რისი შემოწმებაც შემდგომში ტექსტში პრატიკული მაგალითების განხილვით გახდა შესაძლებელი.

რელიგიური კონფესიებისა და მათი შემადგენელი ნაწილების შესახებ კანონის მე-10-ე მუხლის თანახმად, 18-დან 27 წლამდე მამაკაც მოქალაქეებს აქვთ უფლება აირჩიონ სამხედრო სამსახურის ალტერნატიული სამოქალაქო სამსახური, თუ ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგება მათ რელიგიურ მრწამსს (Lawyers Moldova, 2022). რელიგიური

ჯგუფებისთვის სამხედრო სამსახურიდან არ არსებობს აბსოლუტური გათავისუფლება, მაგრამ უმაღლესი რანგის სასულიერო პირები, ზერები და თეოლოგიის სტუდენტები თავისუფლდებიან ასეთი სამსახურისაგან (US. Department of State, 2021a). საქართველოს შემთხვევაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, 2022 წლის ბოლომდე უფრო გამარტივებული იყო სამხედრო სამსახურისგან თავის არიდება კვაზი-რელიგიური ორგანიზაციის დარეგისტრირებისა და ვითომდა სასულიერო პირად გაფორმების ხარჯზე, რისი გამკაცრებაც მთავრობამ თავდაცვის ახალი გამკაცრებული კოდექსის შემოღებით შეძლო (მარდანია, 2022). ხოლო მოლდოვის შემთხვევაში, კანონის თანახმად, დაბალი რანგის სასულიერო პირებს სავალდებულო სამხედრო სამსახურის აცილების შემთხვევაში სხვა სოციალური სერვისის გაწევა ყველა შემთხვევაში უწევთ.

განათლების სფერო არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება სადაც რელიგიურ ორგანიზაციებს თავისუფლად შეუძლიათ იფუნქციონირონ თავიანთი სასწავლებლების გახსნითა თუ სამოქალაქო ტიპის განათლების ჭრილში ტრენინგების ჩატარების მიზნით, თუმცა მათი საქმიანობა კანონიერად უნდა იყოს გაფორმებული. კერძოდ, ყველა დონის სასულიერო დაწესებულება იურიდიული პირი ხდება მხოლოდ ამ კანონთან შესაბამისობის შემთხვევაში ოფიციალურად რეგისტრაციის შემდეგ. თუმცა განსხვავებით საქართველოსგან, ეს პრივილეგია მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაზე არ ვრცელდება. ყველა დონის სახელმწიფო სკოლებში მორალურ-რელიგიური განათლება არჩევითია და ნებაყოფლობითია, გარდა სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ამ უკანასკნელის შემთხვევაშიც კი ბავშებს უფლება აქვთ გათავისუფლდნენ რელიგიური გაკვეთილებიდან მეურვეების მოთხოვნის საფუძველზე (Lawyers Moldova, VI, Article 32, 2022).

არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად აღიარებული რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების, საკუთრების უფლებისა და გადასახადების გადახდის კუთხით სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი. რელიგიური

ორგანიზაციების ფინანსური შემოსავალი ძირითადად შემოწირულობებისგან შედგება, კერძოდ ეს შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი და სხვა შემოწირულობები, თუნდაც რელიგიურად დაშვებული კომერციული საქმიანობისგან მიღებული შემოსავალი. ასევე რელიგიური დენომენაციების შემოსავალი მემკვიდრეობითი ხასიათისაც შეიძლება იყოს, ან ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულობები, რომელიც კანონის ფარგლებში ჯდება. კანონის თანახმად, ფიზიკურ პირს საშუალება აქვს საშემოსავლო გადასახადის 2% რელიგიურ ჯგუფებზე გადაამისამართოს, თუმცა ეს მისი არჩევანია და ავტომატურად ფიზიკურ პირს არაფერი ეჭრება (Pociumban, 2020). მიუხედავად იმისა, რომ 90-იანი წლების შემდეგ რუსეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ხელისუფლებების მხარდაჭერა ტენდენცია იყო, 2020 წელს პრემიერ მინისტრმა იონ ჩიკუმ უარი თქვა ეკლესიისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე, რაც პრეცენდენტად იყო აღქმული. ამის მთავარი მიზეზი პანდემიის დროს ეკლესიის მხრიდან სახელმსიფოს შეზღუდვების არ დაცვა გახდა, რამაც ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის დაპირისპირება გამოიწვია (BTI, 2022).

კანონის თანახმად, როგორც ზევით აღინიშნა, იმისთვის რომ რელიგიურმა ორგანიზაციებმა რიგი უფლებები მოიპოვონ, მათ ესაჭიროებათ დარეგისტრირება. თუმცა გააჩნია რა სტატუსით დარეგისტრირდებიან ისინი. მაგალითად კანონმდებლობა მოლდოვის დომინანტურ მართლმაადიდებელ ეკლესიას ანიჭებს უპირატესობას, ხოლო მუსლიმი უმცირესობები მართლმადიდებელ ეკლესიაზე მორგებულმა კანონმდებლობამ იძულებულები გახდა რომ არასამთავრობო ორგანიზაციად დარეგისტრირებულიყვნენ. გარდა ამისა, კანონის მართლმადიდებელ ეკლესიაზე მორგებაზე ისიც მიანიშნებს, რომ კანონის მიხედვით ახლად რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციები შეიძლება შეიქმნას კონკრეტული რელიგიური თემის წევრების ინიციატივით, წევრების მიერ არჩეული ხელმძღვანელობით. თუმცა კათოლიკურ ეკლესიას სხვა წესები აქვს, კერძოდ, კანონიკური წესით ეპისკოპოსებს ენიჭებათ უფლებამოსილება რომ შექმნან ახალი სამრევლოები და დანიშნონ მღვდლები,

რაც წინააღმდეგობაში მოდის მოლდოვის საერო კანონმდებლობასთან. გარდა სხვადასხვა რელიგიურ კონფესიებს შორის სამართლებრივ ჩარჩოზე დაპირისპირებისა, ერთი შეხედვით ჰარმონიაში მყოფ რუსეთის საპარტიარქოს დაქვემდებარებული მოლდოვის მართლმადიდებელ ეკლესიასა (MOC) და რუმინეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ ბესარაბიის (მოლდოვის) მართლმადიდებელ ეკლესიებს (BM) შორისაც არსებობს სამართლებრივი დავები (12 შემთხვევა) რელიგიური საკუთრების დაკანონებასთან დაკავშირებით. 2020 წელს BM-ის წარმომადგენლებმა დაადანაშაულეს მოლდოვის საჯარო სერვისის სააგენტო (PSA) ეკლესიის უკანონო რეგისტრაციაში MOC-ის უფლებამოსილების ქვეშ. BM-ის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ეკლესია მათ კონფესიას ეკუთვნოდა, თუმცა მისი სტატუსი სადავო იყო 2017 წლიდან, როდესაც მრევლმა გადაწყვიტა კანონიერად და კანონიკურად გადასულიყვნენ MOC-დან BM-ზე (Pociumban, 2020). კანონით კი ნებისმიერ რელიგიურ კონფესიას უწევს დამტკიცება რომ ის ამა, თუ იმ საკუთრებას არალეგალურად არ ფლობს, შესაბამისად როცა საკითხზე ბუნდოვანებაა, ის სამართლებრივი დავის საგანი ხდება. გარდა ამისა, სახელმწიფო მის შემადგებლობაში არსებული ყველა რელიგიური კონფესიის ნაგებობების, დაწესებულებებისა და საწარმოების საკუთრების უფლებებს, როგორც ქვეყნის შიგნითმ, ისე მის საზღვრებს მიღმა. (Lawyers Moldova, 2007, Article 40). როგრორც ეს საქართველოს შემთხვევაშია, თუმცა მართლმადიდებელ ძეგლებთან მიმართებით საქართველოში სახელმწიფო მოვლის ვალდებულებასაც იღებს.

## 3.3. უკრაინაში მართლმადიდებლობის ისტორია და სამართლებრივი ჩარჩო

უკრაინის გაქრისტიანება სათავეს X საუკუნიდან იღებს, ხოლო მსგავსად საქართველოსი და მოლდოვისა, 1054 წელს დიდი სქიზმის შემდეგ, კიევის რუსეთის დროს გახდა აღმოსავლეთ მართლმადიდებლობის ნაწილი (Houston & Mandaville 2022). განსხვავებით მოლდოვისგან, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია

ახალი ფენომენი არ არის. საკითხის ფესვები 100 წელზე მეტს ითვლის, რაც დაკავშირებულია რუსეთის იმპერიის რღვევასთან და ანტი-კოლონიალიზმთან და ანტი-იმპერიალიზმთან. უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი სამ ეტაპად შეიძლება დაიყოს, კერძოდ პირველ ჯერზე როცა 1910-20 წლებში, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის არსებობის დროს, რომელიც 1921 წელს საბჭოთა კავშირმა შთანთქა. სწორედ იმ მონაკვეთში, უკრაინის ხალხმა მოახერხა ისტირიის გადააზრება იმის შესახებ, რომ ისინი როდესღაც მსოფლიო საპატრიარქოს ეკუთვნოდნენ. საგულისხმოა, რომ კიევის სამიტროპოლიტოს ე.წ. “ანექსირება” და რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში გადასვლა 1686 წელთანაა დაკავშირებული (Ponomariov, 2018). შესაბამისად, “1917 წელს უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის ხელშეწყობისთვის დაარსდა სრულიად უკრაინული საეკლესიო გამგეობა” (Hovorun 2020). უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვების შემდეგი მცდელობა მეორე მსოფლიო ომის დროს იყო, როდესაც მცირე ხნით, უკრაინის ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესია ჩამოყალიბდა, რომელიც იმ დროისთვის უკრაინის ე.წ. რაიხკომისიის ტერიტორიაზე არსებობდა. ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი ეტაპი კი 1991 წელს, უკრაინის დამოუკიდბლობას უკავშირდება (Reshetar 2014). მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინაში მონოპოლიას უკრაინელი ავტოკეფალისტები და ბერძენი კათოლიკეები ერთიადან 1880 წელს დაუპირისპირდნენ და 1991 წელს კი მათი ერთობლივი ძალისხმევით უკრაინის რესპუბლიკის სამრევლოს ერთ მესამეზე მოიპოვეს კონტროლი. მოსკოვის საპატრიარქომ უკრაინის ავტოკეფალიური მართმადიდებელი ეკლესიის (UAOC) ხელახალა გააქტუალურებას, რომელსაც მოსკოვი ამავდროულად არაკანონიკურად ცნობდა, უპასუხა კიევის მიტროპოლიტის სტატუსის ადგილობრივი სტატუსით შეცვლით, რომელსაც გარკვეულწილად ავტონომია მისცა, თუმცა მოსკოვის საპატრიარქოს დაუქვემდებარა (UOC-MP) და შესაბამისად აღნიშნულ ეკლესიას ავტოკეფალიის მოთხოვნაზე უარი განუცხადა. ამის გამო, უკრაინის იურისდიქციაში 1992 წელს აღმოცენდა ახალი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც კიევის საპატრიარქოს დაექვემდებარა (Coleman, 2020). თუმცა მისი ავტოკეფალია არც ერთ მართლმადიდებელ ეკლესიას არ უღიარებია 2019 წლის ცვლილებებამდე. მოსკოვის

საპატრიარქოს დაქვემდებარებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ხელისუფლების განსაკუთრებული გაუცხოვება 2014 წლიდან დაიწყო, მაშინ როდესაც რუსეთმა ყირიმის ანექსია მოახდინა. აღნიშული ეკლესია, განსაკუთრებით აღმოსავლეთით მდებარე ეპარქიები მხილებულნი იყვნენ რუსეთთან თანამშრომლობაში და შედეგად უკრაინელი მართლმადიდებელი მორწმუნეები აჯანყდნენ თავიანთი მღვდლების წინააღმდეგ და ისინი ათეულობით სამრევლოდან გააძევეს (Marson, 2022).

2019 წელს უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ე.წ. "ტომოსზე" ხელმოწერით მოიპოვა ავტოკეფალია. პირველი ეკლესია, რომელმაც უკრაინის ავტოკეფალია აღიარა, იყო მისი დამაარსებელი, კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური ბართლომე I და ამ ეკლესიისმმართველობა გადაეცა მიტროპოლიტ ეპიფანეს (Mureșan 2019). მიუხედავად იმისა, რომ ავტოკეფალიის გამოცხადების ერთ-ერთი მიზანი მართლმადიდებელი ეკლესიის გაერთიანებაც იყო, უკრაინის იურისდიქციაში 2019 წლის შემდეგ სამი მართლმადიდებელი ეკლესია გამოიკვეთა. ესენია, მსოფლიო პატრიარქის მიერ ე.წ. „ტომოსის" საფუძველზე 2019 წელს აღიანებული უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს ექვემდებარდება და ასევე უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც კიევის საპატრიარქოს ექვემდებარება. ამ უკანასკნელის ავტოკეფალიურ ეკლესიაში არ გაერთიანების ერთ-ერთი მიზეზი პატრიარქ ფილარეტსა (უკრაინის მართლმადიდებელიი ეკლესიის წინამძღვარი - კიევის საპატრიარქო) და მიტროპოლიტი ეპიფანეს (უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი) შორის ეკლესიის მმართველობის მოდელთან დაკავშირებული უთანხმოება იყო. მიუხედავად იმისა რომ როგორც მოსკოვის, ისე კიევის საპატრიარქოების ქვეშ დაქვემდებარებული ეპარქიების წარმომადგენლებიდან ბევრმა აღიარა და შეუერთდა კიევის და სრულიას უკრაინის ავტოკეფალიურ ეკლესიას, უკრაინის ტერიტორიაზე მაინც დარჩა სამი სხვადასხვა მართლმადიდებელი ეკლესია (Casanova, 2022). სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის

ძალაუფლებრივი ინტერაქციის თვალსაზრისით განსაკუთრებული და შეიძლება ითქვას გარდამტეხი ცვლილებები დაიწყო რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც მოსკოვის საპატრიარქოში აქვს ფესვები, მხილებულ იქნა რუსეთთან კოლაბორაციაში, კერძოდ რუს სამხედროებთან თანამშრომლობაში, რის გამოც მას აკრძალვა ემუქრება (HRWF, 2022), რაც სამართლებრივად გაფორმდა 2024 წლის აგვისტოში, თუმცა მისი აღსრულება პრობლემურია. აღნიშნული ეკლესიის საქმიანობის აკრძალვის მოთხოვნით უკრაინის რადამ 2022 წლის 24 ნოემბერს გამოაქვეყნა კანონპროექტის ტექსტი. კანონპროექტი შეიქმნა უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად და "უკრაინის რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისგან გათავისუფლება, როგორც კიდევ ერთი ნაბიჯი უკრაინის დამოუკიდებლობისკენ" (უკრაინის რადა, კანონპროექტი No. 8221, 2022). პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მხარი დაუჭირა კანონპროექტის პარლამენტისთვის წარდგენას და შემდგომ მიღებას. ზელენსკიმ თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ განკარგულება უნდა შესწრულებულიყო ყველა სტანდარტის დაცვით, კერძოდ რელიგიის და რწმენის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად, რაც მათ შორის გასაჩივრების მექანიზმსაც მოიცავს. თუმცა, პრეზიდენტის ბრძანებულებამ უკრაინის მართლმადიდენელი ეკლესიის მორწმუნეების ნაწილის შეშფოთება მაინც გამოიწვია (Shishkov, 2022), რაზეც შემდგომ თავში კონკრეტული მაგალითებია მოყვანილი. საგულისხმოა, რომ მისი ბრძანებულებას ასევე მოჰყვა UOC-ის იურისდიქციის ქვეშ მყოფი რამდენიმე მონასტრის დარბევა, 350-მდე შენობის ჩხრეკა, 850 ადამიანზე გამოძიების დაწყება და ასევე რამდენიმე მღვდელსაც ჩამოერთვა მოქალაქეობა (Casper, 2022).

აღნიშნულმა ფაქტმა ზედაპირზე წამოწია ის სამართლებრივი ნაკლოვანებები რომელიც რელიგიის შესახებ კანონმდებლობას აქვს, რადგან პარლამენტის საკმაოდ დიდი ძალისხმევა და დასაბუთება მოუწია იმისა თუ რამდენად გამართული შეიძლება იყოს ეს გადაწყვეტილება სამართლებრივად, რამდენად უქმნის აღნიშნული ეკლესიის საქმიანობა სინამდვილეში საფრთხეს სახელმწიფოს და ასევე რა გარანტიები არსებობს

რომ არ შეილახება რელიგიური თავისუფლება, რაზეც შემდგომ საერთაშორისო საზოგადოებიდან კრიტიკაც მიიღი უკრაინამ. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ კანონიკური სამართალი არ არის კოდიფიცირებული, რაც მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის (UOC) ზუსტი სტატუსის დაზუსტებას ართულებს სამართლებრივად. უკრაინის კანონმდებლობით, ყოველი სამრევლო, ეპარქია ან მონასტერი ცალკე იურიდიული პირია. აქ საუბარია ათასობით ერთეულზე, რომელიც ინდივიდუალურად უნდა აიკრძალოს, რაც სიტუაციას უფრო ართულებს. საგულისხმოა, რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, თავად UOC-მა მიიღო ახალი დამოუკიდებელი წესდება, რის მიხედვითაც ის აღარაა ვალდებული დაექვემდებაროს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მიღებულ დადგენილებებს. ამისა მიუხედავად, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია (ROC) მას კვლავ განიხილავს თავის ნაწილად (Luchenko 2023). კანომდებლობის ამგვარი ნაკლოვანებების და ასევე ეკლესია-სახელმსიფოს შორის ძალაუფლებრივი ურთიერთობის უკეთ გასაანალიზებლად, შემდეგ პარაგრაფში დეტალურადაა მიმოხულული საერო სამართლებრივი ჩარჩო.

*უკრაინაში რელიგიური თავისუფლების შესახებ კანონის ანალიზი*

კონსტიტუციურად უკრაინა სეკულარული სახელმწიფოა, რომელიც უზრუნველყოფს რელიგიური თავისუფლების მაღალ ხარისხს და სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთმანეთთან განცალკევებას (Verkhovna Rada of Ukraine, 1996). გამომდინარე იქიდან, რომ უკრაინა ტრადიციულად არ წარმოადგენს კანონის უზენაესობით დახასიათებულ სახელმწიფოს, დღემდე ამ ქვეყანაში არსებობს დიდი უფსკრული ქაღალდზე დოკუმენტირებულ და რეალურ ნორმებს, უფრო კონკრეტულად კი დაწერილ კონსრიტუციასა და დაუწერელ საზოგადოებრივ საფუძვლებს, ე.წ. “ნამდვილ კონსტიტუციას” შორის. შესაბამისად, უკრაინაში დაწერილ კანონდებლობასა და რეალურ სურათს შორის ხშირად აცდენაა.

უკრაინის კანონის სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ მე-5-ე მუხლი აღწერს კონკრეტულ სახელმწიფოში სეკულარულ წესრიგს, შესაბამისად ის ასახავს კონსტიტუციურ დებულებებს ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის შესახებ და მის მიხედვით „სახელმწიფო ითვალისწინებს და პატივს სცემს რელიგიური ორგანიზაციების ტრადიციებსა და შინაგან წესებს იმ პირობით, რომ ისინი არ ეწინააღმდეგება მოქმედ (საერო) კანონმდებლობას" (Druzenko, 2014). ვინაიდან ეკლესიას თავისი შიდა საეკლესიო კანონმდებლობის შექმნა შეუძლია და სახელმწიფო გარკვეულწილად ენდობა მას, ეს რიგ გაუგებრობებს იწვევს კრიზისების დროს, მაგალითად ისეთს როგორც წინა აბზაცში იყო აღწერილი. ამის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს რომ სეკულარიზმის პრინციპი ამ სამი ქვეყნიდან ყველაზე დეტალურად უკრაინის კანონმდებლობაშია განმარტებული. კერძოდ მკაცრადაა დადგენილი გამმიჯნავი ხაზები სასულიერი და საერო ინსტიტუტებს შორის პოლიტიკაში ჩართულობის თვალსაზრისით. კერძოდ, ერთი მხრივ სასულიერო პირებს აქვთ სამოქალაქო უფლებები და აზრის გამოხატვის თავისუფლება, თუმცა მათ არ აქვთ პარტიულ პოლიტიკაში მონაწილეობის, კანდიდატის წარდგენის, აგიტაციის, ან პოლიტიკური პარტიის ფინანსური მხარდაჭერის უფლება. შესაძლოა საკმარისი ყოფილიყო კანონში ჩაწერილიყო, რომ პოლიტიკურ საქმიანობაში არ შეიძლება რელიგიური ორგანიზაციების ჩართვა. თუმცა პრაქტიკამ აჩვენა რომ ამ სამ ქვეყანაში და არა მხოლოდ, არსებობს მღვდლების საარჩევნო აგიტაციაში სხვადასხვა ფორმით ჩართვის პრეცედენტები და შესაბამისად უკრაინის შემთხვევაში ლოგიკურია რომ ასეთი ჩანაწერის გაჩენის საჭიროება დადგა, რაც შესაძლოა სხვა ქვეყნების კანონმდებლებმაც გაითვალისწინონ და განიხილონ (Verkhovna Rada of Ukraine, 1991). სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს კანონის ფარგლებში შესრულებული რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობაში და არ გაუწიოს ფინანსური მხარდაჭერა რელიგიური განსხვავების საფუძველზე შექმნილ ორგანიზაციებს (Article 5).

საყურადღებოა, რომ განსხვავებით საქართველოს და მოლდოვის მაგალითებისგან, უკრაინის კანონში რელიგიური თავისუფლების შესახებ ხაზგასმითაა ნახსენები, რომ ყველა რელიგიური დენომინაცია და რელიგიური ორგანიზაცია “თანასწორია კანონის წინაშე” და აკრძალულია რომელიმესთვის პრივილეგიების მინიჭება (Article 5). თუმცა უკრაინის შემთხვევაშიც, პრაქტიკაში მართლმადიდებელ ეკლესიას(ებს) უპირატესობა ენიჭება გამომდინარე იქიდან რომ მას ყველაზე დიდი მრევლი ჰყავს ქვეყნის მასშტაბით. ასევე უფრო მკაფიოდაა გამოკვეთილი რელიგიური ორგანიზაციების განათლების საკითხებში ჩარევასთან დაკავშირებული პუნქტი. საგულისხმოა, რომ უკრაინის საკანონმდებლო ორგანომ ექსკლუზიურად გამოიყენა ტერმინი „სეკულარული“ საგანმანათლებლო საკითხებთან მიმართებით და იგივე კანონის მე-6-ე მუხლის თანახმად “განათლების სისტემა გამოყოფილი უნდა იყოს ეკლესიისგან (რელიგიური ორგანიზაციებისგან) და უნდა იყოს სეკულარული (Article 6). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს რომ რელიგიური განათლება, ეკლესიების მიერ ინსტიტუტების შექმნა კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული ნებართვის საფუძველზე არ არის შეზღუდული, თუმცა კანონში ნახსენებია რომ რელიგიური სწავლება ტოლერანტობისა და პატივისცემის სულისკვეთებით უნდა მოხდეს, მათ შორის არარელიგიური და სხვა რელიგიის წარმომადგენლების მიმართ (Article 6).

გამომდინარე იქიდან, რომ უკრაინაში არც ერთ რელიგიურ ორგანიზაციას კანონმდებლობით უპირატესობა არ ენიჭება, მათთვის *რეგისტრაციის პროცედურა* და სტატუსი მსგავსია. თუმცა რელიგიური ორგანიზაციის დარეგისტრირებას თუ ათი ადამიანი ჭირდება, რომელიც მას დააფუძვნებს, ხოლო ნებისმიერი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის, თუ კერძო კომპანიის დარეგისტრირების შემთხვევაში სამი დამფუძვნებელიც საკმარისია (Article 14). აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ რელიგიურ ორგანიზაციებს იგივე სტატუსი აქვთ რაც არამომგებიან ასოციაციებს. შესაძლოა რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებით ერთადერთი პრივილეგირებული მიდგომა საკუთრების საკითხს შეიძლება უკავშირდებოდეს, რადგან საკუთრება რომელიც რელიგიურ ხასიათს ატარებს რელიგიურ ორგანიზაციას მიეკუთვნება. გარდა

ამისა, მიუხედავად იმისა რომ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება აკრძალულია, არსებობს ფაქტები იმისა, რომ თვითმმართველობების მხრიდან მომხდარა ტაძრების აღდგენის დაფინანსება, რაც ახსნილია როგორც გამონაკლისი შემთხვევები კომუნისტების დროს დაზიანებული შენობების რეაბილიტაციის მიზნით, ზარალის ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს შემთხვევაშიც მსგავსია (Druzenko, 2014).

*საკუთრების უფლებასთან* დაკავშირებით, მისი რელიგიური ორგანიზაციისთვის გადაცემაც ისტორიულად უნდა იყოს ფაქტებით გამყარებული. თუმცა ამ საკითხზე, გარკვეულ რელიგიურ შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებით დღემდე დავაა რუსეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და უკრაინის ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის. საკითხის სიმწვავის საილუსტრაციოდ, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კიევის ლავრის შემთხვევა. 980 წლის კიევ-პეჩერსკის ლავრის სამონასტრო კომპლექსი, სამნახევარი საუკუნის მანძილზე მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნოდა, ხოლო უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ 2022 წლის 12 ნოემბერს აღნიშნულ კათედრალში შესრულდა რუსეთის მადიდებელი შინაარსის მქონე სიმღერა, რამაც უკრაინის მოსახლეობის განსაკუთრებული გაღიზიანება გამოიწვია და პრეზიდენტმა ზელენსკიმ ამ საქმის შესწავლა მოითხოვა (RISU, 2022). 2023 წლის შობას კი პირველად საუკუნეების შემდეგ საშობაო ლიტურღია უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტმა ეპიფანემ აღავლინა და აღნიშნა რომ ეს არის მოსკოვის მიერ კიევ-პეჩერსკის ლავრის მოსკოვის „დატყვევებისგან" გათავისუფლება (Hunder, 2023).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი რაც თვალთახედვიდან არ უნდა გამოგვრჩეს არის რელიგიური ინსტიტუტების *დაფინანსების საკითხი.* რელიგიური ორგანიზაციების პირდაპირი ფინანსური მხარდაჭერის აკრძალვის მიუხედავად, კანონი აწესებს რელიგიური ორგანიზაციებისთვის გადასახადების შეღავათებს რელიგიური ნივთების

გაყიდვის, ან საქველმოქმედო საქმიანობის არ დაბეგვრის გზით. ასევე არ იბეგრება ეკლესიის შემოწირულობები და რელიგიური ორგანიზაციების სხვა შემოსავლები, თუმცა კანონში ეს ჩანაწერი გარკვეულ ბუნდოვანებას ბადებს და სივრცეს აჩენს ინტერპრეტაციისთვის (Verkhovna Rada of Ukraine, Article 19, 1991).

ისევე როგორც საქართველოს და მოლდოვის შემთხვევაში, უკრაინაშიც არსებობს სახელმწიფო ორგანო რომელიც რელიგიურ საკითხებზე მუშაობს (Article 30). თუმცა, წინა ორისგან განსხვავებით უკრაინაში ასეთი არა მხოლოდ ერთი ორგანოა, არამედ რამდენიმე რომლებიც ხან დამოუკიდებელ ერთეულად იყო წარმოდგენილი, ხან სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების დაქვემდებარებაში შევიდა. როგორიც რელიგიის საკითხებში უკრაინის სახელმწიფო კომიტეტი იყო, რომელიც შემდგომ იუსტიციის სამინისტროს დაუქვემდებარდა. ასევე არსებობდა უკრაინისეროვნებისა და რელიგიების სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც რელიგიური უმცირესობებისა და ზოგადად რელიგიური თავისუფლების საკითხებზე იყო პასუხისმგებელი. თუმცა მას შემდეგ რაც 2010 წელს უმცირესობების შესახებ ცალკე კანონი იქნა მირებული, აღნიშნული კომიტეტი დამოუკიდებელი სახით გაუქმდა და შემდგომ კულტურის სამინისტროს დაუქვემდებარდა, ხოლო სამართლებრივ საკითხები როგორიცაა რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაცია და მსგავსი თემები იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებაში გადავიდა. გარდა ამისა, არსებობს ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების სრულიად უკრაინული საბჭო (AUCCRO) და სრულიად უკრაინული რელიგიური ასოციაციების საბჭო (AUCRA), რომლთან საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვით რელიგიათაშორის დიალოგისა და რელიგიური მრავალფეროვნების ხელშეწყობაში (US Department of State, 2021b).

### *პირველადი მიგნებები*

მართლმადიდებელი ეკლესია სხვა ეკლესიებისგან იმით განსხვავდება რომ მას არ აქვს ცენტრალიზებული მმართველობის სტილი და შესაბამისად თითოეული ეკლესია

თავისი ქვეყნის იურისდიქციაში მეტნაკლებად დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს. თუმცა, მართლმადიდებელ ეკლესიაშიც არსებობს გარკვეული იერარქია. კერძოდ კონკრეტული საკვლევი თემის ფარგლებში ყურადღება უნდა გამახვილდეს ავტოკეფალიურ ეკლესიებზე და მათ დაქვემდებარებაში მყოფ თვითმმართველ ერთეულებზე. სამიზნე ქვეყნების მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი არის ის რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის ავტოკეფალიური ეკლესია, რომელიც საეკლესიო სამართლის თანახმად დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. თუმცა საქართველოს მსგავსად, უკრაინის ეკლესიამაც გადადგა მორიგი ნაბიჯი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, ტომოსზე (Tomos) ხელის მოწერითა და ამ ეტაპისთვის ოთხი მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან აღიარებით, რომლებიცაა: კონსტანტინოპოლი, ალექსანდრია, კვიპროსი და საბერძნეთი. ხოლო საქართველოს მართლმადიდებელმა ავტოკეფალიურმა ეკლესიამ თავი შეიკავა და ჯერჯერობით ეს საკითხი კვლავ განხილვის ქვეშაა. საკითხთან დაკავშირებით საქართველოში ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში დავსვი შეკითხვა, თუ რა იყო ამის რეალური მიზეზი და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელმა ახსნა რომ აღმოსავლეთ ევროპაში ბევრი ეკლესია მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია და არ აქვს ავტოკეფალია და რეალურად მათთანაც უნდა მოხდეს საკითხის შეთანხმება და ერთიანი შეთანხმების საფუძველზე უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება (აბაშიძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). ხოლო დარგის მკვლევარმა ახსენა რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია ამაზე ბუნდოვანია და "მოვიცდით" - აი ამ პათოსით გააკეთეს განცხდებაო, კერძოდ დაველოდებით მოვლენების განვითარებასო (მეტრეველი, პირადი კომუნიკაცია, 2025). რესპონდენტმა ისიც აღნიშნა რომ რუსული ეკლესიის გავლენაც არსებობს საქართველოს ეკლესიაზე და ეს ერთ-ერთი ფაქტორი შეიძლება იყოს.

რაც შეეხება მოლდოვას, ზემოთ წარმოდგენილი სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზიდან გამოჩნდა, რომ მოლდოვის ორი ეკლესიიდან, (კიშინოვისა და სრულიად მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესია (MOC), როგორც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის

თვითმმართველი ერთეული და მეორე ბესარაბიის მართლმადიდებელი ეკლესია (MB), როგორც რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ქვეშ არსებული თვითმმართველი ორგანო)არც ერთი ეკლესია დამოუკიდებელი არ არის, შესაბამისად გასაკვირი არაა რომ მათი მხრიდან უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარება არ მომხდარა. უკრაინაში ჯერ კიდევ *de facto* კვლავ ფუნქციონირებს კიევის საპატრიარქოსა და ე.წ. სრულიად რუსეთ-უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც ცალკე პატრიარქი ყავს გამომდინარე იქიდან რომ უკრაინის ავტოკეფალიური ეკლესიის მმართველი მიტროპოლიტი ეპიფანე და პატრიარქი ფილარეტი ეკლესიის მართვის მოდელზე ვერ შეთანხმდნენ. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია საკმაოდ ძლიერი იყო რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე, მანამ სანამ აღნიშნული ეკლესიის სასულიერო პირების რუსეთთან თანამშრომლობის ფაქტები არ გამოვლინდა, რის გამოც ამ ეკლესიას სრულად მოკვეთაც კი ემუქრება, 2024 წელს მიღებული კანონით, ის ვეღარ იფუნქციონირებს იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვთან კანონიკურ კავშირს არ გაწყვეტს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი მომდევნო თავებში დეტალურადაა განხილული.

თითოეულ სამიზნე ქვეყანაში ეკლესიების დამოუკიდებლობის თავისებურებების მიმოხილვამ რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა გამოკვეთა. პირველი ის, რომ განსხვავებით საქართველოსგან, მოლდოვასა და უკრაინაში სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობის შესწავლისას მხოლოდ ამ ორი აქტორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის ხარისხის დადგენა არაა საკმარისი, თუ პარალელურად მათზე რუსული ეკლესიის ზეგავლენის ფაქტორიც არ იქნება გავითვალისწინებული როგორც დამოუკიდებელი ცვლადი. თუმცა საგულისხმოა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც კი, რომელსაც ფორმალური კავშირი არ აქვს რუსეთის ეკლესიასთან, მის ირიბ ზეგავლენას მუდმივად განიცდის.

კვლევისას გამოიკვეთა საინტერესო გარემოება, რომ უკრაინის კანონმდებლობით აკრძალულია რომელიმე რელიგიური ორგანიზაციისთვის პრივილეგიის მინიჭება.

მეორე საკითხია თუ რამდენად ხდება ამის დაცვა პრაქტიკაში. თუმცა საგულისხმოა, რომ საქართველოს და მოლდოვის შემთხვევაში კონსტიტუციურად მართლმადიდებელ ეკლესიებს განსაკუთრებული პრივილეგიები ენიჭებათ “ისტორიაში და კულტურაში” განსაკუთრებული წვლილის შეტანის გამო.

რაც შეეხება უშუალოდ სახელმწიფო-ეკლესიას შორის ინტერაქციას, მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს გარკვეული სხვაობები კანონმდებლობის მკაფიოობისა, თუ ბუნდოვანების თვალსაზრისით. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადად სეკულარიზმის პრინციპს განვიხილავთ, საერო სამართლის თვალსაზრისით ყველაზე გამართული და დეტალური ამ მხრივ უკრაინის კანონდებლობაა. უკრაინის კანონში რელიგიური თავისუფლების შესახებ მკვეთრადაა გამმიჯნავი ხაზები გამოკვეთილი როგორც ეკლესიის, ისე სახელმსიფო ინსტიტუტების ერთმანეთის საქმიანობაში არ ჩარევის თაობაზე, ეკლესიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, პარტიების დაფინანსებაში და პოლიტიკოსების ღია მხარდაჭერის აკრძალვაში და იგივენაირად სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის ბიუჯეტიდან დაფინანსების აკრძალვაში. გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ხდება ეკლესიების, ან სხვა რელიგიური ნაგებობების რეაბილიტაცია საბჭოთა კავშირის ზიანის ასანაზღაურებლად. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღსრულების ნაწილში ხშირად არის ხოლმე გადაცდომები, რისი გაანალიზებაც უფრო სიღრმისეულად შემდგომ თავებშია გაკეთებული.

კიდევ ერთი მიმართულება, სადაც უკრაინის კანონმდებლობა სეკულარიზმის მნიშვნელობას განსაკუთრებულად გამოყოფს განათლების სფეროა, რაც საქართველოს და მოლდოვის კანონმდებლობების შემთხვევაში უფრო ლიბერალურად არის ასახული. თუმცა აქვეა ხაზასასმელი რომ არც ერთი ქვეყნის შემთხვევაში რელიგიის სწავლება აკრძალული არ არის და მათ შორის არც სავალდებულოა. სამივე ქვეყანაში მოსწავლეებს არჩევანის საშუალება ეძლევათ.

საქართველოს შემთხვევაში კანონმდებლობის თვალსაზრისით ბევრი დაუზუსტებელი საკითხი არსებობს, თუნდაც ე.წ. “კონკორდატის” მიხედვით სახელმწიფო ეკლესიის საქმიანობაში არ უნდა ჩაერიოს, მაგრამ ასე ნათლად არ არის არაფერი კანონში ნახსენები იმაზე თუ პირიქით რამდენად ეზღუდება ეკლესიას საერო საკითხებში ჩარევის უფლება. ეს საკითხი საქართველოს შემთხვევაში ეკლესიის შიდა საეკლესიო კანონით რეგულირდება, კერძოდ იმით რომ სინოდი თავად კრძალავს სასულიერო პირების პოლიტიკაში მონაწილეობას, თუმცა ამას საერო კანონმდებლობით ძალა არ აქვს, შესაბამისად ის თუ რამდენად არის დაცული ეს პრინციპი მეტწილად შიდა საეკლესიო საკითხად რჩება.

კიდევ ერთი საკითხი რაც გამოიკვეთა არის ის რომ, თუ საქართველოს შემთხვევაში მართლმადიდებელი ეკლესია ეროვნულ იდენტობასთან არის მჭიდროდ გაიგივებული, უკრაინის შემთხვევაში ამის მიღწევას უკრაინა წლების მანძილზე ცდილობს და სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მრავალ მიზეზთაგანი რის გამოც უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია ჩამოყალიბდა, რათა ერის იდენტობისა და ერთობის ფლაგმანად ქცეულიყო. უკრაინაში რუსული ეკლესიის გავლენისგან დახსნის პროცესი, დღევანდელი ხელისუფლებისთვის, ერის დამოუკიდებლობისკენ კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევა, რაც რეალურად საქართველოს შემთხვევაშიც თავის დროზე მსგავსი იყო. განსხვავებული სიტუაციაა მოლდოვაში, მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესიებისთვის ძირითადად რეგიონალური ტიპის იდენტობაა დამახასიათებელი. მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, სამივე შემთხვევაში ეკლესია ერის გამაერთიანებელ სიმბოლოდ არის აღქმული, რაც ზოგიერთ შემთხვევაში როგორც ისტორიული ფაქტი ისე არის წარმოჩენილი, ზოგ შემთხვევაში კი როგორც ამისკენ სწრაფვა. მოლდოვის შემთხვევაში იდენტობასთან უფრო მეტად რუსეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებული სრულიად მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესია ასოცირდება. თუმცა, არსებული ორი მართლმადიდებელი ეკლესია მეტ-ნაკლებად ჰარმონიურად ფუნქციონირებს და ასევე იშვიათია სახელმწიფო-ეკლესიას შორის ურთიერთკრიტიკის პრეცენდენტები, ისევე როგორც საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით სეკულარიზმის პრინციპზე კეთდება აქცენტი, პრაქტიკაში ჩანს რომ უკრაინაშიც კი, სადაც ყველაზე მკვეთრადაა კანონმდებლობით გამიჯნული სასულიერო და საერო საკითხები და კომპეტენციები, პრაქტიკაში ჩანს რომ უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოს მხრიდან აღიქმება როგორც ერის სულიერი გამაერთიანებელი და დასაყრდენი. ეს უკანასკველი კი ერთი მხრივ განპირობებულია ეკლესიისადმი მაღალი საზოგადოებრივი ნდობით, რისი გათვალისწინებაც ხელისუფლებას მუდმივად უწევს. შესაბამისად, უკრაინის შემთხვევაში ერთი შეხედვით მიმდინარე ხისტი სეკულარიზაციის პროცესის ფონზე, როდესაც რუსეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისგან გამიჯვნა ხდება, შესაძლოა მომავალში ამან კლასიკური ცეზაროპაპიზმისა და სიმფონიის ჰიბრიდული მოდელის გამყარებას დაუდოს საფუძველი უკრაინის ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებით.

# 4. სეკულარიზმი პრაქტიკაში: ინტერვიუების ანალიზი

სეკულარიზმის განმარტებათაგან ნაშრომში გამოყენებულია ყველაზე მარტივი პრინციპი “რელიგიური ინსტიტუტების გამიჯვნა სახელმწიფო ინსტიტუტებისგან” რასაც ჟან ბობერო ასევე ამატებს რწმენის თავისუფლებასა და რელიგიის მიმართ სახელმწიფოს ნეიტრალურობის პრინციპს (Baubérot, 2022). კვლევის დროს ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში სეკულარიზმზე კითხვის დასმისას სწორედ აღნიშნული განმარტება იყო ამოსავალი. თუმცა მნიშვნელოვანი იყო თუ თავად რესპონდენტები როგორ აღწერდნენ მას და რამდენად დადებითად, თუ უარყოფითად იყვნენ განწყობილი ამ ცნებისადმი. შემდგომ გაანალიზდა, თუ რამდენად სეკულარულია თანამედროვეობაში საქართველო, მოლდოვა და უკრაინა და რომელი ტიპის სეკულარიზმთან გვაქვს საქმე რეალურად თითოეულ სამიზნე სახელმწიფოში. რესპონდენტების განწყობები განსხვავებული იყო მათი პროფესიიდან, თუ აფილიაციებიდან გამომდინარე. რესპონდენტებთან განხილული იყო ეკლესიების დაფინანსების თემა, რაც ანალიზშიც არის ქვემოთ ასახული, თუმცა მათი შეფასებები საკმაოდ არაერთგვაროვანი და ზოგჯერ სუბიექტური იყო და შესაბამისად ამ ასპექტის მოკლე მიმოხილვისას მონაცემები ასევე აღებულია არსებული საჯაროდ ხელმისაწვდომი ანგარიშებიდან.

გარდა ამისა, ინტერვიუებზე და არსებულ ლიტერატურაზე, თუ სახელმწიფო ლიდერების განცხადებებზე დაყრდნობით, ტექსტში გაანალიზებულია თუ როგორ იცვლებოდა დინამიკაში სახელმწიფო-ეკლესიის ძალაუფლებრივი ურთიერთობები 90-იანი წლების შემდგომ სხვადასხვა ხელისუფლებების პირობებში სამივე ქვეყანაში. ეს ანალიზი განსხვავდება ზემოთ წარმოდგენილი ისტორიული მიმოხილვისგან გამომდინარე იქიდან რომ ეს თავი უშალოდ რესპონდენტების შეხედულებებს და შეფასებებს ეყრდნობა და ასევე 90-იანებიდან მოყოლებული სხვადასხვა

ხელისუფლებების ლიდერების უშუალო განცხადებებს, თუ ქმედებებს რაც საკვანძო იყო მათი მმართველობის დროს ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ჭრილში. გარდა ამისა, სახელმწიფო-ეკლესიას შორის ურთიერთობის გასააზრებლად, ინტერვიუების შედეგების მიხედვით გაანალიზებულია როგორია მათ შორის ურთიერთობა იმ 7 კომპონენტის გათვალისწინებით რომელის ენიედიმ გამოყო, რაც თემის შესავალში იყო განხილული (Enyedi, 2005).

## 4.1. სეკულარიზმის გაგება საქართველოში

საქართველოს კონტექსტში სეკულარიზმის გაგების გასაანალიზებლად, საქართველოს შემთხვევაში ინტერვიუ ჩატარდა ჯამში 11 რესპონდენტთან, აქედან 4 სასულიერო პირი იყო, 1 პოლიტიკოსი, ხოლო დანარჩენი 6 ექსპერტები და აკადემიური წრის წარმომადეგლები (მათ შორის ორი თეოლოგი, ოთხი სოციალური მეცნიერებების წამყვანი მკვლევარი). გარდა უშუალოდ აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომისთვის ჩატარებული ინტერვიუებისა, ანალიზისას გამოყენებულია სამაგისტრო ნაშრომისთვის საქართველოში ჩატარებული 13 ინტერვიუს შედეგები, სადაც საქართველოს და რუმინეთის შემთხვევებია ერთმანეთს შედარებული ეკლესია-სახელმსიფოს ურთიერთობის პოლიტიკაზე და დემოკრატიზაციაზე გავლენის ჭრილში. შესაბამისად საქართველოს შემთხვევაში ინტერვიუების ანალიზი ამ მეორად წყაროზე დაყრდნობითაც გაკეთდა. 13 ინტერვიუდან სადოქტორო დისერტაციისთვის ჩატარებული 2 რესპონდენტის ვინაობა მეორდება გამომდინარე სფეროში მათი მაღალი კომპეტენციიდან. ხოლო რაც შეეხება მათ პროფესიულ კატეგორიებად განაწილებას, 13 რესპონდენტიდან 6 სასულიერო პირი იყო (მათგან 3 თეოლოგი), 1 მთავრობის წარმომადგენელი (ქართული ოცნების), 5 ექსპერტი (მათ შორის ერთი თეოლოგი და ერთი ყოფილი მინისტრი) და 1 აქტივისტი. ჯამში 24 რესპონდენტიდან 2-ს 2002 წელს წვლილი აქვს შეტანილი კონკორდატის შემუშავებაში. 24 ინტერვიუდან, 14 ჩატარდა პირისპირ, ხოლო 10 ონლაინ. 24 რესპონდენტიდან 22 თავს მართლმადიდებელ

ქრისტიანად მიიჩნევს, ხოლო 1 თვლის რომ რელიგიური საერთოდ არაა და არც რომელიმე რელიგიურ კონფესიასთან აიდენტიფიცირებს თავს, ხოლო ერთიც თავს რელიგიურად არ მიიჩნევს, მაგრამ ამავდროულად აღნიშნავს რომ ბავშვობაში მართლმადიდებლური წესითმოინათლა.

ცხრილი 1: საქართველოში ჩატარებული ინტერვიუების რესპონდენტთა აღწერა

| რესპონდენტები ს განაწილება | სასულიერო პირი | ხელისუფლების წარმომადგენე ლი | პოლიტიკოს ი | აქტივისტი | ექსპერტი |
|---|---|---|---|---|---|
| 2024-25 წლებში სადოქტოროსთ ვის ჩატარებული ინტერვიუები | 4 | | 1 | | 6 |
| 2017 წელს სამაგისტროსთვ ის ჩატარებული ინტერვიუები | 6 | 1 | | 1 | 5 |

### *როგორ აღიქვამენ სეკულარიზმს საქართველოში?*

უშუალოდ ის თუ რამდენად მნიშვნელოვანია სეკულარიზმის პრინციპების დაცვა, ამაზე სასულიერო პირების ნაწილი აღნიშნავს რომ მხოლოდ ეკლესიური ცხოვრება ამ წუთისოფელში არ გამოდის და არც დადებითი შედეგი არ მოაქვს, რადგან მმართველობის სფერო და სახელმწიფოს წესრიგის უზრუნველჰყოფა სასულიერო საკითხი არაა და შესაბამისად გამიჯვნა ისტორიულად გარდაუვალი იყო (რესპონდენტი 8, პირადი კომუნიკაცია, 2017). ამის საპირისპიროდ, ერთ-ერთმა სასულიერო პირმა კი განმარტა რომ იდეალური სახელმწიფო რელიგიური სწავლების მიხედვით არის

თეოკრატიული სახელმწიფო, თუმცა დღეს ეს არ მოქმედებს (რესპონდენტი 1, პირადი კომუნიკაცია, 2017). შესაბამისად, შეიძლება ითქვას რომ ამ კუთხით სასულიერო პირებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

2017 წელს ხელისუფლების წარმომადგენლთან ჩატარებულ ინტერვიუში რესპონდენტის განმარტებით: "სეკულარიზმი არის იმის უზრუნველყოფის საშულება, რომ ეკლესია იყოს დამოუკდებელი" (რესპონდენტი 13, ხელისუფლების წარმომადგენელი, 2017). ექსპერთა ნაწილის განმარტებით, "სახელმწიფო უნდა იყოს სეკულარული, მაგრამ ეკლესია სეკულარული ვერ იქნება. ნებისმიერი რელიგიური ინსტიტუცია ვერ იქნება სეკულარული, იმიტომ რომ მისი მიზანი არის ანტისეკულარული" (რესპონდენტი 15, ექსპერტი, პირადი კომუნიკაცია, 2017). ამ არგუმენტის გაგრძელებად აქვე საინტერესოდ განმარტა ერთ-ერთმა სასულიერო პირმა: "სეკულარიზმზე ჩვენ ვამბობთ, როცა ეკლესია სეკუარულია, ეს ნიშნავს რომ ეკლესიაში მოძღვარი არის, ფორმა აქვს, მაგრამ სიცოცხლე არა აქვს." თუმცა, როცა საქმე უშუალოს ინსტიტუციურ დონეზე გამიჯვნას ეხება, ამაში სასულიერო პირები არა პრობლემას, არამედ პირიქით პოზიტიურ ტენდენციას ხედავენ. ერთ-ერთი სასულიერი პირი იმასაც აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი როცა ეკლესის ჩარჩოში სვამდა, ის ფაქტობრივად ახრჩობდა ეკლესიას და ამასთან შედარებით სეკულარიზაცია ფუფუნებააო, თუმცა მისივე თქმით არც ეკლესიის გაბატონება და სახელმწიფოს მის ჭკუაზე სიარულია მისაღები (რესპოდენტი 1, სასულიერო პირი, პირადი კომუნიკაცია, 2017). ერთ-ერთი სასულიერო პირი კი უფრო მკაფიოდ აფიქსირებს თავის აზრს და ამბობს რომ დღევანდელობაში ინსტიტუციურ დონეზე სეკულარიზმი ერთადერთი მისაღები ფორმაა სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობისა (რესპოდენტი 2, სასულიერო პირი, პირადი კომუნიკაცია, 2017). ამ არგუმენტის გაგრძელაბად შეიძლება მოვიშველიოთ გამოკითხული ექსპერტის სიტყვები, რომლის მტკიცებითაც სეკულარიზმი თანამედროვეობის მოთხოვნაა, რაც ქრისტიანობისთვისაც კარგია. ის მიიჩნევს რომ სეკულარიზმის გატარება სჯობს ვიდრე რაიმე ფორმით თეოკრატიული მოდელისკენ, ან კლერიკალიზმისკენ გადახრილი სახელმწიფო, რადგან სეკულარული პრინციპები

ეკლესიისთვისაც ხელსაყრელია (რესპონდენტი 14, ექსპერტი, პირადი კომუნიკაცია, 2017).

სეკულარიზმს როგორც ნეიტრალობას და სეკულარიზმს როგორც რწმენისა და რელიგიის თავისუფლებას ექსპერტების, მკვლევრების და თეოლოგების ნაწილი ხსნის, თუ რა პრაქტიკული განვითარება აქვს საქართველოში. დარგის მკვლევარი განმარტავს, რომ სეკულარიზმი რელიგიური სფეროსგან საერო სფეროს ნეიტრალიტეტს ნიშნავს რელიგიური გარკვეული თვალსაზრისით და არა მხოლოდ გამიჯვნას. უბრალოდ მისი თქმით მნიშვნელოვანია როგორ პრაქტკაში მოდის ნეიტრალიტეტი, რამდენად რეალისტურია ის კონკრეტულ კონტექსტში (მეტრეველი, პირადი კომუნიკაია, 2025). ის იქვე ავითარებს აზრს რაც სხვა ექსპერტებმაც გააჟღერეს მანამდე, რომ თუნდაც ყველაზე სეკულარულ სახელმწიფოებში გარკვეულ რელიგიებს მაინც აქვთ რაღაც უპირატესობები, კერძოდ ღირებულებების კონტექსტში, მაგრამ თავისი ავტონომიით და არა პრივილეგირებულობით. ის აზუსტებს და ამბობს შემდეგს: “სეკულარიზმი რაღაც თვალსაზრისით […] ჩემთვის ნეიტრალიტეტს ნიშნავს რელიგიური ჯგუფების მიმართ, ერთის მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან და მეორეს მხრივ […] თავის დომეინში დარჩენას რელიგიური ინსტიტუტების მხრივადაც” (მეტრეველი, პირადი კომუნიკაცია, 2025). მინდიაშილი ნეიტრალურობის საკითხს ასევე ხსნის იმითაც რომ პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტისას პირი არ უნდა იყოს მოტივირებული რელიგიით, იმ შემთხვევაშიც კი თუ კი ის თავის რელიგიასთან წინააღმდეგობაში მოდის. აქვე მისი თქმით ნეიტრალობა უდევს საფუძვლად ასევე რელიგიის თავისუფლების პრინციპს (მინდიაშილი, პირადი კომუნიკაცია, 2025; მეტრეველი, პირადი კომუნიკაცია, 2025).

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების პრინციპს რაც შეეხება, დარგის მკვლევარი განმარტავს რომ ამ ტიპის თავისუფლებით სარგებლობა არის ფუნდამენტური უფლება რომლითაც ყველა თანაბრად უნდა სარგებლობდეს განურჩევლად მისი რელიგიისა, ასაკისა, თუ გენდერისა, რაც სეკულარიზმს უდევს საფუძვლად. მისი თქმით ტექნიკური თვალსაზრისით ეს წარმოადგენს პრობლემებს მრავალ შრეზე, როგორც

სტრუქტურული, ისე ინდივიდუალური თვალსაზრისით (რესპონდენტი 1, პირადი კომუნიკაცია, 2025). ის განმარტავს, რომ "ადამიანებს არ ეძლევათ იგივე სალოცავების თავისუფლად მშენებლობის უფლება, რელიგიის და რწმენის თავისუფლად განხორციელების უფლება, არის დისკრიმინაციული მიდგომები სკოლაში" (რესპონდენტი 1, პირადი კომუნიკაცია, 2025). მისი თქმით საჯარო სკოლებში აკრძალულია კანონით პროლეტარიზმი, რელიგიური სიმბოლიკების აკადემიური დანიშნულებით გამოყენება, მაგრამ პრაქტიკაში საპირისპირო ხდება, რაც სეკულარობის პრინციპის დარღვევაა. მან აღნიშნა, რომ მთავარი პრობლმაც ამაშია, რადგან "ზუსტად ასეთი არასეკულარული ურთიერთობის ინსტრუმენტალიზება ხდება, იმისთვის რომ ხელისუფლებამ მოიპოვოს ლეგიტიმაცია, რაც მუდმივი პრობლემაა (რესპონდენტი 1, პირადი კომუნიკაცია, 2025).

### *რამდენად სეკულარულია საქართველო?*

სეკულარიზმზე საუბრისას რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია და თანხვედრა გამოიკვეთა რესპონდენტების პასუხებში. უპირველეს ყოვლისა, რესპონდენტების უმრავლესობის აზრი ემთხვევა იმაში, რომ თუ სეკულარიზმში იგულისხმება გამიჯვნა საერო და სასულიერო სფეროებს შორის, მაშინ სამართლებრივად კონსტიტუციის დონეზე საქართველო სეკულარულ სახელმწიფოდ შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა პრაქტიკაში მათი უმრავლესობა მიიჩნევს რომ ხშირად ამ ორის გამიჯვნა ერთმანეთისგან არ ხდება, განსაკუთრებით სახელმწიფოს ეკლესიის საქმიანობაში ჩარევისგან თავის არიდების თვალსაზრისით (რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025; ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025; მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025; ნოდია, პირადი კომუნიკაცია, 2025; მეტრეველი, პირადი კომუნიკაცია, 2025; აბაშიძე, პირადი კომუნიკაცია, 2025).

მეორე საკითხი რაზეც უმრავლესობა თანხმდება არის ის, რომ როცა საქმე ეხება იმას, თუ რომელი ახდენს უფრო მეტ გავლენას მეორეზე, აზრები უფრო იქითკენ იხრება რომ

სახელმწიფო ახდენს მეტად გავლენას ეკლესიაზე და არა პირიქით (სხილაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 2, პირადი კომუნიკაცია, 2025; ჭედია, პირადი კომუნიკაცია, 2025). ამის დასტურად ასევე რამდენიმე რესპონდენტმა ახსნა რომ მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მცდელობა ადრეც იყო, რომ პერიოდულად ხდებოდა მსგავსი მოძრაობების წამოწევა (ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპოდენტი 2, პირადი კომუნიკაცია, 2025). შესაბამისად, ეკლესიის სახელმწიფოზე დაქვემდებარების სურვილი არა ერთ მმართველს ჰქონდა. უფრო ღრმა ისტორიულ საფუძვლებს დაუბრუნდა რამდენიმე რესპონდენტი, რომლებიც ცეზაროპაპიზმის და სიმფონიის პრინციპზე ამახვილებდა ყურადღებას. კერძოდ ერთ-ერთმა მათგანმა ახსენა რომ მართლმადიდებელ ეკლესიას რომის კათოლიკური ეკლესია ოდითგანვე უწოდებს *ცეზაროპაპისტულ* ეკლესიას (არქიმანდრიტი დოროტე ყურაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). დარგის ექსპერტი ამ ურთიერთობას შემდეგნაირად ახასიათებს: “ამ ორი ინსტიტუციის ურთიერთობა 33 წლიან ანგარებიან ქორწინებას ჰგავს, ერთმანეთი მობეზრდათ, ხშირად “ოჯახური კონფლიქტებიც” აქვთ მაგრამ გაყრა და ოჯახის დანგრევა არ სურთ რადგან ორივეს სარგებელი აქვს ამ ქორწინებიდან” (ჭედია, პირადი კომუნიკაცია, 2025).

რაც შეეხება თანამედროვე საქართველოში სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობის *სიმფონიად* შეფასებას, ამას უარყოფს ერთ-ერთი სასულიერი პირი და ხსნის რომ დღევანდელობაში მართლმადიდებელი ქრისტიანული ერებისთვის *სიმფონიის* ის კლასიკური ფორმატი კი არ არის დამახასიათებელი საქართველოში, არამედ ე.წ. “სერგიანობა” (სერგიანიზმი). როგორც სასულიერო პირი ხსნის, ეს რუსეთიდან მოდის და ეს დაკავშირებულია იმ მიტროპოლიტთან, რომლის სახელი იყო სერგი, გვარად სტრაგოროდცკი (სხილაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). როგორც ისტორიულ წყაროებში ვკითხულობთ, 1917 ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, იმ ფონზე როდესაც ეკლესია სასტიკად იდევნებოდა, მიტროპოლიტმა რომელსაც განათლებულობით და პრაგმატულობით ახასიათებდნენ, 1927 წელს გამოსცა სადავო დეკლარაცია, რის მიხედვითად მან ლოიალობა გამოთქვა საბჭოთა მმართველობის მიმართ, რაც

მიუთითებდა იმაზე რომ ეკლესია იმ რეჟიმისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა (Seide, 2020). სასულიერო პირის მტკიცებით კი ეს დეკლარაცია მას ძალით დააწერინეს და ის ასე ვთქვათ გატეხეს. ხოლო დეკლარაციის შინაარსის მიხედვით ხელისუფლებასთან, სახელმწიფოსთან მონამორჩილ თანამშრომლობას "სერგიანობად" მოიხსენიებენ (სხილაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). სწორედ ასეთად მოიხსენიებს ის თანამედროვე საქართველოში ეკლესია-სახელმწიფოს შორის ურთიერთობას და ხსნის რომ კონკრეტული რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ღირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მმართველი არის სწორი და მორწმუნე ადამიანი, ხოლო როცა ასე არაა, მაშინ "სერგიანობის" მოდელთან გვაქვს საქმე, რასაც ის უწოდებს "საეკლესიო ხელისუფლების უღმერთო ხელისუფლებისადმი მორჩილებას" (სხილაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025) და ამბობს რომ ეს არ არის იმ *სიმფონიის* მსგავსი, იმ ტიპის თანამშრომლობის რაც ადრე ისტორიურად არსებობდა.

პოლიტიკოსი რესპონდენტი, რომელიც უშუალოდ იყო ჩართული კონკორდატის შემუშავებაში მიიჩნევს, რომ დღევანდელ რეალობაში სახელმწიფოს ძალიან ბევრი კონტროლის მექანიზმი აქვს მოპოვებული ეკლესიაზე, რაც მისივე თქმით არალეგიტიმური და არადემოკრატიულია (ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). თეოლოგის და ექსპერტის მოსაზრებით "ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი ინტერვენცია მოახდინა ქართულმა ოცნებამ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმიანობაში და ასევე სხვა რელიგიური გაერთიანებების საქმიანობაში" (მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). სასულიერო პირიც ამ აზრს ავითარებს და 90-იან წლებში ეკლესიის მოღვაწეობას თვითდამკვიდრების პროცესად აფასებს, თუმცა ამის მიუხედავად შემდგომი განვითარება როგორც მოხდა, მის მიხედვით წარმატებული არ იყო ეს პროცესი, გამომდინარეობს იქიდან რომ ეკლესია სახელმწიფოს ინსტრუმენტად იქცა და არა დამოუკიდებელ ინსტიტუტად რომელიც თავისი პრინციპებით ხელმძღვანელობს (რესპონდენტი 2, პირადი კომუნიკაცია, 2025). შესაბამისად, მისივე გადმოსახედიდან, თანავედროვე საქართველოში არის მოცემულობა, როცა "აღრეული არის ის უფლებამოსილებები"[.......] ქვეყანა არ იმართება

სამართლებრივი ბაზისით, კონსტიტუციის მიხედვით არ ხდება ამ ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება" (რესპონდენტი 2, პირადი კომუნიკაცია, 2025).

თეოლოგების ნაწილის აზრით საქართველო არ არის მკაცრი სეკულარიზმის, ფრანგული ლაიციზმის სეკულარიზმის მოდელის ქვეყანა (მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). მათი განმარტებით, საქართველო არ არის არც ისეთი ტიპის ქვეყანა, რომელიც სახელმწიფო რელიგიას ცნობს. არც დიდი ბრიტანული მოდელი, როდესაც მონარქი არის არის ეკლესიის თავი და პრემიერ-მინისტრთან თანხმდება მთავარეპისკოპოსის პოზიცია თუ ვინ იქნება ამ პოზიციაზე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სეკულარული ქვეყანა არ არის. მისი განმარტებით, სეკულარიზმი ამ შემთხვევაში ჩადის ჯონ ლოკის იდეებთან, რომელიც გულისხმობს არა ესეთ გამიჯვნას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, არამედ იმ პარალელიზმს, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომელშიც რომელშიც სახელმწიფო არსებობს და ეკლესია არსებობს. სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს სულისხსნის საკითხში, ხოლო ეკლესია არ უნდა ერეოდეს ლოკის მიხედვით სახელმწიფო პოლიტიკური საკითხების გადაჭრაში. ეს ეხმიანება სახარებაში გამოთქმულ იდეას კეისარს კეისრის, ღმერთს ღმერთის (მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 14, ექსპერტი 2017). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი სასულიერო პირი მიიჩნევს რომ რომაულმა ეკლესიამაც კი ვერ მოაგვარა ჩარევის პრაქტიკა და "ღმერთს ღმრთისა და კეისარს კეისრისა" არ მუშაობდა მას მერე რაც პაპი დამტკიცდა და "თავადვე გახდა კეისარიც" (არქიმანდრიტი დოროტე ყურაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). მისი თქმით ჩარევები ყოველთვის იქნება და სახელმწიფო მოხელეები მუდმივად ერევიან ეკლესიაში დანიშვნების პროცესშიც კი (არქიმანდრიტი დოროტე ყურაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025).

### *კონსტიტუციურად მართლმადიდებელი ეკლესიის როლის სხვადასხვაგვარი აღქმა*

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის „კონსტიტუციური შეთანხმებაზე", ე.წ. "კონკორდატზე" მსჯელობისას გამოიკვეთა, რომ ზოგი ეთანხმება იმ განმარტებას რომ

ის ვატიკანის მოდელის ანალოგია (ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025) და 2002 წელს კონკორდატის შემუშავებას დადებითად აფასებს, რისი მიზანიც სამართლებრივი ბაზისის გამართვა იყო. ჩიხრაძის თქმით ეს იყო ურთიერთჩაურევლობის ერთგვარი გარანტიის უზრუნველმჰყოფი ფაქტორი (ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). თუმცა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ კონკორდატით განსაზღვრული თემები რაშიც უნდა ეთანამშრომლათ კარგად ვერ განვითარდა (ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). რესპონდენტის თქმით იყო ბევრი მცდელობა შემდგომ პოლიტიკური მიზნებისთვის რელიგიური თემების გამოყენებისა - ამიტომ ის მიიჩნევს, რომ სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობა ერთგვაროვანი არ იყო, ზოგჯერ დაპირისპირების ფორმაც ქონდა და თუ ვინმე პოზიტიურ როლს ასრულებდა ამ პროცესში მისი თქმით ეს პატრიარქი ილია II იყო (ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). ზოგიერთი სასულიერო პირი გამოთქვამს უკმაყოფილებას იმაზე რომ ეკლესია არის თითქმის განდევნილი სახელმწიფო საგანმანათლებლო სტრუქტურებიდან და აპელირებს იმაზე რომ ფაქტობრივად რიგ შემთხვევებში არ სრულდება  კონკორდატი სამწუხაროდ (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2017). გარდა კონკორდატში შეტანილი უფლებამოსილებებისა, ზოგიერთი სასულიერო პირი მიიჩნევს რომ ეს საკმარისი არ არის და რაც არის ისიც დასახვეწია. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა რომ კონკორდატი არ მოიცავს ბევრ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს რაც აუცილებლად შესატანია (რესპონდენტი 8,  სასულიერო პირი, პირადი კომუნიკაცია, 2017).

ექსპერტების და თეოლოგების ნაწილი მიიჩნევს რომ კონკორდატს არაფერი საერთო არ აქვს ვატიკანის მოდელთან, რადგან სხვა სახელმწიფოსთან კი არ დაიდო ხელშეკრულება, არამედ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის საქართველოში (მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). თეოლოგის თქმით  ფაქტობრივად ისსახელმწიფოში სახელმწიფოს აღიარებს ამ თვალსაზრისით, საპატრიარქოს სახით, იმიტომ რომ ეს არ არის მთავრობასა და ეკლესიას შორისადებული ხელშეკრულება, მაგრამ ამავდროულად ის მიჯნავს კიდევაც ეკლესიასა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან

(მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025).

განსხვავებული მოსაზრებებია საკონსტიტუციო ჩანაწერში მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიულ მნიშვნელობაზეც. ნაწილი მის ისტორიულ როლზე ხაზგასმას პოზიტიურად აფასებს, ამაზე პოზიტიურადაა განწყტობილი ნაწილი (აბაშიძე, პირადი კომუნიკაცია, 2025; ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025), ხოლო ნაწილი ექსპერტებისა და სასულიერი პირებისა არასწორად მიიჩნევს მის როლზე ჩანაწერის არსებობას გარკვეულ მიზეზთა გამო (სხილაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). ამ ჩანაწერის მომხრეებიდან ერთ-ერთმა ახსნა რომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ საქართველოს ისტორია ბევრ მონაკვეთში განსაზღვრა და შემდეგ უფრო განაზოგადა და თქვა რომ ზოგადად ქრისტიანობამ განსაზღვრა საქართველოში ბევრი რამ (ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025).

განსხვავებული მოსაზრება აქვს ერთ-ერთ სასულიერო პირს, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩანაწერი რომ სახელმწიფო ითვალისწინებს მართლმადიდებელი ეკლესიის როლს სრულიად უადგილოა, რადგანროლი და ისტორიული მნიშვნელობა მისი თქმით ისტორიის საგანია, ხოლო ეკლესია სულიერი მოვლენაა. *"კონსტიტუციაში თუ ეს წერია, რომ ითვალისწინებს, ანუ რას ნიშნავს, რახან ითვალისწინებს, ესე იგი, შესაბამისი მისი ზომებიც უნდა მიიღოს, ანუ ესე იგი, რაღაცნაირად ემსახუროს რელიგიურ ინსტიტუტს, მას ხარკი მოუხადოს და ითანამშრომლოს და ეს უკვე სეკულარიზმი აღარ არის"* - აღნიშნა ერთ-ერთმა სასულიერო პირმა (სხილაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025).

ასევე არსებობს არა მაინც და მაინც საპირისპირო, მაგრამ სრულიად განსხვავებული მიდგომაც ეკლესიის როლის შესახებ. ექსპერტთაგან, ერთ-ერთმა ასევე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ეგანსაკუთრებული როლი აქვს ეკლესიას საქართველოს ისტორიაში და არა თანამედროვეობაში. ის განმარტავს რომ თუ კონსტიტუციური შეთანხმებით, კონსტიტუციით აქვს მართლმადიდებელ ეკლესიას განსაკუთრებული

როლი, აქ მოიაზრება მისი ისტორიული როლი. ის ამბობს რომ ამას დაამატეს თითქოს განსაკუთრებული როლი მას თანამედროვეობაში მიუძღვის, რასაც არ ეთანხმება. ის ხსნის რომ არსებობს ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება, რაც საკონსტიტუციო სარჩელზე დაყრდნობით განმარტა სასამართლომ. კერძოს ის რომ საქართველოს ისტორიაში, მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი არ მოიაზრებს მისთვის პრივილეგიების მინიჭებას. ხოლო რესპონდენტი ამბობს რომ პრაქტიკაში ამ პრივილეგიებს ადგილი აქვს, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა დაფუძნებული არის ზუსტად ყველანაირი სამართლებრივი, სოციალური პრივილეგიების მინიჭებაზე მართლმადიდებელი ეკლესიისთვის. ამიტომ ის ამტკიცებს რომ აქედან გამომდინარე არსებობს დისკრიმინაციული გარემო, სამართლებრივი და სოციალური გარემო სხვა რელიგიური გაერთიანებებისათვის თუ სხვა დენომინაციას მიკუთვნებული ადამიანებისათვის, რაც ვლინდება ძალიან ბევრ სფეროში (რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე “ქართული ოცნების” ხელისუფლება და საპატრიარქო კონსტიტუციაში შესატან ცვლილებაზე შეთანხმდნენ, რათა მართლმადიდებლობა მოხსენიებულ იქნეს როგორც ქართული სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენი – რის განხორციელებასაც საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში განიზრახავდნენ, რაც ვერ მოხერხდა. მანამდე კი ხელისუფლების შეთავაზება ეკლესიისადმი იყო მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, რაზეც ეკლესიისგან უარი მიიღეს (1TV, 2024).

### *შეფასებები მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მცდელობებზე*

მართლმადიდებელი რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თაობაზე რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება რომ საქართველოს

შემთხვევაში ეს არ იქნება სწორი და ჯანსაღი ურთიერთობის ფორმა. გამოიკვეთა რომ მისი სახელწიფო რელიგიად გამოცხადების მცდელობა რეალურად სუბორდინაციის მიღწევის მცდელობად ითვლება ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში. როგორც კონკორდატზე მომუშავე ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავდა, 90-იანებიდან მოყოლებული მსგავსი მცდელობები სხვადასხვა დროს იჩენდა ხოლმე თავს, მაგრამ ამის განხორციელება ვერასდროს ვერ მოხერხდა (ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). თეოლოგის და ექსპერტის თმით, *ქართული ოცნების* 2024 წლის ინიციატივა მართლმადიდებელი რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გადაკეთების შესახებ მისი თქმით ისე იყო მიწოდებული საზოგადოებისთვის თითქოს უფრო დიდი და მნიშვნელოვანი სტატუსი უნდა მინიჭებოდა მართლმადიდებელ ეკლესიას. თუმცა ეს რეალურად ეკლესიის დაქვემდებარებას ისახავდა მისი გადმოსახედიდან მიზნად და სწორედ ამის გამო მიიღეს წინააღმდეგობა ეკლესიის მხრიდან (მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). სასულიერო პირთაგან ერთ-ერთი საბერძნეთის მაგალითზე დაყრდნობით აკრიტიკებს მსგავს მოდელს და ამბობს რომ საბერძნეთში სახელმწიფო რელიგიად მართლმადიდებელი ქრისტიანობის გამოცხადებას რაიმე განსაკუთრებული სიკეთე არ მოუტანია. ის ამტკიცებს რომ პირიქით მოხდა რადგან ინსტიტუციურად ერთ სივრცეში არიან ეკლესია და სახელმწიფო, ეკლესია როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთი სტრუქტურა ისე აღიქმება და ეპისკოპოსს მღვდლის კურთხევა არ შეუძლია, თუ იქიდან არ მოვიდა დასტური (რესპონდენტი 1, სასულიერო პირი, პირადი კომუნიკაცია, 2017). გარდა ამისა, საბერძნეთის მოდელი დაფინანსების ერთი მხრივ გაკრიტიკებულია ზოგიერთი სასულიერი პირის მხრიდან, ხოლო მეორე მხრივ გამართლება აქვს ამას მოძებნილი იქიდან გამომდინარე რომ საარსებოდ ხელფასები მნიშვნელოვანია რომ ცალკე ბიზნესის კეთება არ მოუწიოთ და სრულად სასულიერო საქმეს დაუთმონ თავიანთი დრო (რესპონდენტი 1, პირადი კომუნიკაცია, 2025); ერთ-ერთი ექსპერტი განმარტავს რომ 21-ე საუკუნეში კონსტიტუციურად მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება პოპულიზმის ნიშნებს შეიცავს. ასევე მაგალითად მოჰყავს შევარდნაძის პერიოდში მსგავსი მცდელობის არსებობა, მითუფრო იმ პირობებში როდესაც შევარდნაძე თავად არ იყო მისი მტკიცებით “გადამკვდარი

ქრისტიანი” (რესპონდენტი 11, ექსპერტი, პირადი კომუნიკაცია, 2017). ამავე ხაზის გაგრძელებად მან განმარტა რომ როდესაც საბერძნეთში მსგავსი კონსტიტუცია მიიღეს მაშინ მეფეების და სახელმწიფო რელიგიების ეპოქა იყო ზოგადად (რესპონდენტი 11, ექსპერტი, პირადი კომუნიკაცია, 2017).

მეორე მხრივ, ექსპერტთა ნაწილი თვლის რომ ხელისუფლება საჭიროდ მიიჩნევს ეკლესიისგან ერთგვარად არაფორმალურად ხელდასმას და გარდა ხელისუფლებებისა, ადამიანთა მოლოდონიც არის რომ ხელისუფლებასა და დომინანტ ეკლესიას შოროს გარკვეული სახის პარტნიორობა არსებობდეს, რადგან ხელისუფლებასაც სჭირდება ლეგიტიმაცია ეკლესიისგან (ნოდია, პირადი კომუნიკაცია, 2025). ასევე სხვა ექსპერტი განმარტავს რომ რელიგია ჭეშმარიტების სფეროა, შესაბამისად ეკლესიაც ჭეშმარიტების სფეროა და სახელმწიფო კი სამართლის სფეროს წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს რომ ეს ორი ერთმანეთისგან განცალკევებულია ისედაც შინაარსობრივად. ის არ უარყოფს რომ ისინი ერთმანეთზე გავლენას ახდენენ, მაგრამ აღნიშნავს შემდეგს: “როგორც კი შენ მოინდომებ ამ ორის შერწყმას, ისინი კონფლიქტში აღმოჩნდებიან ერთმანეთთან” (რესპონდენტი 9, ექსპერტი, პირადი კომუნიკაცია, 2017). ასევე პოლიტიკოსიც თავისივე ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე ინტერვიუში ახსენებს რომ როცა სახელმწიფო ეკლესიის გამოყენებას იწყებს მისი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად შესაძლოა ეს ურთიერთობა რაღაც ეტაპზე დაპირისპირებაში გადაიზარდოს (ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025).

ეკლესიის დაქვემდებარების და ამავდროულად რეალურად ეტაპობრივად დაპირისპირების კერად ქცევის ერთ-ერთ მაგალითად რესპოდენტებიდან რამდენიმემ სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან ფარული ჩანაწერები მოიყვანა, რის საფუძველზეც ისინი ამტკიცებენ რომ დასტურდება სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის მაქსიმალური კონტროლის ფაქტები (მინდიაშილი, პირადი კომუნიაცია, 2025; ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025).  კერძოდ, მინდიაშვილი ამბობს რომ სახელმწიფო თანამედროვეობაში “აკონტროლებს, როგორც შინაარს, ასევე სასულიერო პირების

საქმიანობას, ცდილობს რაღაც პროცესების მართვას, რაღაცა ინტერესების განხორციელებას, ვთქვათ, საკუთარი ინტერესების განხორციელებას, ეკლესიის და სხვა რელიგიური გაერთიანებების შიგნით, ზოგან გახლიჩვას მაგალითად" (მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). ჩიხრაძე ფარული ჩანაწერებზე ამბობს რომ:

> *ეს არის უკანონო მოსმენების და უკანონო მიყურადების შედეგად გაჩენილი უამრავი მასალა, რომელიც როგორც ჩანს ძალიან სერიოზული მასშტაბით არის შანტაჟისთვის გამოყენებული და ძალიან ხშირად ალბათ სახელმწიფოს მოთხოვნით და ალბათ არ ვამბობ შემთხვევით, იმიტომ რომ ბევრი ასეთი მაგალითი არის ჩემთვის ცნობილი, რომ საეკლესიო პირები მაღალი სასულიერო იერარქები ხშირ შემთხვევაში იმეორებენ სახელმწიფოს პირველი პირების ძალიან აგრესიულ რიტორიკას (ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025).*

### 4.1.1. ფაქტები და მოსაზრებები საპატრიარქოს დაფინანსებაზე

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას საზოგადოებრივი აზრი გამოკითხვის თანახმად მოსახლეობის 61% ემხრობა, ხოლო 30% არ ემხრობა (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო 2018). ინტერვიუს რესპოდენტთა აზრები კი ამ საკითხზე ერთგვაროვანი არ არის. კერძოდ, დარგის მკვლევრები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი არის დაფინანსების მთვარი წყარო, თუმცა თვითმართველობებიდანაც ხდება ხოლმე გარკვეული თანხების გამოყოფა ადგილობრივ ეკლესიებზე, რაც სრულად გამჭვირვალე არაა (რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025). ხოლო თეოლოგი იშველიებს მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების ოფიციალურ განმარტებას და ამბობს რომ სახელმწიფო თავის თავზე იღებს გარკვეულ კომპენსირებას იმ ზარალისა, რაც ეკლესიას მიადგა (აბაშიძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). სახელმწიფო დაფინანსება ოფიციალური მონაცემებით ძირითადად განათლებაზე იხარჯება, თუმცა რესპონდენტის მიხედვით ეს თემა სპეკულაციის

საგანია რადგან დაფინანსება არ არის სრულად გამჭვირვალე (რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025; მეტრეველი, პირადი კომუნიკაცია, 2025). გამოკითხულ სასულიერო პირთაგან ორი მიიჩნევს რომ დაფინანსების მიუხედავად სასულიერო განათლების ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი (არქიმანდრიტი დოროთე ყურაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025, სხილაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 2, პირადი კომუნიკაცია, 2025). ერთ-ერთი სასულიერი პირი ეკლესიის სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების იდეას აკრიტიკებს იმის გამო რომ მისი თქმით ეს ეკლესიის დამოუკიდებლობას ასუსტებს (რესპონდენტი 2, პირადი კომუნიკაცია, 2025), ის ამატებს შემდეგს: "დაფინანსება არის ძირითადად ის გზაჯვარედინი შესაყარი დღეს სახელმწიფოსა და ეკლესიის, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ პრიორიტეტულია" (რესპონდენტი 2, პირადი კომუნიკაცია, 2025). ამის საპირისპიროდ კი თეოლოგი ამტკიცებს რომ დაფინანსების თემა ცოტა გაზვიადებულია (აბაშიძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). ხოლო დარგის მკვლევარი ხსნის რომ მიუხედავად იმისა რომ სააკაშილის მმართველობის დროს ეკლესიას დაფინანსება და პრივილეგიები საგრძნობლად გაეზარდათ, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და მას შემდეგ რაც 2011 წელს კანონმდებლობაში შევიდა ცლილებები და რამდენიმე სხვა რელიგიურ ორგანიზაციას მიეცათ უფლება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირებულიყვნენ, ამან მართლმადიდებელი ეკლესიის გულისწყრომა გამოიწვია რადგან მანამდე მხოლოდ მათ ჰქონდათ აღნიშნული იურიდიული სტატუსი (ნოდია, პირადი კომუნიკაცია, 2025). მისივე თქმით ამან ეკლესიასა და მთავრობას შორის ურთიერთობა გარკვეულწილად დაძაბა, რაც მისი აზრით ოპოზიციამ შემდგომ სათავისოდ გამოიყენა კიდეც (ნოდია, პირადი კომუნიკაცია, 2025).

კონკორდატის გაფორმების შემდეგ, ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან საპატრიარქოს 857,600 ლარი გამოეყო (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2013). შემდგომ წლებში ეს დაფინანსება ეტაპობრივად იზრდებოდა, თუმცა მკვეთში ზრდა 2008 წელს დაფიქსირდა რამაც შეადგინა 12 933 400 ლარი, ხოლო 2009 წლიდან კი დაფინანსებამ 26 394 900 ლარი იყო და შემდგომ

წლებში მეტ ნაკლებად ამ ნიშნულზე დარჩა. 2011 და 2012 წლებში მცირედით შემცირდა და 22,800,000 ლარი გახდა, ხოლო 2013 წლიდან, ქართული ოცნების მმართველობის პირობებში დაფინანსება კვლად 25 მილიონი ლარი გახდა (ტაბულა, 2013). 2023 წლის ჩათვლით ეს თანხა სტაბილურად ყოველწლიურად ერიცხებოდა ბიუჯეტიდან საპატრიარქოს, ხოლო 2024 წელს დაფინანსება მკვეთრად გაიზარდა. მთავრობის განკარგულებით საპატრიარქოს კიდევ დამატებით 35 მილიონი ლარი გამოეყო დაახლოებით 50 საგანმანათლებლო დაწესებულების დასაფინანსებლად (ბიზნეს მედია, 2024). ამაზე გაკეთდა განცხადება რომ ეს მხოლოდ 5 მილიონით გაზრდილი დაფინანსებაა, რადგან წინა წლებში ეკლესიას ისედაც 30 მინიონი ერიცხებოდა (ბიზნეს მედია, 2024; საქართველოს მთავრობა, 2024). გელათის მონასწტრის რეკონსტრუქციის მიზნით საპატრიარქოს კიდევ 7 500 000 მილიონი ლარი გამოეყო (საქართველოს მთავრობა 2024). ჯამში 2024 წელს საპატრიარქომ და მას დაქვემდებარებულმა დაწესებულებებმა დაახლოებით 67 მილიონი ლარი მიიღეს ბიუჯეტიდან (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2024). გარდა მატერიალური ხელშეწყობისა, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ასევე გრკვეული პერიოდით გადაეცემა ხოლმე სხვადასხვა მიწის ნაკვეთები ან მიზერულ ფასად, ან უსასყიდლოდ (პუბლიკა, 2024, სართველოს საპატრიარქო, 2024, საქართველოს მთავრობა, 2024c). ოფიციალური განმარტებით, მიწის საკუთრების საპატრიარქოსთვის გადაცემას აქვს რელიგიური, კულტურული და ასევე სოციალური მიზნები. თუმცა სოციალური სამართლიანობის ცენტრი მიიჩნევს რომ ეს არის თვითნებობა, რაც აჩენს რელიგიური საკითხების პოლიტიკურად ინსტრუმენტალიზების რისკებს და საერთო ჯამში ნეგატიურ გავლენას ახდენს დემოკრატიულ პროცესებზე (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2019).

## 4.1.2. შეხედულებები ეკლესია-სახელმწიფოს შორის არსებულ და სასურველ შესაძლო თანამშრომლობაზე

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუტებს შორის კონკორდატის მიხედვითაც და ბუნებრივადაც გააჩნიათ გადაკვეთის წერტილები. თუმცა, ის თუ რა მიმართულებებით ხედავენ რესპონდენტები მათ შორის თანამშრომლობას და რა მიაჩნიათ მისაღებ ფენომებად, ამაზე როგორც მსგავსი, ისე განსხვავებული პოზიციებიც გამოიკვეთა.

რესპონდენტთა უმრავლესობა თანხმდება იმაზე რომ როგორც სამართლებრივად, ისე ფაქტობრივად განათლება არის ის სფერო სადაც ეკლესიას თავისი როლი გააჩნია (ჭედია, პირადი კომუნიკაცია, 2025; აბაშიძე, პირადი კომუნიკაცია, 2025; მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025; ნოდია, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 1, სასულიერო პირი, პირადი კომუნიკაცია, 2017), “არა მხოლოდ იმით რომ ფლობს საკუთარ მაღალბიუჯეტიან უნივერსიტეტებს, არამედ აქტიურად ცდილობს სასკოლო განათლებაშიც მნიშვნელოვანი როლის შესრულებას” (ჭედია, პირადი კომუნიკაცია, 2025). აქვე აღსანიშნავია რომ საპატრიარქოს გააჩნია თავისი განათლების ცენტრები საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა რეგიონებში, რაზეც დარგის ექსპერტი მიუთითებს (საპატრიარქოს განათლების ცენტრი, 2025). თუმცა, სასულიერო პირების ნაწილის გადმოცემით საქართველო ამ თვალსაზრისით დამოუკიდებელი სწავლებში არ არის (არქიმანდრიტი დოროტე ყურაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025; სხილაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). კერძოდ ერთ-ერთი მათგანი განმარტავს რომ ავტოკეფალია ნიშნავს რომ ადმინისტრაციულად, მმართველობით და ხარ სრულიად დამოუკიდებელი, სხვა ქვეყნებისგან, შენს მმართველობაში. ხოლო სასულიერო პირის თქმით “ჩვენ არ შეგვძლია დამოუკიდებელი სწავლება გვქონდეს. ლიტერატურა არა გვაქ, რუსული ლიტერატურა გვაქ. არავის არ უმუშავია მაგაზე” (არქიმანდრიტი დოროტე ყურაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025).  გარდა აღნიშნულ ცენტრებში სწავლებისა, ეკლესიის მხრიდან არსებობს სკოლებში რელიგიის სწავლების სურვილი,

რაც ადრე სავალდებულო იყო. აბაშიძის თქმით, განათლების სფერო არის საფრთხილო და სკოლებში რელიგიის სწავლება აჯობებს ნებაყოფლობითი იყოს, როგორც ეს გერმანიაშია, ან იყოს რელიგიის სწავლება ოღონდ ნეიტრალური რათა არც ერთი აღმსარებლობის მქონე პირის უფლება არ დაირღვეს (აბაშიძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). თეოლოგი ასევე ხსნის რომ აუცილებელია ამგვარი სწავლებისთვის არსებობდნენ შესაბამისი სპეციალისტები (აბაშიძე, პირადი კომუნიკაცია, 2025).

მეორე საკითხს, რასაც რესპონდენტები გამოყოფენ არის ეკლესიის საკანონმდებლო პროცესში ჩართვა. “პრაქტიკულად, ეკლესიას აქვს შესაძლებლობა ახალი კანონის მიღების ინიციატივით გამოვიდეს, ან უკვე არსებული კანონი შეაცვლევინოს ხელისუფლებას ან დაბლოკოს რომელიმე კანონი თუ მის შეხედულებას არ შეესაბამება” - ამბობს მეტრეველი. მისი თქმით სამოქალაქო ქორწინებისა და რელიგიური ქორწინების წესის სამართლებრივი გათანაბრებაც ეკლესიის სამრთლებრივ სფეროში შეჭრის თვალსაჩინო მაგალითია (მეტრეველი, პირადი კომუნიკაცია, 2025).

ამის გარდა, რესპონდენტმა ასევე ახსენა საპატრიარქოს შეწყალების კომისია და ის გადასცემს ხოლმე სახელმწიფოს შესაწყალებელთა სიას (რესპონდენტი 1, პირადი კომუნიკაცია, 2025). თუმცა აქვე ოფიციალურ წყაროზე დაყრდნობით უნდა განიმარტოს რომ ეს “მსჯავრდებულთა შეწყალების საკითხთა შემსწავლელი კომისია” საპატრიარქოს განმარტებით პატიმართა შესახებ სარეკომენდაციო ხასიათის მასალებს ამზადებს და უშუალოდ მსჯავრდებულთა შეწყალებასთან დაკავშირებით ეკლესია გადაწყვეტილების მიმღები არ არის (საქართველოს საპატრიარქო, 2017).

რესპონდენტებმა ასევე გამოყვეს რამდენიმე სფერო სადაც ეკლესია მეტნაკლებად აქტიურადაა ჩართული, ესაა კაპელანების საქმიანობა ჯარში, თუ პენიტენციურ სისტემაში (აბაშიძე, პირადი კომუნიკაცია, 2025; მეტრეველი, პირადი კომუნიკაცია, 2025); ასვე გამოიკვეთა ისეთი სოციალური სფეროები, როგორიცაა საპატრიარქოს ნარკოდამოკიდებულთა ცენტრი, ბავშვთა სახლები და შშმ პირთა რეაბილიტაციის

ცენტრები (ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025; აბაშიძე, პირადი კომუნიკაცია, 2025; ლიბერალი 2016).

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილისა, ინტერვიუების შედეგებზე დაყრდნობით, უმეტესობა თანხმდება იმაზე რომ ეკლესიას სოციალურ სფეროში მნიშვნელოვანი როლის შეტანა შეუძლია, რაც საკმარისად არ ხდება. თეოლოგების უმრავლესობა მომხრეა რომ იყოს ცხადი გაყოფა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, მაგრამ რაღაც სფეროებში თანამშრომლობაც. სრული დაყოფა ვერ ხერხდება მათი აზრით გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მეტნაკლებად აქტიური წევრია ეკლესიისა (აბაშიძე, პირადი კომუნიკაცია, 2025); თანამშრომლობის მოდელს ემხრობა მინდიაშვილიც და მიიჩნევს რომ კონსრიტუციურად ისედაც გამიჯნულია, უბრალოდ არის გარკვეული გადაკვეთის სფეროები კონკორდატით განსაზღვრული (მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025).

ხელისუფლების წარმომადგენელი 2017 წლის ინტერვიუში ახსენებდა რომ მაგალითად რელიგიური გაერთიანების მხრიდან ორგანიზებული თავშესაფრები შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ იყოს თანადაფინანსებული. შესაბამისად, ის მიიჩნევდა რომ იმ შემთხვევაში თუ საპატრიარქო სოციალურ დახმარებას გაუწევს თანამოქალაქეს და სახელმწიფო თანამონაწილე იქნება, ეს პოზიტიური პრეცედენტი იქნება და საბოლოოდ საპატრიარქომ შეიძება სოციალური დახმარება გაუწიოს თანამოქალაქეებს და თუ სახელმწიფო იქნება თანამონაწილე, ეს შეიძლება იყოს ძალიან კარგი პრეცედენტი თანამშრომლობის. საბოლოოდ კი ადამიანის სოციალური ინტერესების დაცვას მოემსახურება (რესპონდენტი 10, საჯარო პირი, პირადი კომუნიკაცია, 2017). ექსპერტთა ნაწილი განმარტავს რომ სეკულარიზმი არანაირად არ გამორიცხავს თანამშრომლობას, რადგან საქართველოში სეკულარიზმის მკაცრი მოდელი არ მოქმედებს და პირიქით, იმ შემთხვევაში თუ სოციალური სერვისების მიწოდების კუთხით თანამშრომლობა დაიხვეწება, ამას დადებითი შედეგები მოჰყვება (რესპონდენტი 2, პირადი კომუნიკაცია, 2025).

სასულიერო პირების ნაწილი თვლის რომ კაპელანის ინსტიტუტი მნიშვნელოვან სოციალურ როლს ასრულებს საზოგადოებაში და ასევე ფიქრობენ რომ ამაში მღვდლები ხელფასსაც უნდა იღებდნენ, რადგან ამით მათი თქმით "ძალიან ბევრი ადამიანის ზნეობრივი, სულიერი და მოქალაქეობრივი რეაბილიტაცია მოხდა ციხეში" (რესპონდენტი 3, სასულიერო პირი, პირადი კომუნიკაცია, 2017). ექსპერტისა და თეოლოგის გადმოსახედიდან კი ეკლესია სახარებისეულ პრინციპებს უნდა დაუბრუნდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სახელმწიფოსთან ითანამშრომლოს განათლების, ჰუმანიტარული და კულტურული მიმართულებით (რესპონდენტი 11, ექსპერტი, პირადი კომუნიკაცია, 2017; რესპონდენტი 1, სასულიერო პირი, პირადი კომუნიკაცია, 2017).

განსხვავებით სხვა რესპონდენტებისგან, ერთ-ერთი ექსპერტი და თეოლოგი სასულიერო პირების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის საკითხზე ავითარებს სხვა რესპონდენტებისგან განსხვავებულ აზრს. კერძოდ, ის რომ ეკლესია უნდა იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფოსგან მისი აზრით არ ნიშნავს იმას რომ მან არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს პოლიტიკურ პროცესებზე, ჩაერთოს საჯარო საქმიანობაში, პოლიტიკურ საქმიანობაში. ის რომ წინასაარჩევნოდ ეკლესიის ჩართვა ფორმალურად ნებადართული არ არის მისი აზრით სწორი არაა. ის ამას ხსნის ისე თითქოს სასულიერო პირებს ერთმევათ სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის უფლება, მიუხედავად იმისა რომ ისინიც საზოგადოების ნაწილი არიან და პილიტიკურ არჩევანს ისინიც აკეთებენ (მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). მან მაგალითად მოიყვანა ამერიკის შეერთებული შტატები და აღნიშნა, რომ "ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ თვალსაზრისით წინა საარჩევნო პერიოდიც არ არის თავისუფალი ამ რელიგიური ხასიათის აქციებისგან, თუმცა იქაც არის რაღაც შემზღუდავი კანონები" (მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025).

### 4.1.3. საქართველოში ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების ცვალებადობის დინამიკა 90-იანი წლებიდან სხვადასხვა მთავრობების დროს

პოსტ საბჭოთა ტრანსფორმაციისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში პრეზიდენტმა გამსახურდიამ რელიგიას განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა ეროვნული იდენტობის ფორმირების ჭრილში. ეს რეალურად ორგანულ პროცესად ჩამოყალიბდა რადგან მართლმადიდებელი ქრისტიანობა საქართველოს ისტორიის და ზოგადად ეროვნული იდენტობის ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა (Kavadze, 2020; Grdzelidze, 2025). თუმცა გამსახურდიას მმართველობა დემოკრატიზაციის თვალსაზრისით სახარბიელო არ იყო და მისი რეჟიმი *საარჩევნო ავტორიტარიზმად* შეიძლება დასახელდეს, რადგან დემოკრატიული რეფორმების თვალსაზრისით მკაფიო ნაბიჯები არ გადადგმულა (Burkadze, 2022). ეს შესაძლოა მისი ხანმოკლე მმართველობის პერიოდიდან გამომდინარეობდეს, მითუფრო იმ ფონზე რომ საქართველო სახელმწიფოთ ჩამოყალიბების ახალ ტრანზიტულ ფაზაში იყო. გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო ეკლესიის მატერიალური გაძლიერება, კერძო დახურული ტაძრებისა და მონასტრების გახსნა (Jones, 2003). მან საინაუგურაციო სიტყვაში თქვა რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი "არ გულისხმობდა მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დამყარებით" (გამსახურდია, 1991). მისივე თქმით, აქედან გამომდინარე მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა გამოცხადებულიყო (მინდიაშვილი, თოდუა & ღავთაძე, 2023). გამსახურდიას თქმით, ეკლესია და სახელმწიფო ურთიერთის საქმიანობაში არ უნდა ჩარეულიყო, მაგრამ ერთობლივად უნდა უზრუნველეყოთ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა (გამსახურდია, 1980). გაპრეზიდენტებამდე რადენიმე წლით ადრე, 1980 წელს გამსახურდიამ ილია II-ს წერილი მიწერა, სადაც ის ხსნიდა რომ გავრცელეული ამბავი რომ ის თითქოს პატრიარქს ებრძოდა არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და მან ასხნა რომ ის ებრძოდა

“სამღვდელოების რიგებს შეპარულ მამათმავლებს, გამომძალველებს, მექრთამეებს და სხვა უმსგავსობათა მოქმედ ადამიანებს” (გამსახურდია, 1980). მართალია გაპრეზიდენტების შემდეგ მათ შორის ურთიერთობა დასტაბილურდა, მაგრამ დევნილობის დროს 1993 წელს გამსახურდიამ კიდევ ერთი წერილი დაწერა ეკლესიაზე, სადაც მან აღნიშნა რომ მან ეკლესიაში კალისტრატე ცინცაძის შემდეგ მოძღვარი ვერ ნახა, რომ მასთან გაკარება ყველა სასულიერო პირს ეშინოდა და რომ მხოლოდ მამა გაბრიელი, სალოსი გოდერძი ურგებაძე, იყო ის ადამიანი რომელმაც მასთან საუბარი გაბედა და მისი უფროსი შვილი მონათლა. მისი თქმით, ილია II მას არასდროს ღებულობდა და ე.წ. “სუკ”-ის მითითებით წარმართავდა მასთან ურთიერთობას (გამსახურდია, 1993).

**ზვიად გამსახურდიას** (1990–1991) მმართველობის პერიოდში ეკლესია-სახელმწიფოს შორის ურთიერთობა სასულიერი პირებმა, ექსპერტებმა და პოლიტიკოსებმაც შეაფასეს ინტერვიუების ფარგლებში. გამოკითხულთა უმეტესობა მისი მმართველობის ხანას რეალურად რელიგიის აღორძინების და საჯარო სივრცეში რელიგიის დაბრუნების ხანად მოიხსენიებს (რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025; მეტრეველი, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 1 და 3, სასულიერო პირები, პირადი კომუნიკაცია, 2017). ექსპერტთათაგან ერთ-ერთი ამბობს რომ ამის მიუხედავად, იმ დროს ეკლესია ინსტიტუციურად ძლიერი არ ყოფილა (რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025). რესპონდენტთა დიდი ნაწილი ამბობს რომ ეროვნული მოძრაობის პირობებში ეკლესია რეალურად პირველად 90-იანებში გამოჩნდა, ზვიად გამსახურდიამ კი ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმის გაღვივებაში დიდი როლი ითამაშა, თუმცა საგულისხმოა რომ მასსა და ეკლესიას შორის ჰარმონიული ურთიერთობა (ე.წ. “სიმფონია”) არ ყოფილა (ნოდია, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 2, პირადი კომუნიკაცია, 2025; სხილაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). “საქართველოს პირველ, ეროვნული ხელისუფლებასთან საბჭოთა რეჟიმის დროს შექმნილ საპატრიარქოს რთული ურთიერთობა ჰქონდა, [...] ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში საპატრიარქომ ნეგატიური როლი შეასრულა” ამბობს ჭედია (ჭედია, პირადი

კომუნიკაცია, 2025). ერთ-ერთი სასულიერო პირი გამსახურდიას პერიოდს გამონათებას უწოდებს, რადგან ეკლესიის თანამშრომლობა და მონური მორჩილება აღარ იყო გამსახურდიას პერიოდში, მაგრამ ის აღნიშნავს რომ მერე "ისევ მოიღრუბლა" (სხილაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). ერთ-ერთი მეუფის თქმით „90-იანი წლებიდან გამოსვლა და შემდეგ ქვეყნის დიდ ასპარეზზე გასვლა უნდა ყოფილიყო იმის მომასწავლებელი, რომ საყოველთაო ღირებულებებზე და ფასეულობებზე დაფუძნებული იყო რეალურად სახელმწიფო" მაგრამ ამის მიღწევა მან აბსოლუტურად უარჰყო (რესპონდენტი 2, პირადი კომუნიკაცია, 2025). ასევე აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ხელისუფლებაში მყოფი პირი სამაგისტრო ნაშრომისთვის ჩატარებული ინტერვიუს დროს აღნიშნავდა რომ გამსახურდიას და მისი წინამორბედი ხელისუფლების (სააკაშვილის მმართველობის) დროს ითხოვდნენ ეკლესიის ჩარევას ერთი, თუ მეორე მხარის სასარგებლოდ. მაგრამ მისი თქმით პატრიქრქი საბოლოო ჯამში ბრძნულად მოიქცა როცა ეს არ დაუშვა და ეკლესიამ მოახდინა თავისი თავის პოლიტიკური პროცესებიდან დისტანცირება (რესპონდენტი 10, საჯარო პირი, პირადი კომუნიკაცია, 2017). ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს რომ პატრიქრქი ცდილობდა მხარედ არ წარმოჩენილიყო და დაებალანსებინა ურთიერთობები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ რათა დაძაბულობა აერიდებინა ქვეყნისთვის თავიდან (ჩიხრაძე, 2015; რესპონდენტი 9, ექსპერტი, პირადი კომუნიკაცია, 2017).

**ედუარდ შევარდნაძის** (1992–2003) მმართველობის დროს ეკლესიას და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა შეიძლება ითქვას რომ ურთიერთგაგებაზე დაფუძნებული იყო (კავაძე, 2020). კერძოდ, ამ ურთიერთობაში ერთ-ერთი საკვანძო ნაბიჯი 2002 წელს კონკორდატის მიღება და მართლმადიდებელი ეკლესიისთვის დაფინანსების, თუ გარკვეული პრივილეგიების მინიჭება იყო (Dominioni, 2014). გადატრიალების ფონზე ხელისუფლებაში მოსულ შევარდნაძეს ლეგიტიმაციისთვის ეკლესიის მხარდაჭერა ჭიდებოდა და პირველი ადგილი სადაც ის საქართველოში ჩამოსვლისთანავე წავიდა ეკლესია იყო (მინდიაშვილი, თოდუა & ღავთაძე, 2023). დემოკრატიზაციის გზაზე, შევარდნაძის მთავარ ნაბიჯებად საერთაშორისო აღიარება, ეროვნული ვალუტის შექმნა

და 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციის მიღება შეიძლება ჩაითვალოს, რამაც ქვეყანას დემოკრატიული ფასადი შეუქმნა (ანდრონიკაშვილი, 2021). გარდა ამისა, ევრო-ატლანდიტიკური ინტეგრაციის მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები სწორედ მისი მმართველობის დროს გადაიდგა, კერძოდ 1996 წელს საქართველომ ევროკავშირთან დადო პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება (PCA), ხოლო 1999 წელს საქართველო შევიდა ევროსაბჭოში და 2002 წელს შევარდნაძე გამოვიდა სიტყვით ნატოს სამიტზე (ანდრონიკაშვილი, 2021). თუმცა ეს პერიოდი კორუფციაზე დაფუძნებული ცენტრალიზებული მმართველობით (Stefes, 2006) და კონკურენტული ავტორიტარიზმით ხასიათდებოდა (Levitsky & Way, 2010).

გამოკითხული რესპოდენტებიდან, უმრავლესობა ადასტურებს რომ შევარდნაძის მმართველობის დროს სახელმწიფო-ეკლესიას შორის ურთიერთობა სტაბილური იყო (ნოდია, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 2, პირადი კომუნიკაცია, 2025). მეტიც, ერთ-ერთი თეოლოგი იშველიებს მაგალითს, როდესაც 1994 წელს შევარდნაძემ გადადგომის შესახებ განაცხადა და საპასუხოდ პარლამენტის წინ ხალხი შეიკრიბა მისი თანამდებობაზე დარჩენის მოთხოვნით. ხოლო პატრიარქმა ის საჯარო გამოსვლაში საქართველოს მეთაურად გამოაცხადა და წარმოთქვა ცნობილი სიყვები: „ხმა ღვთისა, ხმა ერისა“ (მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). ამით მან შევარდნაძის ძალაუფლება განამტკიცა. დარგის მკვლევრის ახსნით, ამ პერიოდში ეკლესია იყო მალეგიტიმირებელი ინსტიტუტი (მეტრეველი, პირადი კომუნიკაცია, 2025). ერთ-ერთი ექსპერტის თქმით მისი მმართველობის დროს არა მხოლოდ ეკლესიის ინსტიტუციური გავლენები გაძლიერდა, არამედ ასევე გაძლიერდა დევნა სხვა რელიგიური გაერთიანებების წინააღმდეგ (რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025). ხოლო დარგის მკვლევარი ამ პერიოდს ეკლესიის მოსყიდვის ტრადიციის დამკვიდრების დასაწყისად მოიხსენიებს (რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025). თეოლოგის და ექსპერტის თქმით ყველა შემდეგი ხელისუფლება ცდილობს ეკლესიის მესვეურების მოსყიდვას, მაგრამ ეს მოსყიდვა მისი შეფასებით არ მუშაობდა ხოლმე საბოლოოდ... და “საქმე საქმეზე რომ

მიდგებოდა ეკლესია რაღაცნაირად აქტიურ ნეიტრალიტეტს იჭერდა…"(აბაშიძე, პირადი კომუნიკაცია, 2025).

**მიხეილ სააკაშვილის** (2004–2013) მმართველობის პერიოდი ეკლესიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით ტურბულენტურობით ხასიათდება. ერთი მხრივ ეკლესიას შეუნარჩუნდა და მკვეთრად გაეზარდა დაფინანსებაც და სხვა ტიპის მატერიალური პრივილეგიებიც, რაც შევარდნაძის მმართველობის პერიოდიდან დაიწყო; მეორე მხრივ 2005 წელს გატარდა რეფორმები განათლების სისტემაში სკოლებში რელიგიური სწავლების ამოსაღებად (Gurchiani, 2018). 2007 წელს ილია II-ემ გააჟღერა მონარქიის აღდგენის იდეა და ნაწილოვრივ მისი აღსრულებაც დაიწყო მეფის შთამომავალთა ბაგრატიონების ოჯახიც შეიქმნა, თუმცა მალევე დაინგრა. ამ პროცესებს პრეზიდენტის მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულება მოჰყვა (Kavadze, 2020). შემდეგ რამდენიმე რელიგიურ დენომინაციას მართლმადიდებელ ეკლესიათან გათანაბრებული სტატუსი, კერძოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭათ, რამაც ინსტიტუციურ დონეზე ურთიერთიბა დაძაბა (მიქელაძე, 2013). თუმცა, შეიძლება ითქვას რომ ხელისუფლების მხრიდან რელიგიური თავისუფლების და პლურალიზმის თვალსაზრისით პოზიტიური ნაბიჯებიც გადაიდგა. დემოკრატიზაციის გზაზე სააკაშვილის მმართველობის პირველი ფაზა გამოირჩეოდა რეფორმებით, კერძოდ საჯარო სერვისების განვითარების, პოლიციის რეფორმის, დაბალი დონის კორუფციის აღმოფხვრის ჭრილში (Gigitashvili & Steenland, 2018). შესაბამისად დემოკრატიზაციის გზაზე აღმასვლა შეიმჩნეოდა (Freedom House, 2025). თუმცა მმართველობის მეორე ფაზაში სახეზე იყო დემოკრატიული უკუსვლა და ავტორიტარიზმის ტენდენციების გამოვლენა, კერძოდ ეს გამოიხატებოდა უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებში, მედიის კონტროლში, აქციების დარბევაში (Committee to Protect Journalists, 2008). რუსეთთან ტრაგიკული ომის ეპიზოდმა განსაკუთრებულად ნეგატიური როლი ითამაშა (George, 2009), რამაც ხელისუფლება დაასუსტა (Mitchell, 2009). ამის მიუხედავად, საქართველოს ევროპეიზაციის გზაზე სააკაშვილის მმართველობის დროს რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით ძლიერი საფუძველი შეიქმნა, რაც ბევრი

სახელმწიფოსთვის მისაბაძ მაგალითად იქცა. გარდა ამისა, 2004 წელს საქართველო გახდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ნაწილი, 2009 წლიდან აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში გაწევრიანდა და ასევე საგრძნობლად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ნატოსთან თანამშრომლობის თვალსაზრისითაც (Kavadze, 2020).

გამოკითხულ რესპოდენტთა ნაწილი თანხმდება იმაზე რომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში გაიზარდა ეკლესიისთვის ფინანსური რესურსების გადაცემა, თუმცა ასევე მეტი თავისუფლება წარმოიშვა სხვადასხვა რწმენის ადამიანებისთვისაც (რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025; მეტრეველი, პირადი კომუნიკაცია, 2025; მინდიაშილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). თუმცა მათი ნაწილი ხსნის რომ სააკაშვილის მმართველობის პირობებში, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის რეალური დაპირისპირება და კონკურენცია დაიწყო (ჭედია, პირადი კომუნიკაცია, 2025) და 2012 წლის არჩევნებამდე ეკლესია აქტიურად ჩაერთი ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ საარჩევნო კამპანიაში (რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025). ერთ-ერთი სასულიერო პირის თქმით, სააკაშვილს ეკლესიისთვის ბიუჯეტიდან გადასახადის გაზრდა და პრივილეგიების მინიჭება უკან დაუტრიალდა (რესპონდენტი 1, პირადი კომუნიკაცია, 2025). ასევე აღინიშნა, რომ მათ შორის ურთიერთობის დაძაბვას და უნდობლობას სასულიერი პირებისთვის გადაცემულ ჯიპებში მოსასმენი აპარატების დამონტაჟებაც მოწმობს, რასაც რესპონდენტის თქმით ხელისუფლება ეკლესიის კონტროლისთვის იყენებდა (რესპონდენტი 1, პირადი კომუნიკაცია, 2025). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას რომ ეკლესიისთვის დაფინანსების გაზრდა არ ყოფილა იმის გარანტი რომ ის ხელისუფლებას დაქვემდებარებულიყო.

**ბიძინა ივანიშვილის** ხელისუფლებაში მოსვლისას შეიძლება ითქვას რომ გარკვეული წვლილი მართლმადიდებელმა ეკლესიამაც შეიტანა 2012 წელს მათი ღია წინასაარჩევნო მხარდაჭერიდან გამომდინარე (Chedia, 2021; Shapiro, 2013; რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025). მანამდე ბიძინა ივანიშვილის მიერ სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის დაფინანსება ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო სასულიერო წრეებში

და მართლმადიდებელ მრევლში მისი პოზიტიური იმიჯის შექმნაში. აღსანიშნავია რომ ქართული ოცნების მმართველობის დასაწყისში მიღებულ იქნა ისეთი კანონები, რასაც ეკლესია ღიად ეწინააღმდეგებოდა, ესეთი იყო ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც პარლამენტმა საბოლოოდ 2014 წელს ევროპეიზაციის გზაზე მცირე ჩასწორებით მიიღო (საქართველოს პარლამენტი, 2014). ასევე, შსს-მ შეიმუშავა კანონპროექტი "მცენარე კანაფის კონტროლის" შესახებ, რომელიც განცხადებულად მიზნად ისახავდა სამედიცინო მიზნით მარიხუანის დათესვას (On.ge, 2018), მოყვანა და კულტივაციას გულისხმობდა. ხოლო მისი განხილვა საპატრიარქოს უარყოფითი რეაქციის შედეგად შეჩერდა. გარდა ამისა, საკანონმდებლო დონეზე ეკლესიისთვის სასურველი კანონებიდან შეიძლება გამოიყოს 2017 წელს გაკეთებული საკონსტიტუციო ჩასწორება და დაზუსტება იმაზე რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის კავშირი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2017); ასევე შეიძლება გამოიყოს 2024 წელს არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე მიღებული "კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2024).

დემოკრატიზაციის გზაზე ქართული ოცნების მმართველობის დროს არსებობს როგორც წინგადადგმული, ისე უკან გადადგმული ნაბიჯები, კერძოდ აღსანიშნავია ახალი კონსტიტუციის მიღება და საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლა, გენდერული კვოტების შემოღება და შემდეგ კი სრულად გაუქმება (საქართველოს პარლამენტი, 2024), საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, თუმცა შემდგომ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა (IDFI, 2022). ასევე საკამათო და პრობლემური დარჩა სასამართლო სისტემის და მედიის თავისუფლების და საარჩევნო სისტემის დამოუკიდებლობის საკითხი (ODIHR, 2024). ევროინტეგრაციის გზაზეც ხელისუფლების ნაბიჯები ორგვაროვანი იყო, ერთი მხრივ მოხდა ასოცირების ხელშეკრულების დადება ევროკავშირთან, რასაც შემდგომ მოჰყვა ვიზა ლიბერალიზაცია და ბოლოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება. თუმცა ხელისუფლების დასავლელი პარტნიორებისადმი შეცვლილი რიტორიკის და

ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევების პრიზმაში ევროპეიზაციის გზაზე უკუსვლა მოხდა და შემდგომ შეჩერდა (European Parliament, 2024).

უშუალოდ ექსპერტების, სასულიერო პირების და პოლიტიკოსების შეხედულებები მეტნაკლებად ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა არსებობს განსხვავებებიც. ექსპერტთა და პოლიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს რომ ეკლესია-სახელმწიფოს შორის ურთიერთობა ურთიერთგაგებაზეა დაფუძნებული (რესპონდენტი 1, საჯარო პირი, პირადი კომუნიკაცია, 2017; რესპოდენტი 8, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, პირადი კომუნიკაცია, 2017; აბაშიძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). ერთ-ერთი მკვლევარი აღწერს რომ ქართული ოცნება ეკლესიას პრაგმატულად უდგება (ნოდია, პირადი კომუნიკაცია, 2025). თუმცა როდესაც საუბარი შეეხება უშუალოდ ამ ორს შორის ფაქტობრივ გამიჯვნას, ამაზე რესპოდენტების უმრავლესობა თანხმდება რომ ეკლესია უფროა დამოკიდებული სახელმწიფოზე, ვიდრე პირიქით (რესპონდენტი 1, სასულიერო პირი, პირადი კომუნიკაცია, 2017; რესპონდენტი 3, სასულიერო პირი, პირადი კომუნიკაცია, 2017; მეტრეველი, პირადი კომუნიკაცია, 2025; ჭედია, პირადი კომუნიკაცია, 2025; აბაშიძე, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 2, პირადი კომუნიკაცია, 2025, ყურაშბილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). გარდა ამისა, მათი უმრავლესობა თვლის რომ ეკლესია სახელმწიფოს მხრიდან ხშირად პოპულისტური მიზნებისთვის არის გამოყენებული (აბაშიძე, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპომდენტი 3, პირდი კომუნიკაცია, 2025). კერძოდ, მათი თქმით პოპულიზმი გამოიხატება იმაში, რომ ეკლესიის გავლით ხდება მოსახლეობის აზრის ჩამოყალიბება და ამგვარად ნებით, თუ უნებლიედ ეკლესიის პოზიციაც განსაზღვრავს ხოლმე სახელმწიფოს შიდა და საგარეო პოლიტიკურ დისკურსს (ჭედია, პირადი კომუნიკაცია, 2025; მეტრეველი, პირადი კომუნიკაცია, 2025; ჭედია პირადი კომუნიკაცია, 2025, არქიმანდრიტი დოროთე ყურაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). ერთ-ერთი რესპონდენტი იმასაც ამბობს რომ *ქართული ოცნების* პირობებში "პირველად სცადა სახელმწიფომ ეკლესიისთვის ავტონომიის წართმევა [...], ძალადობრივი სასულიერო ჯგუფების მიმართ შემწყნარებლობა" (რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025). მისივე თქმით,

შექმნილი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო “საბჭოთა სტრუქტურას” ჰგავს, რომელმაც რელიგიის თავისუფლება სახელმწიფო უსაფრთხოების ნაწილად აქცია (რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025). ის და სხვა რესპონდენტები ამტკიცებდნენ რომ აღნიშნული ხელისიფლების მმართველობის პირობებში მოხდა სასულიერო პირების უკანონო თვალთვალი, მოსმენა და შანტაჟი (რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025; მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025; ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). დასკვნის სახით ერთ-ერთმა დარგის ექსპერტმა ეს მდგომარეობა შეაფასა როგორც ფსევდორელიგიურ ანტიდასავლური ნარატივების გამოყენება ეკლესიის შიდა ავტონომიის წინააღმდეგ (რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025). დარგის სხვა მკვლევარი ასევე აღნიშნავს რომ მოხდა ზემოთ აღწერილი ქმედებების საფუძელდე ეკლესიის დისკრედიტაციის და საკუთარ სამსახურში ჩაყენების მცდელობა (ჭედია, პირადი კომუნიკაცია, 2025). მინდიაშვილი მიიჩნევს რომ “ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი ინტერვენცია მოახდინა ქართულმა ოცნებამ” (მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). მისი თქმით ის ცდილობს ეკლესიის მართვას, იყენებს რელიგიურ რიტორიკას და ეკლესიის გეოპოლიტიკურ ხედვას (მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025).

## 4.2. სეკულარიზმის გაგება მოლდოვაში

მოლდოვის შემთხვევაში ინტერვიუ ჩატარდა ჯამში 10 რესპონდენტთან (ცხრილი 2). აქედან 1 სასულიერო პირი იყო, 1 პოლიტიკოსი, 1 ხელისუფლების წარმომადგენელი, 1 ჟურნალისტი, ხოლო დანარჩენი 6 ექსპერტები და აკადემიური წრის წარმომადეგენელი (მათ შორის ერთი არსებული ხელისუფლების ყოფილი მინისტრი, ერთი თეოლოგი, ერთი სოციოლოგი, ორი სოციალური მეცნიერებების წამყვანი მკვლევარი და ერთი თეოლოგიური განათლების მქონე პირი). 10 ინტერვიუდან 7 ჩატარდა პირისპირ, ხოლო 3 ონლაინ. 10 რესპონდენტიდან, 2 მოლდოვის ბესარაბიის ეკლესიას მიაკუთვნებს თავს, 4 ამბობს რომ ზოგადად მონათლულია, მაგრამ თავს რელიგიურად არ მიიჩნევს, (აქედან

სამი რუსულ ეკლესიაში მოინათლა), 3 ამბობს რომ ზოგადად მართლმადიდებელია და მისთვის არ აქვს მნიშვნელობა ეკლესიებს შორის დაყოფას და რესპონდენტებიდან 1 არის კათოლიკი და თავს მიაკუთვნებს რომის კათოლიკურ ეკლესიას მოლდოვაში.

ცხრილი 2. მოლდოვაში ჩატარებული ინტერვიუების რესპონდენტთა აღწერა

| რესპონდენტების განაწილება | სასულიერო პირი | ხელისუფლების წარმომადგენელი | პოლიტიკოსი | ჟურნალისტი | ექსპერტი |
|---|---|---|---|---|---|
| 2024-25 წლებში სადოქტოროსთვის ჩატარებული ინტერვიუები | 1 | 1 | 1 | 1 | 6 |

### *როგორ აღიქვამენ სეკულარიზმს მოლდოვაში?*

სეკულარიზმის როგორც ცნების შეფასებისას, რესპონდენტების აზრები და დამოკიდებულებები საკმაოდ მრავალფეროვანი აღმოჩნდა. გამოკითხული ჟურნალისტის აზრით "სეკულარიზმი აუცილებელი პირობაა კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფოსთვის"[3] (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024). მისი ამგვარი დამოკიდებულება გამომდინარეობდა პროტესტიდან რომ გარკვეულ რელიგიურ დენომინაციებს, როგორიც MOC-ია, სახელმწიფოსგან პრივილეგიები აქვს მინიჭებული და ხელს არ უშლის მათ პოლიტიკაში ჩართულობას (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024). ეკლესიის პრივილეგიების არსებობის საკითხზე ამახვილებს ყურადღებას ერთ-ერთი ექსპერტიც, რაც მისი აზრით პრობლემურია რადგან მაგალითად მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ მოლდოვის ეკლესიას ჰიპოტეტურად პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა შეუძლია, რადგან დომინანტი

[3] ციტატა მომდინარეობს პირისპირ ინტერვიუდან, რომელიც წარიმართა ინგლისურ ენაზე. ორიგინალი ტექსტია: "[...] secularism is an essential condition for a state based on a rule of law because each religion should be treated equally by the state." აღნიშნული ციტატა თარგმნილია ჩემს მიერ.

ეკლესიაა, ამიტომ მის მიმართ მეტად კრიტიკულად მიდგომაა ექსპერტის აზრით საჭირო. ის იმავე დროს შენიშვნის სახით ამბობს რომ ამ ეკლესიის პრივილეგიების და პოლიტიკური ზეგავლენების საკითხებზე სახელმწიფოს შესაბამისი რეაგირება არ აქვს (Vasile Cantarji, პირადი კომუნიკაცია, 2024). სხვა მკვლევარი მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგიებს ეხმიანება და თვლის რომ ეს არ არის ნორმალური, თუმცა ის სეკულარიზმის ფრანგულ, უფრო ხისტ მოდელს ემხრობა, სადაც რელიგია საჯარო სფეროსგანაა ჩამოშორებულია (Dorin Dușciac, პირადი კომუნიკაცია, 2025). მასვე ამის მაგალითად მოჰყავს საფრანგეთის მთავრობის მცდელობა, რომ გამორიცხოს საჯაროდ რელიგიური მანიფესტაციის ყველა ფორმა, კერძოდ ქალებისთვის ჩადრის ტარება, სახის ნაწილობრივ ან სრულად დაფარვა (Dorin Dușciac, პირადი კომუნიკაცია, 2025). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთში ამგვარი ზომები სხვა კონტექსტმა განაპირობა. ამგვარად ნაკლებად სავარაუდოა რომ საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის კონტექსტში მსგავსი მიდგომა მიზანშეწონილი იყოს. ამ ლოგიკას ავითარებს ინტერვიუების რესპონდენტი, კერძოდ მოლდოველი ექსპერტიც, ის ხაზს უსვამს იმ ფაქტობრივ მოცემულობას, რომ პოსტ-საბჭოთა საზოგადოებებში ეკლესიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იდენტობის და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ემანსიპაციის ჭრილში (Denis Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2024). საბჭოთა კავშირის მანკიერმა გამოცდილებამ მოლდოვაში რელიგიურობის აღზევება განაპირობა და რელიგია საზოგადოებრივ ოპიუმად იქნა აღქმული (Igor Munteanu, პირადი კომუნიკაცია, 2024). ამითვე ახსნა ის გარემოება თუ რატომ ვერ ხერხდება ქაღალდზე გაწერილი სამართლებრივი ხაზების, კომპეტენციების და გამიჯნული ძალაუფლებრივი სფეროების პრაქტიკაში და რეალურ ცხოვრებაში სისრულეში მოყვანა (Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2025). კიდევ ერთი ექსპერტი კი ამ ხაზის გაგრძელებად ყურადღებას ამახვილებს ეკლესიების როლზე საზოგადოებრივ კულტურაზე, ტრადიციებზე და ის ამბობს შემდეგ ფრაზას: "ამგვარად, ჩვენ უნდა გვადარდებდეს ის თუ რა ხდება ეკლესიაში და ეკლესიას უნდა ადარდებდეს, თუ რა ხდება სახელმწიფოში"[4] (Pașa,

[4] ციტატა მომდინარეობს პირისპირ ინტერვიუდან, რომელიც წარიმართა ინგლისურ ენაზე. ორიგინალი ტექსტია: "So we should care about what happens in the church and church should care about what happens in the

პირადი კომუნიკაცია, 2024). რესპონდენტებიდა სასულიერო პირი და ექსპერტი სეკულარიზმის ეკლესია-სახელმწიფოს ინსტიტუციური გამიჯვნის მოდელს ემხრობა (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 6, პირადი კომუნიკაცია, 2024). საყურადღებოა, რომ სასულიერო პირმა ასევე დააზუსტა რომ სახემწიფოს და ეკლესიას სხვადასხვა წესები აქვთ, რომ ისინი სახელმწიფოს კანონებს პატივს სცემენ, მაგრამ მათი მთავარი საზრუნავი სულია (რესპონდენტი 6, პირადი კომუნიკაცია, 2024).

### *რამდენად სეკულარულია მოლდოვა?*

მოლდოვის კონტექსტში სეკულარიზმზე საუბრისას, მაშინ როდესაც აქცენტი მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახემწიფოს შორის ინსტიტუციურ გამიჯვნაზეა, რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს რომ მოლდოვა ქაღალდზე სეკულარულია, პრაქტიკაშიც ამ გაგებით გამიჯნულია საერო და სასულიერო სფერო, მაგრამ ეკლესიას საკმაოდ დიდი გავლენა აქვს საჯარო სფეროში (Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2024; Cantarji, პირადი კომუნიკაცია, 2024; Paşa, პირადი კომუნიკაცია, 2024; რესპონდენტი 8, პირადი კომუნიკაცია, 2024).

ინტერვიუს პასუხებიდან ეკლესიებისა და სახელმწიფოს შორის დომინანტი აქტორის გამოკვეთა ასე ცალსახად ვერ მოხერხდა, თუმცა მნიშვნელოვანია რომ იდენტობის, კულტურის, თუ რბილი ძალის გავრცელების კუთხით ეკლესია, განსაკუთრებით კი მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესია დომინირებდა წლების მანძილზე (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024; Valeriu Paşa, პირადი კომუნიკაცია, 2024; რესპონდენტი 8, პირადი კომუნიკაცია, 2024; Cantarji, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 8, პირადი კომუნიკაცია, 2025). აღნიშნული არგუმენტის გასამყარებლად შესაძლოა ისეთი მაგალითების მოყვანა რაც რესპოდენტებმა თავად დაასახელეს. კერძოდ, ის გარემოება რომ მმართველები

state. "აღნიშნული ციტატა თარგმნილია ჩემს მიერ.

ყოველთვის ელიან ეკლესიიგან კურთხევას და საჯარო ლეგიტიმაციას, ის რომ კონკრეტული ნარატივების გამავრცელებელია ეკლესია რაზეც საზოგადოება რეაგირებს, რაც შესამლოა საგარეო პოლიტიკურ კურსს, ან ეროვნულ იდენტობას განსაზღვრავდეს (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024; Paşa, პირადი კომუნიკაცია, 2024; რესპონდენტი 8, პირადი კომუნიკაცია, 2024; Cantarji, პირადი კომუნიკაცია, 2024; რესპნდენტი 7, პირადი კომუნიკაცია, 2025). შესაბამისად შეიძლება ითქვას რომ დისკურსულ დონეზე ეკლესიებს შეუძლიათ რიგ შემთხვევებში სახელმწიფო ინსტიტუტებზე დომინირება. სახელწიფოს დომინირების სფეროდ კი რესპონდენტებმა გამოყვეს სამართლებრივი რეგულაციები, სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიებისთვის პრივილეგიების მიცემაზე, ან მათ შორის უფლებრივ, თუ ინსტიტუციურ გათანაბრებაზე, თუ ეკლესიების პირდაპირი დაფინანსების არ მიცემაზე გადაწყვეტილებების მიღების უპირატესობები (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024; Dușciac, პირადი კომუნიკაცია, 2025).

რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს რომ თანამედროვე მოლდოვას ყავს მთავრობა რომელიც პრინციპიბის მიხედვით მართავს სახელმწიფოს, თუმცა არის რაღაც სფეროები სადაც მხოლოდ პრინციპებით ვერ აღწევენ საწადელს. შესაბამისად მეგობრული ურთიერთობის საჭიროება აქვთ ეკლესიებთან (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024). ჟურნალისტმა ამ აზრის გასავითარებლად მოიყვანა მაგალითი, თუ როგორ მოუწია სანდუს მთავრობას დიპლომატიური პასპორტების მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული მოლდოვის ეკლესიისთვის დიპლომატიური პასპორტების ჩამორთმევის ნაცვლად, ბესარაბიის ეკლესიისთვისაც მიეცა მსგავსი პრივილეგიები მათი სტატუსის გასათანაბრებლად (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024). ბესარაბიის ეკლესიის წარმომადგენლის თქმით ბოლო პერიოდში (იგულისხმება სანდუს მმართველობა) სიტუაცია ნორმალურია, თუმცა ამ ეკლესიამ  მისი თქმით წარსულში ბევრი სირთულე გადაიტანა (რესპონდენტი 6, პირადი კომუნიკაცია, 2024), მისი თქმით ერთადერთი რასაც ბესარაბიის ეკლესია ითხოვს მათი უფლებების პატივისცემაა (რესპონდენტი 6, პირადი კომუნიკაცია, 2024). რამდენიმე ექსპერტმა

სეკულარიზმის თვალსაზრისით თანამედროვე სიტუაცია უფრო პოზიტიურ ჭრილში წარმოაჩინა, კერძოდ მათი მტკიცებით ურთიერთობები საკმაოდ დაბალანსებულია და სახეზე არ არის დაპირისპირებები (რესპონდენტი 8, პირადი კომუნიკაცია, 2024; Paşa, პირადი კომუნიკაცია, 2024); ხოლო მეორემ ხაზი გაუსვა იმ მნიშვნელოვან განმასხვავებელ ფაქტორს რაც მოსახლეობის დიდი ნაწილის ეკლესიისადმი მიკუთვნებულობაა და მეორე მხრივ კი მათი რელიგიურობის ხარისხის დაბალი დონეა. შესაბამისად ის მიიჩნევს რომ ეკლესია არც ისე პოპულარულია საზოგადოებაში, უბრალოდ მოლოდინია რომ ეკლესიის წევრი იყო, მაგრამ ბუნებრივად ასეთი არ არის საზოგადოება (Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2025). ამის საპირისპირო აზრი განავითარა ერთ-ერთი სახელმწიფო ინსტიტუტის წარმომადგენელმა, რომლის მიხედვითაც მოლდოვა კი არის სეკულარული, მაგრამ მოსახლეობა ძირითადად რელიგიურია (რესპონდენტი 5, პირადი კომუნიკაცია, 2024). ექსპერტმა და პოლიტიკოსმა აღნიშნეს რომ სახელმწიფოს სეკულარობის მიუხედავად, ეკლესიებს ძალაუფლება გააჩნიათ, მათ შორის პოლიტიკურ პროცესებშიც ერთვებიან (Cantarji, პირადი კომუნიკაცია, 2024; Munteanu, პირადი კომუნიკაცია, 2024).

### 4.2.1. ფაქტები და მოსაზრებები მოლდოვაში ეკლესიების შემოსავლებზე

მოლდოვაში ორ სხვადასხვა მართლმადიდებელ ეკლესიას შემოსავლის განსხვავებული წყარო გააჩნიათ. თუმცა აღსანიშნავია, რომ მათგან არც ერთი არ არის მოლდოვის ბიუჯეტიდან ფიქსირებული დაფინანსება, განსხვავებით საქართველოს შემთხვევისგან. რელიგიური თავისუფლების შესახებ მოლდოვის კანონის მიხედვით, ინდივიდებს აქვთ უფლება გადასახადის 2% ეკლესიის ან არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებაში მიმართონ, ხოლო რელიგიური ორგანიზაციები მიწის და უძრავი ქონების გადასახადებისგან არიან გათავისუფლებულები (US State Department, 2016). ორივე ეკლესიას გააჩნია ქონებები ეკლესიებისა, თუ კულტურულ-ისტორიული შენობა-ნაგებობების სახით, თუმცა დავა გრძელდება ამ ორ ეკლესიას შორის კონკრეტულ საკუთრებებზე (US State Department, 2022). აღსანიშნავია, რომ მოსკოვის საპატრიარქოს

დაქვემდებარებული მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესიის, კერძოდ კიშინიოვისა და სრულიად მოლდოვის სამიტროპოლიტოს (MOC) წინააღმდეგ 2016 წელს 10 ათასმა ადამიანმა ხელი მოაწერა პეტიციაზე, რომლის მოთხოვნა იყო ამ ეკლესიის მხრიდან გადასახადების გადახდა მათი პოლიტიკურ აქტივობებში ჩართვის პრეცედენტების გამო (Vlas, 2016). MOC-ის დაფინანსებაზე რესპონდენტების ნაწილი ამბობს რომ ისინი მრევლის შემოწირულობებით ფინანსდებიან (Cantarji, პირადი კომუნიკაცია, 2024; რესპონდენტი 8, პირადი კომუნიკაცია); ხოლო რესპოდენტთა უმრავლესობას კითხვები აქვთ აღნიშნული ეკლესიის დაფინანსებასთან დაკავშირებით, ნაწილი ამბობს რომ ისინი რუსეთიდან ფინანსდებიან, მაგრამ გაუმჭვირვალეა ეს თანხები (Dușciac, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024; Munteanu, პირადი კომუნიკაცია, 2024). დარგის ერთ-ერთი მკვლევარი კი აღნიშნავს, რომ რუმინეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებული მოლდოვის ბესარაბიის მიტროპოლია (MB) დამოკიდებულია რუმინეთზე, ხოლო MOC-ი კი რუსეთზე, შესაბამისად მათი საგარეო პოლიტიკური განწყობებიც აისახება ამაზე (Dușciac, პირადი კომუნიკაცია, 2025).

რუმინეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებული მოლდოვის ბესარაბიის მიტროპოლია (MB) ოფიციალურად რუმინეთისგან ყოველწლიურად 2 მილიონ ევროს იღებს (Infotag, 2023). გარდა ამისა, ამ ეკლესიაში შემავალ სასულიერო პირებს რუმინეთის სახელმწიფოსგან ერიცხებათ ოფიციალური ხელფასი 800-900 ევრომდე (Smith, 2023). ამის შესახებ ბესარაბიის ეკლესიის წარმომადგენელმა ინტერვიუსას დააზუსტა რომ მათი ხელფასია 750 ევრო და ამას გადასახადები რომ აკლდება ხელზე რჩებათ 500 ევრო, მაგრამ ეს მხოლოდ მათ ვისაც რუმინეთის მოქალაქეობაც აქვთ. ხოლო მათ ვისაც მოქალაქეობა არ აქვთ მხოლოდ 350 ევროს იღებენ, ხოლო უმეტესობა მათგანი კი მისი თქმით სკოლებში ასწავლის რელიგიას (რესპონდენტი 6, პირადი კომუნიკაცია, 2024).

რესპოდენტების ნაწილმა სასულიერო პირების ეკონომიკურ მოწყვლადობაზეც გაამახვილა ყურადღება, უფრო კონკრეტულად კი MOC-ის სასულიერო პირების მოტივაციაზე რის გამოც მისი აზრით მღვდლები გადადიან MB-ს ეკლესიაში (Cenusa,

პირადი კომუნიკაცია, 2025). ერთ-ერთი ექსპერტის მტკიცებით MOC-ის სასულიერო პირების საკუთარ შემოსავლებზე არიან დამოკიდებულები, რაც მათ ეკონომიკურ მოწყვლადობას ზრდის (Paşa, პირადი კომინიკაცია, 2024). სხვა მკვლევრის თქმით MOC-ი ახლა კრიზისშია რადგან ბესარაბიის ეკლესია დაფინანსებას იღებს, მისი მღვდლები იღებენ ყოველთვიურ ხელფასს რაც უფრო საინტერესოს ხდის მისი აზრით მას (Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2025). მან ასევე ახსენა რომ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული მოლდოვის ეკლესია (MOC) ბესარაბიის ეკლესიის მოძღვრებისთვის ხელფასების გადახდის გამო რუმინულ ეკლესიას მათ მოქრთამვაში ადანაშაულებსო (Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2025). შესაბამისად მან აღნიშნა, რომ "ფული არის ორ ეკლესიას შორის კონკურენციის მამოძრავებელი ფაქტორი" (Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2025). მან ისიც დაამატა რომ ბევრი უკრაინელი ლტოლვილი გადავიდა მოლდოვაში და გარდა ამისა, უკრაინაში რუსეთის ომის წამხალისებელი იყო მისი თქმით რუსეთის ეკლესია, რამაც მოლდოვაში MOC-ის რეპუტაცია გარკვეულწილად შელახა და ამანაც გამოიწვია ეკლესიიდან გადინება და ბესარაბიის მეტროპოლიაში გადასვლა (Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2025).

### 4.2.2. შეხედულებები ეკლესია-სახელმწიფოს შორის პრაქტიკაში არსებულ თანამშრომლობის სფეროებზე

მართლმადიდებელ ეკლესიებსა და უშუალოდ სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის სფეროებიდან რესპოდენტები ყველაზე თვალსაჩინოდ განათლების სფეროს გამოყოფენ და კერძოდ კი სკოლებში მართლმადიდებელი რელიგიის ("Religia Ortodoxă") სწავლებას (რესპონდენტი 6, რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024; Duşciac, პირადი კომუნიკაცია, 2025; Cantarji, პირადი კომუნიკაცია, 2024). სკოლებში რელიგიის სწავლება მოლდოვაში 2000 წლიდან დაიწყო (Goraş-Postică, 2018). საგულისხმოა რომ მოლდოვის განათლების სამინისტროსთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს MOC-ის ეკლესიას, ხოლო ბესარაბიის ეკლესიათან თანამშრომლობა ბოლო წლებში

გააქტიურდა (Rothgangel, Danilovich & Martin Jäggle, 2020). რელიგიის სწავლება სკოლებში ნებაყოფლობითია და მათ ვისაც ამ საგნის გავლა სურთ წერილობით მიმართავენ თხოვნით სკოლის ადმინისტრაციას და შესაბამისად ირიცხებიან აღნიშნული საგნის კლასში (რესპონდენტი 6, პირადი კომუნიკაცია, 2024). მართლმადიდებელი ქრისტიანობის გარდა, სკოლაში რომის კათოლიკური და ევანგელიკური ქრისტიანული და მე-7-ე დღის ადვენტისტების რელიგია ისწავლება (US Department of State, 2016).

რელიგიის სწავლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია სწავლების ენაც და როგორც ბესარაბიის ეკლესიის წარმომადგენელმა განმარტა, ისინი (MB) სკოლაში რელიგიას რუმინულ ენაზე ასწავლიან. ხოლო მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული კიშინოვისა და სრულიად მოლდოვის სამიტროპოლიტოს (MOC) წარმომადგენლები კი სკოლებში რელიგიას რუსულად ასწავლიან (რესპონდენტი 6, პირადი კომუნიკაცია, 2024; Cantarji, პირადი კომუნიკაცია, 2024). სოციოლოგის ახსნით, რელიგიის სწავლება, როგორც ასეთი, არ არის დიდად ცენტრალური მნიშვნელოვნის მოლდოველებისთვის, მაგრამ ის ასახავს გავლენებს, თუ რომელი ეკლესია დომინირებს ქვეყანაში ძირითადად, რის საფუძველზეც გარკვეული დასკვნების გამოტანაა შესაძლებელი. კერძოდ იმის თუ რა ტიპის მოსახლეობაა კონკრეტულ ლოკაციებზე დასახლებული რუმინულენოვანები, თუ რუსულენოვანები (Cantarji, პირადი კომუნიკაცია, 2024). ჟურნალისტი რესპონდენტი ხსნის რომ ძირითადად რელიგიის მასწავლებელთა უმრავლესობა დაკავშირებულია MOC-თან, რაც განპირობებულია ისტორიული და ადგილობრივი გავლენებიდან (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024; Dușciac, პირადი კომუნიკაცია, 2025). გარდა ამისა, იმავე რესპონდენტმა ასევე დაამატა რომ სწავლების კურიკულუმი მკაცრად რეგულირებული არ არის. სასულიერო პირმა განმარტა რომ სკოლაში ასწავლიან მხოლოდ ის სასულიერო პირები რომელთაც თეოლოგიური განათლება აქვთ და სკოლებში შესასვლელად აბარებენ სპეციალურ გამოცდებს სერთიფიცირებისთვის, რა პროცესიც განათლების სამინისტროსთან არის კოორდინირებული (რესპონდენტი 6, პირადი კომუნიკაცია, 2024). რამდენიმე

რესპონდენტმა ნეგატიურ კონტექსტშიც ახსენა ეკლესიის ჩარევის ფაქტები სკოლის განათლების კურიკულუმებში, კერძოდ სექსუალურ განათლებასთან და სამოქალაქო განათლებასთან დაკავშირებით, რის გამოც მათი თქმით განათლების სამინისტროს ზოგ შემთხვევაში უკან დახევაც მოუწია (Cantarji, პირადი კომუნიკაცია, 2024; Munteanu, პირადი კომუნიკაცია, 2024).

განათლების მიმართულებით სახელმწიფო-ეკლესიის თანამშრომლობის გარდა, რესპონდენტებმა ასევე გამოკვეთეს კულტურის სფერო, კერძოდ კომუნისტური რეჟიმის დროს ჩამორთმეული რელიგიური და კულტურული შენობა-ნარებობების რესტიტუციის და მათი რეაბილიტაციის სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის მიმართულება (რესპონდენტი 6, პირადი კომუნიკაცია, 2024; Pașa, პირადი კომუნიკაცია, 2024). ასევე გამოიკვეთა სოციალური და საქველმოქმედო საქმიანობა (რესპონდენტი 6, პირადი კომუნიკაცია, 2024; Cantarji, პირადი კომუნიკაცია, 2024; რესპონდენტი 8, პირადი კომუნიკაცია, 2024). ამ მიმართულებით, ფაქტებზე დაფუძნებით, შეიძლება გამოიყოს ბავშვების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების დახმარება (Orthodox Church of Moldova, 2023), ასევე პანდემიის დროს სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების და უკრაინელი ლტოლვილების ხელშეწყობა (Orthodox Times, 2023). თუმცა, ისევე როგორც საქართველოს შემთხვევაში, რესპონდენტებმა გამოთქვეს სურვილი რომ ეკლესია მეტად იყოს ჩართული სოციალურ აქტივობებში, ძალიან ღარიბი და ავად მყოფი ადამიანების დახმარების პროცესში (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024; Dușciac, პირადი კომუნიკაცია, 2025). ერთ-ერთმა მკვლევარმა ისიც კი ახსენა რომ ეკლესია როგორც ელიტური ორგანიზაცია ისეა დანახული, სადაც დიდი თანხა ტრიალებს (Dușciac, პირადი კომუნიკაცია, 2025).

მეტწილად ნეგატიურ ჭრილში იყო ინტერვიუებისას ნახსენები ეკლესიის პოლიტიკაში ჩართულობის შემთხვევები, ან წინასაარჩევნოდ კონკრეტული კანდიდატის ლობირების შემთხვევები, რასაც საზოგადოებრის აზრზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია (Pașa, პირადი კომუნიკაცია 2024; Tanas, 2024). მეორე საკითხი რაც უმეტესობამ კრიტიკულად

ახსენა იყო რელიგიური შენობების სახელმწიფოს უსაფრთოების სამსახურების მხრიდან პატრონაჟის საკითხი, მათი პოლიტიკური კონტროლის ინსტრუმენტად ქცევა (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024). ჟურნალისტმა MOC-ის შემთხვევაში მაგალითად მოიყვანა კიშინიოვის ცენტრში არსებული მონასტერი, რის წინაც წარწერაა რომ ის შინაგან საქმეთა სამინისტროს მფარველობის ქვეშაა, რაც მისი აზრით აბსურდია (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024); ხოლო ბესარაბიის ეკლესიის ჭრილში მოიყვანა მაგალითები იმაზე რომ პირველად 30 წლის მანძილზე 2023 წელს (ამბობს გასულ წელსო) თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა სახელმწიფო ინსტიტუტებთან, როგორიცაა შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, რის საფუძველზეც მღვდლებს ყაზარმებში ღვთისმსახურების აღსრულების საშუალება მიეცათ (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024). იმავეს ადასტურებს საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიც (Infotag, 2023). იგივეს მოწმობს ბესარაბიის ეკლესიის სასულიერო პირთან ჩატარებული ინტერვიუც, სადაც მან ზემოთ ნახსენები ორი სამინისტროს გარდა ასევე დაასახელა პროკურატურა ვისთანაც თანამშრომლობას აფორმებდნენ ჩვენი ინტერვიუდან რამდენიმე დღეში და გარდა ამისა ახსენა მათი მცდელობა რომ მსგავსი ხელშეკრულება დადონ მოლდოვის ჯანდაცვის სამინისტროსთანაც (რესპონდენტი 6, პირადი კომუნიკაცია, 2024). რესპონდენტებიდან პოლიტიკოსმა ამ საკითხთან დაკავშირებით ახსენა რომ ეკლესიებს შორის მუდმივი შეჯიბრია სახელმწიფო ინსტიტუტებთან ამგვარი თანამშრომლობის ხელშეკრულებების დადების კუთხით, რათა ჩამოყალიბდეს კაპელანების სერვისები სხვადასხვა რელიგიური დენომინაციების ჩართულობით (Munteanu, პირადი კომუნიკაცია, 2024).

### 4.2.3. მოლდოვაში ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების ცვალებადობის დინამიკა 90-იანებიდან სხვადასხვა მთავრობების დროს

მოლდოვამ დამოუკიდებლობა 1991 წელს მოიპოვა და საქართველოსგან განსხვავებით შემდგომ იქ უფრო მოკლევადიანი ფაზებით ირჩევდნენ ხელისუფლებებს. შესაბამისად,

2024 წლის ჩათვლით, მოლდოვამ 9 მმართველი გამოიცვალა, მათ შორის 2009-2012 წლებში იყვნენ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლები, რაც 2009 წლის ე.წ. “Twitter-ის რევოლუციამ” გამოიწვია არჩევნების სადავოდ ჩატარებისა და კონსტიტუციური კრიზისის შექმნის გამო (Mungiu-Pippidi & Munteanu, 2009). მოლდოვის, ისევე როგორც უკრაინის შემთხვევაში სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის ურთიერთობა ეროვნული იდენტობის კრიზისის ჭრილში შეიძლება იყოს განხილული, გამომდინარე იქიდან რომ მათ არა ერთი ავტოკეფალიური ეკლესია, არამედ რამდენიმე მართლმადიდებელი ეკლესია გააჩნდათ. მოლდოვის შემთხვევაში ერთ მხარეს რუსული გავლენა იკვეთებოდა, რაც ნაწილობრივ მოლდოვურ იდენტობასთან იყო გაიგივებული წლების მანძილზე; ხოლო მეორე მხარეს ეთნიკური თვითმყოფადობისთვის ბრძოლა და რუმინეთთან ხელახლა შეკავშირების სურვილი იკვეთება (Shimanskaya & Gorokhova, 2021). სწორედ ამ ჭრილში შეიძლება იყოს განხილული სხვადასხვა მმართველებსა და ეკლესიებს შორის ურთიერთობები, თუ რომელი ეკლესიის მხარეს უფრო იხრებოდნენ ქვეყნის ლიდერების სხვადასხვა დროს. ხოლო რაც შეეხება უშუალოდ საერო და სასულიერო სფეროს გამიჯვნას, ამ მხრივ გადაკვეთები 90-იანებიდან მოყოლებული ჰომოგენური ხასიათის არ ყოფილა.

გამომდინარე იქიდან რომ მოლდოვის შემთხვევაში დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან სახელმწიფოს რამდენიმე ხანგრძლივი მმართველობის ისტორიული გამოცდილება არ გააჩნია, ინტერვიუების დროს რესპონდენტებს გაუჭირდათ თითოეული მმართველობის ზედმიწევნით შეფასება. თუმცა ისინი გამოყოფდნენ ძირითად ტენდენციებს კომუნისტური წარსულის მქონე საბჭოთა მენტალიტეტისა და პროევროპული მმართველების პრიზმაში. სწორედ ეს განსაზღვარდა ისტორიულად იმას თუ ორი ძირითადი მართლმადიდებელი ეკლესიიდან რომლისკენ უფრო იხრებოდნენ თავიანთი მმართველობების პერიოდში. თუმცა მათ იმის გათვალისწინება უხდებოდათ რომ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესია უფრო ძლიერი იყო მრევლის ოდენობით და ინსტიტუციური თვალსაზრისითაც (Munteanu, პირადი კომუნიკაცია, 2024).

**მირჩეა სნეგური** (1991-1997), მოლდოვის პირველი პრეზიდენტი გამოირჩეოდა ეთნონაციონალისტური სენტიმენტებით და საუბრობდა რუმინულ ენაზე. ის ცდილობდა დაებალანსებინა ურთიერთობები ქვეყანაში არსებულ ორ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. აღსანიშნავია რომ ბესარაბიის ეკლესია 1992 წელს მისი ხელახალი გააქტიურების მიუხედავად საკმაოდ სუსტი იყო და ჯერ არ იყო ოფიციალურად დარეგისტრირებული (Stan, 2003). ამგვარად, შეიძლება ითქვას რომ უპირატესობა მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული მოლდოვის მართლმადიდებელ ეკლესიას ენიჭებოდა. ბესარაბიის მართლმადიდებელი ეკლესია კი, რომელიც ბუქარესტის საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია ძალების მოკრების პროცესში იყო. ხოლო მისი რეგისტრაცია უარყოფილი იყო ხელისუფლების მხრიდან იმ მოტივით რომ ჯერ არ იყო მოგვარებული ქონების დავის საკითხი (US Department of State, 2001). დემოკრატიზაციის გზაზე მისი მოღვაწეობის თვალსაზრისით, აღსანიშნავია 1994 წელს მოლდოვის კონსტიტუციის მიღება, რაც ასევე რელიგიური თავისუფლების გარანტიასაც იძლეოდა (US Department of State, 2001). ხოლო ევროპეიზაციის გზაზე მისი მმართველობის დროს გადადგმული ნაბიჯებიდან აღსანიშნავია 1995 წელს მოლდოვის ევროსაბჭოს წევრად გახდომა.

**პეტრუ ლუჩინსკის** (1997-2001) პრეზიდენტობა ძირითადად მისი წინამორბედის პოლიტიკისგან ფართო სურათში არ განსხვავდებოდა, მაგრამ ლუჩინკი მეტად შეეცადა რუსეთსა და დასავლეთს შორის დაბალანსებული პოლიტიკა ეწარმოებინა. ევროინტეგრაციის გზაზე, მისი მმართველობის დროს გარდამტეხი ნაბიჯები არ გადადგმულა, თუმცა 1998 წელს ძალაში შევიდა მოლდოვასა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება (PCA) (Ministry of Foreign Affairs of the Republic of Moldova, 2025). გარდა ამისა, მისი ძირითადი მხარდამჭერები იყვნენ მოლდოველები, რომლებიც ნაკლებად აფილირდებოდნენ რუმინეთთან და მეტად რუსეთთან, ასევე ისინი სწრაფი რეფორმების მომხრეები არ გახლდნენ (Crowther, 2022). მირჩეა სნეგურის და პეტრუ ლუჩინსკის მმართველობები შეიძლება ჩაითვალოს

ტრანზიტულ, ელექტორალურ დემოკრატიებად ავტორიტარული გამოვლინებებით (Roper, 2002).

მოლდოვაში ჩატარებული პირისპირ ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა რომ მირჩეა სნეგურის და პეტრუ ლუჩინსკის მმართველობის პერიოდები ტრანზიტული და ეკლესიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით უფრო ინერციული იყო (Munteanu, პირადი კომუნიკაცია, 2024; Pașa, პირადი კომუნიკაცია, 2024; რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024). ერთ-ერთი მკვლევრის შეფასებით მოლდოვაში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეკლესიას და სახელმწიფოს შორის მოჩვენებითი დისტანცირება მოხდა (Dușciac, პირადი კომუნიკაცია, 2025). როგორც ამას ფაქტები მოწმობს და სასულიერო პირიც ადასტურებს, 1992-2000 წლებში, ბესარაბიის სამიტროპოლიტოს ოფიციალურად ფუნქციონირების უფლება არ მიეცა (რესპონდენტი 6, პირადი კომუნიკაცია, 2024). აქედან გამომდინარე, ბუნებრივია რომ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესია ერთი მხრივ ძალებს იკრეფდა რელიგიის აღზევების ეპოქაში, ხოლო მეორე მხრივ მოლდოვაში ინსტრიტუციურ გავლენებს აძლიერებდა. მას ხელისუფლების წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს "ოკუპაციური ეკლესია" უწოდა (რესპონდენტი 5, პირადი კომუნიკაცია, 2024). მოლდოველი ექსპერტის მტკიცებით, მოლდოვაში განმათავისუფლებელ მოძრაობაში მართლმადიდებელ ეკლესიას წვლილი არ შეუტანია (Pașa, პირადი კომუნიკაცია, 2024). ეს შესაძლოა ლოგიკურიც იყოს იმ შემთხვევაში თუ დავუშვებთ წინა რესპონდენტის პასუხის სისწორეს MOC-ის ოკუპაციურ ეკლესიად შეფასების შესახებ. თუმცა მან იქვე დააზუსტა რომ ინდივიდუალურად სასულიერო პირები იყვნენ ჩართულები ეროვნული იდენტობის და დამოუკიდებლობის ჩამოყალიბების პროცესში. მათ შორის მისი თქმით ზოგი მღვდელი პირველ პარლამენტშიც იყო არჩეული, ხელიც მოაწერეს მოლდოვის დამოუკიდებლობის დეკლარაციას, თუმცა ეს მოხდა ინდივიდუალურ და არა ინსტიტუციურ დონეზე. გარდა ამისა, იგივე რესპოდენტის თქმით, ფუნქციურ დონეზე მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის ხარისხი ძალიან დაბალი იყო და

ახლაც ასეა, რადგან MOC-ში მაღალი იერარქიის წარმომადგენლების დანიშვნის საკითხი მოსკოვში წყდება, რაც ფრუსტრაციის გამომწვევია (Paşa, პირადი კომუნიკაცია, 2024). ის ასევე საუბრობს იმაზე რომ სასულიერო პირები განათლებას მოსკოვში იღებდნენ და ახლაც იღებენ. ასევე, ის რომმათ მიმართ მუშაობდა და თანამედროვეობაშიც მუშაობს პოზიტიური დისკრიმინაციის პრაქტიკა სახელმწიფოს მხრიდან. ასეთმა ფაქტორებმა და ფრუსტრაციამ მისი თქმით MOC-ის ეკლესიის წევრების ბესარაბიის ეკლესიაში გადასვლის სტიმულირება მოახდინა 90-იანებშიც და უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა ეს ტენდენცია.

ყოფილი მინისტრი ინტერვიუში 90-იან წლებში ეკლესიის როლის გაზრდას ეგრედ წოდებულ "ქამბექად" (comeback) მოიხსენიებს (რესპონდენტი 7, პირადი კომუნიკაცია, 2025). მისი შეფასებით, მოლდოვა ნაკლებად კონსერვატიულია ვიდრე საქართველო, მაგრამ მოლდოვის შემთხვევაშიც იყო გარკვეული მნიშვნელოვანი ფაქტორები დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რაც ტრადიციების, კულტურის და ენის უკან დაბრუნებას მოიაზრებდა (რესპონდენტი 7, პირადი კომუნიკაცია, 2025). თუმცა რუსულ-რუმინულ ეკლესიასთან აფილირების საკითხი და ამ კუთხით გარკვეული კონფლიქტი თავიდანვე წარმოიშვა. მაგრამ საერთო ჯამში, მისი აზრით ეკლესიამ კარგი როლი ითამაშა და ზედმეტადაც არ ჩარეულა პოლიტიკაში (რესპონდენტი 7, პირადი კომუნიკაცია, 2025).

**ვლადიმერ ვორონინი** (2001-2009), მოლდოვის შემდეგი მეთაური წარსულში კომუნისტური პარტიის ლიდერი იყო. ხოლო მოლდოვის პრეზიდენტობისას ღიად გამოხატავდა პრო-რუსულ პოლიტიკურ კურსს და მაღალ თანხვედრას პუტინის ადმინისტრაციის გეოპოლიტიკურ ინტერესებთან (Quinlan, 2004). 2001 წელს, ძალაუფლებაში მოსვლის შემდეგ, ვორონინი თავდაპირველად აპირებდა მოლდოვა გაეწევრიანებინა რუსულ-ბელორუსულ კავშირში, რამაც მართალია კრახი განიცადა, თუმცა კარგად აღწერს ვორონინის პოლიტიკურ სიმპათიებს (Weiner, 2004). 2006-08 წლებში, ვორონინის ადმინისტრაცია აწარმოებდა "სტრატეგიულ დიალოგს"

მოლდოვასა და კრემლს შორის, მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის მიზნით და დიალოგის ფორმატში, მხოლოდ 2007 წელს ოთხჯერ შეხვდა პრეზიდენტ პუტინს (Socor, 2008). მიუხედავად იმისა, რომ ვორონინი რუსეთთან მიმართებით ვერაფერს გახდა, პრეზიდენტობის ბოლომდე და შემდგომშიც, იგი რჩებოდა პუტინის მოკავშირედ. ვორონინი მკაფიოდ უჭერდა მხარს მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ მოლდოვის ეკლესიას (MOC), ხოლო რუმინეთის დაქვემდებარებაში მყოფი ბესარაბიის ეკლესიის (BM) აღიარებას მხოლოდ 2002 წელს დათანხმდა, მას მერე რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო. ამავე დროს, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ვორონინს არაერთი ანალიტიკოსი მართებულად მოიხსენიებს "ოპორტუნისტ კომუნისტად", რომელიც იცვლიდა მხარეებს "კომუნისტურ და რელიგიურ რწმენებს შორის, ლოცულობდა ეპისკოპოსებთან ერთად ყველა ძირითად ქრისტიანულ დღესასწაულზე, მაგრამ აგრეთვე აღნიშნავდა ბოლშევიკური რევოლუციის წლისთავს და პატივს მიაგებდა ვლადიმირ ლენინის ხსოვნას" (Eftode, 2009). გარკვეულწილად, ამგვარი ამბივალენტურობა ახასიათებდა მის საგარეო პოლიტიკასაც. 2005 წლის საინაუგურაციო სიტყვაში, საქართველოსა და უკრაინის რევოლუციური გამოცდილებების ფონზე, ვორონინმა განაცხადა, რომ ეს გამოცდილებები "ზურგის ქარს აძლევდა მოლდოვურ დემოკრატიას" და აღნიშნა, რომ მოლდოვამ უნდა გაატაროს "ევროპეიზაცია" (RFERL, 2005). 2006 წელს, ვორონინმა გამორიცხა კონსტიტუციურად "აბსოლუტურად ნეიტრალური" მოლდოვას NATO-ში გაწევრიანება, თუმცა თქვა, რომ მისი საგარეო პოლიტიკა იყო ევროინტეგრაციის თვალსაზრისით "პრო-ევროპული" (RFERL, 2005). ვორონინის მმართველობის წლები შეიძლება შეფასდეს, როგორც კონკურენტული ავტოკრატიის, ან საარჩევნო ავტოკრატიის მაგალითი. როდესაც რეჟიმი ატარებს მრავალპარტიულ არჩევნებს, მაგრამ პოლიტიკური გარემო ხასიათდება პოლიტიზებული მართლმსაჯულებით, მედიის სახელმწიფო კონტროლით, ოპოზიციის მიმართ განხორციელებული წნეხით, ჭარბად კონცენტრირებული ძალაუფლებითა და სუსტი სამოქალაქო თავისუფლებებით (Levitsky & Way, 2010).

ინტერვიუს დროს გამოკითხულ ექსპერტებთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ ეკლესია ასპარეზზე გამოვიდა და მისი პოლიტიკურად ინსტრუმენტალიზების საჭიროება განსაკუთრებით შესამჩნევი 2000 წლიდან გახდა (Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024; Dușciac, პირადი კომუნიკაცია, 2024-2025). ერთ-ერთი მათგანი აკონკრეტებს რომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან პირველ ფაზაში ეკლესია საჯაროდ მნიშვნელობას და რელევანტურობას ხელახლა იძენდა, ამიტომაც მოგვიანებით პოლიტიკურმა პარტიებმა დაიწყეს ეკლესიასთან მეტად თანამშრომლობა. მას მერე რაც 2000-იანებში კომუნისტები მოვიდნენ მოლდოვის მთავრობაში ეკლესია უფრო ხილული გახდა რადგან პოლიტიკოსები მათთან ცდილობდნენ მჭიდრო კომუნიკაციას, ეკლესიაში ლოცვებზე დასწრებას განსაკუთრებით არჩევნების პერიოდებში და შესაბამისად ეკლესია ძალიან პოლიტიზირებული გახდა (Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2024-2025). ამავე რესპონდენტის მოსაზრებით, ეკლესია არ იყო დიდად დაინტერესებული პოლიტიკურ საკითხებში ჩართვით, არამედ პირიქით პარტიები ცდილობდნენ ეკლესიის გამოყენებას. თუმცა, ის ამბობს რომ 90-იანებთან შედარებით 2000-იანებში მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესიის რუსეთზე დამოკიდებულება მკვეთრად გაიზარდა (Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2024-2025).

**“Twitter Revolution” და მისი მემკვიდრეები** 2009 წლის არჩევნების შემდგომი მოვლენების პოლიტიკური ლიდერები არიან. 2009 წლის არჩევნებს, რომელშიც მმართველმა კომუნისტურმა პარტიამ მორიგ ჯერზე გამოაცხადა საკუთარი გამარჯვება, ფართო-მასშტაბიანი საპროტესტო აქციები მოჰყვა, რომლის ფარგლებშიც რეჟიმსა და აქტივისტებს შორის ბრუტალურ დაპირისპირებებსაც ჰქონდა ადგილი. ე.წ. “ტვიტერის რევოლუციად” (“Twitter Revolution”) ცნობილი პროტესტის შედეგად ჩანიშნულ ხელახალ არჩევნებში გაიმარჯვა ლიბერალ-დემოკრატიულ ძალთა კოალიციამ, სახელად ევროპული ინტეგრაციის ალიანსი. 2009-2012 წლებში, მოლდოვას პრემიერებად მსახურობდნენ სწორედ ამ კოალიციაში შემავალი სამი პარტიის ლიდერი: **მიჰაი გიმპუ, ვლადიმირ ფილატი და მარიან ლუპუ.** ეს იყო სემინალური მნიშვნელობის

მომენტი ქვეყნის ისტორიაში, როდესაც მოლდოვა ღიად გაემიჯნა რუსეთს და გამოაცხადა ევროპული ინტეგრაციის კურსი, ისევე როგორც მართლმსაჯულების რეფორმა, ანტი-კორუფციული ძალისხმევა და პრო-ევროპული რეფორმები (Hale, 2013). თუმცა, მუდმივი საპარლამენტო კრიზისის გამო, სამი წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა პრეზიდენტის არჩევა და შენელდა რეფორმისტული კურსის გატარების ტემპიც, რამაც ახალი ხელისუფლება აზარალა (Popescu, 2010). ყველაფრის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მოლოდოვას პოლიტიკური ისტორიის ეს ფაზა იყო ლიბერალური დემოკრატიის ფაზა, რომელსაც ახასიათებდა მყიფე პლურალიზმი და ევროპეიზაციისა და მოდერნიზაციისკენ გადადგმული ჩანასახოვანი რეფორმისტული ნაბიჯები (Hale 2013). ამავე დროს, ეს იყო მკაფიო პოლიტიკური დაყოფისა და შიდა-ელიტური ფრაგმენტაციის მომენტიც, როდესაც გამოიკვეთა შემდგომი პოლიტიკური დაძაბულობის კონტურებიც, უპირველეს ყოვლისა პლახოტნიუკის სახით (Marandici, 2021). პრო-ევროპული კოალიციის სამი პრემიერის მმართველობის წლებში, პროევროპული კურსის გაუმჯობესების კვალდაკვალ, აგრეთვე გაუმჯობესდა ურთიერთობა ბესარაბიის მიტროპოლიასთან (BM), ძალთა ბალანსი ეკლესიებს შორის, ისევე როგორც რელიგიური პლურალიზმის ხარისხი მოლდოვაში. სწორედ ამ პერიოდში, მთავრობამ რამდენიმე ახალი რელიგიური ინსტიტუტიც სცნო, მაგალითად სომხეთის ქრისტიანული სამოციქულო კულტი და აღმოსავლეთ მოლდოვის მართლმადიდებელი საეპისკოპოსო. ამავე პერიოდში მოხდა ბესარაბიის მართლმადიდებელი ეკლესიის სამი ახალი სამრევლოს ოფიციალურად რეგისტრირებაც (US Department of State, 2010).

ინტერვიუების შედეგებიდან ირკვევა, რომ უშუალოდ ეკლესია უფრო ძლიერი, პროაქტიური და საერო პროცესებზე ზეგავლენის მომხდენი გახდა 2010 წლიდან (Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია; რესპონდენი 8, პირადი კომუნიკაცია, 2024-2025). ამგვარი გააქტიურება უკავშირდებოდა მოლდოვის ევროკავშირთან ვიზა ლიბერალიზაციის პროცესს, რომლის დროსაც მოლდოვაში მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი, რასაც ორივე ეკლესიის მხრიდან გარკვეული

ტიპის წინააღმდეგობა მოჰყვა, განსაკუთრებით კი მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესიისგან და ეს იყო ეკლესიის ერთ-ერთი პირველი ღია გალაშქრება მთავრობის წინააღმდეგ, რაც ნაწილობრივ ეკლესიისთვის უშედეგოდ და კანონის მიღებით დასრულდა (Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2025).

**ნიკოლაე ტიმოფტი** (2012-2016) - სამწლიანი პოლიტიკური კრიზისის შემდეგ, ევროპულ ძალთა კოალიციამ შეძლო მოლდოვის პრეზიდენტად ნეიტრალური, ტექნოკრატი კანდიდატის, **ნიკოლაე ტიმოფტის** გაყვანა. ტიმოფტი იყო განგრძობითი ევროპეიზაციისა და დემოკრატიზაციის პროაქტიური მხარდამჭერი და შედეგად 2012-2016 წლებში მოლდოვამ შეინარჩუნა და განამტკიცა პრო-ევროპული კურსი, ხოლო პოლიტიკური ვითარება ხასიათდებოდა პლურალიზმით და შეჯიბრის პირობებში ჩატარებული დემოკრატიული არჩევნებით, რაც ვორონინის წლების შემდეგ საგრძნობ გაუმჯობესებას მიანიშნებდა (Popescu, 2009; Hale, 2013). შესაბამისად, ამ პერიოდის მოლდოვა კლასიფიცირდება, როგორც ჰიბრიდული რეჟიმი, დემოკრატიისკენ გადადგმული მკვეთრი ნაბიჯებით, თუმცა მრავალი სისტემური ჩავარდნით; Freedom House-ის მიერ მმართველობა შეფასდა, როგორც “ნაწილობრივ თავისუფალი”, რადგან ჯერაც სახეზე იყო მძლავრი ოლიგარქიული გავლენა და სუსტი ეროვნული ინსტიტუტების ფაქტორი (Freedom House, 2016). მიუხედავად ამ სისტემური ჩავარდნებისა, პრეზიდენტ ტიმოფტის მმართველობისას, 2014 წელს, მოლდოვამ მოაწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას და მიიღო ვიზალიბერალიზაცია, რაც სტრუქტურული და პოლიტიკური კუთხით, ევროპეიზაციის და დემოკრატიზაციის ორი უმთავრესი მომენტია მოლდოვას უახლეს ისტორიაში (Montesano, van der Togt, Zweers, 2016). ნიშანდობლივია, რომ ამ პრო-ევროპელი ლიდერის შემთხვევაშიც, თვალსაჩინოდ გაიზარდა ბესარაბიის მართლმადიდებელი ეკლესიის როლი და საჯარო აქტიურობა, რაც მიგვითითებს გარკვეულ პოლიტიკურ და ისტორიულ კანონზომიერებაზე: პრო-ევროპელი პოლიტიკური ლიდერების პირობებში, მოლდოვაში იზრდებოდა ძალთა ბალანსი სხვადასხვა ეკლესიებს შორის და

დადებითად აქტიურდებოდა რუმინეთთან აფილირებული ბესარაბიის მართლმადიდებელი ეკლესია.

რესპოდენტთა განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლაე ტიმოფტის მმართველობის პერიოდი პრო-ევროპული კურსით გამოირჩეოდა, ისიც კი უფრო ახლო ურთიერთობას ცდილობდა კერძოდ კიშინოვისა და სრულიად მოლდოვის სამიტროპოლიტოსთან (MOC), რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024). ეს არ არის გასაკვირი გამომდინარე იქიდან რომ მოლდოვის ეკლესიას (MOC) უფრო დიდი მრევლი და შესაბამისად მეტი გავლენები გააჩნდა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტორიც რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის დროს ეკლესიის გალაშქრებისას მრევლის ნაწილი კანონის მიმართ ნეგატიურად განეწყო. ქუჩაში მოეწყო დემონსტრაციები ჯერ კანონის და შემდეგ უშუალო სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ (Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2025). შესაბამისად ეკლესია სახელმწიფოსთან წინააღმდეგობაში მოვიდა რიგ საკითხებთან მიმართებით რაც მოიცავდა ადამიანის უფლებებს, საჯარო ცხოვრების სტილს და წერს. შესაბამისად მთავრობისთვის მნიშვნელოვანი იყო ეკლესიასთან ურთიერთობის დათბობა და დალაგება. ეკლესიის ამგვარი რეაქციული მოქმედებები შესუსტდა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, რადგან განსაკუთრებით MOC-ში გაჩნდა შიში რომ ისინი მიზანში იქნებოდნენ ამოღებულები ეროვნული პოლიციის მხრიდან ქვეყანაში რუსული გავლენების გამოვლენის ჭრილში. ამგვარად, ეკლესიამ უკან დაიხია (Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2025).

**იგორ დოდონი** (2016-2020) - პრო-ევროპული მმართველი კლასით უკმაყოფილო მოლდოველებმა, 2016 წელს იგორ დოდონი აირჩიეს. პირდაპირი წესით არჩეული ახალი პრეზიდენტის ვადამ რადიკალური ცვლილება გამოიწვია როგორც მოლდოვის საგარეო ვექტორის კუთხით, ასევე შიდა პოლიტიკის შინაარსითაც (Devyatkov, 2017). როგორც 2014, ასევე 2016 წლების საარჩევნო კამპანიაში, დოდონი აქტიურად იყენებდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ, ვლადიმირ პუტინთან ერთად გადაღებულ

ფოტოებს (Hill, 2018). დოდონი პრო-რუსული კურსის ღია გამტარი გახდა, ხოლო ქვეყნის შიგნით არალიბერალური დემოკრატიის პრინციპების დანერგვა დაიწყო. დოდონის წლების მოლდოვა ხასიათდება, როგორც არალიბერალური დემოკრატია, რომელსაც ახასიათებდა სახელმწიფოს მიტაცება, ოლიგარქიულ ერთეულებთან თანამშრომლობა, პოლიტიზირებული მართლმსაჯულება, ოპონენტების შევიწროება, ზეწოლა მედიაზე (Sliusarenco and Foltea, 2018). იგორ დოდონს არ გაუუქმებია კრიტიკული დოკუმენტები, რომლებმაც განსაზღვრა მოლდოვის ევროპული ინტეგრაციის ჩარჩო. თუმცა მისი რეჟიმის ქმედებები და რიტორიკა ერთმნიშვნელოვნად ევროინტეგრაციის წინააღმდეგ იყო მიმართული და გამოირჩეოდა ბუნებრივი თავდასხმებით რუმინეთზე, ევროკავშირსა და ნატოზე. შესაბამისად, დოდონის წლებმა გამოიწვია წინა პრო-ევროპული ადმინისტრაციის კურსის სრული უკუქცევა (Miarka, 2018). ზემოთ აღნიშნულ ლოგიკასთან სრულ თანხვედრაში, ამ შემთხვევაშიც თავი იჩინა იმავე ტენდენციამ: თუკი პროევროპელი ლიდერების მმართველობისას დადებითად აქტიურდებოდა ბესარაბიის ეკლესიის როლი, დოდონის მმართველობისას წინ იქნა წამოწეული მოსკოვის ეკლესიის როლი.

მოლდოვაში ჩატარებულ ინტერვიუების პასუხებზე დაყრდნობით შეიძლება იგორ დოდონის მმაფრთველობის პერიოდზე რამდენიმე განზოგადებული დასკვნის გამოტანა: პირველი ის რომ ის ღიად გამოხატავდა სიმპათიას MOC-სადმი (Pașa, პირადი კომუნიკაცია, 2024; რესპონდენტი 7, პირადი კომუნიკაცია, 2025;  Munteanu, პირადი კომუნიკაცია, 2024; რესპონდენტი 8, პირადი კომუნიკაცია, 2024). გარდა ამისა, დოდონმა ეფექტიანად აიტაცა ეკლესიის პროტესტის ტრადიციული ღირებულებების დასაცავად და ანტილიბერალური ღირებულებების საზოგადოებაში გასაღვივებლად (Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2025). ამგვარად, მართვის სტილში გაძლიერდა პოპულისტური ელემენტები და ამომრჩევლების მობილიზაციაში ეკლესიის ჩართვა (Gohlke, 2022).

**მაია სანდუ** (2020 წლიდან დღემდე) - დოდონთან პირველი წარუმატებლობის შემდეგ, ლიბერალმა მაია სანდუმ მეორე მცდელობით მოახერხა პრორუსი ავტოკრატი დოდონის

დამარცხება. ამ მომენტში, მოლდოვა აქტიურად დაუბრუნდა როგორც პროევროპულ დღის წესრიგს, აგრეთვე საშინაო რეფორმისტულ კურსს (Harvard Kennedy School, 2022). სანდუს ხელისუფლება, რომელიც მოლდოვას წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის მომენტშიც მართავდა, შეფასებულია როგორც “ნაწილობივ თავისუფალი” რეჟიმი. რადგან მიუხედავად სანდუს დროს განვლილი აშკარა წინსვლისა ევროპეიზაციის და დემოკრატიზაციის თვალსაზრისით, მოლდოვას კვლავ ახასიათებს სუსტი მართლმასჯულების სისტემა და არასაკმარისად განვითარებული ინსტიტუტები, ეკონომიკური და პოლიტიკური რყევები და ოლიგარქიული ელემენტების გავლენა (Smeltzer, 2023). განსაკუთრებით თვალსაჩინოა სანდუს ადმინისტრაციის მიღწევები ევროპეიზაციის კუთხით. 2022 წელს, მოლდოვამ მოიპოვა ევროპული კავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი და გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ევროკავშირის იდეალებთან თანხვედრის (alignment) გაუმჯობესების კუთხით (Directorate General for Communication of the European Parliament, 2025). 2022 წელს უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, სანდუმ მოლდოვის საგარეო პოლიტიკური კურსი მტკიცედ ჩასვა ევროპულ ერთა ოჯახის არჩევანთან თანხვედრაში. სანდუს ლიდერობით, მოლდოვამ დატოვა დსთ-ს ინსტიტუტები და სამაგიეროდ, 2023 წელს, უმასპინძლა ევროპის პოლიტიკურ სამიტს, რითაც კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა მოლდოვის ამბიციურ განაცხადს ევროპეიზაციისა და დემოკრატიზაციის მიმართულებით. 2025 წელს, ევროპულმა საბჭომ მოლდოვას დაუმტკიცა 385 მილიონი ევროს ოდენობით დახმარება და 1.5 მილიარდი ევროს სესხი 2025-2027 წლებში განსახორციელებელი განვითარების პროექტების უზრუნველსაყოფად (European Council, 2025). სხვა პრო-ევროპული მმართველების მსგავსად, სანდუს მმართველობის პერიოდშიც გაიზარდა მხარდაჭერა BM-ისადმი მხარდაჭერა გაიზარდა, ხოლო MOC-ის კავშირები მოსკოვთან ხშირად კრიტიკის საგანი გახდა.

მაია სანდუს მმართველობის პერიოდს რესპოდენტები ორი ეკლესიის მიმართ ურთიერთობის თვალსაზრისით უფრო დაბალანსებულად ახასიათებენ (რესპონდენტი 8, პირადი კომუნიკაცია, 2024). მაია სანდუ თავად არ გამოირჩევა რელიგიურობით,

თუმცა ისინი მიიჩნევენ რომ მას მეტი სიმპათია გააჩნია ბესარაბიის ეკლესიის მიმართ, ხოლო უფლებრივი და ინსტიტუციური თვალსაზრისით ეკლესიების გათანაბრებისკენ აქვს მიმართული ძალისხმევა (Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 8, პირადი კომუნიკაცია, 2024). ეკლესიაც სანდუს მმართველობის პირველ ვადაში ცდილობდა კოჰაბიტაციაში ყოფილიყო პროევროპულ ძალასთან სექსუალური უმცირესობების და გენდერული საკითხების ჩათვლით (Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2025). მიუხედავად მოლდოვაში პროევროპული მთავრობის არსებობისა, ისევე როგორც ეს ნიკოლაე ტიმოფტის მმართველობისას, ბესარაბიის ეკლესიას აქვს გარკვეული წუხილები თავიანთ უფლებებთან დაკავშირებით. კერძოდ, ეკლესიის წარმომადგენლის თქმით, ადრე ბესარაბიის ეკლესია დისკრიმინაციას განიცდიდა, ხოლო სანდუს მმართველობისას კი ეკლესია მაინც მარგინალიზებულად მიაჩნია მათდამი არათანაბარი მოპყრობის, უფლებების არ აღიარების თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა რომ ნელ-ნელა ამ მიმართულებით სიტუაციის გამოსასწორებლად სახელმწიფოს მხრიდან ნაბიჯები იდგმევა (რესპონდენტი 6, პირადი კომუნიკაცია, 2024). სასულიერო პირი ასევე აღნიშნავს რომ ჯერ კიდევ არსებობს ქონებრივი დავები ისტორიულად ბესარაბიის ეკლესიის საკუთრებაში არსებულ ნაგებობებზე, რაც MOC-ისთვის იყო გადაცემული და 20 წლის შემდეგ, 2023 წელს შეიქმნა პრეცედენტი რომ ბესარაბიის ეკლესიამ ესეთი დავა მოიგო (რესპონდენტი 6, პირადი კომუნიკაცია, 2024).

გარდა ამისა, ერთ-ერთი ექსპერტის თქმით, მოსახლეობა MOC-იდან ბესარაბიის ეკლესიაში ინაცვლებს, თუმცა ეს ძალიან ნელი პროცესია (რესპონდენტი 8, პირადი კომუნიკაცია, 2024); ხელისუფლების წარმომადგენელი კი ინტერვიუში ამბობს რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ რუმინეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ ბესარაბიის ეკლესიაში მოსახლეობის თითქმის 40% გადავიდა (რესპონდენტი 5, პირადი კომუნიკაცია, 2024). ამას ექსპერტი და ხელისუფლების წარმომადგენელი ხსნიან იმით რომ მოლდოვის ეკლესია (MOC) არც ისე პატიოსნია და ზოგჯერ რუსეთის აგენტივით იქცევა (რესპონდენტი 8, პირადი კომუნიკაცია, 2024). თუმცა ასევე აღსანიშნავია რუმინეთის გააქტიურება 2021 წლიდან ბესარაბიის ეკლესიის დახმარების

კუთხით (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024). ექსპერტების თქმით, აქედან გამომდინარეარის გარკვეული ფაქტები MOC-ის პოლიტიკური აქტიურობის, ასევე არის გარკვეული დაპირისპირებების ფაქტებიც უშუალოდ ეკლესიაში, მაგრამ სახელმწიფოსთან მაინც მეტ-ნაკლებად დაბალანსებულ ურთიერთობას ინარჩუნებს MOC-ი. შეიძლება ითქვას რომ გეოპოლიტიკური ფაქტორი არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის შიგნით ეკლესიასთან ურთიერთობების წარმართვის კუთხით.

## 4.3. სეკულარიზმის გაგება უკრაინაში

უკრაინის შემთხვევაში ინტერვიუ ჩატარდა ჯამში 13 რესპონდენტთან (ცხრილი 3). აქედან 3 სასულიერო პირი იყო (მათგან ორი იყო უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიიდან მღვდელი და მიტროპოლიტი (OCU) (ერთ-ერთი მანამდე კიევის საპატრიარქოს ქვეშ არსებული უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას მიეკუთვნებოდა (UOC-KP) და ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ გადავიდა OCU-ში), ხოლო ერთი მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტი იყო (UOC-MP); 2 პოლიტიკოსი (ზელენსკის პარტიიდან, რომელმაც მონაწილეობა მიიღო UOC-MP-ის ფუნქციონირების შესაზღუდად 2024 წელს აგვისტოს კანინის შემუშავება-მიღებაში და პოროშენკოს პარტიიდან, რომელიც მონაწილეობდა OCU-სთვის "ტომოსის" (Tomos) მიღებაში და ავტოკეფალიის გამოსაცხადებლად მიმართულ ძალისხმევაში), 1 ჟურნალისტი (წლების მანძილზე იყო ისეთი მოძრაობების წევრი, რომლის მიზანიც უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება იყო), 7 ექსპერტი და დარგის მკვლევარი (აქედან ერთი იყო ბელარუსი რომელიც იკვლევს უკრაინაში ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობებს). 13 ინტერვიუდან 13-ვე ჩატარდა ონლაინ და ერთმა გამოგზავნა წერილობითი პასუხები. აქედან 9 ჩატარდა ინგლისურ ენაზე, 3 რუსულად, ხოლო 1 წერილობით წარმოდგენილი პასუხები იყო უკრაინულ ენაზე.

13 რესპონდენტიდან, 6 თავს OCU-ს მიაკუთვნებს (აქედან 2 UOC-MP-დან გადავიდა, დანარჩენი UOC-KP-დან), 1 UOC-MP-ს, 1 პროტესტანტია, 1 თავს მიაკუთვნებს ბერძნულ კათოლიკურ ეკლესიას, 2 ამბობს რომ არც ერთ რელიგიურ დენომინაციას არ მიაკუთვნებს თავს, 1 თავს რელიგიურად მიიჩნევს, მაგრამ კონკრეტულ ეკლესიასთან არ უნდა თავის აფილირება, ზოგადად მართლმადიდებელია, 1 ბელარუსულ ეკლესიას მიაკუთვნებს თავს რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს ექვემდებარება.

ცხრილი 3. უკრაინაში ჩატარებული ინტერვიუების რესპონდენტთა აღწერა

| რესპონდენტების განაწილება | სასულიერო პირი | ხელისუფლების წარმომადგენელი | პოლიტიკოსი | ჟურნალისტი | ექსპერტი |
|---|---|---|---|---|---|
| 2024-25 წლებში სადოქტოროსთვის ჩატარებული ინტერვიუები | 3 | 1 | 1 | 1 | 7 |

***როგორ აღიქვამენ სეკულარიზმს უკრაინაში?***

მიუხედავად იმისა რომ ინტერვიუს დროს რესპონდენტებს განემარტათ თუ რა ტიპის სეკულარიზმზე იყო საუბარი, კერძოდ საერო და სასულიერო სფეროების და ინსტიტუტების გამიჯვნაზე, რელიგიის თავისუფლებაზე და რელიგიის მიმართ ნეიტლურობაზე, რესპოდენტების უმეტესობამ ის თავისი ინტერპრეტაციით შეაფასა. დარგის მკვლევარმა სეკულარიზმი განმარტა როგორც ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური სფეროს ეკლესიის გავლენისგან გათავისუფლება (რესპონდენტი 10, პირადი კომუნიკაცია, 2025), რაც საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის შემთხვევაში ძნელად წარმოსადგენია. რესპონდენტი სრულიად ეწინააღმდეგება ეკლესიის პოლიტიკაში და ეკონომიკაში ჩარევას, რადგან ეკლესია მისი თქმით სულიერ ამაღლებას უნდა ემსახურებოდეს. ამავდროულად მან გამიჯნა რომ საბჭოთა დროს არსებობდა აგრესიული სეკულარიზმი, თუმცა მისი აზრით არც

“ნამდვილი” დასავლური ტიპის სეკულარიზმია პოსტ საბჭოთა ქვეყნებში, როგორიც უკრაინაა (რესპონდენტი 10, პირადი კომუნიკაცია, 2025). ზოგიერთმა ექსპერტმა საერთოდ უარჰყო ტერმინი სეკულარიზმი, კერძოდ ერთ-ერთმა მათგანმა თქვა რომ ის სეკულარობას ამჯობინებს, როდესაც პოლიტიკური ძალაუფლების რელიგიისგან გამიჯვნა ხდება და მისი გაგებით მნიშვნელოვანია რელიგიამ არ განსაზღვროს ცხოვრების სხვა სფეროები (Vovk, პირადი კომუნიკაცია, 2025). მესამე ექსპერტმა კი უშუალოდ სეულარიზაცია დაახასიათა, როგორც უფლება თავისუფლად შეძლოს ორგანიზება გაუწიოს თავის საქმიანობას, როგორც ამას ინდივიდები აკეთებენ, იმ დათქმით რომ ის კანონის ფარგლებში ჯდება და არავის აზიანებს (Mishchenk, პირადი კომუნიკაცია, 2025). დარგის კიდევ ერთი მკვლევარი სეკულარიზმზე საუბრისას პარალელს კომუნისტური რეჟიმის მმართველობასთან ავლებს, თუმცა მიიჩნევს რომ დღეს სეკულარიზმის გაგება სხვაა, არ არის სრულად გამიჯნული სახელმწიფოსგან და ერის განვითარების მიმართულებით რელიგიას თავისი როლი გააჩნია (რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია, 2025).

პოლიტიკოსებმა სეკულარიზმი კონსტიტუციურ პრინციპად მოიხსენიეს, კერძოდ 35-ე მუხლი ახსენეს და ახსნეს რომ ეს ეკლესიის და სახელმსიფოს, ეკლესიის და სკოლის გამიჯვნას მოიაზრებს და არსებობს რელიგიური თავისუფლება, ვისაც რომელ რელიგიურ დენომინაციუას უნდა იმას მიაკუთვნებს თავს (Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; Kravchuk, პირადი კომუნიკაცია, 2025). ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა ისიც ახსენა რომ მიუხედავად გამიჯვნისა, ეკლესია სახელმწიფოს ფარგლებში ფუნქციონირებს და წარმოადგენს მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუტს (Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025).

სასულიერო პირების ნაწილი მიიჩნევს რომ სრულად სეკულარულ საზოგადოებაზე საუბარი შეუძლებელია დღესდღეობით, რადგან ბევრი მორწმუნე ადამიანია უკრაინაში, თუმცა მისი თქმით რელიგიურობა ბოლომდე არ არის აღდგენილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ამგვარად, მისი გაგებით დღეს სეკულარიზმი ინსტიტუციურ დონეზე

გამიჯვნას, თუმცა საზოგადოებრივ დონეზე ეკლესიის მონაწილეობას გულისხმობს (Metropolitan Olexander, პირადი კომუნიკაცია, 2025). მეორე სასულიერო პირი მიიჩნევს რომ რელიგიური და საერო სფეროები ავტონომიური სფეროებია, მაგრამ ის ეკლესას საჯარო სფეროდან არ გამორიცხავს (Father Serhii Sirenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). მისივე განმარტებით, ჯანსაღ საზოგადოებაში სეკურარიზმი ამ ორ სფეროს შორის თანამშრომლობას და ურთიერთპატივისცემას გულისხმობს. ის ამბობს რომ სახელმწიფო თავის მხრივ არ უნდა ერეოდეს თეოლოგიურ საკითხებში, ხოლო ეკლესია არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში, თუმცა ამავდროულად მას აზრის დაფიქსირების უფლება უნდა მიეცეს, რადგან საზოგადოების ნაწილია. UOC-MP-ის წარმომადგენელი კი სეკულარიზმს პრობლემად აღიქვამს არა მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, არამედ ზოგადად რელიგიური დენომინაციისთვის და აღნიშნავს რომ ეს პრობლემურია განსაკუთრებით ევროპაში და აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ რომ ის ხისტი ფორის სეკულარიზმს გულისხმობს (Metropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია, 2025). რესპონდენტების პასუხებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას რომ უკრაინაში სეკულარიზმის შეფასების თვალსაზრისით აზრები ყველაზე მეტად გაიყო.

*რამდენად სეკულარულია უკრაინა?*

უკრაინაში სეკულარიზმის ფორმის და ხარისხის შეფასებისას, ინტერვიუს მეშვეობით მიღებული შედეგებიდან ჩანს რომ რესპონდენტების უმრავლესობა უკრაინაში თანამშრომლობითი ფორმის სეკულარიზმს ხედავს და მიიჩნევენ რომ სამართლებრივ დონეზე ეკლესია და სახელმწიფო გამიჯნულია (Mishchenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; Metropolitan Olexander, პირადი კომუნიკაცია, 2025; Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; Father Serhii Sirenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; Fert, პირადი კომუნიკაცია, 2025). ერთ-ერთი ჟურნალისტი რესპონდენტი იმასაც ამბობს, რომ ინსტიტუციური გამიჯვნა კი არის სახეზე, მაგრამ პოლიტიკოსები ცდილობენ ხოლმე ეკლესიაში გამოჩნდნენ დიდ დღესასწაულებზე, რაც მისი აზრით ნორმალურია, რადგან მიიჩნევს რომ უკრაინა

კონსერვატიური ქვეყანაა (Міщенко, პირადი კომუნიკაცია, 2025). გარდა ამისა, რესპონდენტების უმრავლესობის აზრით საკმაოდ ლიბერალური კანონმდებლობა არსებობს უკრაინაში რელიგიური თავისუფლების და პლურალიზმის წასახალისებლად (Vovk, პირადი კომუნიკაცია, 2025; Kravchuk, პიადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია, 2025). მაგრამ არც ერთი რესპონდენტი არ ამბობს იმას რომ როდესმე სახელმწიფო ნეიტრალური იყო რელიგიის მიმართ, რაც სეკულარიზმის ერთ-ერთი პრინციპთაგანია.

ერთ-ერთმა სასულიერო პირმა განმარტა, რომ ფორმალურად უკრაინა სეკულარული სახელმწიფოა, რაც კონსტიტუციითაცაა გამყარებული, მაგრამ საზოგადოების მორალის, იდენტობის, პატრიორიზმის და ომის მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით რელიგიას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს (Father Serhii Sirenko, წერილობითი ინტერვიუ, 2025). მან უკრაინის სეკულარულობის შეფასებისას, ასევე აღნიშნა შემდეგი “მე ვიტყოდი, რომ უკრაინაში სეკულარიზმის განსაკუთრებული ფორმა ხორციელდება - არა აგრესიული, როგორც ზოგიერთ დასავლურ ქვეყანაში, არამედ დიალოგური, რაც მაინც მოითხოვს სეკულარულსა და სულიერს შორის უფრო ღრმა კოორდინაციას” (Father Serhii Sirenko, წერილობითი ინტერვიუ, 2025).[5] ამავე აზრს ავითარებს დარგის მკვლევარი და აღნიშნავს რომ უკრაინაში “ცივილიზაციური” სეკულარიზმი და დასავლური ტიპის ბალანსი არ არის და ზოგადად პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებში მისი აზრით სეკულარულ და სასულიერო სფეროებს შორის ბალანსი არ არის მიღწეული (რესპონდენტი 10, პირადი კომუნიკაცია, 2025).

რამდენიმე რესპონდენტი ფიქრობს რომ უკრაინა სეკულარულია იმ კუთხით რომ რელიგია პოლიტიკური სფეროსგან გამიჯნულია, თუმცა მათი თქმით უკრაინას მაღალი

[5]ციტატა მომდინარეობს წერილობითი ინტერვიუდან, რომელიც რესპონდენტმა წარმოადგინა უკრაინულ ენაზე. ორიგინალი ტექსტია: “я би сказав, що в Україні реалізується особлива форма секуляризму — не агресивна, як у деяких західних країнах, а діалогічна, яка потребує ще глибшого узгодження між світським і духовним.” აღნიშნული თარგმნილია ინგლისურად ChatGPT-ის მეშვეობით და შემდგომ ქართულად ჩემს მიერ.

რელიგიურობით გამორჩეული საზოგადოება ჰყავს, ამიტომ საჯარო სფეროზე ეკლესიას დიდი გავლენა აქვს (Dmytro Vovk, პირადი კომუნიკაცია, 2025; Metropolitan Olexander, პირადი კომუნიკაცია, 2025; Father Serhii Sirenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). გარდა ამისა, რესპონდებტების ნაწილმა ახსენა ორი საპირისპირო ტენდენცია, თუმცა ამ შემთხვევაში ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს რესპონდენტების რელიგიური დენომინაციებისადმი მიკუთვნებულობა რათა პათოსი სწორად იქნეს აღქმული. მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის (UOC) მიტროპოლიტის მოსაზრებით, ბოლო დროს საზოგადოებაში და განსაკუთრებით ახალგაზრდებში რელიგიურობამ იკლო და ამის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს რომელიღაც საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგი რის მიხედვითაც ის ამბობს რომ 18–25 ასაკის მოქალაქეების დაახლოებით 50%-მდე თავს არარელიგიურად მიიჩნევს (Mitropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია, 2025). მიტროპოლიტის მიერ დასახელებული პროცენტი თითქმის ზუსტია. დასახელებული ასაკის ადამიანების 52% მიიჩნევს თავს რელიგიურად 2024 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგად, თუმცა იქვეა აღნიშნული რომ ტრადიციულად ახალაზრდები ყოველთვის ნაკლები რელიგიურობით ხასიათდებოდნენ (Razmukov Centre, 2025). ხოლო ამის საპირისპიროს ამტკიცებს უკრაინის ავტოკეფალიური ეკლესიის (OCU) მიტროპოლიტი და ამბობს რომ უკრაინაში ომის დაწყებამ საზოგადობა უფრო რელიგიური გახადა (Mitropolitan Olexander, პირადი კომუნიკაცია, 2025). OCU-ს მიტროპოლიტის ნათქვამიც რეალურად შეესაბამება სინამდვილეს, რაც ასევე საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგად დასტურდება. კერძოდ საგულისხმოა რომ 2021 წლიდან 2022 წლის ნოემბრამდე იმ ადამიანების პროცენტული წილი რომლებიც თავს მორწმუნედ თვლიან 68%-დან 74%-მდე გაიზარდა (Razmukov Centre, 2025). აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ რომ პასუხებში პათოსი იყო მთავარი და არა მაინც და მაინც სტატისტიკა. კერძოდ იქიდან გამომდინარე რომ ომის დაწყების შემდეგ (UOC)-ის მიმართ ნდობა შემცირდა და 2024 წლის მდგომარეობით ის 5.5%-ს შეადგენს, ხოლო გამოკითხულთა 35% თავს OCU-ს მიაკუთვნებს (Razumkov Centre, 2025). ამ ფონზე, UOC-ის მიტროპოლიტს მიაჩნია რომ უკრაინა მკვეთრად სეკულარული ხდება, მედია არ

განიხილავს რელიგიას პოლიტიკური დებატის მიღმა და მისი თქმით: "ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობებში სახელმწიფო პოლიტიკა მთლიანად მიმართულია რელიგიის სიმულაკრის შექმნაზე და საზოგადოებაში ისეთი შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაზე, თითქოს მთელი საეკლესიო ცხოვრება იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ არის კანონიკური, ვინ არაკანონიკური, ვის აქვს ტომოსი, ვის არ აქვს ტომოსი, ვინ არის უკრაინელი, ვინ არის რუსი"[6] (Mitropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია, 2025).

რესპონდენტების ნაწილმა უკრაინის სეკულარობის შეფასებისას ახსენეს რუსეთის გავლენის საკითხი UOC-ზე და მათმა ნაწილმა ისიც აღნიშნა, რომ ეს ეკლესია რუსული აგრესიისთვისაც გამოიყენება (Rostyslav Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). OCU-ის მიტროპოლიტის თქმით, უკრაინა არის დამოუკიდებელი სახელმწიფო რომელიც იტანჯება რუსული გავლენების გამო. მიუხედავად იმისა რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 30 წელზე მეტი გავიდა, ის თვლის რომ საზოგადოებაში რელიგიურობის აღდგენა ნელა ხდება და თუმცა საზოგადოება, ისევე როგორც საქართველოში სეკულარული არ არის, რაშიც ის გულიხმობს რელიგიურობისგან დაცლას და არა სასულიერო და საერო ინსტიტუტების გამიჯვნას (Mitropolitan Olexander, პირადი კომუნიკაცია, 2025). შესაბამისად, აქაც, როგორც საქართველოში პოსტ-სეკულარიზმის ჰაბერმანსისეული გაგება მოქმედებს, როდესაც მოდერნიზაციამ მაინც და მაინც საჯარო სფეროს რელიგიურობისგან დაცლა არ გამოიწვია.

ეკლესია-სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში დომინირებას რაც შეეხება, რესპონდენტების უმრავლესობის პასუხებიდან იკვეთება რომ ეკლესიის ბედიღბალის და სამართლებრივი პოლიტიკის განმსაზღვრელი უკრაინაში სახელმწიფოა (Pavlenko,

---

[6] ციტატა მომდინარეობს ონლაინ ინტერვიუდან, რომელიც ჩატარდა რუსულ ენაზე. ორიგინალი ტექსტია: И в том числе я хочу сказать, что государственная политика церковно-государственных отношений она вся направлена на то, чтобы создавать создавать симулякр симулякр религии и создавать впечатление формировать впечатление у общества что вся церковная жизнь сводится только к выяснению кто каноничный кто не каноничный у кого Томас у кого не Томас кто украинский, кто российский. აღნიშნული ქართულად თარგმნილია ჩემს მიერ.

პირადი კომუნიკაცია, 2025; Metropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია; რესპონდენტი 10, პირადი კომუნიკაცია; Fert, პირადი კომუნიკაცია, 2025). ამგვარად, ეკლესიის პოზიციონირება მათი თქმით სახელმწიფოს პოლიტიკიდან, კერძოდ კი სხვადასხვა მმართველების პოლიტიკური პრიორიტეტებიდან გამომდინარეობს (რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია, 2025). როცა საქმე უკრაინას ეხება, ასევე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საერო და სასულიერო სფეროებს შორის მიჯნის დანახვა, არამედ ის თუ რომელი მართლმადიდებელი ეკლესიისადმი უფრო მეტი სიმპათიით არის ესა თუ ისე ხელისუფლება განწყობილი. მაგალითად, კრავჩუკი გამოირჩეოდა კიევის საპატრიარქოს ქვეშ არსებული მართლმადიდებელი ეკლესიისადმი (UOC-KP) მხარდაჭერით, კუჩმა მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი (UOC-MP) მხარდაჭერით და ასე იცვლებოდა ურთიერთობები სხვადასხვა ხელისუფალის მოსვლის შემდეგ ორ ძირითად დომინანტ ეკლესიასთან მიმართებით, რაც მომდევნო თავში უფრო ვრცლად არის განხილული.

UOC-MP-ის წარმომადგენელი იმასაც ამბობს რომ დღესდღეობით უკრაინის ხელისუფლებაამ ეკლესიის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობით ხასიათდება და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას, კერძოდ ეკლესია-მონასტრებს ართმევს (Metropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია, 2025). სამართლის ექსპერტის მოსაზრებით კი, ხელისუფლება ზელენსკის მთავრობის პირობებში უშვებს კონკურენციის არსებობას ეკლესიებს შორის, თუმცა ის არ ახდენს უშუალოდ ეკლესიის ინსტიტუციურ კონტროლს (Dmytro Vovk, პირადი კომუნიკაცია, 2025). UOC-MP-ს შესახებ განსხვავებული მოსაზრებები აქვთ რესპონდენტების ნაწილს და მიიჩვენ რომ ის რუსული გავლენის ქვეაშაა, რადგან რუსეთის ეკლესია კრემლის იდეოლოგიური საყრდენია და მას ის თავის გეოპოლიტიკურ საყრდენად იყენებს (Pavlenko, პირადი კომინიკაცია, 2025; Metropolitan Olexander, პირადი კომუნიკაცია, 2025). მიუხედავად იმისა რომ პოლიტიკოსების აზრით ეკლესია თავისუფელი უნდა იყოს პოლიტიკური გავლენებისგან და ასევე არც თვითონ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში, სამწუხაროდ ასე

ყოველთვის ვერ ხერხდება. თუმცა პოლიტიკოსი ასევე აღნიშნავს რომ უკრაინაში ომის დაწყებამ ეკლესია “ლაკმუსის ტესტად აქცია” (Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). თუმცა მეორე მხრივ, სხვა მკვლევარი აღნიშნავს რომ უკრაინის ავტოკეფალიური ეკლესია OCU მთლიანად სახელმწიფოს პროექტია (Maksym Balaklytskyi, პირადი კომუნიკაცია, 2025). გამოკითხული სოციოლოგი ამბობს რომ მიუხედავად იმისა რომ სახელმწიფოს ძალაუფლება ინსტიტუციურ დონეზე უფრო მაღალია, იდენტობის და ღირებულებების ჭრილში ეკლესიას მნიშვნელოვანი გავლენის მოხდება შეუძლია საზოგადოებაზე (Mykhailo Mishchenko, პირადი კომუნიკაცია, 2025).

### 4.3.1. ფაქტები და მოსაზრებები ეკლესიების შემოსავალზე

ოფიციალურად უკრაინაში მართლმადიდებელ ეკლესიებს სახლმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება არ აქვთ (Білаш, 2022). მართლმადიდებელ ეკლესიებს შეუძლიათ ქონების ფლობა, კერძოდ რელიგიური და ისტორიული შენობების საკუთრებაში, ან თანასაკუთრებაში ყოლა. გარდა ამისა მართლმადიდებელ ეკლესიებს აქვთ უფლება აწარმოონ ბიზნეს აქტივობები როგორიცაა საეკლესიო და მსგავსი ნივთების დამზადება-ვაჭრობა, სადაც ძირითად შემთხვევებში ისინი გადასახადებს იხდიან, მაგრამ არის ასევე გადასახადიდან გათავისუფლების პრეცედენტები მაგალითად მაშინ როდესაც ისინი იღებენ შესაწირს, გრანტის სახით დახმარებას და ასევე რელიგიური მიზნით მიწის და უძრავი ქონების გამოყენებისას (Tax Code of Ukraine, Art 197, Art 265, 2010). გარდა ამისა მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ სამხედრო კაპელანები გარკვეული სახის დაფინანსებას ოფიციალურად იღებენ (US Department of State, 2023). ოფიციალურად, ეკლესიის მთავარი შემოსავალი შემოწირულობებით მიიღება. გარდა ამისა, არის შემთხვევები როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე ეკლესიური შენობა-ნაგებობების აღდგენისთვის გამოიყოფა ხოლმე გარკვეული თანხები (Bilash & Karabin, 2024). ასევე რელიგიური რიტუალების დროსაც იხდიან მოქალაქეები თანხას,

როგორიცაა ნათლობა, ჯვრისწერა, წესის აგება და ასე შემდეგ. OCU დაფინანსებას ზოგჯერ უკრაინული დიასპორისგანაც იღებს (Ukrainian Orthodox Church of the USA, 2025). ხოლო UOC-MP ადრე გარკვეულ დაფინანსებას რუსეთისგან იღებდა (Luchenko, 2025), მაგრამ 2022 წლის შემდეგ ეს პრაქტიკა საგრძნობლად შემცირდა (Intent News, 2024). ეკლესიები ვალდებულები არიან სახელმწიფოს წინაშე წარადგინონ ფინანსური ანგარიშები (Bilash & Karabin, 2022).

გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა ადასტურებს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიები სახელმწიფოსგან დაფინანსებას არ იღებენ. თუმცა ასევე ადასტურებენ იმასაც რომ არის გამონაკლისი შემთხვევები, მაგალითად როგორიცაა რელიგიური და კულტურული ნაგებობებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა, გარკვეული საკუთრების ეკლესიისთვის გადაცემა (Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). რესპონდენტების უმრავლესობა ასევე ამბობს რომ ეკლესიების ძირითადი შემოსავალი შემოწირულობებია, თუმცა ასევე ადასტურებენ რომ UOC-MP-ს რუსეთიდანაც ჰქონდა და შესაძლოა ისევ აქვს დაფინანსება (Mishchenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია, 2025). UOC-MP-ს მიტროპოლიტმა ინტერვის დროს დააზუსტა რომ მათი ეკლესიის დაფინანსება დონაციებზეა დამოკიდებული და მათ ასევე აქვთ ეკლესიური ნივთების წარმოების უფლება.იმ შემთხვევაში, თუ ამით ფინანსურ სარგებელს მიიღებენ, მაშინ ისინი გადასახადებსაც შესაბამისად იხდიან (Metropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია, 2025). დარგის ბელარუსმა მკვლევარმა ეკესიების შემოსავლებთან დაკავშირებით განმარტა რომ შემოწირულობებს ბიზნესმენებისგანაც ღებულობენ (Vovk, პირადი კომუნიკაცია, 2025). ხოლო რაღაც მცირე დაფინანსება რაც სახელმწიფოს წყაროებიდან მოდის ძირითადად განათლებას მიემართება, კერძოდ სასულიერო სკოლებში თეოლოგიის მასწავლებლების ხელფასს (რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია, 2025). ამავე მკვლევარმა დააზუსტა რომ სახელმწიფო დაფინანსება ასევე გამოიყოფა ხოლმე ისეთი ეკლესიების რემონტისთვის და რეკონსტრუქციისთვის, რომლებიც მნიშვნელოვან არქიტექტურულ ობიექტებად ითვლება. მთავრობის წარმომადგენელმა ინტერვიუს

დროს  ახსენა რომ ბოლო დროს მიიღეს კანონი, რის მიხედვითაც თუ ეკლესიისთვის იჯარის ხელშეკრულების გაფორმება ხდება, შესაძლებელია რომ ამისთვის ეკლესიამ არაფერი გადაიხადოს (Kravchuk, პირადი კომუნიკაცია, 2025). OCU-ს მიტროპოლიტმაც გააკეთა ამ საკითხზე კომენტარი და აღნიშნა რომ ეკლესია ძირითადად თვითდაფინანსებაზეა დამოკიდებული, თუმცა არის შემთხვევები როდესაც ეკლესიის საკუთრებაში გადადის მონასტრები, მიწები და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით არიან დაკავებულები, ან კერძო შენობების გაქირავებით და ასეთ შემთხვევებიც ქმნის გარკვეულ შემოსავლის წყაროებს (Metropolitan Oleksandr, პირადი კომუნიკაცია, 2025). ექსპერტთა ნაწილი ინტერვიუს დროს აღნიშნავდა რომ დაფინანსება სისტემური არაა და ადამიანების კეთილ ნებაზეა ეკლესიების დაფინანსება დამოკიდებული (Serhii Sirenko, პირადი კომუნიკაცია, 2025).

### 4.3.2. შეხედულებები ეკლესია-სახელმწიფოს შორის პრაქტიკაში არსებულ თანამშრომლობის სფეროებზე და გამოწვევებზე

უკრაინაში სახელმწიფო-ეკლესიას შორის ურთიერთგადამკვეთ კომპეტენციებზე საუბრისას, პოლიტიკოსმა რესპონდენტმა ახსენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანო - უკრაინის ეკლესიებისა და რელიგიური ინსტიტუტების საბჭო (UCCRO, ან AUCCRO), რისი წევრებიც არიან სხვადასხვა რელიგიური დენომინაციები, მათ შორის ორივე დომინანტი მართლმადიდებელი ეკლესია და რესპონდენტების ნაწილის თქმით თანამშრომლობის სფეროებზე დისკუსია ამ ფორმატის საშუალებით ხდება ხოლმე (Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; Fert, პირადი კომუნიკაცია, 2025). ამავე პოლიტიკოსმა აღწერა რომ მთავრობის წარმომადგენლები მიდიან ხოლმე ამ ფორმატში ჩატარებულ შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად სხვადასხვა რელიგიური დენომინაციების მხრიდან პრობლემების მოსასმენად. ეს პრობლემები ზოგჯერ საბჭოს საერთო მესიჯად გადის ხოლმე კონკრეტული საკითხის და ინიციატივის ლობირების მიზნით. თუმცა რა თქმა უნდა არის საკითხები რაზეც ეკლესიები და სახელმწიფო

ინსტიტუტები ვერ თანხმდებიან ხოლმე. ამავე პოლიტიკოსის თქმით, რელიგიურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ სახელმწიფოსგან დახმარება ითხოვონ, განსაკუთრებით საგარეო რელიგიურ საკითხებზე, მაგრამ სამართლებრივი როლი ეკლესიას არ გააჩნია.

მართლმადიდებელ ეკლესიებსა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის სფეროთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი რესპონდენტების აზრით სოციალური და განათლების მიმართულებებია (Dmytro Vovk, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია, 2025; Metr. Opexander, პირადი კომუნიკაცია, 2025; Father Serhii Sirenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; Metropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია, 2025). თუმცა აღსანიშნავია, რომ რელიგიური განათლება სკოლებში არ ისწავლება, არ არის სკოლის კურიკულუმის სავალდებულო ნაწილი და მსგავსი საგნების გავლა ძირითადად ეთიკის მოდულის არჩევის შემთხვევაშია შესაძლებელი, რაც პირდაპირ რელიგიას არ მოიცავს, უფრო ფართოა (Dmytro Vovk, პირადი კომუნიკაცია, 2025). ასევე ცალკე საკითხია, თუ რამდენადაა მოთხოვნა უკრაინაში რელიგიურ განათლებაზე და სოციოლოგი რესპონდენტის თქმით მათ ჩაატარეს საზოგადოებრივი გამოკითხვა რის შედეგედაც გამოვლინდა რომ საზოგადოების უმრავლესობა მიიჩნევს რომ სკოლებში სასულიერი პირების მხრიდან რელიგიაზე საგნის სწავლება დასაშვებია, განსაკუთრებით სკოლებში მორალის სწავლების ჭრილში (Mykhailo Mischenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). შესაბამისად იგივე რესპონდენტის თქმით ამ კუთხით სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა შესაძლებელია. მკვლევრების ნაწილის აზრით სოციალურ, განათლების, კულტურის და ეროვნული იდენტობის საკითხებში ეკლესია ისედაც ცდილობს ზეგავლენის მოხდენას, რაც ბუნებრივია, თუმცა პოლიტიკურ პროცესში ჩართულობა მიუღებლად მიაჩნიათ (რესპონდენტი 10, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია; Dmytro Vovk, პირადი კომუნიკაცია, 2025). კიდევ ერთი რესპონდენტი კი მეორე მხრივ აღნიშნავს რომ უკრაინაში ყველა დროს ყველა პოლიტიკოსი აქეთ ცდილობდა მართლმადიდებელ ეკლესიებთან კარგი ურთიერთობის ქონას და პოლიტიკურად ინსტრუმენტალიზებას (Balaklytskyi, პირადი კომუნიკაცია, 2025). თუმცა აღსანიშნავია

რომ თითქმის არც ერთ რესპონდენტს არ უსაუბრია უშალოდ ეკლესიების მხრიდან პოლიტიკაში ჩართვის მცდელობებზე. ერთ-ერთი პოლიტიკოსი რესპონდენტი კი აფასებს მართლმადიდებელი ეკლესიების გავლენას საჯარო ნარატივებზე, თუმცა ამავდროულად ახსენებს რომ სამართლებრივად მნიშვნელოვანი გადაკვეთები არ არსებობს, რადგან უკრაინის კანონმდებლობა ამ მხრივ საკმაოდ ლიბერალურია (Kravchuk, პირადი კომუნიკაცია, 2025).

კიდევ ერთი საკითხი რაზეც რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს კაპელანის ინსტიტუტია (Metropolitan Opexander, პირადი კომუნიკაცია, 2025; Father Serhii Sirenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; Metropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია, 2025). სახელმწიფოსთან ამ მიმართულებით OCU-მ თანამშრომლობა გააფორმა და შესაბამისი კანონმდებლობაც იქნა მიღებული სამხედრო კაპელანების ჩამოყალიბების შესახებ, რისთვისაც მიტროპოლიტმა ეპიფანემ ზელენსკის მადლობაც გადაუხადა. ზელენსკიმ კი სახელმწიფოს დაცვის მიმართულებით ეკლესია-სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის აუცილებლობას გაუსვა ხაზი (RISU, 2021). ინტერვიუების რესპონდენტთაგან, OCU-ს წარმომადგენლები პოლიტიურად აფასებენ ამგვარ თანამშრომლობას (Metr. Opexander, პირადი კომუნიკაცია, 2025; Father Serhii Sirenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). თუმცა მათგან ერთ-ერთი აღნიშნავს, რომ სამართლებრივ დონეზე ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ განსაზღვრული ურთიერთობების ჩარჩოები ეკლესია-სახელმწიფოს შორის სამხედრო სამლოცველოსთან, სულიერ განათლებასთან მიმართებით და კანონების მორალურ-ეთიკურ შეფასებათან დაკავშირებით (Father Serhii Sirenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). მისი თქმით ამ მიმართულებებით ახალი პარტნიორობის მექანიზმები უნდა ჩამოყალიბდეს. კაპელანის ინსტიტუტის არსებობა მოიწონა სოციოლოგმა რესპონდენტმაც და თქვა რომ ეს არის ის სფერო სადაც თვალსაჩინოა ეკლესიის საერო საქმეში მონაწილეობა (Mishchenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). მან აღნიშნა რომ ამ სერვისში ჩართულია ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიაც, მუსულმანი და პროტესტანტი მღვდლები, მაგრამ არა რუსეთის საპატრიარქოს ქვეშ არსებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია. რესპონდენტი ამბობს რომ UOC-MP-მ ითხოვა 2024 წელს

ამ მიმართულებით თანამშრომლობა, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან ნეგატიური პასუხი მიიღო, სავარაუდოდ რუსული გავლენების გამოსარიცხად. UOC-MP-ს მიტროპოლიტის თქმით მათ ეკლესიაზე კაპელანის ინსტიტუტი არ ვრცელდება, მათ აკრძალული აქვთ ამ მიმართულებით მუშაობა, თუმცა მისი თქმით მათ ზოგადად ჰყავთ გაწვრთლინი სამხედრო კაპელანები (Metropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია, 2025). ამავეს ადასტურებს ბელარუსი მკვლევარიც და ამბობს რომ UOC-MP ერთადერთი რელიგიური დენომინაცია რომელსაც ოფიციალურად აეკრძალა ამ მიმართულებით მუშაობა (რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია, 2025).

ზემოთ როგორც იყო ნახსენები, განათლება არის ის სფერო სადაც არსებობს გარკვეული სახის თანამშრომლობა, მაგრამ არა მჭიდრო და ამ მიმართულებით რესპონდენტებს და მათი თქმით უკრაინაში გამოკითხულ საზოგადოებასაც აქვს სურვილი ეკლესია-სახელმსიფოს შორის თანამშრომლობის (Metropolitan Olexander, Mykhailo Mischenko, Father Serhii Sirenko, Metropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია, 2025). უკრაინაში სკოლებში როგორც ზემოთ ითქვა რელიგია არ ისწავლება, მაგრამ არსებობს სასულიერო სემინარიები და აკადემიები (Orthodox Christianity, 2021). UOC-MP-ს 2021 წლის მდგომარეობით ჯამში 20 სასულიერი სასწავლებელი ჰქონდა, 2024 წლისთვის კი ეს რიცხვი დაახლოებით 8-მდე დავიდა, ხოლო OCU-ს 2024 წლის მონაცემებით ჯამში 9 სასულიერო სასწავლებელი აქვს (RISU, 2024).

OCU-ს მიტროპოლიტი, რომელიც ადრე მიტროპოლიტი ვოლოდიმერის ხელმძღვანელობის დროს UOC-MP-ს მიეკუთვნებოდა და ამბობდა რომ მის დროს UOC-MP-ს მთავარი პრიორიტეტები განათლება და სოციალური საკითხები იყო. სანამ მიტროპოლიტი ვოლოდიმერი გარდაიცვლებოდა, მის სიცოცხლეში აღნიშნული რესპონდენტი ამბობს რომ 16 წელი იყო მისი პირადი მდივანი - ამგვარად, მან განმარტა რომ ეკლესიის მსახურებასთან, განათლებასთან, სოციალურ და ჰუმანიტარულ საკითხებთან დაკავშირებით პროექტებს მიტროპოლიტი ვოლოდიმერის ხელმძღვანელობით ახორციელებდა (Metropolitan Olexander, პირადი კომუნიკაცია,

2025). მან ასევე ახსენა რომ ადრე მათ თავიანთი ტელევიზია ქონდათ სახელმწიფო ლიცენზირებული საგანმანათლებლო პროგრამებით, ამგვარად ის მიიჩნევს რომ მიტროპოლიტი ვოლოდიმერის ხელმძღვანელობის პერიოდში UOC-MP-სა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის თანაშრომლობა განათლების და სოციალური მიმართულებიჩ ეფექტიანი იყო. OCU-ს წარმომადგენელი სასულიერო პირი განათლების, სოციაური და სამხედრო მიმართულებით თანამშრომლობას მისაღებად მიიჩნევს და ჩარევად არ აღიქვამს (Father Serhii Sirenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). UOC-MP-ის მიტროპოლიტი საკითხს უფრო კრიტიკულად წარმოაჩენს და მოკლე ისტორიულ ექსკურსსაც გვთავაზობს (Metropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია). კერძოდ, ის ხსნის რომ უკრაინის ისტორიის გადახედვის შემთხვევაში, თვალსაჩინოა რომ განათლება სწორედ რელიგიურ კონტექსტშია წარმოშობილი. ის ასევე აზოგადებს და ამბობს რომ ევროპის ყველა უნივერსიტეტშიც ასე მოხდა, რომ თეოლოგიის ფაკულტეტიდან წამოვიდა დანარჩენი მიმართულებები. ის მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო რომ უკრაინაში რელიგიური განათლება თავის სიმაღლეზე არაა, სულიერ აღზევებასთან დაკავშირებული საგმები არ ისწავლება ბაღებში, სკოლებში, უნივერსიტეტებში და ახსენებს რომ მხოლოდ კონფესიური განათლება მოქმედებს, სადაც სასულიერი პირები ემზადებიან. მან გაიხსენა მცდელობები რომ რელიგიური სწავლება საგანმანათლებლო პროცესში დანერგილიყო, თუმცა მისი თქმით ეს ძალისხმევა არ იყო ძლიერი. მან ასევე განმარტა არსებული პრაქტიკა რომ თუ მშობლებს სურთ რომ ბავშვებმა სულიერ-ზნეობრივი საგნები შეისწავლონ, მაშინ მათ ფულის გადახდა უწევთ, თუმცა ქვეყანაში მუდმივი ეკონომიკური კრიზისის გამო ეს პრობლემურია. მან აღნიშნა რომ ომის დაწყების შემდეგ UOC-MP აქტიურადაა ჩართული სოციალური დახმარების პროცესში და პირველ რიგში ეხმარება იძულებით გადაადგილებულ პირებს და დაზარალებულ სამხედროებს (Metropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია). მისი მტკიცებით, UOC-MP მსგავსი სოციალური აქტივობებისთვის ცდილობს გამოიყენოს საერთაშორისო კავშირებიც, თუმცა საკანონმდებლო ბაზა ამაში ხელს არ უწყობს ეკლესიას.

მიტროპოლიტი მიიჩნევს რომ მნიშვნელოვანია თანამშრომლობა არქიტექტურული და ატიკური ძეგლების შენარჩუნების მიზნით. თუმცა ის ამბობს რომ ბოლო წლებში შეინიშნება ეკლესიისთვის შენობების ჩამორთმევის მცდელობები, რაც სამარცხვინო ფაქია. ის ამბობს, რომ არ მუშაობს რესტიტუციის მექანიზმი, კომუნისტების დროს წართმეული შენობა-ნაგებობების ეკლესიებისთვის უკან დაბრუნება და სახელმწიფოს მეთვალყურეობის ქვეშ მართვა (Metropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია, 2025).

### 4.3.3. უკრაინაში ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების ცვალებადობის დინამიკა 90-იანი წლებიდან სხვადასხვა მთავრობების დროს

**ლეონიდ კრავჩუკი** (1991-1994) - სხვა პოსტ-საბჭოთა ლიდერების მსგავსად, უკრაინის პირველ პრეზიდენტ კრავჩუკის მმართველობაც არსებითად ტრანზიციული და მრავალი თვალსაზრისით საფუძემდებლო ხასიათის იყო (Aslund, 2009). სხვა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების მსგავსად, უკრაინული დემოკრატია კრავჩუკის პერიოდში ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო, მყიფე ინსტიტუტებით, მცირე დემოკრატიული გამოცდილებით და მაღალი პოსტ-საბჭოთა პოლიტიკური ინერციით. თუმცა, კრავჩუკის მმართველობის დროს ჩატარდა ორი თავისუფალი და კონკურენტული არჩევნები და ადგილი ჰქონდა ძალაუფლების მშვიდობიან გადაცემას. კრავჩუკის სამწლიანი პრეზიდენტობის დროს გადაიდგა პირველი ნაბიჯები უკრაინის ევროპეიზაციის კუთხითაც (Shyrokykh, 2018). უკრაინა გაწევრიანდა ეუთოში, ევროპის საბჭოში და ხელი მოაწერა ევროკავშირთან პარტნიორობის შეთანხმებას, თუმცა დემოკრატიზაციაც და ევროპეიზაციაც ჯერ კიდევ ზედაპირული ხასიათის იყო (Åslund, 2009, 35). კრავჩუკის პრეზიდენტობისას, საფუძველი ჩაეყარა ცალკე უკრაინის ეკლესიის ჩამოყალიბებას და ნელ-ნელა განვითარდა თავდაპირველად დიასპორის, შემდეგ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესია რომელიც კიევის საპატრიარქოს დაექვემდებარა, რომლის პატრიარქიც ფილარეტი გახდა და მეორე იყო უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია - კიევის საპატრიარქოს ქვეშ (UOC-KP), თუმცა ჯერ კიდევ მკაფიოდ დომინირებდა

უკრაინის მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი ეკლესია (UOC-MP) (Kulyk, 2019).

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას რომ უკრაინის დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ, უკრაინულმა სახელმწიფომ დაიწყო კონკრეტული ძალისხმევების გაღება ქვეყანაში ავტოკეფალიური ეკლესიის ჩამოსაყალიბებლად (Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; Mishchenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; Balaklytskyi, პირადი კომუნიკაცია, 2025). მიუხედავად ზევრი ძალისხმევისა, ეს 2018 წლამდე ვერ მოხერხდა, თუმცა საყურადღებოა წლების მანძილზე ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსახლეობა დაიბნა და საბოლოოდ თავი შეაფარა "ქრისტიანულ სოციალიზმს" (Balaklytskyi, პირადი კომუნიკაცია, 2025). მათ მისი თქმით ქრისტიანობაში დაინახეს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთდახმარების და სოციალური მზრუნველობის ასპექტები, რამაც საზოგადოება მეტად გააერთიანა.

ამის მიუხედავად, ეკლესია რეალურად ორად გაიყო, ერთ-ერთი პოლიტიკოსი რესპონდენტის თქმით, დამოუკიდებლობის პერიოდიდან მოყოლებული პარალელურად აღზევდა ორი ეკლესია, პირველი რომელიც უკვე არსებობდა მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული და მეორე რომელიც ნელ-ნელა სწორედ ლეონიდ კრავჩუკის დროს განვითარდა, რომელსაც პრეზიდენტიც ხელს უწყობდა (Kravchuk, პირადი კომუნიკაცია, 2025).

უკრაინელმა პოლიტიკოსმა, რომელმაც ტომოსის (Tomos) მიღებაში შეიტანა წვლილი და კარგად იცის ეკლესიის ისტორია, მოკლე ისტორიული ექსკურსის გაკეთება სცადა და ახსნა რომ როცა საქმე UOC-MP-ს ეხება, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ერთი ასპექტი, რომ რეალურად ის რუსეთის თვითმმართველი ერთეულს წარმოადგენს და მისგან ჩამოშორება სრულად გაუქმების გარეშე რთულად წარმოსადგენია. მისი განმარტებით, მათი დამოუკიდებლობა ეფუძნება პატრიარქ ალექსის 1990 წელს

გამოცემულ ქარტიას, რომელშიც ნათქვამია, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან რუსეთის ეკლესიის მეშვეობითაა კავშირში. ქარტიაში წერია, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია დამოუკიდებელი თვითმმართველი ეკლესიაა ფართო ავტონომიური უფლებებით, თუმცა კანონიკურ კავშირშია მოსკოვის საპატრიარქოსთან.

პატრიარქმა ფილარეტმა (რომელიც შემდგომ კიევის საპატრიარქოს ქვეშ არსებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია დააფუძნა (UOC-KP)) ეს ქარტია უკრაინაში ჩაიტანა და ასევე ცდილობდა რომ ავტოკეფალიისთვისაც მიეღწია (Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). პატრიარქი ფილარეტი გახდა UOC-MP-ს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ე.წ. "პრიმატი", სხვა სიტყვებით გარდამავალი ლიდერი, რომელსაც უნდოდა UOC-MP-ს პატრიარქი ყოფილიყო. რესპონდენტის თქმით, 1992 წელს მოსკოვმა ამ ეკლესიაში სასახლის აჯანყება მოაწყო. როდესაც ფილარეტი გერმანიაში საავადმყოფოში იმყოფებოდა, ეპისკოპოსთა აბსოლუტური უმრავლესობა ხარკოვში შეიკრიბა ე.წ. "ხარკოვის კრებაზე" და ფილარეტი UOC-MP-ს ფაქტობრივად ჩამოაშორა (Tsvily, 2019). ლეონიდ კრავჩუკმა კი განაგრძო ფილარეტის, როგორც ეკლესიის ლეგიტიმური ლიდერის აღიარება (RISU, 2011). მას შემდეგ რაც ის არ აირჩიეს, მან 1992 წელს UOC-KP-ს ეკლესია შექმნა მათ შორის დიასპორის დახმარებითაც (Jedraszczyk, 2019). ამ ეკლესიის განვითარებას ხელს კრავჩუკიც უწყობდა (RISU, 2011). აქვე აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს დროს UOC-MP-ს მიტროპოლიტმა თქვა რომ კიევის საპატრიარქო (UOC-KP) თავიდანვე დამოუკიდებელი იყო რუსეთის ეკლესიისგან.

OCU-ს სასულიერო პირების შეფასებით 1990-იან წლებში ეკლესია წარმოადგენდა სახელმწიფოს კულტურული ლანდშაფტის ელემენტს (Serhii Sirenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). OCU-ს მიტროპოლიტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს რომ საბჭოთა კავშირის დაშლამდე შექმნა რუსეთის ეკლესია თავად სტალინმა, რომელიც დადებით როლს არ ასრულებდა ეკლესიის მისიის თვალსაზრისით, თუმცა მიტროპოლიტის შეფასებით ეკლესია მაშინ დადებით როლს თამაშობდა სწორედაც ტოტალიტარული

საბჭოთა სისტემისთვის (Metropolitan Olexander, პირადი კომუნიკაცია, 2025). აქვე შეიძლება პარალელი გაევლოს აღნიშნული მიტროპოლიტის და ქართველი სასულიერო პირის ნათქვამს შორის, სადაც ის სტალინის მიერ ჩამოყალიბებულ "სერგიანობის" მოდელზე საუბრობს, სადაც ეკლესია სახელმწიფოს მორჩილებაშია. OCU-ს მიტროპოლიტის თქმით, ეკლესია მათი შიდა საბჭოთა ათეისტური ოპერაციებისთვის საფარს წარმოადგენდა და რეალურად დემოკრატიული ქრისტიანული სამყაროსგან განზიდვას ემსახურებოდა. მისი აზრით, იმისთვის რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რამე შეცვლილიყო, საჭირო იყო ლუსტრაცია და ცვლილებები ადმინისტრაციულ სისტემაში, რაც მისი თქმით სამწუხაროდ არ მომხდარა, ამგვარად ის ფიქრობს რომ რუსეთის ეკლესიაში არაფერი შეცვლილა (Metropolitan Olexander, პირადი კომუნიკაცია, 2025). მან თქვა რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ყველა იერარქია, მოსკოვის საპატრიარქოს ყველა ეპისკოპოსი რუსეთის უსაფრთოების სამსახურის და კერძოს კონტრდაზვერვის გავლით ინიშნებოდა. შესაბამისად ის მიიჩნევს რომ პერსონალი იგივე დარჩა. ის ასევე იხსენებს რომ ერთხელ ამ მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით შეიქმნა კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა კოსტრომის მაშინდელი ეპისკოპოსი ალექსანდრე (ახლა ყაზახეთშია). მისი თქმით, მას გადაეცა დოკუმენტები ე.წ. „საბჭოთა ეკლესიის" მათ შორის რუსეთის, უკრაინის, საქართველოს, მოლდოვის და ა.შ. პრაქტიკულად ყველა საეკლესიო იერარქის სახელმწიფო უსაფრთხოებასთან თანამშრომლობის შესახებ, თუმცა ეს დოკუმენტები მისი თქმით გადამალეს და აღარასდროს გამოჩენილა. ის ფიქრობს რომ დოუმენტები გაქრა ან FSB-ში ასლების სახით რჩება (Metropolitan Olexander, პირადი კომუნიკაცია, 2025).

**ლეონიდ კუჩმა** (1994–2005) - კრავჩუკის ხანმოკლე ხელისუფლებისგან განსხვავებით, კუჩმას ავტორიტარულმა რეჟიმმა ათი წელი გასტანა. ამ პერიოდის უკრაინა საარჩევნო ავტორიტარიზმის, გნებავთ კონკურენტული ავტორიტარიზმის ნიმუშს წარმოადგენს (Levitski and Way, 2005). უკრაინაში ტარდებოდა არჩევნები, მაგრამ ადგილი ჰქონდა მკაფიო საარჩევნო მანიპულაციას (განსაკუთრებით 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე), მედიის კონტროლსა და ოპონენტების შევიწროებას. კუჩმამ დანერგა

კლასიკური საპრეზიდენტო მოდელი, რომელშიც ძალაუფლების დანაწილების მაგიერ, ადგილი ჰქონდა მის ჭარბ კონცეტრირებას საპრეზიდენტო ვერტიკალში. კრავჩუკის წლებთან შედარებით, გაუარესდა Freedom House-ის წლიური შეფასება, რომელიც ჩამოქვეითდა "ნაწილობრივ თავისუფლამდე" (Freedom House, Nations in Transit Reports (1999–2005). მიუხედავად აშკარა კონკურენტული ავტორიტარიზმისა, რაც დემოკრატიზაციის კურსის საპირისპირო პოლუსია, კუჩმას მმართველობის ადრეულ წლებში ადგილი ჰქონდა გარკვეულ ნაბიჯებს ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით, რაც პოსტ-საბჭოთა ინერციად შეგვიძლია აღვიქვათ, რომელიც რეგიონის სხვა სახელმწიფოებშიც ცხადად იყო წარმოდგენილი (Odey and Bassey, 2022). კერძოდ, 1994 წელს, უკრაინამ ხელი მოაწერა ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას, 1995 წელს იგი შეუერთდა ევროპის საბჭოს, ხოლო 1997 წელს ხელი მოაწერა განსაკუთრებულ პარტნიორობას NATO-სთან (Shyrokykh, 2018). თუმცა, ეს ნაბიჯები უფრო ფორმალური და ნომინალური ხასიათის იყო, ვიდრე შინაარსობრივად პრო-ევროპული, ხოლო კუჩმას მეორე ვადაში, მზარდ ელექტორალურ ავტორიტარიზმთან ერთად, სულ უფრო მეტად იჩენდა თავს მულტი-ვექტორული მისწრაფებები და რუსეთსა და ევროატლანტიკურ პოლიტიკურ სტრუქტურებს შორის "ბალანსის" პოლიტიკა, რაც რეგიონის საარჩევნო ავტოკრატიებს ახასიათებს (Kubicek, 2003). კუჩმამ არჩია ბალანსის პოლიტიკა მოსკოვისა (UOC-MP) და კიევის (UOC-KP) საპატრიარქოთა საკითხზეც. ფორმალური თვალსაზრისით, მოსკოვის საპატრიარქო ინარჩუნებდა საკუთარ ისტორიულ სტატუსს, თუმცა პარალელურად შეინიშნა კიევის საპატრიარქოს სოციალური გავლენის ზრდაც (Kuzio, 2007).

ლეონიდ კუჩმას მმართველობის პერიოდს რესპონდენტები ეკლესიის მიმართ მეტ-ნაკლებად დაბალანსებულად მოიხსენიებენ. თუმცა, ნაწილი ამბობს რომ ის UOC-MP-სკენ უფრო იხრებოდა, რაც შესაძლოა იქიდან გამომდინარეობდა რომ ის დომინანტი ეკლესია იყო და ასევე იმ გარემოებიდანაც რომ ის კომუნისტი ლიდერი იყო და დიდად ვერ ერკვეოდა ეკლესიის საკითხებში. ამ უკანასკნელი დაშვების საფუძველს ის მაგალითი იძლევა როდესაც ის სხვა ქვეყნებში სტუმრად ჩადიოდა, უცხო ქვეყნების

ლიდერებს ხშირად ახლდათ თავიანთი ეროვნული ეკლესიების ლიდერები და რომ ვერ მიხვდა, თუ რატომ არ იყო მასთან ერთად მისი ეკლესიის ლიდერი და რატომ იყო მარტო რუსეთის პატრიარქი ერთ-ერთ მორიგ შეხვედრაზე, მანდ მიამიტურად იკითხა: "სად არის ჩემი მიტროპოლიტი?" (რესპონდენტი 10, პირადი კომუნიკაცია, 2025). მეორე რესპონდენტიც ამახვილებს ყურადღებას მსგავს მაგალითზე და ამბობს რომ ერთ-ერთ საერთაშორისო ფორუმზე ისრაელში ყოფნისას, მას მოუწია რუსეთის პატრიარქის გვერდით დგომა და არ მოეწონა რომ ყველა სხვა სახელმწიფოს თავისი ეკლესიის ლიდერი ედგა გვერდით და მას კი რუსეთის პატრიარქი (Самохвалова, პირადი კომუნიკაცია, 2025). იმავე რესპოდენტმა აღნიშნა, რომ "ტომოსის" მიღების დროს ის პოროშენკოსთან და იუშენკოსთან ერთად დადგა და თქვა რომ მას ყოველთვის უნდოდა საკუთარი ეკლესია ჰქონოდა. თუმცა ამასთანავე, გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მის მიერ გატარებული პოლიტიკა უფრო UOC-MP-ს მხარდაჭერისკენ იყო მიმართული (რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია, 2025; Vovk, პირადი კომუნიკაცია, 2025).

**ვიქტორ იუშჩენკო** (2005–2010) - ვიქტორ იუშჩენკოს პოლიტიკური კარიერა კუჩმას ადმინისტრაციის პრემიერ-მინისტრობით დაიწყო, თუმცა პრო-ევროპული "ნარინჯისფერი რევოლუციის" შედეგად უკრაინის პრეზიდენტობით გაგრძელდა. იუშჩენკო პრო-ევროპულმა "ნარინჯისფერმა რევოლუციამ" აქცია პრეზიდენტად, მას მერე როდესაც არჩევნების პირველი ტურის გაყალბებას მასობრივი პროტესტი მოჰყვა. იუშჩენკო მკაფიოდ ევრო-ატლანტიკოსი ლიდერი იყო, რომელმაც დეკლარირებულად დააყენა უკრაინა ევროპული კავშირისა და NATO-ს წევრობის გზაზე (Shyrokykh, 2018). იუშჩენკოს მმართველობისას, Freedom House-ის შეფასებით უკრაინა გახდა "თავისუფალი", რაც კუჩმას პერიოდთან შედარებით თვალშისაცემ დემოკრატიულ ნახტომს წარმოადგენდა და მეტიც, ეს იყო ისტორიული პირველი შემთხვევა, როდესაც პოსტ-საბჭოთა სახელმწიფომ მიიღო შეფასება "თავისუფალი" (Freedom House 2005). იუშჩენკოს პერიოდში მკვეთრად გაიზარდა სამოქალაქო თავისუფლებები, მედიის თავისუფლება და ჩატარდა ორი თავისუფალი არჩევნები. ევროპეიზაციის

თვალსაზრისით, რიტორიკულად იუშჩენკოს ხელისუფლება მკაფიოდ პროდასავლური იყო და დასაწყისში გარკვეულ პროგრესსაც მიაღწია, თუმცა საბოლოო ჯამში, ეს არ გარდაქმნილა ხელშესახებ შედეგებში (Moldovan, 2016, 46). ასეა თუ ისე, იგი გახდა პირველი პრეზიდენტი, ვინც ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია ეროვნულ სტრატეგიულ ამბიციად გამოაცხადა. საბოლოოდ, ოლიგარქიული გავლენებით, შიდა პოლიტიკური კინკლაობით და რეფორმების ნელი ტემპით დასუსტებულმა იუშჩენკომ ხმათა მხოლოდ 5%-ის მობილიზება შეძლო და არჩევნებში კრახი განიცადა. როგორც პროდასავლელი ლიდერი, იუშჩენკო ემხრობოდა უკრაინის ეროვნული ეკლესიის იდეას, თუმცა მისი ადმინისტრაციის შიდა პოლიტიკური იღბლის მსგავსად - იუშჩენკოს არც ამ მიმართულებით დასცალდა ხელშესახები გავლენის განხორციელება (Aslund, 2009).

ინტერვიუების რესპოდენტების თქმით UOC-MP-ს იუშენკოს მიმართ ნაკლები სიმპათია ჰქონდა როგორც ევროინტეგრაციის თემის ერთ-ერთი მთავარი მომხრე პრეზიდენტის მიმართ (Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია, 2025; Vovk, პირადი კომუნიკაცია, 2025; Metropolitan Olexander, პირადი კომუნიკაცია, 2025). რამდენიმე რესპონდენტმა ისიც ახსენა რომ იუშჩენკო აქტიურად ცდილობდა კიევის საპატრიარქოს ქვეშ არსებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (UOC-KP) ავტოკეფალიური ეკლესიის სტატუსის მინიჭებას (Rostyslav Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; Fert, პირადი კომუნიკაცია, 2025). პოლიტიკოსი რესპონდენტის თქმით 2008 წელს იუშჩენკოს ჰქონდა მცდელობა კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომესთვის მოეწოდებინა რათა მას უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალია მიეცა, მაგრამ უკრაინაში სასწრაფოდ ჩავიდა რუსეთის მაშინდელი პატრიარქი ალექსეი, რის შემდეგაც ეს პროცესი წინ ვერ წავიდა.

**ვიქტორ იანუკოვიჩი** (2010–2014) - ვიქტორ იანუკოვიჩი, რომელიც პირველად იუშჩენკოს მეტოქე იყო მასობრივად გაყალბებულ არჩევნებში, რასაც "ნარინჯისფერი რევოლუცია" მოჰყვა, ამჯერად იუშჩენკოს დაღმასვლის შემდეგ აღმოჩნდა ზენიტში და უკრაინის პრეზიდენტი გახდა. იანუკოვიჩის ვადამ უკრაინის ევროპეიზაციის და

დემოკრატიზაციის ძალისხმევის ტოტალური შემობრუნება მოიტანა (Freedom House, 2013). სახელმწიფო, რომელმაც პოსტ-საბჭოთა რეგიონში ისტორიული პირველი “თავისუფალი” სახელმწიფოს სტატუსი მოიპოვა Freedom House-ის შეფასებაში, რადიკალური ტემპით დაუბრუნდა კონკურენტული ავტორიტარიზმის რეჟიმს, რომელსაც ჰქონდა რეგიონალური საარჩევნო ავტოკრატიებისთვის დამახასიათებელი ყველა კლასიკური ნიშანი: მანიპულირებული არჩევნები, ინსტიტუტების ეროზია, სახელმწიფოს მიტაცება, მედიაზე დაწესებული კონტროლი, პოლიტიზებული მართლმსაჯულება და პოლიტიკური ოპონენტების დევნა (Kuzio, 2014). სწორედ იანუკოვიჩის პერიოდში მოხდა ოლიგარქიული გავლენის კონსლიდირება და სრულყოფა იანუკოვიჩის ე. წ. “ოჯახის” ირგვლივ, რამაც დამატებითი უარყოფითი როლი ითამაშა დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესებში (Wilson, 2021; Aslund, 2019). რაც შეეხება საკუთრივ ევროპეიზაციას, მიუხედავად იმისა რომ იანუკოვიჩის ადრეულ წლებში ადგილი ჰქონდა ასოცირების ხელშეკრულების მოსამზადებელ ფორმალურ პროცესს, 2013 წლის მიწურულს, რუსული ზეწოლის პირობებში, იანუკოვიჩმა ვილნიუსის სამიტზე ფორმალურად განაცხადა უარი ევროპული ინტეგრაციის პროცესზე, რამაც გამოიწვია “მაიდანის” სახელგანთქმული პროტესტი. უკრაინის მმართველი რეჟიმი სულ უფრო დაუახლოვდა რუსეთს, რომელმაც 15 მილიარდი დოლარის ოდენობის ენერგეტიკული დახმარება მისცა ლოიალურად განწყობილ, ანტი-ევროპულ რეჟიმს (Guardian, 2013). გეოპოლიტიკური პროცესის ლოგიკასთან სრულ თანხვედრაში, იანუკოვიჩი ლოიალურად იყო განწყობილი მოსკოვის საპატრიარქოს (UOC-MP) დაქვემდებარებაში მყოფ ეკლესიასთან, ხოლო კიევის საპატრიარქო (UOC-KP) კვლავაც აღიარების გარეშე აგრძელებდა არსებობას. იანუკოვიჩის რეჟიმი დაემხო მაიდანის შედეგად, რომელსაც 2014 წლის დასაწყისში ადამიანური მსხვერპლიც მოჰყვა. რევოლუციის ფონზე, იანუკოვიჩმა დატოვა უკრაინა და თავი რუსეთს შეაფარა, სადაც იგი დღემდე ცხოვრობს (The Telegraph, 2014).

ვიქტორ იანუკოვიჩის მმართველობის პერიოდს რესპონდენტები პრეზიდენტის UOC-MP-ს მიმართ გამორჩეული სიმპათიის ქონით ახასიათებენ (რესპონდენტი 10, პირადი კომუნიკაცია; Metropolitan Olexander, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია, 2025). OCU-ს ეკლესიის წარმომადგენელმა გაიხსენა რომ იანუკოვიჩმა უარი თქვა ვილნიუსში ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერაზე, რამაც მისი თქმით წარმოშვა "ღირსების რევოლუცია" (Metropolitan Olexander, პირადი კომუნიკაცია, 2025). სასულიერო პირის თქმით, მისი მმართველობის დროს ეკლესია კულტურული ლანდშაფტის ელემენტს უფრო წარმოადგენდა სახელმწიფოსთვის (Serhii Sirenko, პირადი კომუნიკაცია, 2025).

**პეტრე პოროშენკო** (2014–2019) - პოროშენკოს გაპრეზიდენტებამ უკრაინა დააბრუნა როგორც დემოკრატიულ, ასევე ევროპეისტულ ხაზებზე (Aslund, 2009). მიუხედავად მრავალი სიძნელისა, რაც პოროშენკომ მემკვიდრეობად მიიღო - მათ შორის, ყირიმის ანექსია პრეზიდენტობის პირველივე წელს, მძლავრად კონსოლიდირებული ოლიგარქიული გავლენების ქსელი, იანუკოვიჩის მიერ განადგურებული ინსტიტუციური და დემოკრატიული ქსოვილი - პოროშენკომ შეძლო აღედგინა საარჩევნო დემოკრატია უკრაინაში, რომელსაც ახასიათებდა პლურალისტური გარემო, თავისუფალ პირობებში ჩატარებული არჩევნები, მედიისა და სამოქალაქო თავისუფლების აღდგენა (Motyl, 2019). თუმცა, უკრაინამ ვერ შეძლო დაბრუნებოდა იუშჩენკოს დროინდელ "თავისუფალ" სტატუსს და Freedom House-ის შეფასებაში ქვეყანამ მხოლოდ "ნაწილობრივ თავისუფალი" დაიმსახურა, რასაც გაზრდილი თავისუფლებების მიუხედავად მეტწილად განაპირობებდა ოლიგარქიული გავლენები (Freedom House, 2017). ევროპეიზაციის თვალსაზრისით, პოროშნეკოს წლები კრიტიკულად მნიშვნელოვანი გამოდგა, რადგან უკრაინამ შეძლო მიეღო ასოცირების შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შეთანხმება, ისევე როგორც ვიზა-ლიბერალიზაცია (Motyl, 2019; Aslund, 2009). პოროშენკოს მმართველობა სემინალური მნიშვნელობის გამოდგა კიდევ ერთი, ამ ნაშრომისთვის ცენტრალური მიმართულებით - პოროშენკო გახდა პირველი პრეზიდენტი, ვის დროსაც, 2018 წელს მიღებულ იქნა ე.წ.

“ტომოსი” (Tomos), 2019 წელს მას ხელი მოაწერა მსოფლიო პატრიარქმა ბართლომე I-მა რის საფუძველზეც მოხდა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის (OCU) ავტოკეფალიის გამოცხადება, რა დროსაც აქამდე არსებული კიევის საპატრიარქო და უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია გაერთიანდა (თუმცა, შემდგომში თავი იჩინა შიდა სქიზმამ, როდესაც პატრიარქი ფილარეტი ამ ერთობას გამოეყო და საკუთარი ავტონომია გამოაცხადა) (Shestopalets, 2020; Skorkin, 2019). ასეა თუ ისე, უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის გამოკვეთა და მოსკოვის გავლენის მკვეთრი შემცირება, ბუნებრივია, იყო მიზანმიმართული პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც ასახავდა ევროპეიზაციისა და დემოკრატიზაციის პოროშენკოსეულ სულისკვეთებას, ასევე საშინაო პოლიტიკის ნაციონალისტურ და რეფორმისტულ სულისკვეთებას (Skorkin, 2019).

პეტრო პოროშენკოს მმართველობის პერიოდს სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობის ჭრილში რესპონდენტების დიდი ნაწილი “ტომოსის” მიღებას და ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებას უკავშირებს (Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; Metropolitan Olexander, პირადი კომუნიკაცია, 2025; Kravchuk, პირადი კომუნიკაცია, 2025; Fert, პირადი კომუნიკაცია, 2025). ერთ-ერთი რესპონდენტი იმასაც ამბობს, რომ პოროშენკომ UOC-MP-ს მარგინალიზებასაც შეუწყო ხელი (რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია, 2025). პოლიტიკოსი რესპონდენტებიდან ერთ-ერთმა ავტოკეფალიის გამოცხადება დაუკავშირა ეროვნული ეკლესიის ქონის სურვილს, რომელიც უკრაინაში დიდი ხნის მანძილზე ქონდათ როგორც პოლიტიკოსებს და კიევის საპატრიარქოს ქვეშ არსებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის (UOC-KP) წარმომადგენლებს, ისე უკრაინის მოსახლეობის დიდ ნაწილს (Kravchuk, პირადი კომუნიკაცია, 2025). მეორე პოლიტიკოსი რესპონდენტის თქმით, UOC-KP-მ არსებობა შეწყვიტა და დიდ OCU-ს ავტოკეფალიურ ეკლესიას შეუერთდა (Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). საგულისხმოა, რომ ავტოკეფალიის გამოცხადებისთვის ბრძოლა წინა პრეზიდენტებს შედეგით დაუგვირგვინდათ და მის მისაღევად კრავჩუკმა, კუჩმამ და იუშჩენკომ მსოფლიო პატრიარქისადმი ერთობლივ მიმართვის წერილს მოაწერეს ხელი 2018 წელს,

რამაც პოროშენკოს შედეგი გაამყარა (Interfax Ukraine, 2018). მიმართვაში ეწერა: „ჩვენ გვჯერა, რომ კონსტანტინოპოლის დედა - ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მინიჭება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს უკრაინის დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, ჩვენი ხალხის სულიერ და ეროვნულ ერთიანობაში, უკრაინაში რელიგიური თავისუფლების განვითარებაში, ხელს შეუწყობს ნაყოფიერ ინტერდენომინაციურ დიალოგს ჩვენს ქვეყანაში“ (Interfax Ukraine, 2018).

**ვოლოდიმირ ზელენსკი** (2019–დღემდე), ანტიკორუფციული ტალღითა და ანტისისტემური სულისკვეთებით პოლიტიკაში მოსული ერთ დროს კომიკოსი, სულ მცირე, ორი ისტორიული შკალის პროცესის პრეზიდენტად გადაიქცა: Covid 19 და რუსეთ-უკრაინის ომი (2022 - დღემდე). ამ ორმა პროცესმა წარმოშვა იმგვარი ისტორიული კონფიგურაციები, რამაც ლაკმუსის ტესტის როლი ითამაშა სახელმწიფოსა და ეკლესიის ძალაუფლებრივი ურთიერთობების შეფასების თვალსაზრისით, რადგანაც ორივე შემთხვევამ წარმოშვა რეგულაციური ე.წ. “trigger-ი,” რომელსაც ესა თუ ის ინსტიტუტი, და მათ შორის სასულიერო ინსტიტუტი, ან დაემორჩილებოდა, ან - არა. ზელენსკის დროის უკრაინა (რამდენადაც მისი შეფასება ამ მომენტისთვის არის შესაძლებელი 2025 წლის მაისში) ერთმნიშვნელოვნად პრო-დასავლური სახელმწიფოა, რომელიც, მეტიც, სწორედ ამ მიზეზით, გასული სამი წლის მანძილზე ომში იმყოფება რუსეთის ფედერაციასთან. ამ ეტაპზე ძნელად სათქმელია, თუ როგორ შეფასდება ზელენსკის ადმინისტრაციის მიღწევები, რადგანაც ადმინისტრაცია ჯერ კიდევ მართავს უკრაინას, თანაც იმ ისტორიულ ვითარებაში, სადაც უცნობია რუსეთ-უკრაინის ომის ან დასასრული, ან შედეგები. თუმცა, შესაძლებელია იმის თქმა, რომ 2019-2022 წლებში, ზელენსკის მოსვლიდან ომის დაწყებამდე, უკრაინა უკვე იყო მკაფიოდ ევროპეიზაციისაკენ განწყობილი სახელმწიფო, რომელიც რიტორიკაშიც და პრაქტიკაშიც უკვე ადგა ევრო-ატლანტიკურ გეზს. რაც შეეხება დემოკრატიზაციის ხარისხს, ამ ეტაპისთვის შესაძლებელია 2019-2022 წლების შეფასება. ვინაიდან 2022 წლის შემდგომ პერიოდში უკრაინაში ამოქმედდა საგანგებო საომარი კანონი, რამაც ბუნებრივად შეზღუდა ტრადიციული დემოკრატიული თავისუფლებები. შესაბამისად,

ამ ვითარების გათვალისწინებით, არსებული მომენტისთვის შეუძლებელია დემოკრატიის სტანდარტის ანალიტიკური და აკადემიური შეფასება. ხოლო 2019-2022 წლების პერიოდში, ზელენსკის უკრაინა წარმოადგენდა “ნაწილობრივ თავისუფალ” დემოკრატიას, რომელსაც გააჩნდა ჩავარდნები ანტი-კორუფციული და მართლმსაჯულების მიმართულებით, თუმცა მაინც წარმოადგენდა ფუნქციონირებად საარჩევნო დემოკრატიას, თავისუფალი პოლიტიკური კონკურენციით და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებით (Freedom House, 2019). ამ ნაშრომის აკადემიური მიზნების გათვალისწინებით, ზელენსკის როლი საყურადღებოა კიდევ ერთი მიმართულებით, რაც სწორედ საეკლესიო პოლიტიკაა. 2022 წლიდან მოყოლებული, ზელენსკიმ ღია ომი გამოუცხადა მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ სასულიერო ქსელს (Skorkin, 2023). 2022 წლიდან, უკრაინის უშიშროების სამსახურმა გაჩხრიკა 350-ზე მეტი სასულიერო დაწესებულება, გამოკითხა 850 პირი, სისხლის სამართლის საქმე აღძრა UOC-MP-ს 55 სასულიერო პირის წინააღმდეგ, რომელთა შორის იყო მოსკოვს დაქვემდებარებული უკრაინის ეკლესიის 14 ეპისკოპოსი (Zoria, 2022). 2024 წელს, ზელენსკის მმართველმა პარტიამ მიიღო კანონი, რომელმაც აკრძალა რუსეთის ფედერაციასთან აფილირებული რელიგიური ორგანიზაციები, რუსული პოლიტიკური, კულტურული და სასულიერო გავლენის აღმოფხვრის მიზნით (CNN, 2024).

ინტერვიუს რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ზელენსკი არ არის მორწმუნე ადამიანი და მისთვის რელიგიური საკითხები არ არის დიდი მნიშვნელობის და იგი მმართველობის დასაწყისში ზოგიერთი რესპოდენტის თქმით აბსოლუტურად ნეიტრალურად იყო განწყობილი (Vovk, პირადი კომუნიკაცია,2025). ერთ-ერთი მას კოსმოპოლიტანადაც მოიხსენიებს (რესპონდენტი 10, პირადი კომუნიკაცია, 2025). ერთმა რესპონდენტმა მოიყვანა ქალებზე და ზოგადად ოჯახური ძალადობის აღსაკვეთ “სტამბოლის კონვენციის” ხელმოწერის მაგალითი. როდესაც მას მართლმადიდებელი ეკლესია და ასევე სხვა დენომინაციები შეეწინააღმდეგნენ და მან საბოლოოდ სეკულარული გადაწყვეტილება მიიღო და ის დაამტკიცა 2022 წელს, რაც აიხსნებოდა იმით რომ ეს

კონვენცია მნიშვნელოვანი იყო უკრაინის ევროინტეგრაციისთვის (Vovk, პირადი კომუნიკაცია, 2025).

ნაწილი რესპონდენტებისა თვლის რომ ის ეკლესიის თემას სახელმწოფოს უსაფრთხოების პრიზმაში უყურებს (Міщенко, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 10, პირადი კომუნიკაცია, 2025). ნაწილის შეფასებით კი ის იმპროვიზირებას აკეთებს და თავისი პოლიტიკის გასატარებლად იყენებს ამ თემას (Mishchenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). ერთ-ერთი რესპონდენტი აკრიტიკებს ზელენკსის UOC-MP-ის აკრძალვის გადაწყვეტილების გამო, რადგან ის მიიჩნევს რომ რელიგიური თავისუფლება იზღუდება და ამაზე მისი თქმით ადამიანის უფლებების საერთაშორისო ორგანიზაციების და პაპის გაფრთხილებაც მიიღო, რასაც მისი თქმით ის ყურადღებას არ აქცევს და ყველაფერს აკეთებს რომ მისი პოლიტიკა გაამართლოს (Mishchenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). ამავე რესპონდენტის თქმით, ზელენსკის გარდასახვა მოხდა რაღაც მომენტში და მან მოირგო რელიგიური რიტორიკა და აღდგომას სოფიას ტაძარში წავიდა (Mishchenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). მეორე, მისდამი კრიტიკულად განწყობილი რესპონდენტი ამბობს რომ ის ყველაფერს აკეთებს რათა აღკვეთოს UOC-MP, თუმცა ის თუ რა მოტივაცია დგას ამის უკან, რესპონდენტი ამაზე ნაკლებად ლაპარაკობს (რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია, 2025). რესპონდენტების უმრავლესობა კი UOC-MP-ისთან მიმართებით მიღებულ გადაწყვეტილებას რუსეთთან აფილირებული რელიგიური ორგანიზაციების აკრძალვის შესახებ ამართლებს, რადგან მიიჩნევენ რომ ეს სახელმწიფო უსაფრთხოების თემაა და თვლიან რომ UOC-MP-ის იარაღად გამოყენების საშუალება არ უნდა მიეცეს რუსეთს (Kravchuk, პირადი კომუნიკაცია, 2025; Father Serhii Sirenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; Metropolitan Oleksandr, პირადი კომუნიკაცია, 2025; Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). უკრაინაში UOC-MP-ს ეკლესიის აკრძალვის საკითხი მომდევნო თავშია ვრცლად გაანალიზებული.

სეკულარიზმზე თავის შეჯამების მიზნით შეიძლება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოვყოთ, პირველი ეხება უშუალოდ თანამედროვეობაში სამივე სახელმწიფოში სეკულარიზმის ხარისხის თვისობრივად გაზომვას. კერძოდ, სამი სახელმწიფოს ექსპერტული ტიპის ინტერვიუების შედეგებიდან გამომდინარე სეკულარიზმის გააზრების ჭრილში რამდენიმე ძირითადი კონტური გამოიკვეთა. სამივე სახელმწიფოს შემთხვევაში რესპონდენტებს მიაჩნიათ რომ სამართლებრივ დონეზე მათი ქვეყნები სეკულარულია. საქართველოს და მოლდოვის შემთხვევაში ეს შეფასება ძირითადად ეხებოდა უშუალოს საერო და სასულიერო სფეროების გამიჯვნის ჭრილში სეკულარიზმის გაზომვას. ხოლო უკრაინის შემთხვევაში ასევე გამოიკვეთა რომ ინსტიტუციური და სამართლებრივი ბაზისი მეტი პლურალიზმის და რელიგიური თავისუფლების შესაძლებლობას ქმნის ამ სახელმწიფოში. უშუალოდ, ის თუ რომელი დომინირებს რომელზე ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობაში, რესპონდენტების პასუხებიდან გამოიკვეთა, რომ საქართველოში ცალსახად სახელმწიფოა დომინანტი და ის ახდენს ეკლესიის ინსტრუმენალიზებას და კონტროლსაც კი. მოლდოვის შემთხვევაში შეფასებებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ სახელმწიფოს უწევს რიგ საკითხებზე ეკლესიის აზრის გათვალისწინება, რომ მმართველები ეკლესიისგან კურთხევას აუცილებლად ელიან. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, როცა საქმე ღირებულებებს ეხება, ეკლესია დომინირებს, როცა ინსტიტუტებს და სამართალს მაშინ საერო ინსტიტუტები მძლავრობენ. უკრაინის შემთხვევას რაც შეეხება, რესპონდენტების უმრავლესობა თვლის რომ ეკლესიების ბედიღბალს უკრაინაში სახელმწიფო განსაზღვრავს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ რესპონდენტები იმასაც აცნობიერებენ რომ ეკლესია სახელმწიფოში შემავალი ნაწილია და მნიშვნელოვანი სოციალური როლი გააჩნია. თუმცა აუცილებლად ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საქართველოსგან განსხვავებით, მოლდოვაშიც და უკრაინაშიც რამდენიმე მართლმადიდებელი ეკლესიაა და სახელმწიფო-ეკლესიას შორის ურთიერთობების დინამიკა მუდმივად იცვლება ხელისუფლებების გეოპოლიტიკური ხედვებიდან გამომდინარე. სამივე სახელმწიფოში რესპონდენტები თანხმდებიან იმაზე რომ ეკლესიებს საჯარო სივრცეში თავიანთი მნიშვნელოვანი როლი გააჩნიათ და ამგვარად მკაცრი სეკულარიზმის მოდელი ამ

სახელმწიფოებში, სადაც ძირითადად კონსერვატიული საზოგადოებებია, ნაკლებად წარმოსადგენია.

ეკლესიების დაფინანსების საკითხს რაც შეეხება, გამოიკვეთა რომ უშუალოდ საკვლევი სახელმწიფოებისგან დაფინანსებას ეკლესია მხოლოდ საქართველოში იღებს წელიწადში განსაზღვრული ოდენობით და დამატებითი პრივილეგიებით. მოლდოვის შემთხვევაში სასულიერო პირებს პირდაპირ რუმინეთიდან ერიცხებათ ხელფასები, ხოლო მოლდოვის ეკლესიას რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს ექვემდებარება ოფიციალურად დაფინანსება არ აქვს არც მოლდოვიდან და არც რუსეთიდან, თუმცა რესპონდენტების თქმით ისინი შემოწირულობების გარდა რუსეთიდან იღებენ დახმარებას რაც არ არის გამჭვირვალე. უკრაინას რაც შეეხება, ოფიციალურად არც ერთი ეკლესია არ იღებს დაფინანსებას და მეტიც, ეს კანონითაა აკრძალული, თუმცა შემოწირულობები, ეკლესია-მონასტრების რეაბილიტაცია და მსგავსი დახმარების მეთოდები უკრაინაში საკმაოდ აპრობირებულია. სამივე ქვეყანაში ასევე ის არის საერთო რომ რიგ შემთხვევებში ეკლესიები სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით.

საქართველოსა და მოლდოვაში, მართლმადიდებელ ეკლესიებსა და სახელმწოფოებს შორის თანამშრომლობის მთავარი სფერო განათლებაა, თუმცა სხვადასხვა გაგებით. საქართველოს შემთხვევაში გამოიკვეთა, რომ სახელმწიფოს დახმარება ძირითადად სასულიერო სემინარიების დაფინანსებაზეა მიმართული, თუმცა სკოლებში რელიგიის სწავლება არ ხდება. ხოლო მოლდოვაში რელიგიას სკოლებში ასწავლიან ორივე ეკლესიის წარმომადგენლები, თუმცა საგულისხმოა რომ MOC-ის დომინაცია ამ მიმართულებით საკმაოდ მაღალია. უკრაინის შემთხვევაში რელიგია სკოლებში არ ისწავლება, თუმცა აღსანიშნავია, რომ უკრაინაში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის თანახმად გამოვლინდა რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს რომ სკოლებში რელიგიის გარკვეული ასპექტები უნდა ისწავლებოდეს, კერძოდ მორალის ჭრილში. უკრაინის შემთხვევაში, ეკლესია-სახელმწიფოს შორის თანამშრომლობა ინსტიტუციურ დონეზე უკრაინის ეკლესიებისა და რელიგიური ინსტიტუტების საბჭოს

(UCCRO, ან AUCCRO) ფარგლებში იმართება სადაც არა მარტო მართლმადიდებელი ეკლესიები, არამედ სხვა დენომინაციებიც არიან წარმოდგენილები. უკრაინის შემთხვევაში ეკლესია-სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის სფეროებიდან ყველაზე მეტად კაპელანის ინსტიტუტის არსებობა გამოიკვეთა, რაც უფრო აქტუალური გახდა უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, მაგრამ საგულისხმოა რომ UOC-MP-ს მღვდლები ამ ფორმატში არ დაიშვებიან.

ეკლესიის პოლიტიკურ საქმიანობაში ჩარევის თვალსაზრისით ყველაზე მეტი წუხილი მოლდოვის რესპონდენტებმა გამოთქვეს. თუმცა ამ მიმართულებით გარკვეული მაგალითები საქართველოს და უკრაინის რესპონდენტებმაც მოიყვანეს, მაგრამ არა იმდენად მწვავედ. ეკლესია-სახელმწიფოს თანამშრომლობის თვალსაზრისით სამივე ქვეყანაში რესპონდენტების მხრიდან გამოითქვა სურვილი რომ ეკლესია უფრო მეტად ჩაერთოს სოციალურ და ჰუმანიტარულ საკითხებში, რამაც შეიძლება საზოგადოებრივ კეთილდღეობას შეუწყოს ხელი.

90-იანი წლებიდან მოყოლებული სხვადასხვა ხელისუფლებების დროს სამივე სახელმწიფოში ეკლესია-სახელმწიფოს შორის ურთიერთობების დინამიკა ცვალებადი იყო. საქართველოს შემთხვევაში შეიძლება ითქვას რომ შევარდნაძის მმართველობის დროს იყო შედარებით დაბალანსებული ურთიერთობა იმ კუთხით რომ სეკულარული სფერო არ იყო უხეშად სასულიერო სფეროში შეჭრილი, თუმცა ყოველი შემდგომი მთავრობის მოსვლისას ეკლესიის სახელმწიფოზე დაქვემდებარების მცდელობა იზრდებოდა. თუმცა ამის მიუხედავად, უშუალოდ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წლებში მოხდა რელიგიის აღზევება, მაგრამ სახელმწიფო-ეკლესიასშორის ურთიერთობა დაძაბული იყო. მოლდოვის და უკრაინის შემთხვევაში ეკლესიების ხელისუფლებებთან ურთიერთობა უფრო ინერციულ ხასიათს ატარებდა, რაშიც იგულისხმება რომ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი მოლდოვის და უკრაინის ეკლესიები გაძლიერდნენ და შეიძლება ითქვას, რომ კომუნისტური იდეოლოგია რელიგიით ჩაანაცვლეს. ორივე სახელმწიფოს შემთხვევაში

როდესაც ხელისუფლების სათავეში პრორუსი მმართველიმოდიოდა, ისინი მჭიდრო ურთიერთობას იწყებდნენ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ ეკლესიებთან, ხოლო მაშინ როდესაც ხელისუფლების სათავეში პროდასავლური შეხედულებების მქონე მმართველი მოდიოდა, მაშინ ისინი ცდილობდნენ ან დაებალანსებინათ ურთიერთობები ორ ეკლესიასთან მიმართებით, ან მეტად დაახლოებოდნენ ისეთ მართლმადიდებელ ეკლესიებს რომელთაც ფესვები რუსეთში არ ქონდათ. თუმცა აღსანიშნავია, რომ მოლდოვის შემთხვევაში თითქმის ყველა მმართველს უწევდა MOC-თან თანამშრომლობა ამ ეკლესიის დომინაციის გამო. ხოლო უკრაინის შემთხვევაში მიუხედავად იმისა თუ რომელ ეკლესიასთან ათბობდნენ ურთიერთობას, მმართველების უმეტესობა იყო ეროვნული ეკლესიის მუდმივ ძიებაში.

# 5.მართლმადიდებელი ქრისტიანობა როგორც ღირებულებითი საზომი

## 5.1. მართლმადიდებელი ქრისტიანობა და ეროვნული იდენტობა

ღირებულებითი თვალსაზრისით იდენტობის საკითხი სამივე სახელმწიფოში მნიშვნელოვნად უკავშირდება რელიგიას, თუმცა ეროვნული იდენტობის სხვადასხვაგვარი აღქმაა სამივეგან. მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგია, სამივე სახელმწიფოში კავშირშია იდენტობის თემასთან, თუმცა როცა საქმე უშუალოდ ეკლესიებს ეხება აქ განსხვავებული მიდგომებია. საქართველოს შემთხვევაში მართლმადიდებელი ეკლესია ეროვნული იდენტობის განუყოფელ ნაწილად ითვლება, მოლდოვაში ორი ეკლესია ორ სხვადასხვა იდენტობასთან ასოცირდება MOC მოლდოვურთან, რომელიც რუსულ სენტიმენტებზეა დაფუძნებული, ხოლო MB კი რუმინულთან. უკრაინის შემთხვევაში ინსტიტუციურად ეროვნულ იდენტობასთან ახალი ავტოკეფალიური ეკლესია ასოცირდება, რისი არსებობისთვისაც წლების მანძილზე მიიღწოდნენ უკრაინელები.

### *მართლმადიდებელი ქრისტიანობა საქართველოს ეროვნული იდენტობის ქვაკუთხედი*

საქართველოს ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში მართლმადიდებელ ქრისტიანულ რელიგიას განსაკუთრებული როლი უკავია. მწერალის, საჯარო ინტელექტუალის და აწ უკვე წმინდანად შერაცხული ილია ჭავჭავაძის სიტყვები “მამული, ენა და სარწმუნოება” არის ის ძირითადი ქვაკუთხედი რასაც საქართველოს ეროვნული იდენტობა ეფუძნება და დღემდე აქტუალურად გამოიყენება (საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, 2025). სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობის ჭრილში, ქრისტიანული რელიგიური ღირებულებები ხშირადაა გამოყენებული სხვადასხა პოლიტიკური აქტორების, თუ საეკლესიო პირების მხრიდან

დისკურსულ დონეზე საქართველოს ეროვნული იდენტობის და ღირებულებების დაცვის ჭრილში (კანდელაკი, 2019). მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლსია ხშირად ყოფილა მორალური და ეროვნული ერთიანობის მდგენელი რაც თავის როლს თამაშობდა და თამაშობს ხელისუფლებების მხრიდან დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის გზაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში (Metreveli, 2016).

ეროვნული იდენტობის თემა ხშირად ინტერპრეტაციის საგანია. ის, თუ როგორ აღიქვამენ დარგის ექსპერტები, სასულიერო პირები და პოლიტიკოსები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლს ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში, ამას ინტერვიუს შედეგების ანალიზი ცხადყოფს.  გამოკითხული მკვლევრებიდან ერთ-ერთი მიიჩნევს რომ მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესია “ფუნდამენტურად კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის სიმბოლოა” (მეტრეველი, პირადი კომუნიკაცია, 2025). ის და კიდევ ერთი პოლიტიკოსი ასევე ახსენებენ, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანობას აფუძნებს ხშირად ბევრი ადამიანი თავის ქართველობას (მეტრეველი, პირადი კომუნიკაცია, 2025; ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). ზემოთ ხსენებულიმკვლევრის თქმით, იმ პერიოდებში როდესაც იდენტობის სიმბოლიზაცია განსაკუთრებით ძლიერდება, ძირითადად კრიზისის ეტაპს ასახავს, რაც ეკლესიის შემთხვევაში არ არის პროგრესული ნაციონალიზმის, ან ლიბერალიზმის გამოხატულება. ის ამბობს რომ ტენდენცია ასახავს რომ იდენტობის კრიზისის გაძლიერება ხშირად ეთნიკურ-ნაციონალისტურ ნიადაგზე ხდება ხოლმე საქართველოში და უმცირესობების წინააღმდეგ არის ხოლმე როგორც წესი მიმართული (მეტრეველი, პირადი კომუნიკაცია, 2025).

ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა რესპონდენტმა ახსნა რომ მართლმადიდებელ ქრისტიანობასთან გათანაბრებული ეროვნული იდენტობა ზოგს იმდენად ეძვირფასება, რომ მომენტებში მათ შიშებიც მარტივად იპყრობს, და კლიშეები იმაზე რომ თითქოს ვინმე ეკლესიას ებრძვის და დევნის სწორეს ამ შიშების გაღრმავებას ემსახურება (ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). დარგის მკვლევარი აღწერს რომ ეკლესია

ეროვნული თვითმყოფადობის სიმბოლოდაა აღქმული საზოგადოებაში და ეს სიმბოლო მისი თქმით ხშირად ანტიდასავლური ნარატივების გასავრცელებლადაა გამოყენებული (ნოდია, პირადი კომუნიკაცია, 2025).

### *მართლმადიდებელი ეკლესია და ეროვნული იდენტობის კრიზისი მოლდოვაში*

მოლდოვაში ეროვნული იდენტობის საკითხი სადაოა და დამოკიდებულია არა მხოლოდ ენაზე, სარწმუნოებაზე და მამულზე, არამედ ეთნიკურობასა და ორი არაავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის შეჯიბრზეც. როდესაც მოლდოვაში ეროვნული იდენტობის განსაზღვრა ხდება, საუბარია "მოლდოვურ" იდენტობაზე, როგორც ცალკე დამოუკიდებელი სახელმწიფოს თვითმყოფადობაზე და მეორე კი "რუმინულ" იდენტობაზე, საერთო ეთნიკურ და ეროვნულ იდენტობაზე და რუმინეთთან როგორც ისტორიულ სამშობლოსთან ხელახლა გაერთიანებაზე, რომელსაც 1640 წელს იძულებით გამოეყო (Graham, 1944). 1991 წელს მოლდოვამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეროვნული იდენტობის სხვადასხვა კონცეფცია ერთმანეთთან ხშირად მოდიოდა შეჯიბრში სხვადასხვა დისკურსულ დონეზე, იქნებოდა ეს რელიგიური, პოლიტიკური, სამეცნიერო, თუ საზოგადოებრივი (Baar & Jakubek, 2017).

მოლდოვაში ჩატარებული ინტერვიუებიდან დასტურდება რომ მოლდოვას ორმაგი იდენტობის კრიზისი აქვს, ერთი რომელიც ე.წ. "რუსეთის შექმნილი" მოლდოვური ოდენტობაა, რომელიც MOC-ის გავლენას უკავშირდება, მეორე კი რუმინული იდენტობა, რის გაღვივებასაც ბესარაბიის ეკლესია უწყობს ხელს (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024; Dușciac, პირადი კომუნიკაცია, 2024). ხელისუფლების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბერასაბიის ეკლესიასთან გაიგივებული რუმინული იდენტობა მათი "უძველესი მართლმადიდებლური რელიგიიდან მომდინარეობს" (რესპონდენტი 5, პირადი კომუნიკაცია, 2024). ამის საპირისპიროდ კი ის და მისი თქმით ბევრი მოლდოველი რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ოკუპაციურ ეკლესიად

მიიჩნევს. ექსპერტების ნაწილმა ახსენა რომ მოლდოვის მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს ექვემდებარება (MOC), არასდროს უთამაშია რაიმე განსაკუთრებული როლი ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში, ის ექვემდებარებოდა რუსულ ეკლესიას, მოსკოვის ეკლესიის ხელდასმით ინიშნებოდნენ მაღალიერარქებიც და შესაბამისად რუსულ ინტერესებს ატარებდნენ (Pașa, პირადი კომუნიკაცია, 2024; Cantarji, პირადი კომუნიკაცია, 2024). ერთმა ექსპერტმა ისიც ახსენა რომ MOC ე.წ. "რუსული სამყაროს" გაფართოებას ცდილობს (რესპონდენტი 8, პირადი კომუნიკაცია, 2024). ბესარაბიის ეკლესიის სასულიერო პირმა MOC-ი სიძულვილის გავრცელებაში და ცვლილებების წინააღმდეგ გალაშქრებაშიც დაადანაშაულა (რესპონდენტი 6, პირადი კომუნიკაცია, 2024).

ბესარაბიის ეკლესიის შეფასებისას, რესპონდენტების ნაწილი ამბობს რომ ის რუმინულ და ევროპულ კულტურასთან ასოცირდება, ამგვარად რუმინულ იდენტობასთანაც ( Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 8, პირადი კომუნიკაცია, 2024). საგულისხმოა რომ ბესარაბიის ეკლესიაში წირვა-ლოცვა რუმინულ ენაზე ტარდება, ხოლო MOC-ში რუსულ ენაზე, რაც იდენტობის ერთ-ერთი მთავარი მარკერი და განმასხვავებელი ფაქტორია (Cantarji, პირადი კომუნიკაცია, 2024; რესპონდენტი 7, პირადი კომუნიკაცია, 2025). ბესარაბიის სასულიერო პირი მის ეკლესიას აღწერს როგორც აპოლიტიკურს, ინკლუზიურს და სულიერ აღორძინებაზე ორიენტირებულს (რესპონდენტი 6, პირადი კომუნიკაცია, 2024). ექსპერტი კი მიიჩნევს რომ ვინც ბესარაბიის ეკლესიასთანაა კავშირში, ისინი დიდი ალბათობით რუმინეთის გაერთიანებას ემხრობა (Vasile Cantarji, პირადი კომუნიკაცია, 2024). რომ შევაჯამოთ, რესპონდენტების უმრავლესობის პასუხებიდან გამოიკვეთა რომ MOC-ის ეკლესია რუსეთის მიერ ჩამოყალიბებული მოლდოვური იდენტობის, რეალურად კი რუსული ინტერესების გამტარია; ხოლო ბესარაბიის ეკლესია რუმინული იდენტობის გავრცელების და მოლდოვის რუმინეთთან გაერთიანების მომხრეა, რომელიც თავის მხრივ ასოცირდება ევროპულ იდენტობასთან.

*უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობა, როგორც ეროვნული იდენტობის გამყარება*

უკრაინის ეროვნული იდენტობა სუვერენიტეტს, ცივილიზაციურ არჩევანს, უკრაინელობას, ენას და ეროვნული ეკლესიის ქონას ემყარება (Riedel, 2022). იდენტობის კრიზისი ძირითადად უკავშირდება ტერიტორიულ გახლეჩას, რუსულ კოლონიალიზმს და რუსეთთან კულტურულ გადაჯაჭვულობას - შესაბამისად რუსიფიკაციიგან თავის დაღწევას (Betlii, 2022). იდენტობის საკითხს უკავშირდება ეკლესიებში ლოცვის რუსულ, თუ უკრაინულ ენაზე ჩატარების საკითხიც, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემი და პრინციპული საკითხი გახრა 2022 წლის შემდეგ (Shkriblyak, 2024).

შეკითხვაზე, თუ როგორ ხედავენ მართლმადიდებელი ეკლესიების როლს უკრაინაში ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესში, რესპონდენტების პასუხები ცალსახა არ არის. ორმა რესპონდენტმა შეკითხვას სოციოლოგიური კვლევის შედეგებიდან გამომდინარე უპასუხა, კერძოდ პირველმა თქვა რომ მოსახლეობის 80% თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს, რაც უკრაინული იდენტობის სიმბოლური ნაწილია, არა თეოლოგიური ერთგულება  და არა ფუნდამენტალისტური (Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). მეორე რესპონდენტი, რომელიც ამავდროულად სოციოლოგია მის მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგებს იშველიებს და ამბობს რომ გამოკითხულთა უმრავლესობა თანხმდება რომ ეკლესიამ ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების მიმართულებით გარკვეული როლი უნდა შეასრულოს. აქ საუბარი იყო უკრაინის ავტოკეფალიურ ეკლესიაზე OCU და ასევე ბერძნულ კათოლიკურ ეკლესიაზე, რომელთა მიმდევარიც ასევე ბევრია და არა მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ ეკლესიზე (UOC-MP), რომელიც ნეგატიურ აქტორად აღიქმევა და რუსული სამყაროს ნაწილად მიიჩნევა (Mishchenko, პირადი კომუნიკაცია, 2025).

OCU-ს სასულიერო პირმა თქვა, რომ “დღეს OCU უკრაინული სულის, მისი სულიერი წინააღმდეგობის გამომახილია” (Father Serhii Sirenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). მისი თქმით, მართლმადიდებელ ეკლესიას უდიდესი როლი აქვს ეროვნული იდენტობის

ჩამოყალიბების პროცესში. ხოლო ამავე ეკლესიის მიტროპოლიტი ამბობს რომ ავტოკეფალიითვის ბრძოლა არა მხოლოდ რელიგიას ეხებოდა, არამედ იყო ეროვნული ღირსების და ისტორიული სიმართლისთვის ბრძოლა (Metropolitan Olexander, პირადი კომუნიკაცია, 2025). ერთმა ექსპერტმა კი აღნიშნა, რომ რელიგიური იდენტობა კი არ განსაზღვრავს პოლიტიკურ იდენტობას, არამედ პირიქით. ამიტომ თუ ადამიანი თვლის რომ უკრაინელია, მაშინ ის OCU-ს დამოუკიდებლობას შეუწყობს ხელს, ხოლო ვინც თავს რუსული კულტურის ნაწილად მიიჩნევს, მისი თქმით ის UOC-MP-ს აირჩევს, ამგვარად უშუალოდ ეს ორი ეკლესიაც იდენტობის მარკერებად იქცნენ მისი გაგებით (Vovk, პირადი კომუნიკაცია, 2025). კიდევ ერთი მკვლევარი პირიქით ამბობს, რომ იმის მიუხედავად ადამიანები პრაქტიკოსი მორწმუნეები არიან, თუ არა, მათ იდენტობას ეკლესია თავისთავად მაინც აყალიბებს (რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია, 2025).

UOC-MP-ს მიტროპოლოტის თქმით, "უკრაინელები მართლმადიდებლებად სულ მცირე მე-11 საუკუნიდან მიიჩნევენ თავს. ამან ჩამოაყალიბა უკრაინული კულტურა, მეცნიერება და ფილოსოფია. მართლმადიდებლობა კულტურის ფორმირების რელიგიაა"[7] (Metropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია, 2025).

ღირებულებითი თვალსაზრისით რესპონდენტების პასუხებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი რამ გამოიკვეთა. კერძოდ როცა საქმე მართლმადიდებელი ეკლესიის როლს ეხება იდენტობის ფორმირებაში, საქართველოს შემთხვევაში ყველაზე თამამად პასუხობენ რესპონდენტები რომ მართლმადიდებელი რელიგია თითქმის ქართველობასთანაა გაიგივებული. მოლდოვის შემთხვევაში რაღაც მხრივ შეიძლება ითქვას რომ გამომდინარე იქიდან რომ არც ერთი ეკლესია არაა ადგილობრივი, ისინი გარკვეულწილად ინდენტობის კრიზისსაც ქმნიან. უკრაინის შემთხვევაში კი, OCU

[7] ციტატა მომდინარეობს პირისპირ ინტერვიუდან, რომელიც წარიმართა რუსულ ენაზე. ორიგინალი ტექსტია: "мыслями идентифицировали себя как православных. Это отразилось на культуре, это отразилось на науке, на философии украинской. И поэтому как бы когда мы говорим о православии, то можем говорить, что это культура образующая религия." აღნიშნული ციტატა თარგმნილია ჩემს მიერ.

პოზიტიურ როლს თამაშობს უკრაინული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში, ხოლო UOC-MP რესპონდენტების უმეტესობის აზრით უარყოფითს.

## 5.2. მართლმადიდებელი ქრისტიანული და დემოკრატიული ღირებულებები

მართლმადიდებელი ქრისტიანული ღირებულებების და დემოკრატიული ღირებულებების თავსებადობის თაობაზე მრავალი საყურადღებო ნაშრომი დაწერილა. ვლასი და გერგინა მართებულად აღნიშნავენ, რომ ხშირად მართლმადიდებლობისა და ლიბერალური დემოკრატიის ურთიერთმიმართების საკითხი უგულვებელყოფილია, მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ყურადღება აქტიურად დათმობია ისლამისა და ლიბერალური დემოკრატიის შეუთავსებლობის განხილვას (Vlas and Gergina, 2012, 340). თუმცა, ქრისტიანობისა და სახელმწიფოს ურთიერთობა არანაკლებ რთული პარტნიორობის მაგალითს გვთავაზობს.

ერთი მხრივ, როგორც თეორიული ჩარჩოს მიმოხილვაში უკვე იქნა ხსენებული, ფორმალური თვალსაზრისით, ქრისტიანობა არ არის *a priori* ანტი-დემოკრატიული, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაიბადა ისეთ ავტორთა წიაღში, რომლებიც არც დემოკრატიებში არ ცხოვრობდნენ და არც დემოკრატიული პოლიტიკური წესწყობილების დამცველები არ ყოფილან. როგორც კრაინაკი (2001) ამბობს, ქრისტიანობის რომელიმე ტრადიციასა და დემოკრატიას შორის არ არსებობს რაიმე ბუნებრივი თავსებადობა. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია გავიხსენოთ ამ ნაშრომში უკვე მიმოხილული გარემოება, რომ ქრისტიანობას და მათ შორის კონკრეტულად მართლმადიდებელ ქრისტიანობას, ახასიათებს შინაგანი, ბუნებრივი წინააღმდეგობა საკუთრივ ლიბერალური დემოკრატიის ნორმებსა და სტანდარტებთან.

ამის მიუხედავად, საყურადღებოა რასაც ბერგერი (2004) აღნიშნავს, რომ ლიბერალური დემოკრატია დაიბადა სწორედ ქრისტიანულ პოლიტიკურ სივრცეში, რადგან

დასავლურმა ქრისტიანობამ შექმნა იმგვარი წინაპირობები, რაც შემდგომში ხელსაყრელი გამოდგებოდა ლიბერალური პრინციპების გამოჩენის კუთხით (Berger, 2008). მაგალითისთვის, ბერგერის თქმით, ქრისტიანობამ ხელი შეუწყო ადამიანის ღმერთთან პირისპირ ყოფნის ცნობიერების შექმნას, რაც მომავალში საფუძვლად დაედო ადამიანის უფლებების დასავლურ პარადიგმას, ხოლო პაპსა და საღვთო რომის იმპერიულ ინსტიტუტებს შორის დაპირისპირებამ შექმნა ინსტიტუციური პლურალიზმის ადრეული მაგალითი (Berger, 2007, 27).

ამავე დროს, საყურადღებოა აგრეთვე დასავლურ და აღმოსავლურ ქრისტიანობას შორის არსებული სოციო-კულტურული და ისტორიული სხვაობები, რაც გარკვეულწილად აგრეთვე განსაზღვრავს რელიგიასა და დემოკრატიას შორის არსებულ დინამიკას. მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც იმპერიულ კონტექსტში განვითარდა (სადაც იმპერიას გააჩნდა რელიგიის ინსტრუმენტალიზების ცეზაროპაპისტული ინსტრუმენტები), არ იყო მზად დემოკრატიის აღსაქმელად და დასანერგად, რადგან დემოკრატია ბევრს არაფერს არ ნიშნავდა (Papanikolau, 2012). ამავე დროს, როგორც არაერთ მეცნიერს აღუნიშნავს, მართლმადიდებელი ქრისტიანობა კიდევ უფრო კარჩაკეტილი და "იმქვეყნიურზე" ორიენტირებული იყო, ვიდრე კათოლიკური ქრისტიანობა, რამაც მართლმადიდებლური პარადიგმა უფრო მეტად დააზღვია ამქვეყნიური "მასეკულარიზებელი" ტენდენციებისგან, რასაც ადგილი ჰქონდა კათოლიკურ დასავლეთში (Dobrijevic, 2006: 4). განსხვავდება აგრეთვე ქრისტიანობის ამ ორი ტრადიციის მიერ განვლილი ტრაექტორიებიც. მაგალითისთვის, მართლმადიდებლი ეკლესიის წიაღში ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, როგორიც იყო 1962 წელს გამართული ვატიკანის მეორე საბჭო სადაც კათოლიკურმა ეკლესიამ დემოკრატია და ადამიანის უფლებების მხარდაჭერა გამოაცხადა. შესაბამისად, მართლმადიდებელი ეკლესია ამ თვალსაზრისით ბევრად უფრო ნაკლებად მომზადებული შეხვდა პოსტ-საბჭოთა დამოუკიდებელი სახელმწიფოებიობის ეპოქას (Papanikolau, 2012).

უშუალოდ სამი საკვლევი ქვეყნის მაგალითზე, მართლმადიდებელ ქრისტიანულ რელიგიურ ღირებულებებსა და დემოკრატიულ ღირებულებებს შორის თავსებადობაზე საუბრისას სამი ქვეყნის რესპონდენტები მიჯნავენ რამდენიმე საკითხს: პირველი ეს არის უშუალოდ ქრისტიანულ რელიგიასა და დემოკრატიას შორის თანხვედრის საკითხი, მეორეა ქრისტიანულ რეიგიასა და ლიბერალურ დემოკრატიულ ღირებულებებს შორის წინააღმდეგობრიობა და მესამეა უშუალოდ საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში მართლმადიდებელი ეკლესიების, როგორც ინსტიტუტების პოზიციონირება ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკისადმი.

### *მართლმადიდებელი ქრისტიანული ღირებულებები და დემოკრატია საქართველოში*

საქართველოში ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით დემოკრატიულ ღირებულებებსა და მართლმადიდებელ ქრისტიანული ღირებულებების თავსებადობაზე ორგვარი პასუხი გამოიკვეთა, ნაწილი მიიჩნებს რომ სრულიად თავსებადია, ხოლო მეორე ნაწილი რესპონდენტებისა პირობითობაზე ამახვილებს ყურადღებას, რაც ძირითადად ლიბერალურ დემოკრატიასთანაა დაკავშირებული. იმ ექსპერტებს, თუ სასულიერო პირებს რომელთაც მყარად სწამთ, რომ ეს ორი ღირებულება თანხვედრაშია, შემდეგნაირად ამლიერებენ თავიანთ არგუმენტებს: პირველი არგუმენტია, რომ დემოკრატიული ღირებულებები ქრისტიანების მიერ არის ჩამოყალიბებული და ქრისტიანებზეა აწყობილი, კერძოდ ერთ-ერთი მაღალი იერარქიის სასულიერო პირი ამტკიცებს რომ ეკლესიას თავად აწყობს ისეთ სახელმწიფოში ცხოვრება სადაც ძალადობა მინიმალურ დონეზეა დაყვანილი, სადაც განვითარების პერსპექტივაა (არქიმანდრიტი დოროტე ყურაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). თუმცა მანვე ახსნა რომ დემოკრატიას არ გააჩნია წერტილი, ხოლო ქრისტიანობას გააჩნია - დემოკრატიას კი იმის პოტენციალიც აქვს რომ ტირანიად იქცეს “ქრისტიანს აუკრძალოს რომ ცოდვა ცოდვაა” (არქიმანდირიტი დოროტე ყურაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). საზღვრების თემას მეუფეც ახსენებს და ამბობს რომ ღმერთთან არ არსებობს იძულება, ღმერთი საზღვრების მდგენელია (რესპონდენტი 2, პირადი

კომუნიკაცია, 2025). კიდევ ერთი სასულიერო პირი აღნიშნავს, რომ უშუალოდ დემოკრატიული მოწყობის პრინციპი არ ეწინააღმდეგება მართლმადიდებელი ეკლესიის ღირებულებებს (რესპონდენტი 1, პირადი კომუნიკაცია, 2017). ასევე სხვა მღვდელის თქმით "დემოკრატიული გარემო ამავროულად გულისხმობს პროფესიონალურ მაღალ სტანდარტს და პოლიტიკური გავლენისგან მეტ-ნაკლებად შეუძლია გათავისუფლება (რესპონდენტი 5, პირადი კომუნიკაცია, 2017). ერთ-ერთი სასულიერო პირი იმასაც კი ამბობს რომ ქრისტიანობა ყველაზე დემოკრატიულია (რესპონდენტი 1, პირადი კომუნიკაცია, 2025). თეოლოგი რესპონდენტი რამდენიმე ფაქტორს ასახელებს რის გამოც ეს თანხვედრა რეალურია, კერძოდ პიროვნების ღირსება, თავისუფლება, სინდისის თავისუფლება, სხვისი პატივისცემა, რაც ორივეს მთავარი პრინციპებია (აბაშიძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). პოლიტიკოსი ამ ჩამონათვალის გარდა, თავსებადობის არგუმენტის გასამყარებლად ასახელებს სიყვარულს, შემწყნარებლობას (ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). თუმცა ის ამავდროულად ასახელებს უმცირესობების უფლებების და ამ ჭრილში ოჯახის სიწმინდის თემის წამოწევის საკითხს, რა საკითხებიც ერთმანეთთან კონფლიქტში მოდის ე.წ. სოდომური ცოდვის ჭრილში. რაც ხშირად საქართველოში არასწორი ფორმითაა გამოხატული, რაზეც ყველაზე დიდი რეაქციაა ხოლმე ეკლესიაში, თუმცა არათანაბრადაა ყურადღება გამახვილებული ისეთ ცოდვებზე როგორიცაა ქურდობა, სიცრუე, ამპარტავნება და ასე შემდეგ (ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). ამ ფენომენს, როდესაც ერთი საკითხი მძაფრად არის წამოჩენილი და მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი დაიგნორებულია, ამას პოლიტიკოსი "ქრისტიანობის ერთგვარ სუროგაციად" მოიხსენიებს (ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). ის ასევე ამბობს რომ უფალმა დააწესა გარკვეული მცნებები სიყვარული, მიტევება რაც ქრისტიანობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ქრისტიანული და დემოკრატიული ღირებულებების განხილვისას, ერთ-ერთმა დარგის ექსპერტმა ახსნა რომ დემოკრატიული სახელმწიფოსთვისაც და რელიგიური ინსტიტუტებისთვისაც ხელსაყრელია საერო და სასულიერო სფეროების გამიჯვნა და ამ

კუთხით ამ ორის ღირებულებები თანხვედრაშია (რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025).

დარგის მკვლევრები ერთი მხრივ თანხმდებიან თავსებადობის საკითხზე, თუმცა ამბობენ რომ ეს ინტერპრეტაციის საგანია, განსაკუთრებით როდესაც საკითხი ლიბერალურ დემოკრატიას ეხება. ერთ-ერთი დარგის მკვლევარი ამბობს რომ "სახარებაში არაფერი არ წერია ისეთი, რაც გამორიცხავს ლიბერალურ დემოკრატიას და არც ისეთი, რომელიც მოითხოვს ლიბერალურ დემოკრატიას. ეს არის ინტერპრეტაციაზე დამოკიდებული" (ნოდია, პირადი კომუნიკაცია, 2025). თუმცა აქვე უნდა მოვიყვანოთ პროფესიით თეოლოგი რესპონდენტის სიტყვები, რომელიც ამბობს რომ "ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურ-დემოკრატიული თეოლოგია აქვს მართლმადიდებელ ეკლესიას" (მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). ის ასევე ამბობს რომ პროტესტანტული და კათოლიკური თეოლოგიისგან განსხვავებით, მართლმადიდებელ ეკლესიაში ლიბერალური დემოკრატიის ლეგიტიმაცია ჯერ არ მომხდარა, არაა ჩამოყალიბებული ჯერ იმგვარი პოლიტიკური თეოლოგია, რომელსაც ის გაიზიარებდა (მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). ის მიიჩნევს რომ საქართველოს საპატრიარქოსთვის ასევე პრობლემური ცნებებია ინდივიდის თავისუფლება და პლურალიზმი; ასევე ამ ეკლესიისთვის დამახასიათებელია ეთნოცენტრიზმი, პატრიარქალური ღირებულებები, რაც წინააღმდეგობაში მოდის გენდერულ თანასწორობასა და ლიბერალურ პრინციპებთან (მინდიაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). დარგის კიდევ ერთ მკვლევარს მოჰყავს საბერძნეთის, კვიპროსის, ბულგარეთის და რუმინეთის მაგალითი და ამბობს რომ ესენი მართლმადიდებლური დემოკრატიებია სადაც პროგრესული პოლიტიკური პლათფორმები იგებენ არჩევნებს, ამიტომ ის ქრისტიანობის და დემოკრატიის თავსებადობაში პრობლემას ვერ ხედავს (მეტრეველი, პირადი კომუნიკაცია, 2025). თუმცა ის პრობლემას ხედავს იერარქიულობაში, სადაც პირობითად ქალის ადგილს ვიღაც განსაზღვრავს რაც კონსერვატიული ღირებულებითაა ასე, თუმცა ამ მხრივ "ტოტალიტარიზმში ვიჭედებით" - ამბობს რესპონდენტი (მეტრეველი, პირადი კომუნიკაცია, 2025).

*მართლმადიდებელი ქრისტიანული ღირებულებები და დემოკრატია მოლდოვაში*

მოლდოვაში დემოკრატიული ღირებულებების მართლმადიდებელ ქრისტიანობასთან თავსებადობაზე რესპონდენტებს ორგვარი პასუხი ჰქონდათ, მცირე ნაწილი მიიჩნევს რომ უპირობოთ თავსებადია, ხოლო ნაწილს კონკრეტული დათქმები და მაგალითები მოჰყავს ინსტიტუციურ და ლიბერალურ პრიზმაში შეუთავსებლობის შესაძლებლობებზე. მხოლოდ სამი რესპონდენტი, აქედან ორი ექსპერტი და ერთი ხელისუფლების წარმომადგენელი ხაზგასმით ამბობს რომ ეს ორი ღირებულება ერთმანეთთან თავსებადია (Pașa, პირადი კომუნიკაცია, 2024; რესპონდენტი 8, პირადი კომუნიკაცია, 2024; რესპონდენტი 5, პირადი კომუნიკაცია, 2024). ამ სამიდან ერთ-ერთი აზუსტებს რომ ისინი ტოლერანტობას, თანასწორობას და პატივისცემას იცავენ (რესპონდენტი 8, პირადი კომუნიკაცია, 2024). მათგან ორ რესპონდენტს თავიანთი არგუმენტის გასამყარებლად მაგალითად მოჰყავთ ევროკავშირის წევრი ქვეყნები როგორიცაა კვიპროსი, საბერძნეთი, რუმინეთი, რომლებიც მართლმადიდებლურია და პრაქტიკულად სახელმწიფოს ნაწილია. მაგრამ ერთ-ერთმა თავადვე გამიჯნა და თქვა რომ დემოკრატია და ლიბერალური ღირებულებები ზუსტად ერთი და იგივე არ არის (Pașa, პირადი კომუნიკაცია, 2024). მესამე რესპონდენტმა, რომელიც ასევე ხელისუფლების წარმომადგენელია, წინა მაგალითებს ასევე ამატებს ევროკავშირის წევრ ბულგარეთს სადაც მართლმადიდებლობაა დომინანტი ეკლესია და სერბეთს, რომელიც ევროკავშირის კანდიდატი სახემწიფოა და აღნიშნავს რომ რელიგიურობა და დემოკრატიული წესწყობილება შესაძლებელია, თუ სეკულარიზმის პრინციპი დაცულია (რესპონდენტი 5, პირადი კომუნიკაცია, 2024).

რესპონდენტების მეორე ნაწილი საკითხს ინსტიტუციურ პრიზმაში განიხილავს და მოლდოვაში მართლმადიდებელი ეკლესიის ქცევის, ინსტიტუციური პრაქტიკისა და რეაქციებიდან გამომდინარე აფასებს საკითხს. კერძოდ, გამოკითხული ჟურნალისტი სკეპტიკურადაა განწყობილი მართლმადიდებელი სტრუქტურისა და დემოკრატიული

ღირებულებების თავსებადობის საკითხთან მიმართებით (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024). ის ხსნის რომ მღვდლებს პერიფერიებში განსაკუთრებული სოციალური ავტორიტეტი აქვთ, ამბობს რომ არსებულ ეკლესიებში არის სუბორდინაციის პრაქტიკა და დემოკრატია კი ნიშნავს რომ შენი ხმა მნიშვნელოვანია. მას მაგალითად მოჰყავს საეკლესიო საბჭოები, რომლებიც არჩევნების წესით ფორმირდება. თუმცა მოლდოვის კონტექსტში ის ამბობს რომ ესეც უბრალო ფორმალობაა და დემოკრატიათან კავშირი არ აქვს. ამგვარად, ის მიიჩვენს რომ დემოკრატიასა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის თავსებადობა ხელოვნური ხასიათისაა და ცოტაა ისეთი მართლმადიდებელი რომელთათვისაც დემოკრატიული ღირებულებები მისაღებია (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024). ერთ-ერთი ექსპერტი ფიქრობს რომ ნებისმიერმა სახელმწიფომ მკაცრად უნდა გაავლოს მკაფიო საზღვრები რელიგიურ და სეკულარულ სფეროს შორის და ამ შემთხვევაში დემოკრატიასთან შესაძლებელია თავსებადი იყოს ქრისტიანობა (Dușciac, პირადი კომუნიკაცია, 2025). მსგავს მოსაზრებებს ავითარებს ორი მკვლევარი და ერთი პოლიტიკოსი. მკვლევრებიდან, ერთი აგრძელებს წინა რესპონდენტის ხაზს და ამბობს, რომ მკაცრი სეკულარიზმის პირობებში, დემოკრატიულ და მართლმადიდებელ ქრისტიანულ ღირებულებებს შორის თავსებადობა შესაძლებელია, თუ რელიგია პოლიტიკისგან იქნება გამორიცხული (Cantarji, პირადი კომუნიკაცია, 2024). მეორე მკვლევარმა გამოთქვა იმედი რომ ეკლესია დემოკრატიულ წესრიგთან ადაპტირდება (Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2025). პოლიტიკოსმა კი თქვა რომ მოდერნიზაციის განუყოფელი ნაწილია რელიგიური და დემოკრატიული წესების ერთმანეთთან ადაპტირება, რაც ერთგვარი არარსასიამოვნო გზაა მართლმადიდებლებისთვის ( Munteanu, პირადი კომუნიკაცია, 2024).

ინტერვიუს რესპონდენტებიდან სასულიერო პირმა განმარტა რომ ღირებულებები, როგორიცაა თავისუფლება დათანასწორობა სრულებით თავსებადია მართლმადიდებელ ქრისტიანობასთან. თუმცა მისი ახსნით პრობლემურია კონკრეტული დასავლური პოლიტიკები (policies), მისი თქმი ასეთია ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელთა

ქორწინება, ნარკოტიკის გამოყენება, რაც ქრისტიანულ მორალთან წინააღმდეგოვაში მოდის (რესპონდენტი 6, პირადი კომუნიკაცია, 2024).

*მართლმადიდებელი ქრისტიანული ღირებულებები და დემოკრატია უკრაინაში*

უკრაინაში გამოკითხული რესპონდენტებიდან, ყველა სასულიერო პირი ორივე მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიიდან ერთხმად აღნიშნავს რომ მართლმადიდებელი ქრისტიანული და დემოკრატიული ღირებულებები თავსებადია. OCU-ს მიტროპოლიტი ამ ორ ღირებულებას შორის ტოლობის ნიშანსაც კი სვამს (Metropolitan Olexander, პირადი კომუნიკაცია, 2025). ის ასევე ამბობს რომ დემოკრატიული ღირებულებები თავად ქრისტიანული აღზრდის შედეგია. მოციქული პავლეს ეპისტოლეები და ქრისტეს სახარებები სხვა არაფერია, თუ არა დემოკრატიული ღირებულებების აღზევება. OCU-ს მეორე სასულიერო პირი იმასაც ამბობს, რომ ევროპული დემოკრატია ქრისტიანულმა ღირებულებებმა წარმოშვა (Serhii Sirenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). იგივე მღვდელი განმარტავს რომ სინდისის თავისუფლება, პიროვნების ღირსება, სუსტების დაცვა, პასუხისმგებლობის გრძნობა, საზოგადოების მსახურება, ესაა ის საკითხები რაზეც ეკლესია დგას და რასაც დემოკრატიასთან პირდაპირი კავშირი აქვს. თუმცა აქვე აღნიშნა რომ არის შემთხვევები, როდესაც “დემოკრატიის” იარლიყის ქვეშ ხდება სხვა იდეოლოგიების შეფუთვა, რაც სახარებას ეწინააღმდეგება. აქვე უნდა ითქვას, რომ შესაძლოა ამაში სავარაუდოდ ლიბერალიზმს გულისხმობდეს. ამგვარად, ის მიიჩნებს რომ ეკლესია პასიური დამკვირვებლის როლში კი არ უნდა იყოს, არამედ დემოკრატიის მორალურ კომპასად უნდა წარმოჩინდეს. ამის გაგრძელებად მან თქვა რომ ევროპას მართლმადიდებელმა ეკლესიამ შესაძლოა შესთავაზოს ე.წ. ევქარისტული კრების გამოცდილება, როდესაც თავისუფლება პასუხისმგებლობასთანაა შერწყმული. UCO-MP-ს მიტროპოლიტი კი აღნიშნავს რომ ფაქტია რომ არსებობენ სახელმწიფოები სადაც მართლმადიდებელი ქრისტიანული ღირებულებები დემოკრატიასთან თავსებადია (Metropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია, 2025). ექსპერტებიც მსგავს მოსახრებას იზიარებენ და ამბობენ რომ

არანაირი წინააღმდეგობა არ არსებობს ამ ორ ღირებულებას შორის (Mykhailo Mishchenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია, 2025). ერთ-ერთი პოლიტიკოსის შეფასებით, რელიგია რეალურად უკეთ ქცევაში ეხმარება ადამიანს (Kravchuk, პირადი კომუნიკაცია, 2025). ხოლო მეორე პოლიტიკოსმა ახსენა რომ მაღალი რელიგიურობით გამორჩეულ ერებში დემოკრატია სავსებით თავისუფლად მუშაობს, შესაბამისად ეს უკრაინაშიც შესაძლებელია (Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიული და ქრისტიანული ღირებულებების თავსებადობის არგუმენტს სამივე ქვეყნის რესპონდენტთა უმრავლესობა აღიარებს, რადგან ისინი მიიჩნევენ რომ თავად ქრისტიანობამ წარმოშვა დემოკრატიული პრინციპები და დემოკრატიაზე დაფუძნებული წესრიგი. ერთადერთ პრობლემას რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს იმაში რომ ზოგჯერ ხდება დემოკრატიის საფარქვეშ სხვა ღირებულებების წარმოშობა რომელიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს ქრისტიანულ პრონციპებს და ამ წინააღმდეგობაში ძირითადად ლიბერალურ ღირებულებებს მოიაზრებენ.

## 5.3. სულიერება vs სამართალი Covid-19 პანდემიის რეგულაციურ კონტექსტში

Covid 19 პანდემიამ წარმოშვა კიდევ ერთი ლაკმუსის მომენტი, რომელიც ერთით მეტ მნიშვნელოვან ანალიტიკურ მასალას წარმოადგენს საკვლევი სახელმწიფოების კონტექსტში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობების დინამიკაზე დასაკვირვებლად. შესაბამისად, ქვემოთ მიმოხილულია მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ სახელმწიფო რეგულაციებისადმი და ვაქცინაციისადმი დაფიქსირებული პოზიცია საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში.

**საქართველოს** მართლმადიდებელმა ეკლესიამ (GOC) საშუალო პოზიცია დაიკავა Covid 19-ის პანდემიის ირგვლივ. სახელმწიფოს მიერ პანდემიასთან დაკავშირებული

რეგულაციების გამოცხადება დაემთხვა რელიგიურად დატვირთულ წინასააღდგომო პერიოდს, რამაც საკითხის დელიკატურობა და ლოჯისტიკური გადაწყობის სიძნელეები გაზარდა. საჯარო პოლემიკის ერთ-ერთ მთავარ საგნად თავიდანვე ჩამოყალიბდა საერთო ჭურჭლით ზიარების საკითხი (Hauer, 2020). საპატრიარქომ თავიდანვე გადაჭრით განაცხადა, რომ ზიარების წესის შეცვლა არ განიხილებოდა, ისევე როგორც არ განიხილებოდა ფიზიკური შეკრებების აკრძალვა (ნეტგაზეთი, 2020). მართალია, საქართველოს პატრიარქმა მოუწოდა მრევლს დისტანციის დაცვისკენ (და ეს ასეც მოხდა მთავარ საკათედრო ტაძარში გამართულ სააღდგომო ლიტურგიაზე), თუმცა საქართველოს ათასობით ეკლესია-მონასტრის კონტექსტში, საბოლოო ჯამში აღსრულება ინდივიდუალური სასულიერო პირებისა და ეკლესიების პრეროგატივამდე დადიოდა და წესების დაცვა ხშირად არ თუ ვერ ხერხდებოდა (კანდელაკი, 2020). თუმცა, ამბივალენტური იყო თავად საერო პოლიტიკური ხელმძღვანელობის განცხადებებიც. ერთი მხრივ, პრემიერ-მინისტრი და ეპიდემიოლოგიური სამსახურის ლიდერები რეგულარულად მოუწოდებდნენ საზოგადოებას დაეცვათ შესაბამისი ნორმები, ხოლო მეორე მხრივ, 22 მარტს გაკეთებულ განცხადებაში პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, რომ საგანგებო მდგომარეობა არ ზღუდავდა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობას, რამაც ხელი შეუწყო კამპანიას: „მე არ ვრჩები სახლში, მე მივდივარ ქრისტეს ეკლესიაში“(კანდელაკი, 2020). ვაქცინაციასთან მიმართებით, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ჯამში ნეიტრალური პოზიცია დაიკავა: მას არასდროს დაუჭერია მხარი ვაქცინაციის პროცესისთვის, თუმცა არც მის წინააღმდეგ არ გაულაშქრია, მიუხედავად იმისა, რომ ულტრა-მემარჯვენე ჯგუფები აქტიურად ილაშქრებდნენ ვაქცინაციის წინააღმდეგ. მეტიც, დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც გავლენიანი და საზოგადოებისთვის ცნობილი მაღალიერარქი, მაგალითად მეუფე დიმიტრი შიოლაშვილი (საქართველოს პატრიარქის ძმისშვილი), მეუფე საბა ინწკირველი (ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსი) და მეუფე მელქისედეკი, აიცრა და ამის თაობაზე საჯაროდაც გაავრცელა ინფორმაცია (რადიო თავისუფლება, 2021).

**მოლდოვის** მართლმადიდებელმა ეკლესიამ (MOC) და ბესარაბიის მართლმადიდებელმა ეკლესიამ (BM) დიამეტრულად განსხვავებული პოზიციები დაიკავეს სანდუს ხელისუფლების მიერ დაწესებულ რეგულაციებთან დაკავშირებით. რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფმა MOC-მა ხელი შეუწყო რეგულაციების მასობრივ დარღვევას, ანტი-ვაქსერულ განცხადებებს და კონსპირაციულ ნარატივებს. ხოლო რუმინეთის დაქვემდებარებაში მყოფმა BM-მა პირიქით ხელი შეუწყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ნორმების დაცულობას, გაიღო ფინანსური რესურსი ჰუმანიტარული დახმარების უზრუნველსაყოფად და არცერთი საჯარო განცხადებით არ შეეწინააღმდეგებია ვაქცინაციის პროცესს. რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფი MOC-ის 1,062 ეკლესიიდან, სულ მცირე 375-მა ღიად დაარღვია რეგულაციები, მორწმუნეებს თავი მოუყარა და საერთო ჭურჭლით აზიარა (Pociumban, 2020). MOC-ის წინამძღოლობით, 2020 წელს, გაიმართა ათასობით მოქალაქის მარში, დისტანციის დაცვისა და პირბადეების გარეშე (Balkan Insight, 2020), რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს მიერ დაწესებულ რეგულაციებს. MOC ადრეულ ფაზაშივე შეეწინააღმდეგა სავალდებულო ვაქცინაციას, თუმცა ამავე დროს ნაკლებად რადიკალური პოზიცია შეინარჩუნა თავისუფალი ნების პირობებში გაკეთებულ ვაქცინაციაზე. თუმცა, პარალელურად, ეკლსიის წევრებმა საზოგადოებაში გაავრცელეს კონსპიროლოგიური ხედვები სატანურ შეთქმულებასთან დაკავშირებით, რომელიც შეიცავდა ისეთ კონსპიროლოგიურ ელემენტებს, როგორიცაა თავისუფალი მასონები, ბილ გეიტსი და მიკროჩიპები. შესაბამისად, ჯამში, შესაძლებელია ითქვას, რომ MOC-მა ვაქცინაციის ეფექტის საზიანოდ საკმაოდ აქტიური როლი შეასრულა (OrthoChristian, 2020). ამისგან განსხვავებით, BM-მა მიიღო ადრეული პრევენციის ზომები და ეკლესიების ღიად დატოვების მცდელობის პარალელურად საკუთარ სამრევლოებში დანერგა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ნორმები. ამავე დროს, BM-ს არ გაუკეთებია არცერთი საჯარო განცხადება ვაქცინის წინააღმდეგ. სატანურ შეთქმულებაზე საუბრის მაგივრად, ბესარაბიის ეკლესიამ მორწმუნეების "მშვიდად დარჩენისა და ჯანდაცვის ინსტიტუტების მიერ გაცემული რეკომენდეციების შესრულებისკენ" მოუწოდა (Metropolis of Bessarabia, 2020).

**უკრაინის** მართლმადიდებელმა ეკლესიამ (OCU) თავიდანვე თანამშრომლობის სულისკვეთება გამოავლინა სახელმწიფოსთან მიმართებით. OCU-მ დაიცვა ჯანდაცვის შესაბამისი ორგანიზაციების მიერ დაწესებული ყველა სხვა რეგულაცია, მათ შორის „ლოქდაუნებთან“ და მრავალრიცხვოვან შეკრებებთან დაკავშირებით. მიტროპოლიტმა ეპიფანემ, რომელმაც მრევლს მაგალითი მისცა საჯაროდ აცრით, ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ უკრაინის ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას არ გააჩნდა არავითარი წინააღმდეგობა ვაქცინაციის მიმართ და ამავე განცხადებაში ნდობა გამოუცხადა როგორც უკრაინის საერო ხელისუფლებას, ასევე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას (WHO) (Orthodox Times, 2021). მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებულმა ეკლესიამ (UOC-MP), მოლდოვას მსგავსად, უკრაინაშიც წინააღმდეგობრივი პოზიცია დაიკავა და ამ შემთხვევაშიც წაახალისა რეგულაციების მასობრივი და ორგანიზებული დარღვევა. როგორც 2020, ასევე 2021 წლებში UOC-MP-მ უკრაინის მასშტაბით საზოგადოებრივი ჯანდაცვის ნორმების უგულვებელყოფით, მასიური დემონსტრაციები დააორგანიზა “პანდემიის დასრულებისთვის სალოცავად“, ხოლო მთელი რიგი ეკლესიები, მათ შორის კიევის პეჩორის ლავრა, არ დახურულა (Baker and Emmott, 2020). მოლდოვის მოსკოვთან დაქვემდებარებული ეკლესიისგან განსხვავებით, UOC-MP-ს არ დაუკავებია ვაქცინაციის საწინააღმდეგო პოზიცია არც ფორმალურად, და არც თუნდაც კონსპიროლოგიური თვალსაზრისით თუმცა არც ვაქცინაციის მხარდასაჭერად არ გაუკეთებია არაფერი.

Covid 19 პანდემია მართლაც ლაკმუსის ტესტი გამოდგა, რომელმაც საკვლევი სახელმწიფოებისა და შესაბამისი მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობების დინამიკა კიდევ ერთხელ გამოიტანა სააშკარაოზე. როგორც სამი შემთხვევის მოკლე ანალიზი მოწმობს, პანდემიამ სამივე შემთხვევაში გამოიწვია გარკვეული დაძაბულობის კერის ფორმირება ერთი მხრივ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის.

პოლიტიკური პოზიციონირების კუთხით, გამონაკლისია საქართველო, სადაც, როგორც სპიკერის განცხადების მაგალითით ვნახეთ, თვითონ მმართველი გუნდის წიაღში შეინიშნა რიტორიკულ-პოზიციური ლავირება. მაშინ როდესაც უკრაინის და მოლდოვას შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია რიტორიკულ თუ პოზიციურ სხვაობებს საკუთრივ მმართველი გუნდის წიაღში. რაც შეეხება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციონირებას, როგორც ავტოკეფალიურმა ერთეულმა, ეკლესიამ ტრადიციულად დაიცვა საკუთარი იდენტობა და ზღვარი, არ გაატარა დათმობის პოლიტიკა, თუმცა, საბოლოო ჯამში, არც გამორჩეულად რადიკალური წინააღმდეგობა არ გაუწევია. რაც ეხება ორი დანარჩენი სახელმწიფოს მართლმადიდებელ ეკლესიებს, როგორც ვნახეთ, ორივე შემთხვევაში, მოსკოვს დაქვემდებარებულმა ეკლესიებმა რადიკალური წინააღმდეგობა გაუწიეს უკრაინის და მოლდოვის ხელისუფლებებს, ხოლო პრო-დასავლურმა ეკლესიებმა სრული თანამშრომლობის სულისკვეთება გამოავლინეს. საკუთრივ ვაქცინაციის თემაზე, უკრაინის და მოლდოვის პრო-დასავლურმა ეკლესიებმა (OCU და BM) ღიად დაუჭირეს მხარი ვაქცინაციას, მოსკოვის საპატრიარქოს ქვეშ არსებულმა უკრაინის ეკლესიამ (UOC-MP) და საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ (GOC) საშუალო პოზიცია დაიკავეს, ხოლო მოსკოვის საპატრიარქოს ქვეშ არსებულმა მოლდოვის მართლმადიდებელმა ეკლესიამ (MOC) მკაფიოდ ნეგატიური.

### 5.3.1. 2021 წლის სააღდგომო ეპისტოლეების ანალიზი კოვიდ-პანდემიის კონტექსტში

მონაცემების დამუშავების პროცესის აღსაწერად მნიშვნელოვანია ითქვას, რომ საპილოტე რეჟიმში დამუშავდა 2021 წლის სააღდგომო ეპისტოლეები. ეპისტოლეს შერჩევა მოხდა მიზნობრივად, პანდემიის ბოლო ფაზის პერიოდში გამოცემული სააღდგომო ეპისტოლეების ფარგლებში, როდესაც მსოფლიოს უკვე გააზრებული ჰქონდა პანდემიის შედეგები, ვაქცინაციის გაკეთების აუცილებლობა და გავლილი იყო აფექტის ფაზა. კერძოდ სამი შერჩეული ქვეყნის ექვსი სააღდგომო ეპისტოლე გაანალიზდა. 2021 წლის ეპისტოლეების შერჩევა მოხდა პირობითად გლობალური

პანდემიის კონტექსტში იმისთვის რომ გამორკვეულიყო, თუ რამდენად დაემორჩილა მართლმადიდებელი ეკლესია ამ სამ ქვეყანაში სეკულარულ წესებს კრიზისის დროს და რა პათოსი გამოსჭვიოდა უშუალოდ ეპისტოლეებიდან. ეპისტოლეებიდან არ მომხდარა კვლევის კითხვებიდან და თეორიიდან გამომდინარე საკითხების მიზნობრივად მოკვლევა, არამედ აღნიშნული ეპისტოლეების საპილოტედ ანალიზი მოხდა უშუალოდ ინდუქციური მეთოდით. კერძოდ, მთავარი მიზანი იყო ის თუ რა ამოვიდა ეპისტოლეების შინაარსიდან პირდაპირი, თუ ირიბი გაგებით, რისი თქმა უნდოდათ სასულიერო ლიდერებს და რამდენად მოხერხდა სეკულარული და სასულიერო სფეროს დისკურსულად გამიჯვნა, თუ თანამშრომლობა. აღნიშნული აღდგომის დღესასწაულის ეპისტოლეების ანალიზიდან გამომდინარე, გამოვლინდა რომ კვლევის მხოლოდ ეპისტოლეებზე დაყრდნობა და ინდუქციური მეთოდის გამოყენება უშუალოდ დისერტაციის შეკითხვებზე პასუხის გასაცემად არ იქნებოდა სრულად შედეგიანი. ამიტომ ადგილობრივ, რელიგიონალურ და გლობალურ კონტექსტში ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების კვლევისას, დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების მართლმადიდებელ ქრისტიანულ ღირებულებებთან თავსებადობის ანალიზისას და ასევე გლობალურ კონტექსტში სამ ქვეყანაში უკრაინაში ომის ევროინტეგრაციის პროცესებზე ზეგავლენის ანალიზისას შემდგომ გამოყენებული იყო ეკლესიების მხოლოდ ის მიმართვები ეპისტოლეების, თუ განცხადებების სახით, რაც უშუალოდ დისერტაციის საკვლევ შეკითხვებს უკავშირდებოდა.

კონკრეტულად ამ საპილოტე ანალიზისთვის, სამი სამიზნე ქვეყნიდან ექვსი ეპისტოლეს შერჩევა განაპირობა უკრაინისა და მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესიების დაყოფამ და მათი ინდივიდუალური მიდგომების გათვალისწინების აუცილებლობამ. პირველი ეპისტოლე რომელიც შეირჩა არის საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორეს სააღდგომო ეპისტოლე (ილია მეორე, 2021), შემდეგი ორი არის კიშინოვისა და სრულიად მოლდოვის მიტროპოლიტი ვლადიმერი (კანტარეელი), რომელიც არის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მუდმივი წევრი (მიტროპოლიტი ვლადიმერი, 2021) და რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ქვეშ

არსებული თვითმმართველი ორგანოსა და მოლდოვის იურისდიქციაში არსებული ბესარაბიის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტ პეტრეს ეპისტოლეები (მიტროპოლიტი პეტრე, 2021). ხოლო შემდეგი სამი არის უკრაინის სხვადასხვა მართლმადიდებელი ეკლესიების ხელმძღვანელების ეპისტოლეები, კერძოდ კიევის საპატრიარქოს ხელმძრვანელი უკრაინის პატრიარქ ფილარეტის სააღდგომო ეპისტოლე (პატრიარქი ფილარეტი, 2021), მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტ ონოფრეს ეპისტოლე (მიტროპოლიტი ონოფრე, 2021) და აგრეთვე მსოფლიო პატრიარქის მიერ ე.წ. „ტომოსის" (Tomos) საფუძველზე 2019 წელს აღიარებული უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტ ეპიფანეს ეპისტოლე (მიტროპოლიტი ეპიფანე, 2021).

ეპისტოლეების გასაანალიზებლად კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე რამდენიმე შეკითხვა იქნა ჩამოყალიბებული, იმისათვის, რომ კოდირება მიზნობრივი ყოფილიყო. კერძოდ, კოდირების დაწყებისას ჩამოყალიბდა ისეთი შეკითხვები, რის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა ამოკითხვა, თუ როგორ ხედავს ეკლესია თავის როლს პანდემიით გამოწვეული პრობლემების დასაძლევად, რის მიმართ ავრცელებს საზოგადოებაში სიამაყის განცდას, რა მიმართულებითაა კრიტიკული, ან ლოიალური. ამის გასარკვევად პირველ რიგში კოდირებისას ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, რაც დღესდღეობით ზემოთ დასახელებული მართლმადიდებელი ეკლესიებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, აგრეთვე კოდიდებისას აქცენტი გაკეთდა იმაზე იკვეთება, თუ არა ხედვები რაიმე საკითხში სახელმწიფო ინსტიტუტებთან ეკლესია; და ბოლოს, თუ რამდენად იცავენ მართლმადიდებელი ეკლესიები სეკულარიზმის პრინციპებს თავიანთ ეპისტოლეებში.

ეპისტოლეების ანალიზისთვის რამდენიმე ეტაპის გავლა მოხდა, კერძოდ ნედლი კოდირება ე.წ. Vivo კოდირების და ფერადი კოდირების ტექნიკა პროგრამა „MAXQDA"-ს გამოყენებით (კოდირებული მონაცემები), შემდეგ გამოკვეთილი კოდების თემატური კატეგორიზაცია მატრიცას გამოყენებით ანალიზზე დაყრდნობით მოხდა ინტერპრეტაცია და შესაბამისად მიენიჭა ახალი კოდები და ისინი განაწილდა

ნეგატიურ, პოზიტიურ და ნეიტრალურ ფერებად საჭიროებისამებრ. ხოლო შემდეგ ეტაპზე ზემოთ ჩამოთვლილი შეკითხვების გათვალისწინებით მოხერხდა მონაცემების ლოკალური ინტეგრაცია ზემოთ ნახსენები შეკითხვების გათვალისწინებით (წულაძე, 2019). ისევე როგორც ეს ინტერვიუებიდან მიღებული მონაცემების დამუშავების შემთხევვაში ხდება, ეპისტოლეების თემატური ანალიზის დროს მოხდა ეპისტოლეებში გამოთქმული მოსაზრებების შეჯამება და შეჯერება, დომინანტური ხედვების გამოყოფა და ამ გზით კვლევისთვის მნიშვნელლოვანი არგუმენტაციის ძირითადი ხაზის გამოკვეთა. გამომდინარე იქიდან, რომ ეს გახლდათ საპილოტე ანალიზი და ეპისტოლეების რაოდენობა დიდი არაა, ამიტომ სიხშირეების გამოკვეთას განსაკუთრებული დატვირთვა არ ქონდა და შესაბამისად მონაცემების უფრო თვისებრივად დამუშავება იყო საინტერესო. სწორედ მონაცემების რაოდენობიდან გამომდინარე შესაძლებელი გახდა კოდირების შემდეგ მატრიცის აგება და კოდების უფრო მეტად დახვეწა. უნდა აღინიშნოს, რომ ილია მეორეს ეპისტოლეს გარდა, რომელიც ქართულ ენაზე იყო დაწერილი, ყველა სხვა ინგლისური ენიდან დამუშავდა. შესაბამისად, პირველადი ნედლი კოდირება სწორედ ინგლისურ ენაზევე მოხდა და შემდეგ მოხერხდა მისი ადაპტაცია. ეპისტოლეების კოდირებიდან მიღებული მონაცემების დამუშავების ბოლო ეტაპზე გამოყენებული იყო ე. წ. ინკლუზიური ინტეგრაციის მეთოდი (Roberts, 2007). ამის საფუძველზე ერთად შეიკრა ცალკეული კატეგორიების სექციების შეჯამებები, მთავარი საკვანძო მონაცემები ინტეგრირდა ერთ ანალიზში. შესაბამისად, ის მატრიცა, რომელიც კოდირებისთვის და მონაცემების ანალიზისთვის იქნა გამოყენებული სამ ნაწილად დაიყო (დანართი 4). გამომდინარე იქიდან, რომ ინტერვიუებისგან განსხვავებით, ეპისტოლეები საჯაროა, მონაცემები რომლებიც დამუშავდა არის ღია და საჯაროდ ხელმისაწვდომი. ანალიზის დროს, იმის მისათითებლად, თუ რომელი საპატრიარქოსთვისაა ესა, თუ ის გარემოება, შეხედულება და მიდგომა დამახასიათებელი, ქვემოთ ანალიზის ნაწილში მითითებულია პატრიარქების სახელები წყაროებად. ხოლო იმის მისახვედრად, თუ რომელ თემატურ კატეგირიასაა მიკუთვნებული ესა, თუ ის კოდირებული მონაცემი, ქვემოთ ანალიზის ნაწილში ფრჩხილებში არის კატეგორიების მინიშნება შემდეგი სახით კატ. 1, კატ. 2 და

ასე შემდეგ. ჯამში მატრიცაში გამოკვეთილია სულ 14 თემატური კატეგორია (იხილეთ დანართი 3).

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული კვლევისთვის შედარებითი ანალიზის გაკეთებაა აუცილებელი პირობა, ეპისტოლეების თემატური ანალიზის დროსაც ყურადღება გამახვილდა სხვადასხვა ეპისტოლეებში გაჟღერებულ საკითხებს შორის მსგავსებებზე. ეპისტოლეების ანალიზის დაწყებისას უფრო მეტი მოლოდინი იყო იმისა, რომ სახელმწიფო-ეკლესიას შორის ინტერაქციის ჭრილში უფრო მეტი და საინტერესო მონაცემების ამოღება იქნებოდა შესაძლებელი თუმცა იმის ფონზე, რომ ეს მხოლოდ საპილოტე ანალიზი იყო და მხოლოდ ბოლო ეპისტოლეები გაანალიზდა კოვიდ-პანდემიის ჭრილში, შედეგები მაინც იძლევა მსჯელობის საშუალებას.

მონაცემების ანალიზის საფუძველზე პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი, რაც პირდაპირ არ წერია არც ერთ ეპისტოლეში, თუმცა მისი ქვეშინაარსის ამოკითხვა და დასკვნების გაკეთება შეიძლება, არის ის, რომ ექვსი მართლმადიდებელი ეკლესიიდან, არც ერთი არ საუბრობს ეკლესიის სოციალურ როლზე. ძირითადი რაშიც ისინი თავიანთ როლს ხედავენ სულიერი განვითარებაა და პანდემიის დროს ლოცვაა. იმ ფონზე, როდესაც სამივე ქვეყანაში არსებული ეკლესია-სახელმწიფოს შორის ურთიერთობის განმსაზღვრელი კანონების, შეთანხმებების მიხედვით ეკლესიას გააჩნია გარკვეული სოციალური ფუნქცია. ყველა გაანალიზებული ეპოსტოლედან, მხოლოდ ერთშია საუბარი სოლიდარობის მნიშვნელობაზე, პანდემიით გამოწვეული პრობლემის დასაძლევად მედიკოსების რეკომენდაციების გათვალისწინების გზით ეკლესიის მხრიდან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესების პროცესში გარკვეული პასუხისმგებლობის აღებაზე (ვლადიმირი კატ. 10). კერძოდ, მიტროპოლიტ ვლადიმირის სააღდგომო ეპისტოლეში ძირითადად პოზიტიური აქცენტებია დასმული. რამდენჯერმეა განმეორებული განახლებისკენ სწრაფვის მნიშვნელობის საკითხი, ასევე ურთიერთსოლიდარობისა და პანდემიის დროს ექიმების მიმართ სოლიდარობისა და მადლიერების აუცილებლობა. თუმცა არ არის დაკონკრეტებული ეკლესიამ რა შეიძლება გააკეთოს. ეკლესიის სოციალური როლი, არის ერთადერთი რამ რაზეც

სეკულარული პრინციპების დაცვის ჭრილში საკითხების განხილვისას, ეკლესიისადმი საზოგადოების კრიტიკულად განწყობილი და ასევე მისდამი ლოიალური ადამიანებისთვის ერთნაირად თანხმდებიან რომ, თუ ეკლესია პანმდემიის დროს სოციალური ფუქნცია ექნება ეს ცალსახად დადებითად იქნება შეფასებული (ტრანსკრიპტები საქართველოში ადრე ჩატარებული ინტერვიუებიდან - იხილეთ დანართი 1). ასეთი სოციალური ფუქნცია შეიძლება იყოს უბრალოდ მოსახლეობის ინფორმირებაში წვლილის შეტანა, მათი ასაცრელად დარეგისტრირებაში დახმარება, უმწეოთა დახმარება და სხვა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიაბი არ გამოირჩევიან კორონავირუსის შემაჩერებელ კამპანიებში აქტიული ჩართულობით, ვაქცინაციის პროცესის ხელშეწყობოთ (კანდელაკი, 2020).

ეპისტოლეების ანალიზის შედეგად, საკითხები სადაც ეკლესია საერო თემებში შედარებით იჭრება ძირითადად არის პატრიოტიზმთან და ეროვნულ სიამაყესთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ უკრაინის შემთხვევაში მადლიერება და სიამაყე რუსული აგრესიისგან დამცველი მებრძოლებისადმი (ეპიფანე, კატ.4).  გარდა ამისა, უკრაინაში, პატრიარქ ეპიფანეს შემთხვევაში, პატრიოტიზმის თემა პირდაპირ არის გადაჯაჭვული რუსული ოკუპაციის მოწინააღმდეგეთა დიდებასთან. ის ერთადერთია უკრაინაში და ყველა დანარჩენი განხილული ქვეყების საპატრიარქოებშიც, რომელიც რუსულ აგრესიაზე ღიად საუბრობს და მათ მტრად მოიხსენიებს (კატ.12). ეს არის განსაკუთრებული შემთხვევა იმის გათვალისწინებით, რომ მართლმადიდებელი ეკლესიები რუსეთზე საუბრისას ძირითადად ერთმორწმუნეობის საკითხზე ამახვილებდნენ ხოლმე ყურადღებას.

განსხვავებული პატრიოტული მოტივები იკვეთება საქართველოს პატრიქრქის ეპისტოლეში. მილოცვის დაწყებისას აფხაზებზე და ოსებზეა განსაკუთრებული აქცენტი დასმული, რაც გამომდინარეობს დაკარგული ტერიტორიებისა და ხალხთა შორის ურთიერთობის გაწყვეტის გამო გულისწყვეტიდან, თუმცა მიზეზზე არაფერია ნახსენები. კიევის დაქვემდებარებაში მყოფი უკრაინული მართლმადიდებელი

ეკლესიისგან განსხვავებით, საქართველოს საპატრიარქო ერიდება რუსეთის ოკუპანტად და აგრესორად მოხსენიებას (კატ. 4).

კიდევ ერთი საინტერესო თემა, სადაც ეკლესია-სახელმწიფოს თემები გადაიკვეთა ემიგრაციის საკითხია. უკრაინის პატრიარქის ეპიფანე ემიგრანტებს როგორც ერის მკვიდრებს კი არა, არამედ როგორც დედა ეკლესიის მკვიდრებს, ქრისტიანებს ისე მოიხსენიებს (კატ.11). აქ იკვეთება იდენტობის თემა, რასაც რელიგიურ ნაციონალიზმამდე მივყავართ.  მიტროპოლიტ ვლადიმირის ეპისტოლეში ასევეა ყურადღება გამახვილებული ემიგრანტებზე და მათთვის არა მხოლოდ ჯანმრთელობის სურვებაზე, არამედ იმაზეც რომ მათ საზღვარგარეთ სრულყოფილებას მიაღწიონ. ეს შესაძლოა სოციალურ ჭრილშიც განვიხილოთ გამომდინარე იქიდან, რომ ბევრი საზღვარგარეთ წასული ემიგრანტი ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მისაღწევად მიდის, რისი მნიშვნელობაც მიტროპოლიტის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. გამომდინარე იქიდან, რომ ეკლესიას სეკულარულ სახელმწიფოებშიც განსაკუთრებული სოციალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ, შეიძლება ითქვას რომ ამგვარი მესიჯები მრევლისთვის გამამხნევებელია (კატ. 11).

ასევე საგულისხმოა მიტროპოლიტი ეპიფანესა და პატრიქრქ ფილარეტის ხელმძრვანელობაში მყოფი ეკლესიების დამოკიდებულება ხელისუფლების ლიდერებისადმი. ეპისტოლეში ორივე მადლიერებას გამოხატავს ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი, ეპისტოლეში ერთ-ერთი მათგანი ქვეყნის პოლიტიკური ლიდერების სახელებსაც ახსენებს აღდგომის მილოცვისას. რაზე შეიძლება ეს მიუთითებდეს? ახალი არაფერია იმაში, რომ იმ სახელმწიფოებში სადაც მართლმადიდებელი მრევლი უმრავლესობაშია ხელისუფლებები ცდილობენ ეკლესიის გავლით ელექტირატის კეთილგანწყობის მოპოვებას, შესაბამისად ხელისუფლებების ღიად შექება და მათი წინასაარჩევნოდ ლობირება, ზოგიერთ საპატრიარქოს შინაგანა წესით აკრძალულიც კი აქვს (საქართველო). თუმცა ამ წესების დაცვა ხშირად არ ხდება.

საქართველოს პატრიარქის ეპისტოლეშია ყველაზე მეტად საერო თემები წამოჭრილი. ილია მეორე ერთადერთია ვინც ქვეყნის ეკონომიკურ სიდუხჭირეზე საუბრობს და ირიბად ამით ხელისუფლებებს აკრიტიკებს, ამ პრობლემის დაუძლევლობაში. ტექნოლოგიებზე აქვს ასევე კრიტიკული მოსაზრება, იმ კუთხით, რომ მისი შემქმნელები მას ვეღარ აკონტროლებენ და სულიერი მხარე ნელ-ნელა უკანა პლანზე იწევს. თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ ტექნოლოგიური განვითარება სრულად მიუღებელიც არ არის (კატ. 1). მიტროპოლიტ პეტრეს ეპისტოლე შედარებით უფრო სკეპტიკური და შესაძლოა ითქვას გარკვეული შიშებისგან ხსნისკენ მოწოდებადაც იქნეს აღქმული. მის ეპისტოლეში რამდენჯერმეა ნახსენები პანდემიის გამო შიში ცხოვრევა, ერთმანეთისგან განცალკევებისკენ ბიძგი, თითქოსდა ეს ერთგვარი პროტესტია საერო ხელისუფლების მიმართ კოვიდ პანდემიის დროს დაწესებული შეზღუდვების გამო რაც ირიბადაა ეპისტოლეში გადმოცემული (კატ.14).

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ყველა ეპისტოლეშია აღნიშნული არის ის, რომ ამ პანდემიური განსაცდელის ჟამს გამოსავლად და ხსნად ღვთისკენ მიბრუნება ესახებათ. მათი გადმოსახედიდან, პანდემია ღმერთმა იმიტომ მოგვივლინა, რომ უფლის სიყვარული შეწყვიტა ხალხმა და პანდემიის ფონზე მოლოდინია ეკლესიის მხრიდან რომ ადამიანები ღმერთის დიდებას დაუბრუნდებიან.

ასევე აღსანიშნავია, რომ ეპისტოლეებში რამდენიმე რამაა დადებით კონტექსტში მოხსენიებული: პირველი ესაა სამედიცინო პერსონალის მუშაობა, მათი ღვაწლი, ზოგიერთ შემთხვევაში მთავრობები, თითქმის ყველგანაა საუბარი დაღუპულ გმირებზე და მათით სიამაყეზე, თუმცა საინტერსო ისაა, რომ ყველა თავისებულად აღიქვამს იმ მებრძოლების საგმირო საქმეებს. ზოგისთვის ეს რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაა, ზოგისთვის ღირსებისთვის ბრძოლა, ზოგი თავისუფლების მნიშვნელობაზე აკეთებს აქცენტს და ზოგით ერთობის აუცილებლობაზე და ამ ერთობაში გმირების შეტანილ წვლილზე.

მიუხედავად იმისა, რომ გაანალიზებული ეპისტოლეების შიაარსი ძირითადად სულიერებას ეძღვნება, ასევე ყურადსაღებია, რომ ეს სულიერების საკითხები სასულიერო პირების მხრიდან სხვადასხვა საერო საკითხებთან არის ავტომატურად გადაჯაჭვული. მთავარი რაც გამოიკვეთა არის პატრიოტიზმის ეკლესიების მხრიდან სხვადასხვაგვარად აღქმა, იდენტობის თავისებული აღქმა და ეკლესიის როლის და ეკლესიის სოციალურ ფუქნციაზე უმნიშვნელო აქცენტები.

# 6. მართლმადიდებელი ეკლესიების როლი ევროპეიზაციის პროცესში

მართლმადიდებელი ეკლესიების პოზიცია ევროპეიზაციის და ევროპული ინტეგრაციის საკითხისადმი აიხსნება სელექციური ევროპეიზაციის მოდელით, რომელშიც ეკლესიები სრულად არ უარყოფენ სახელმწიფოთა მიერ განცხადებულ ევროპეიზაციის კურსს, თუმცა აქტიურად ილაშქრებენ მისი სელექციურად დანერგვის მიღწევის მიზნით, რაც განპირობებულია რამდენიმე ისტორიული მიზეზით. პირველ რიგში, მართლმადიდებელ ეკლესიას ტრადიციულად ახასიათებს ე.წ. "*quietism*" (მდგომარეობა როდესაც ადამიანი თავის ნებას უარყოფს და სრულიად ღვთის ნებას მიუძღვნის თავს, სრულ პასიურობაში სრულყოფილების მისაღწევად), რომელიც ამლიერებს მასში არსებულ იზოლაციონისტურ ტენდენციებს და მას უფრო კარჩაკეტილს ხდის (Vlas and Gherghina, 2012, 341). ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციული სკეფტიციზმი "ეკუმენიზმის" (მისწრაფება ქრისტიანული ეკლესიების დიალოგისა და გაერთიანებისკენ; დაკავშირებულია XX საუკუნის ეკუმენურ მოძრაობასთან, სადაც საკვანძო როლს თამაშობდა მსოფლიო ეკლესიათა საბჭო (WCC)) მიმართაც იმ მიზეზით, რომ მართლმადიდებელი ეკლესია საკუთარ თავს განიხილავს ერთადერთ ჭეშმარიტ მიმდინარეობად. შესაბამისად, იგი ცდილობს შეინარჩუნოს პირველადი „სიწმინდე"(purity) და იგი დაიცვას ნაკლებად სუფთა ვერსიებთან აღრევისაგან.

> "მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, ეკუმენიზმი, ე.წ. "ევროპეიზაცია", ჰომოსექსუალობის შეწყნარება ორგანულად ურთიერ-შეკავშირებულია. ერთობლივად თუ ავიღებთ, ისინი განასახიერებს "პოსტ-მოდერნიზმის" საფრთხეს, და იმ ბრძოლის ველსაც კი სადაც "სისუფთავე"/"სიწმინდე" უნდა იქნას დაცული (Ramet, 2006, 167)

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ-სეკულარულ მოქმედების არეშიც, საკლესიო პარადიგმაში ვაწყდებით მსგავს ტენდენციას. ერთერთი რაციონალიზაცია, რაც

ევროპულ პოლიტიკურ ერთობაში სრულფასოვანი ასიმილაციისადმი სკეპტიციზმს წარმოშობს სწორედ ის არის, რომ ამით ეკლესიები სახელმწიფოებს აზღვევენ „სულიერი დაბინძურების“ რისკებისაგან, მსგავსად ეკუმენურ პრაქტიკაში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზებისა. მეორე რიგში, ევროპული კავშირის კონსტიტუცია ემყარება, შეიცავს და აქტიურად ეფუძნება პოლიტიკური ლიბერალიზმის შინაარსს, მაგრამ არსად არ ახსენებს „ღმერთს“რაც თავის მხრივ, ხშირი პოლემიკის საგანი გამხდარა. შესაბამისად, ევროპეიზაციასთან აფილირებულ პოლიტიკურ ლიბერალიზმს მართლმადიდებელი ეკლესიები სკეფსისით ეკიდებიან და ხშირად სრულიად ღიად უპირისპირდებიან. ამ თვალსაზრისით, საკვლევი რეგიონის მართლმადიდებელი ეკლესიების სულისკვეთებას კარგად ასახავს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია, რომელიც ევროპეიზაციის თვალსაზრისით კრიტიკულ მომენტში გაჟღერდა - 2002 წელს, როდესაც ევროკავშირმა შეკრიბა „ევროპის მომავლის ყრილობა,“ რომლის ამოცანა იყო ევროპის კონსტიტუტციის შემუშავება. როგორც კი კომისიამ მუშაობა დაიწყო, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია უმალ გააქტიურდა და გამოსცა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ ევროპული კავშირის „აღმოსავლეთით გაფართოება არ უნდა ნიშნავდეს დანარჩენ ევროპაზე დასავლური კულტურისა და ცხოვრების სტილის თავს მოხვევას“, არამედ უნდა ითვალისწინებდეს „ევროპული რეგიონების კულტურულ და სულიერ მრავალფეროვნებას“ (კირილი, ციტირებული: Ramet and Binns, 2006, 163). ამ თვალსაზრისით, გამორჩეულად საინტერესოა სმოლენსკისა და კალინინგრადის ეპისკოპოსის, კირილის კრიტიკული წერილი კონსტიტუციის სამუშაო ვერსიის პირველ გამოქვეყნებულ ჩანაწერებზე. რუსი ეპისკოპოსის წერილში ვალერი ჟისკარ დ'ეტენისადმი, რომელიც ყრილობის პრეზიდენტი იყო, ვკითხულობთ რომ იგი ხედავს „იმ იდეოლოგიის აბსოლუტური დიქტატურის საფრთხეს, რომელიც მართულია მხოლოდ ხალხის მიწიერი კეთილდღეობის ინტერესით და ამქვეყნიურ აქტივობებში მათი თავისუფალი თვით-რეალიზაციით, რაიმე სახის მორალური სისტემის გარეშე" (კირილი, ციტირებული: Ramet and Binns, 2006, 164). კირილი მალევე ადასტურებს, რომ მართალია ლიბერალიზმს *გააჩნია* მორალური ღირებულებები „რომელიც არ არის უცხო ქრისტიანული მორალისთვის“, მაგრამ იქვე დასძენს, რომ სრულიად აუცილებელია

მოხდეს ქრისტიანული ღირებულებების პირველობის აღიარება. როგორც საბრინა რამე სამართლიანად აღნიშნავს, მაშინაც კი როდესაც მართლმადიდებლური რიტორიკა არ ესხმის თავს ლიბერალიზმის კლასიკოსებს (როგორიცაა ლოკი, კანტი, მილი თუ როლსი), იგი თავს ესხმის „ლიბერალური პროექტის ცალკეულ ასპექტებს (ჰომოსექსუალობის შეწყნარება, რელიგიურ საკითხებში სახელმწიფოს ნეიტრალურობა)" (Ramet and Binns, 2006, 166).

ევროპეიზაციისა და კონკრეტულად ევროპული ინტეგრაციისადმი გამოვლენილ ამ კრიტიკაში რამდენიმე საინტერესო დაკვირვება იკითხება. პირველ რიგში, ეს არის აღიარება რომ ლიბერალიზმს *გააჩნია* ავტონომიური მორალური ფილოსოფია და იგი სავსებით არ არის დაცლილი ზნეობრივი და ნორმატიული შინაარსისგან. მეორეა აღიარება, რომ მართლმადიდებელ ეკლესიებს - რომლებიც ხშირად იაზრებენ პირველ დათქმას - ეს არ აკმაყოფილებს, არამედ აუცილებლად მიიჩნევენ ეკლესიის პრიმატის აღიარებას. მესამეა გააზრება, რომ ეკლესიისა და რელიგიის ისტორიული პრიმატის საკონსტიტუციო დონეზე აღიარება ჩანასახშივე სპობს ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევების პერსპექტივას.

განვიხილეთ რა მართლმადიდებელი ეკლესიების დამოკიდებულება ევროპული კონსტიტუციის პირველ სამუშაო ვერსიაზე, ახლა შეგვიძლია შევხედოთ ორ მოვლენას, რომელიც ანალიტიკური თვალსაზრისით ლაკმუსის როლს ასრულებს საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში ეკლესიებისა და სახელმწიფოების ურთიერთობების კრიტიკულად აღქმის თვალსაზრისით.

## 6.1. საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში მართლმადიდებელი ეკლესიების სახელმწიფოებთან ინტერაქცია ლიბერალურ კანონდებლობასთან მიმართებით

საკვლევი სამი სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე, ორ გამორჩეულად მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი, საიდანაც ერთი **რეგიონალური**, ხოლო მეორე **გლობალური** მასშტაბისაა. პირველია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადებისა და ვიზა-ლიბერალიზაციის რეჟიმის ჭრილში ანტი-დისკრიმინაციული კანონის მიღება, ხოლო მეორე - რუსეთ-უკრაინის ომის შუქზე სამი სახელმწიფოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუს მინიჭება.

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა წარმოადგენს ასოცირების ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს და ვიზალიბერალიზაციის ერთერთ აუცილებელ წინაპირობას. სამივე სახელმწიფოში ადგილი ჰქონდა მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის შეფასებას თავდასხმად ტრადიციულ რელიგიურ დოგმასა და მორწმუნეთა მგრძნობელობაზე. სამივე სახელმწიფოში, მართლმადიდებელმა ეკლესიებმა ღიად და პროაქტიულად გამოხატეს საკუთარი კრიტიკული პოზიცია, ხოლო მოლდოვასა და საქართველოში მხარი დაუჭირეს მასობრივ საპროტესტო აქციებსაც. მიუხედავად იმისა, რომ მათ არცერთგან არ გაუჩერებიათ კანონმდებლობის მიღება, მართლმადიდებელი ეკლესიები სამივეგან პროაქტიულად ჩაერთნენ კანონების მათთვის მისაღები ვერსიების მიღწევის მიზნით. სამივე სახელმწიფოს შემთხვევაში, მართლმადიდებელმა ეკლესიებმა საჯარო პოზიციონირებაში ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ევროპული კავშირის ნორმატიული ღირებულებების ნაწილი მათთვის *a priori* მიუღებელი იყო. ეს სრულ თანხვედრაშია სელექციური და ჰიბრიდული ევროპეიზაციის თეორიასთან, რომელიც, როგორც ზევით აღინიშნა, აღწერს ნაწილობრივ ევროპეიზაციას, რომელიც საერთო ნორმატიული დღის წესრიგის მხოლოდ ნაწილის შესისხლხორცებას უჭერს მხარს.

**საქართველოს** მართლმადიდებელი ეკლესია ანტი-დისკრიმინაციულ კანონს უმაღლეს შესაძლო დონეზე, თვით კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს პირით გამოეხმაურა. პატრიარქისა და საპატრიარქოს გამოხმაურებებში ორი მნიშვნელოვანი, პარალელური დისკურსული მომენტი შეინიშნება. პირადად პატრიარქის რეაქციაში საკვანძო გზავნილი „უკანონობის დაკანონება“ იყო: „როგორც შეიძლება უკანონობა დააკანონო? უკანონობის დაკანონება ეს დიდი ცოდვაა“ (Civil Georgia, 2014). შესაბამისად, პატრიარქმა აირჩია შეფასების ეთიკური განზომილება. კრიტიკული დისკურს ანალიზის პრიზმაში, საყურადღებოა პატრიარქის მიერ გიორგობის დღესასწაულის წირვის შემდეგ შერჩეული სიტყვათ-წყობა. ნაცვლად მყარი, ავტორიტეტული განცხადებისა, რასაც შეიძლება მოელოდე საქართველოს ყველაზე პოპულარული და მაღალ-ავტორიტეტული სასულიერო პირისგან, ილია მეორემ მაქსიმალურად მოზომილი, და შეიძლება ითქვას, აპოლოგეტური ტონალობა შეარჩია; რომელშიც თავის მართლებაც კი შეიძლება ამოვიკითხოთ, იმ საბაბით, რომ მას არ ჰქონდა რიტორიკული არჩევანი: „ამის შესახებ ვთქვი მე და მე რომ არ მეთქვა, ის იქნებოდა გასაკვირი და ის იქნებოდა საოცარი, რომ არ მეთქვა. მე ვალდებული ვარ, უნდა მეთქვა“ (Civil Georgia, 2014). მოცემული პასაჟი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საქართველოს პატრიარქი ამ ხაზებით თითქოს სხვა პირს უნდა ეპასუხებოდეს (შესაძლოა მთავრობის წარმომადგენელ პასუხისმებელ პირს). გარდა ეთიკური შეფასებისა, პატრიარქმა აგრეთვე ბრძანა, რომ „არცერთი მორწმუნე ადამიანი არ მიიღებს ამას, ასეთ კანონს“ (Civil Georgia, 2014), რაც შესაძლოა აღქმული ყოფილიყო, როგორც ირიბი მოწოდება ამ კანონის დაუმორჩილებლობისკენ. საყურადღებოა ზემოთხსენებული მეორე მომენტიც: საპატრიარქოს განცხადება, რომელშიც ადგილი აქვს ტრადიციულ ორგვარობას, რაც სოციოლოგიური *hedging*-ის საეკლესიო მაგალითია. საპატრიარქოს ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც წინ უსწრებდა პატრიარქის შეფასებას, ვხედავთ არა ანტი-ევროპულ, არამედ ევროპეიზაციის პერსპექტივიდან გაკეთებულ განცხადებას. პირველი რიტორიკული სვეტი - ევროპული მრავალფეროვნებაა. საპატრიარქო აცხადებს, რომ ევროპა მრავალფეროვანი სივრცეა, ხოლო საქართველოს აქვს მიღებული დაპირება, რომ ევროპეიზაციის პროცესში სათანადო ყურადღება იქნება მიქცეული ქართული

ტრადიციების პატივისცემაზე. მეორე რიტორიკული სვეტი - ევროპეიზაციის პროცესის წარმატებაა. საპატრიარქო მიიჩნევს რომ ეკლესიაც და აგრეთვე უფრო ფართო საზოგადოებაც უნდა იყოს ჩართული კანონპროექტების განხილვის პროცესში, რათა „ნაჩქარევმა ქმედებამ უარყოფითად არ იმოქმედოს ევროპისაკენ ჩვენი ქვეყნის სწრაფვაზე“ (Civil Georgia, 2014).

ეკლესიის კრიტიკის მიუხედავად, ანტი-დისკრიმინაციული კანონი რამდენიმე დღეში იქნა მიღებული. ამ შემთხვევაში, ევროპეიზაციის დადებითმა ნებამ, ისევე როგორც ვიზალიბერალიზაციის მიღების დადებითმა საგარეო იმპულსმა გაჭრა და მთავრობას უბიძგა, მიეღო ავტონომიური გადაწყვეტილება. ეს ადასტურებს სელექციური ევროპიზაციის მოდელს, კერძოდ კი იმ გააზრებას, რომ გარე აქტორებს შეუძლიათ გავლენის მოხდენა დადებითი ინცენტივით. ამ პერიოდში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის პასუხი ემყარებოდა შემწყნარებლობის ტრადიციის ძველთაძველ ხაზს: ”ანტიდისკრიმინაციული კანონის პროექტი, პირველ რიგში, ასახავს ქართველი ხალხის შემწყნარებლობის ტრადიციას ... განსხვავებული რელიგიის, ეთნიკური კუთვნილებისა და განსხვავებული ცხოვრების წესის ადამიანები საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ მშვიდობიანად” (Civil Georgia, 2016), განაცხადა პრემიერმა და ამავე დროს კონსერვატორთა გულის მოსაგებად პარალელურად დაანონსა საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც საკონსტიტუციო დონეზე განმარტავდა ოჯახის შექმნის მსურველთა სქესს (Civil Georgia, 2016). საგულისხმოა, რომ შვიდი წლის შემდეგ, მეორე ვადით დაბრუნებულმა იგივე პრემიერ მინისტრმა, 2021 წლის 5 ივლისს, რადიკალურად განსხვავებული პოზიცია დაიჭირა, როდესაც მისი მთავრობის პირობებში ძალადობრივი ულტრა-მემარჯვენე ჯგუფები თავს დაესხნენ ჟურნალისტებს, რომლებიც ცენტრალურ თბილისში Pride-ის ღონისძიებების გასაშუქებლად იყვნენ შეკრებილი. ხელისუფლების მხრიდან ადგილი არ ჰქონია ადეკვატურ და დროულ რეაგირებას, რამაც ხელი შეუწყო რიგი სასულიერო პირების ჩართულობით მოძრავ ძალადობრივ ჯგუფებს (Kandelaki, 2021). როგორც ჩემს პუბლიკაციაში 5 ივლისის შემთხვევის ანალიზის კვლევის შედეგად

გამოვლინდა, „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ირიბად ასევე პირდაპირ, მხარს უჭერს ანტი-ლიბერალურ ხედვებსა და ქმედებებს, უარს ამბობს რა ძალადობრივი და ულტრა-მემარჯვენე ჯგუფებზე, ისევე როგორც სიძულვილის ენის, ძალადობისკენ მოწოდებისა და რელიგიური აქტორების მიერ ფიზიკურ თავდასხმების შესახებ ადეკვატურ რეაგირებაზე" (Kandelaki, 2021, 11).

**მოლდოვის** შემთხვევაში რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფი მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესია (MOC) პროაქტიულად შეეწინააღმდეგა ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობას. ეკლესიის მაღალიერარქებმა კანონი შეაფასეს, როგორც „გარყვნილების ლეგალიზება" და საზოგადოებას მასობრივი დემონსტრაციებისკენ მოუწოდეს. მეტიც, ეპისკოპოსი პეტრუ ექსკომუნიკაციით დაემუქრა ყველა პოლიტიკოსს, ვინც კი მოლდოვის პარლამენტში კანონის სასარგებლოდ მისცემდა ხმას (IWPR, 2021). აღსანიშნავია, თუ რა კრიტიკულ-დისკურსული ჩარჩო (Framing) გამონახა მოლდოვის ეკლესიამ ევროპული კანონმდებლობის კრიტიკისას, როდესაც მოითხოვა კანონპროექტის გაწვევა და მათი თქმით „ჰომოსექსუალური, ლესბოსური, ტრანსექსუალური, ბისექსუალური, პედოფილური, ზოოფილური,, ინცესტური და გარყვნილი ქცევის" უზნეო პროპაგანდის აკრძალვა (Radio Free Europe, 2013). გამორჩეულად აღსანიშნავია, რომ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, საკუთრივ რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ აგრეთვე გადაწყვიტა ჩარეულიყო და მოლდოვის ხელისუფლებისთვის მოეწოდებინა კანონის უკან გაწვევის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ერთადერთი შემთხვევა სამი სახელმწიფოს შემთხვევაში, როდესაც რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ არა საკუთარი ადგილობრივი ქსელის, არამედ რუსეთის წმინდა სინოდის პირით დააფიქსირა საკუთარი ნეგატიური დამოკიდებულება ანტიდისკრიმინაციული კანონის მიმართ და მოუწოდა მესამე სახელმწიფოს ეროვნულ მთავრობას „შეეზღუდა სექსუალური პერვერსიებისა და ამორალური ქცევის გარეკლამების მცდელობები" (ILGA, 2013). აღსანიშნავია, რომ ეს წარმოადგენს გეოპოლიტიკური მართლმადიდებლობის სრულიად კლასიკურ ნიმუშს,

როდესაც რუსეთის ეკლესია სრულიად ღიად ჩაერთო მესამე სახელმწიფოს შიდა-პოლიტიკურ საქმეში, რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების დაცვის მიზნით.

მოლდოვას შემთხვევაში, პოლიტიკური თვალსაზრისით, ანტი-დისკრიმინაციული კანონი დამყოფი თემა გამოდგა. საქართველოსგან განსხვავებით, მოლდოვას პრემიერმა ღიად გააკრიტიკა ეკლესია იმ მოტივით, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგობა ქრისტიანულ ღირებულებებს ღალატობდა, ხოლო პრო-დასავლურმა მმართველმა კოალიციამ კანონი მიიღო, როგორც საკვანძო ზომა ევროპეიზაციის პროცესში. პრემიერის განცხადებით, კანონის ოპონენტებს „აკლიათ შემწყნარებლობა ... მთავარი მახასიათებელია სულმოკლეობა, რაც ასე უცხოა იმ ყველაფრისგან, რასაც მღვდლები ეკლესიაში ქადაგებენ“. კრიტიკოსთა ბანაკში აღმოჩნდა კონსერვატიული ძალები, ისევე როგორც ერთ დროს გავლენიანი კომუნისტური პარტია, თუმცა მათ წინააღმდეგობას საგრძნობი პოლიტიკური გავლენა არ მოუხდენია.

არანაკლებ მწვავე რეაქციები მოჰყვა სტამბოლის კონვენციას, რომელმაც მოლდოვაში მწვავე პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ინსტიტუციური პოლარიზაცია გამოიწვია, რომელშიც ეკლესიისა და პოლიტიკური კლასის გარდა, აგრეთვე ერია საკონსტიტუციო სასამართლო. მმართველმა პრო-ევროპულმა კოალიციამ მხარი დაუჭირა კონვენციას, თუმცა კომუნისტებმა, სოციალისტებმა და კონსერვატიულმა ჯგუფებმა განაცხადეს, რომ კონვენცია უარყოფდა ტრადიციული საზოგადოების სტრუქტურას და ხელს შეუწყობდა არატრადიციული ფორმის ოჯახის ცნების დანერგვას. 2022 წელს, საკონსტიტუციო სასამართლომ კონვენცია ცნო ეროვნულ კონსტიტუციასთან შესაბამისად. მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალიერარქებმა განსაკუთრებულად გაილაშქრებს კონვენციის წინააღმდეგ, რომელიც გენდერს სოციალურად კონსტრუირებულ ცნებად აცხადებს. ეპისკოპოსმა მარჩელმა საკუთარი ეპარქიის მასშტაბით ექსკომუნიკაცია გადასცა ყველა პოლიტიკოსს, ვინც მხარი დაუჭირა სტამბოლის კონვენციას (IWPR, 2021). ამ ღრმად პოლარიზებულ შემთხვევაშიც, მოლდოვის ეკლესიამ და პრო-ევროპულმა მთავრობამ რადიკალურად საპირისპირო

პოზიციები დაიკავეს. თვალსაჩინოა მკაფიო კონტრასტი საქართველოს შემთხვევასთან, სადაც სტამბოლის კონვენციის რატიფიკაციამ სრულიად უჩუმრად ჩაიარა.

ერთერთი ფუნდამენტური კრიტიკა, რომელიც რეგიონის მართლმადიდებელ ეკლესიებს ჰქონდათ იყო, რომ ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობა ზღუდავდა მათ რელიგიურ თავისუფლებას, ვინაიდან ისინი ვეღარ შეძლებდნენ ერთნაირსქესიანთა ქორწინების და საზოგადოდ ჰომოსექსუალური ურთიერთობის, როგორც ცოდვისა და უზნეობის, კრიტიკას. სრულიად უკრაინის ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების საბჭოს ქვემოთ მოცემული განცხადება სახასიათო მაგალითია იმ სულისკვეთებისა, რაც სამი სახელმწიფოს მართლმადიდებელ ეკლესიებს გააჩნდა რელიგიის თავისუფლების კონტექსტში:

> „საჯარო დებატის მონაწილეები, მათ შორის რელიგიური აქტორები, ვინც გააკრიტიკებენ ერთი და იგივე სქესის წარმომადგენელთა ურთიერთობებსა და პარტნიორობებს, როგორც ამორალურსა და ცოდვილს და ამგვარი არაბუნებრივი, გარყვნილი ცხოვრების წესის გარეკლამების შეზღუდვისკენ მოუწოდებენ, ან ასეთი ადამიანების გაძლიერებას შეეწინააღმდეგებიან (მათ შორის შვილებასა და ქორწინებას), მათ დაემუქრებათ შევიწროება და ჯარიმები მხოლოდ მათი სიტყვებისა და ბუნებრივი საქორწინო ურთიერთობების მხარდასაჭერად საჯაროდ გამოხატული პოზიციის გამო“ (UCCRO, 2021).

თუმცა, **უკრაინის შემთხვევაში,** ამაზე უფრო მძლავრი გამოხმაურება მოჰყვა სტამბოლის კონვენციის მიღებას. კვლევის წარმოებისას, ამ ამბავზე გამორჩეულად გამახვილდა ყურადღება რესპონდენტის მხრიდან. კერძოდ, მან ეს თემა მაგალითად მოიყვანა ეკლესიის მნიშვნელობის ხაზგასასმელად, როდესაც 2021 წელს AUCCRO-მ მართლმადიდებელი და ასევე სხვა რელიგიური დენომინაციების ჩართულობით განცხადება გააკეთა სტანბოლის კონვენციის მიღების წინააღმდეგ ( Kravchuk, პირადი კომუნიკაცია, 2025). ეს კონვენცია ეხება ქალების წინააღმდეგ ძალადობის და ასევე ოჯახური ძალადობის აღკვეთას და პრევენციას (Council of Europe, 2011). AUCCRO-ის

განცხადებაში იყო მტკიცება რომ ამ კონვენციაზე ხელის მოწერით არატრადიციული ტიპის ოჯახების შექმნას და არაბინარული გენდერული იდენტობების და ბიოლოგიური სქესის ძირის გამოთხრას შეეწყობოდა ხელი (Union of Orthodox Journalists, 2022). კერძოდ ყველაზე დიდი აქცენტი AUCCRO-მ კონვენციის საწინააღმდეგო განცხადებაში გააკეთა მე-14-ე მუხლზე (Union of Orthodox Journalists, 2021). აღნიშნული მუხლის მიხედვით: "სახელმწიფოებმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეიტანონ სასწავლო მასალაში შემდეგი საკითხები: ქალებისა და მამაკაცების თანასწორობა, არასტერეოტიპული გენდერული როლები, პატივისცემა, კონფლიქტების არაძალადობრივი გზით გადაჭრა, ქალებზე გენდერული ძალადობა და პიროვნული მთლიანობის უფლება – ყველა ტიპის საგანმანათლებლო ფორმებში და ყველა დონეზე" (Council of Europe, 2011) - რის საფუძველზეც AUCCRO ამტკიცებდა რომ მისი მიღება სკოლებში გენდერული იდეოლოგიის გავრცელებას შეუწყობდა ხელს (RISU, 2021). აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტმა ზელენსკიმ 2021 წლის დეკემბერში ამ საკითხზე შეხვედრა AUCCRO-სთან გამართა და ამ შეხვერას მათ შორის მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარი ონუფრიც ესწრებოდა, რომელმაც მას მოუწოდა რომ არ მომხდარიყო სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება, რადგან მისი თქმით ის იდეოლოგიურ ნაღმებს შეიცავდა, რაც ძირს გამოუთხრიდა უკრაინულ საზოგადოებას (RISU, 2021). პრეზიდენმა შეხვედრაზე თქვა რომ ეკლესიებთან დიალოგის გარეშე ასეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებს ხელს არ მოაწერდა, თუმცა იქვე დასძინა რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევები რაღაცნაირად აუცილებლად უნდა დარეგულირებულიყო (RISU, 2021). ამის მიუედავად, საბოლოო ჯამში ზელენსკიმ კანონს ხელი 2022 წელს, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ მოაწერა იმ არგუმენტით რომ ადამიანის უფლებები, მათი სიცოცხლე და ჯანმრთელობა უმაღლესი ღირებულებაა, კერძოდ მან სოციალურ ქსელში გაავრცელა შემდეგი შინაარსის პოსტი: „ხელმოწერილია! სტამბოლის კონვენციის რატიფიკაციის შესახებ კანონი. მისი ძირითადი შინაარსი მარტივია, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია. ეს არის ვალდებულება, დავიცვათ ქალები ძალადობისა და დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმისგან. ჩვენ ვიზიარებთ ევროპულ ღირებულებებს. ჩვენთვის ადამიანის სიცოცხლე

და ჯანმრთელობა უმაღლესი ღირებულებაა“ (Ukrinform, 2022). ეს იყო ერთ-ერთი ნათელი მაგალითი იმისა, რომ ადამიანის უფლებების და რელიგიური ღირებულებით ჭიდილში, სახელმწიფოსთვის არგუმენტები უფლებრივმა და საგერეო პოლიტიკური ვექტორის განვითარების პერსპექტივამ გადაწონა.

### 6.1.1. საქართველოს ევროსკეპტიკური მართლმადიდებლობა

საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში მართლმადიდებელი ეკლესიის როლზე საუბრისას, ცალსახად არ იკვეთება რესპონდენტების პასუხებიდან რომ მას მარტოდ აღებულს, სახელმწიფოსთან ინტერაქციის გარეშე, რაიმე როლი შეიძლება ქონდეს ამ მიმართულებით. თუმცა, მათი პასუხებიდან ჩანს ეკლესიის ირიბი გავლენების არსებობა, განსაკუთრებით კი დისკურსულ დონეზე.  ინტერვიუს პოლიტიკოსმა რესპოდენტმა ეკლესიის როლზე საუბრის დაწყებამდე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროკავშირი ქრისტიანულ ფასეულებობზე, ეთიკურ ღირებულებებზე დაფუძნებული გაერთიანებაა ( ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). მისი თქმით, ერთადერთი პრობლემა რაც დღეს საქართველოს საზოგადოებაშია რუსული ნარატივები და პროპაგანდაა, რომლის მიმართაც ხალხი ძალიან მოწყვლადია. ხოლო ის პროპაგანტისტული ხაზები რაც ზოგიერთმა პოლიტიკოსმა, მედიამ და ეკლესიის წარმომადგენელმა საჯაროდ გამოიყენა ძალიან შეიჭრა რელიგიურ საზოგადოებაში და მისი თქმით, სერიოზული პრობლემები გამოიწვია (ფიქრია ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). რუსულ გავლენაზე საუბრობს ერთ-ერთი სასულიერო პირიც, როგორც ევროინტეგრაციის მთავარ დაბრკოლებაზე და აღნიშნავს რომ ის ვინც ევროინტეგრაციის წინააღმდეგია რუსეთის გავლენის ქვეშაა (არქიმანდრიტი დოროთე ყურაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2024). მან ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში სასულიერო პირები სხვადასხვა აზრზე არიან და შეხედულებები არ არის ერთგვაროვანი. მეორე სასულიერო პირმა კი აღნიშნა, რომ ეკლესიას ევროინტეგრაციის პროცესში არანაირი როლი არ უთამაშია და რომ ეკლესია არ არის დამოუკიდებელი, არამედ ინსტრუმენტი სახელმწიფოსთვის

(რესპონდენტი 2, პირადი კომუნიკაცია, 2025). მეტიც, ერთ-ერთმა რესპონდენტმა მაგალითად მოიყვანა კონკრეტული შემთხვევა, როდესაც საქართველოს პატრიარქი შეხვდა ევროკავშირის წარმომადგენლებს, ამასთან დაკავშირებით გამოთქვა საჯარო კომპლიმენტი და მისი მტკიცებით ამის გამო “ზარი იყო საპატრიარქოში რუსეთიდან” (რესპონდენტი 1, პირადი კომუნიკაცია, 2025). სასულიერო პირებიდან, 2017 წელს ჩატარებული ინტერვიუს დროს ერთ-ერთმა თქვა “ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით თუ რამე პრობლემა იყო ეს იყო ჩვენი სახელმწიფოს ბრალი” (რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2017). მისი დაზუსტებით, ის გულისხმობდა სააკაშვილის ხელისუფლებას და არა ქართულ ოცნებას. მისი თქმით წინა ხელისუფლების დროს ძალიან გამრავლდნენ ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები რომლებიც ქართულ კულტურას და ტრადიციებს აყენებდნენ შეურაცხყოფას და დასავლურ ღირებულებებს უარყოფითად წარმოაჩენდნენ, კერძოდ როგორც ჰომოსექსუალობის აპოლოგეად, თუმცა სასულიერი პირი თავად ასე ნეგატიურად არ იყო დასავლეთისადმი განწყობილი. კიდევ ერთმა სასულიერო პირმა ევროინტეგრაციაზე საუბრისას თქვა რომ საქართველოს პატრიარქმა არაერთხელ განაცხადა რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვექტორი ევროინტეგრაცია იყო (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2017). აღნიშნული სასულიერო პირი ამბობდა რომ მიესალმებოდა “ადამიანების თავისუფლებისკენ და თვითგამორკვევისკენ გადადგმულ ნაბიჯებს” (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2017). თუმცა მეორე მხრივ მან აღნიშნა რომ ეს თავისუფლება ბევრისგან ყველაფრის დაშვებულობად მიიჩნეოდა, რაც ზნეობრივ კატეგორიას ეწინააღმდეგებოდა და იმ ფუნდამენტურ ღირებულებებს რასაც ეკლესია არასდროს დათმობდა. კერძოდ მან თქვა: “ეკლესიის სწავლებით ცოდვილ ცხოვრებას ის ვერასდროს ვერ მისცემს მწვანე შუქს” (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2017).

თეოლოგი რესპონდენტი თავის მხრივ ინტერვიუსას შეეცადა აეხსნა რომ ზოგჯერ ეკლესიაშიც დაბნეულობაა, ხანდახან თვითონ ეკლესიაშიც არ ესმით კარგად ევროპული ღირებულებები და ამიტომ გარკვეულ საკითხებს ეჭვის თვალით უყურებენ, თუმცა ეს არ ნიშნავს მისი თქმით რომ ეკლესიამ რამე როლი ითამაშა საქართველოს

ევროპეიზაციის კუთხით (აბაშიძე, პირადი კომუნიკაცია, 2025). თუმცა მან ახსენა რომ როცა საქმე კულტურულ მემკვიდრეობას ეხება, ეკლესია თანამშრომლობს ევროპასთან. ასევე გამოკითხული პოლიტიკოსიც ამბობს ინტერვიუში რომ ეკლესიის როლზე საუბარი ევროინტეგრაციის ჭრილში, რომ თითქოს ის ამ კუთხით რამეს წყვეტს ცოტა გადაჭარბებულია (ჩიხრაძე, პირადი კომუნიკაცია, 2025).

მეორე თეოლოგის და დარგის მკვლევრის მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო კომპლექსური აღმოჩნდა, მან მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ევროინტეგრაციის პროცესში ნეგატიურად შეაფასა და ასევე აღნიშნა რომ "ქართულმა ოცნებამ" "ამოაყირავა ქართული ისტორიის ნარატივი" (მინდიაშილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). კერძოდ, განმარტა რომ ნაციონალიზმი ნიშნავს საკუთარი თავის სუვერენულად დაფუძნებას, ასე ვთქვათ სუვერენულ, დამოუკიდებელ მართვას. ამავდროულად, მან აღნიშნა რომ იმპერიაში საქართველოს შემთხვევაში რუსეთი მოიაზრება. შესაბამისად, მისი თქმით, როდესაც ამბობ რომ მიდიხარ დასავლეთისკენ, ეს ნიშნავს იმას რომ მიდიხარ იმპერიიდან. კერძოდ, ის ხსნის რომ საქართველოს ნაციონალიზმი ყოველთვის იყო პროდასავლური და ანტირუსული. მაგრამ, იქვე მან მან თქვა:

> რაც ეხლა გააკეთა ქართულმა ოცნებამ ეს თავის დროზე გააკეთა ეკლესიაში საეკლესიო იერარქიამ [...] იმ ადამიანებმა, ვინც [...] ასეთი ნარატივების შექმნაზე მუშაობდნენ [...]. საქართველოს [...] მართლმადიდებელმა ეკლესიამ ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩამოაყალიბა ქართული ნაციონალიზმის ალტერნატიული გაგება. მე ამას სუროგატულ ნაციონალიზმს ვუწოდებ, [...] ანუ ყალბ ნაციონალიზმს" (მინდიაშილი, პირადი კომუნიკაცია, 2025).

რესპონდენტის თქმით, პირველი ვინც ნაციონალიზმის საგარეო ვექტორი ამოაყირავა საქართველოს საპატრიარქო იყო, მეორე კი ქართული ოცნება, რაც მანამდე არც ერთ ხელისუფლებას არ გაუკეთებია. მისი თქმით საბჭო კავშირში კულტურული

ნაციონალიზმიც კი დასავლეთზე ორიენტირებული იყო იმ გაგებით, რომ ეს დასავლურ კულტურულ ხატებს იყენებდა საკუთარი თავის გასააზრებლად (მინდიაშილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). მან აღნიშნა რომ საქართველოს საპატრიარქომ დასავლეთისგან მტრის ხატი შექმნა, თითქოს საქართველო დასავლეთის მხრიდან კულტურულ ექსპანსიას განიცდიდა. სტალინი კი მისი ახსნით საპატრიარქოს ნარატივში მოიაზრება ფარულ მართლმადიდებლად, რომელმაც კედელი აღმართა დასავლეთთან და რომ თითქოს მან დაიცვა ამ დასავლური ექსპანსიის საბჭოთა კავშირის შემავალი ერები, რაც მისი აზრით ყალბ და ამოტრიალებულ ნაციონალიზმს წარმოადგენს (მინდიაშილი, პირადი კომუნიკაცია, 2025). დარგის სხვა მკვლევარიც ადასტურებს რომ ეკლესიის ქადაგებები გამოირჩევა ანტიდასავლური ნარატივებით, რაც აფერხებს ევროკავშირთან ღირებულებითი ინტეგრაციის პროცესს (მეტრეველი, პირადი კომუნიკაცია, 2025).

ექსპერტთაგან ერთ-ერთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რადგანაც საქართველო ქრისტიანულ სამყაროს მიეკუთვნება, ამას თავისი როლი აქვს მისი ევროპეიზაციის პროცესში (ჭედია, პირადი კომუნიკაცია, 2025). ამავდროულად, ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს რომ ეკლესია ირიბად ნეგატიურ როლს ასრულებს ევროინტეგრაციის პროცესში. ერთ-ერთი მათგანის თქმით ეკლესია "უფრო დუგინის „ევრაზიანისტული პროექტის" ერთგულად წარმოაჩენს თავს ვიდრე ევროპეიზაციის" (ჭედია, პირადი კომუნიკაცია, 2025). ის ასევე ამბობს, რომ ეკლესია საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში ხშირად მდუმარე დამკვირვებლის როლშია, ხან კი ხელმშემშლელის. მეორე ექსპერტი ამბობს რომ თითქოს ეკლესია არ ეწინააღმდეგება ევროინტეგრაციას, ისინი ამბობენ რომ ეს ქართველი ხალხის არჩევანია, მაგრამ მათი რიტორიკა ძირითადად ევროსკეპტიკურია (ნოდია, პირადი კომუნიკაცია, 2025). ის ამბობს რომ ეკლესიის გამონათქვამების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ის "აღწერს ევროპას, დასავლეთს, როგორც საფრთხეს მართლმადიდებლობისთვის, ტრადიციული კულტურისთვის, მორალისთვის" (ნოდია, პირადი კომუნიკაცია, 2025). სხვა მკვლევარი ასევე ამბობს რომ ეკლესია სახელმწიფოს ლეგიტიმაციის ინსტრუმენტად იქცა და ასევე ხელისშემშლელ ფაქტორად ევროინტეგრაციის გზაზე

თანასოწორობის, რელიგიური და გენდერული მრავალფეროვნების აღიარების წინააღმდეგ (რესპონდენტი 3, პირადი კომუნიკაცია, 2025).

### 6.1.2. მოლდოვის ეკლესიების გაყოფა ევროინტეგრაციის პრიზმაში

მოლდოვაში მართლმადიდებელი ეკლესიის ევროპეიზაციის პროცესზე გავლენებზე საუბრისას ორი მნიშვნელოვანი ტენდენცია იკვეთება ინტერვიუებიდან: პირველი ის რომ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული კიშინოვისა და სრულიად მოლდოვის სამიტროპოლიტო (MOC) ძირითადად ევროპეიზაციის პროცესისადმი სკეპტიკური და ზოგჯერ შეიძლება ითქვას რომ ნეგატიური დამოკიდებულებით გამოირჩევა; მეორე რუმინეთის ეკლესიას დაქვემდებარებული ბესარაბიის სამიტროპოლიტო (MB) მოლდოვის ევროინტეგრაციის მომხრეა, თუმცა ევროკავშირის ლიბერალური პოლიტიკის რიგი ასპექტების კრიტიკოსი. ამის საილუსტრაციოდ, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა რესპონდენტმა მოიყვანა მაგალითი, თუ როგორ მიულოცეს ეკლესიებმა მაია სანდუს 2024 წელს პრეზიდენტად ხელახლა არჩევა (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024). კერძოდ, მან ახსენა რომ MOC-მა მაია სანდუს ძალიან მოკლე წერილი გაუგზავნა, სადაც მათ პრეზიდენტს ურჩიეს რომ არ დაევიწყებინა წინაპრები და ტრადიციული ღირებულებები (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024). ამ საჯაროდ გავრცელებულ წერილში კონკრეტულად წერია შემდეგი: “ჩვენ გამოვხატავთ ჩვენს პატივისცემას ხალხის არჩევანის მიმართ და ვიმედოვნებთ, რომ თქვენი მანდატი აღინიშნება ერთიანობის, ღირსების და ამ ერის სულიერი ღირებულებებისა და წინაპრების ტრადიციების პატივისცემის სულისკვეთებით” (Metropolis of Chișinău and All Moldova, 2024). იმავე რესპონდენტმა მოიყვანა ბესარაბიის ეკლესიის (MB) წერილიც, რისი პათოსიც მისი თქმით იყო ის რომ ეკლესია მხარში დაუდგებოდა სახელმწიფოს ევროპული მოლდოვის შესაქმნელად (რესპონდენტი 4, პირადი კომუნიკაცია, 2024). კონკრეტულად კი წერილში ვკითხულობთ შემდეგს: “ამ ზიარებისა და სიყვარულის სულისკვეთებით, გარწმუნებთ, რომ ვლოცულობთ

მოლდოვის რესპუბლიკისთვის, რომელსაც ექნება უფრო ნათელი, სამართლიანი და ევროპული მომავლი“ (Iftimiu, 2024). ევროპეიზაციის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად ამ ორი ეკლესიის მიხედვით დაგჯუფებას არ ეთანხმება ერთ-ერთი მკვლევარი და ამის არგუმენტად ამბობს, რომ ეს ძალიან ინდივიდუალური ხასიათის საკითხია, რომ ზოგიერთი სასულიერი პირი ბესარაბიის ეკლესიაშიც არ არის მაინც და მაინც პროევროპელი (Dr. Dorin Dușciac, პირადი კომუნიკაცია, 2025). კიდევ ერთი ექსპერტი მიიჩნევს რომ ზოგადად ტენდენციას თუ დავაკვირდებით, მართალია რომ MOC-ი უფრო ევროსკეპტიკურობით გამოირჩევა, ხოლო MB-ს მხრიდან უფრო მეტი პოზიტიური მესიჯები მოდის ამ საკითხზე, თუმცა ამის მიუხედავად ისიც თვლის რომ ეკლესიების წიაღშიც არის განსხვავებული ხედვები (რესპონდენტი 8, პირადი კომუნიკაცია, 2024).

რესპონდენტებიდან ერთი მიიჩნევს რომ ზოგადად ეკლესიას არ აქვს პოლიტიური გავლენა ევროინტეგრაციის პროცესზე, რადგან ძალიან ბევრი მცდარი ნარატივი ვრცელდება ეკლესიის მხრიდან ევროპაზე და ამიტომ სულ მცირე კონტრპროდუქტიული ეფექტი აქვთ მათ ამ პროცესში (Vasile Cantarji, პირადი კომუნიკაცია, 2024).

ექსპერტების უმრავლესობა ყურადღებას საგარეო გავლენებზე ამახვილებს, განსაკუთრებით MOC-ის რუსულ კავშირებზე და მათზე დამოკიდებულებაზე ( Cenusa, პირადი კომუნიკაცია, 2025; Munteanu, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 5, პირადი კომუნიკაცია, 2024). თუმცა ერთ-ერთი იმასაც ამბობს რომ რეალურად არც ერთი ეკლესია არაა ადგილობრივი, ორივე უცხო ქვეყნის შემადგენლობაშია და შესაბამისად ეროვნული ინტერესები იკარგება ამ გაორებულ ნარატივებში (Pașa, პირადი კომუნიკაცია, 2024). ამის საპირისპიროდ, ერთ-ერთი ხელისუფლების წარმომადგენელი ინტერვიუში ამბობდა რომ მოლდოვის ევროინტეგრაციისთვის კარგია რომ მისი ერთ-ერთი მთავარი ეკლესია რუმინეთს ეკუთვნის, რომელიც უკვე არის ევროკავშირის წევრი, რაც ხელისშემწყობი ფაქტორია ევროპეიზაციისთვის. ხოლო MOC-ის ზოგიერთ

სასულიერი პირზე ამბობს რომ ისინი პირდაპირ ჩაერთნენ მაია სანდუს საწინააღმდეგო კამპანიაში წინასაარჩევნოდ და თავის მრევლს მოუწოდებენენ კიდეც რომ მისთვის ხმა არ მიეცათ, რაც პირდაპირ იყო კავშირში ქვეყნის ევროპეიზაციის ბედის განსაზღვასთან, რაც რეფერენდუმშიც გამოიხატა (რესპონდენტი 5, პირადი კომუნიკაცია, 2024). ერთ-ერთი ოპოზიციონერი რესპონდენტი კი ინტერვიუს დროს აღწერდა რომ MOC-ში არსებობენ ექსტრემისტები, რომლებიც ებრძვიან ასევე იმათ ვინც ამბობს რომ მოლდოვას რუმინეთთან მჭიდრო თანამშრომლობა უნდა ქონდეს (Munteanu, პირადი კომუნიკაცია, 2024).

რესპონდენტთაგან სასულიერო პირმა ევროპეიზაცია რუსული გავლენისგან დახსნის ინსტრუმენტად წარმოაჩინა. თუმცა მან ისიც აღნიშნა, რომ ევროკავშირი არ არის მაინც და მაინც საუკეთესო მოდელი, მაგრამ არსებული ვითარებიდან უკეთესია და შესაბამისად ისინი ფიქრობენ რომ ამ კუთხით უნდა შეხედოს მოსახლეობამ და გააანალიზოს თუ რომელი გზაა ქვეყნის განვითარებისთვის უკეთესი (რესპონდენტი 6, პირადი კომუნიკაცია, 2024).

### 6.1.3. საეკლესიო სქიზმა და მისი როლი უკრაინის ევროინტეგრაციაზე

უკრაინაში მართლმადიდებელი ეკლესიების ევროინტეგრაციაზე გავლენის კონტექსტში სამი ძირითადი მიდგომა იკვეთება რესპონდენტების პასუხებიდან: პირველი, ესაა აღქმა რომ OCU არის სამოქალაქო აზროვნების მქონე რელიგიური ინსტიტუცია და UOC-MP კი მოიაზრება რუსული ნაციონალიზმის იდეოლოგიურ გაგრძელებად, შესაბამისად მათი შეფასებით ერთი ხელს უწყობს ევროინტეგრაციას, მეორე კი ებრძვის (Mykhailo Mishchenko & Vovk, პიდარი კომუნიკაცია, 2025). გარდა ამისა, ამ რესპონდენტების კატეგორია თვლის რომ UOC-MP რუსეთის აგრესიის ერთ-ერთი ინსტრუმენტია (Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; Mishchenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; Father Serhii Sirenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). რესპონდენტების მეორე ნაწილი კი

აღნიშნავს, რომ UOC-MP ევროინტეგრაციის წინააღმდეგი იყო 2014 წლამდე (Metropolitan Olexander, პირადი კომუნიკაცია, 2025); ხოლო მას შემდეგ რაც ყირიმის ანექსია მოხდა,  მათი დამოკიდებულება ნაწილობრივ შეიცვალა, ამგვარად ეს რესპონდენტები ეწინააღმდეგებიან UOC-MP-ის ფუნქციონირების აკრძალვას და მიიჩნევენ რომ ეს რელიგიური თავისუფლების შეზღუდვაა, რაც ევროპულ ადამიანის უფლებების სამართალთან მოდის წინააღმდეგობაში (Kalenychenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია, 2025; Metropolitan Kliment, პირადი კონუნიკაცია, 2025). მესამე ტიპის შედეგი რაც რესპონდენტების პასუხებიდან ამოვიდა არის ის რომ ევროინტეგრაციას OCU ხელს უწყობს, მაგრამ არის რიგი თემები რაც დისკუსიის საგანია, კერძოდ ეკლესიის როლი საჯარო სფეროში და მსგავსი საკითხები, რადგან ხისტი სეკულარიზმის მოდელი უკრაინაში მათი თქმით რთულად წარმოსადგენია უკრაინული საზოგადოების კონსერვატიული ბუნების გამო (Kalenychenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია, 2025; Vovk, პირადი კომუნიკაცია, 2025; Balaklytski, პირადი კომუნიკაცია, 2025).

უფრო კონკრეტულად რომ ჩავშალოთ რესპონდენტების პასუხები, მმართველი და ასევე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელი პოლიტიკოსის შეხედულებები შეიძლება შემდეგნაირად გამოვკვეთოთ: პირველი მათგანი ცალსახად ამტკიცებს რომ UOC-MP რუსული გავლენის ქვეშაა როგორც ინსტიტუცია და მისი თქმით ამას საერთაშორისო ორგანიზაციებიც ადასტურებენ (Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). თუმცა ამავე რესპონდენტმა ოპოზიციური პარტიიდან დააზუსტა რომ ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისკენ სვლა უკრაინას კონსტიტუციურ დონეზე აქვს გამოცხადებული, ამიტომ UOC-MP ვერაფერს გახდება. მეორე მხრივ, მმართველი პარტიის წარმომადგენელი აღნიშნავს რომ OCU-ს რეფორმისტული ხედვები გააჩნია, რომ ისინი აცნობიერებენ უკრაინის მოდერნიზაციასთან და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობასთან დაკავშირებით თავიანთ წილ პასუხისმგებლობას (Kravchuk, პირადი კომუნიკაცია, 2025).

ინტერვიუს რესპონდენტებიდან ერთ-ერთი მკვლევარი უფრო ზომიერ პოზიციას აფიქსირებს და ამბობს რომ OCU უკრაინის ევროპის ნაწილად აღიქვამს და ღიად არ ეწინააღმდეგება ევროინტეგრაციას არც ერთ ჭრილში. UOC-MP უფრო მტრულად იყო განწყობილი ადრე ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართ, თუმცა ბოლო დროს პოლიტიკური განცხადებებისგან თავს იკავებს (Vovk, პირადი კომუნიკაცია, 2025). ზოგადად ის ამბობს რომ ეკლესიის პოზიციაა იყოს ქრისტიანობაზე დაფუძნებული ევროპული ცივილიზაციის ნაწილი (Dmytro Vovk, პირადი კომუნიკაცია, 2025). ამასთან, ერთ-ერთი დარგის მკვლევარი ახსენებს რომ UOC-MP-ს აქვს ევროპაში თავისი სამრევლოები, ამ ხრივ უფრო მეტი გავლენები აქვს მას ვიდრე OCU-ს, რადგან OCU ძალიან ახალი ეკლესიაა და მსოფიო პატრიარქის, ბართლომეს მხრიდან ჯერ არ აქვს ევროპაში თავისი სამრევლოების დაარსების ნებართვა (რესპონდენტი 10, პირადი კომუნიკაცია, 2025).

ასევე გასათვალისწინებელია OCU-ს და UOC-MP-ს მიტროპოლიტების, როგორც უშუალოდ ეკლესიების წარმომადგენლების პოზიციები. OCU-ს მიტროპოლიტი ალექსანდრე ამბობს რომ OCU არის ევროპაზე ორიენტირებული ეკლესია. აქვე ახსენებს რომ UOC-MP-ს ეკლესია, როგორც საბჭოთა გადმონაშთი განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა უკრაინის ევროინტეგრაციის იდეას პრეზიდენტი იანუკოვიჩის მმართველობის დროს და ისინი რუსეთის მიერ ლობირებულ “ევრაზულ კავშირს” ემხრობოდნენ და ის აზუსტებს რომ მათ მანამ არ გადაუხვიეს კრემლის პოლიტიკას არ დაინახეს რომ რუსეთი შეიჭრა უკრაინაში (Metropolitan Olexander, პირადი კომუნიკაცია, 2025). UOC-MP-ს მიტროპოლიტი კლიმენტი კი აღნიშნავს, რომ ევროინტეგრაციის თემა პოლიტიკური საკითხია და ეკლესიის გადასაწყვეტი არაა (Metropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია, 2025). ის ამავდროულად აღნიშნავს რომ ეკლესიისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოებამ განავითაროს ყველა სფერო, იქნება ეს განათლება, სოციალური საკითხები, კანონშემოქმედება თუ სხვა ქრისტიანულ მორალზე დაფუძნებით, რაზეც ეკლესია ყოველთვის გააკეთებს მისი თქმით აქცენტს. იგივე რესპონდენტი ასევე ამბობს რომ უკრაინაში უმრავლესობა ქრისტიანია და მათთის ეს მორალური პრინციპები

მნიშვნელოვანია, მაგრამ კანონმდებლობაში ეს მორალური საკითხები ყოველთვის არაა გათვალისწინებული და მიიღება კანონები რომლებიც უცხოა საზოგადოებისთვის (Metropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია, 2025). ის ამბობს რომ შესაძლოა უკრაინას ვალდებულება აქვს დასავლელ პარტნიორებთან აღებული რომ მიიღონ მსგავსი კანონები, მაგრამ ის ამავე დროს ამბობს რომ არაა ამ დარგის სპეციალისტი და დაზუსტებით ვერაფერს იტყვის (Metropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია, 2025). თუმცა უნდა ითქვას, რომ მისი პასუხების პათოსია რომ სახელმწფო იღებს გადაწყვეტილებებს, მაგრამ როცა ქრისტიანულ მორალს ეხება საქმე მაშინ ეკლესია თავის სათქმელს ყოველთვის იტყვის.

ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები იძლევა ქვეყნებს შორის სიტუაციის შედარების საშუალებას კერძოდ იმ თვალსაზრისით რომ სამივე სახელმწიფოში არა ცალკე აღებულმა ეკლესიამ, არამედ უშუალოდ ეკლესიებსა და სახელმწიფოებს შორის ინტერაქციამ გამოიწვია კონკრეტული შედეგები ამ სამი სახელმწიფოს ევროპეიზაციის ჭრილში. სამივე ქვეყანაში რესპონდენტებმა დაასახელეს რუსული ნარატივები და ზოგადად რუსული გავლენა რაც შეიძლება იყოს შემაფერხებელი ფაქტორი ევროინტეგრაციის გზაზე. საქართველოს შემთხვევაში ევროკავშირზე ამგვარი მცდარი და მტრული ნარატივები ფართოდ გავრცელდა საზოგადოებაში სწორედ კონსერვატიული დისკურსის გამოყენებით და ეკლესია-სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევით, ხოლო მოლდოვის და უკრაინის შემთხვევაში ამ ნარატივებმა უკუეფექტი იქონია.

## 6.2. უკრაინის ომის ეფექტი სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობაზე ევროინტეგრაციის პრიზმაში

2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები თავს დაესხნენ უკრაინას. რუსეთ-უკრაინის ომი მოცემული ხაზების წერის მომენტშიც გრძელდება, შესაბამისად, ჯერ შეუძლებელია დასკვნებისა და შეფასებების გაკეთება. თუმცა, ერთი

რამ ცხადია: რუსეთ-უკრაინის ომმა რადიკალურად შეცვალა გეოპოლიტიკური და პოლიტიკური დინამიკა მთელს რეგიონში. ომით გამოწვეულ ცვლილებათა შორის, მოწინავე ხაზზე სწორედ ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხია. ერთი მხრივ, ომმა დააჩქარა ეროვნული და საერთაშორისო დებატი საკვლევი ე.წ. *ასოცირებული ტრიოს* ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, ომმა დააჩქარა სამი სახელმწიფოს მიერ ევროკავშირის წევრობის განაცხადის შევსება. თუმცა, ეს თითოეულ შემთხვევაში თვისებრივად განსხვავებულ ვითარებაში მოხდა: უკრაინაში - უშუალო ომის პირობებში, საქართველოში - მასობრივი დემოკრატიული პროევროპული პროტესტის ფონზე, ხოლო მოლდოვაში - მეტწილად მშვიდ, ინსტიტუციურ გარემოში. არც საქართველოს და არც მოლდოვას მთავრობები სრულად არ შეერთებიან პოლიტიკური დასავლეთის მიერ რუსეთისადმი დაწესებულ სანქციებს და არც რაიმე ფორმის საბრძოლო მხარდაჭერა არ გაუგზავნიათ უკრაინისთვის. თუმცა, მკაფიოდ და არსებითად განსხვავდებოდა ამ ორი მთავრობის რიტორიკა და რეალური ქმედებები, რამაც განაპირობა ევროკავშირისა და უკრაინის მთავრობების განსხვავებული პოლიტიკური დამოკიდებულება მოლდოვასა და საქართველოს ხელისუფლებების მიმართ - მოლდოვას ხელისუფლებამ გააკეთა მაქსიმუმი უკრაინელი ლტოლვილების შეფარების და ჰუმანიტარული დახმარების უზრუნველჰყოფის კუთხით, ხოლო საქართველოს ხელისუფლებამ ამავე მიმართულებებით შესაძლო მინიმუმი გააკეთა (კანდელაკი, 2022). რიტორიკული თვასალზრისითაც, თვალშისაცემი იყო მკაფიო განსხვავება: მოლდოვას მთავრობა მხარს უჭერდა უკრაინას, ხოლო საქართველოს ხელისუფლება ერიდებოდა მკაფიო პოზიციის დაფიქსირებას, მთელ რიგ შემთხვევებში ვერბალურად თავს ესხმოდა უკრაინას და უარს აცხადებდა, რუსეთი მოეხსენიებინა აგრესორად. სულ მალე, საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკურ დასავლეთს დაუპირსპირდა იმ საბაბით, რომ დასავლეთი ცდილობდა საქართველოს მეშვეობით გაეხსნა “მეორე ფრონტი”. “ქართული ოცნების” დამფუძნებელმაგანაცხადა, რომ ე. წ. მისტიკური “გლობალური ომის პარტია” ახდენს გავლენას NATO-სა და ევროპულ კავშირზე და რომ საქართველოსადმი აგრესიის საფუძველს წარმოშობს ის რომ ამ ძალამ ვერ შეძლო საქართველოს ჩათრევა მეორე ფრონტში (Georgian Public

Broadcaster, 2024b). შესაბამისად, მიუხედავად მსგავსი ფორმალური ნაბიჯების გადადგმისა, პოლიტიკური რიტორიკის დიამეტრულად განსხვავებული ტიპებისა და ხარისხის გამო, მოლდოვამ და საქართველომ ევროპულ კავშირში სრულიად განსხვავებული აღქმები და შეფასებები გამოიწვიეს. გარკვეულწილად, ეს აისახა იმაშიც, რომ უკრაინამ და მოლდოვამ 2022 წელს მიიღეს კანდიდატის სტატუსი, ხოლო საქართველომ, რომელიც ფორმალური კრიტერიუმებით აკმაყოფილებდა კანდიდატობის მოთხოვნებს, ვერ შეძლო მიეღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. მოლდოვასა და უკრაინისგან განსხვავებით, რომლებმაც 2022 წელს მოიპოვეს კანდიდატის სტატუსი, ევროპულმა კომისიამ საქართველოს დამატებითი პირობები დაუწესდა და მხოლოდ ერთი წლის თავზე, 2023 წლის ნოემბერში, მიანიჭა კანდიდატის სტატუსი (European Commission, 2023).

### *ომის ეფექტი საქართველოს ევროინტეგრაციაზე*

ევროპეიზაციის და დემოკრატიზაციის პრიზმაში აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში, “ქართული ოცნების” ადმინისტრაციამ რადიკალურად შეცვალა “თავისი პოლიტიკური დღის წესრიგი სოციალური საკითხებიდან და ევროკავშირში ინტეგრაციის პოლიტიკაზე ფოკუსირებიდან, კონსერვატიული ნარატივების გაძლიერებისა და დაშინების პოლიტიკისკენ” (კანდელაკი, 2024). 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში, ეს ცვლილება აისახა “ქართული ოცნების” კამპანიის მიერ ულტრა-მემარჯვენე და კონსერვატიული მოძრაობების ნარატივების მითვისებაში. ამავე დროს, “ქართული ოცნების” მსოფლხედვა მნიშვნელოვნად გაკონსერვატიულდა წლების განმავლობაში, რაც ნაწილობრივ აიხსნება 2014 წელს მიღებული ლიბერალური კანონმდებლობის გამოისობით დაკარგული კონსერვატიულ-რელიგიური ამომრჩევლის მხარდაჭერის აღდგენის სურვილით. ამ მიზნით, “ქართულმა ოცნებამ” მთელი რიგი კონსერვატიული ზომები მიიღო, რომელთა შორის იყო „ოჯახის ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონის მიღება, მართლმადიდებელი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მცდელობა. რაც ეხება ამ

უკანასკნელს, საკითხზე შეთანხმება ვერ შედგა, რა დროსაც მოხდა კორექტირება, შემდეგ კი გადაწყდა რომ თუკი “ქართული ოცნება” საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებდა, კონსტიტუციაში გაკეთდებოდა შემდეგი ჩანაწერი: “მართლმადიდებლობა, როგორც ქართული სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენი”. თუმცა, 2024 წლის არჩევნებზე, “ქართულმა ოცნებამ” ვერ შეძლო საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება.

მსგავსი კონსერვატიზაციის პარალელურად, “გასული სამი წლის განმავლობაში, ევროპეიზაციამ განიცადა საგრძნობი რეგრესი” (Kandelaki, 2024, 197). რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამ, რომელმაც რეგიონალური დინამიკის აქსელერაცია მოახდინა, განსაკუთრებულად ცხადი გახადა “ქართული ოცნების” ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკური ვექტორის ცვლილება და შედეგად ქართული საგარეო პოლიტიკის თანხვედრის მაჩვენებლის ზრდა რუსეთისთვის სასურველ კურსთან (Kandelaki, 2024). 2023 წელს, “ქართულმა ოცნებამ” დააინიცირა “კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალეობის შესახებ”, რომელიც მასობრივი პროტესტის პირობებში, მალევე უკან გაიწვია. თუმცა, მას მერე რაც 2023 წლის მიწურულს საქართველოს მიენიჭა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, 2024 წლის გაზაფხულზე “ქართულმა ოცნებამ” ხელახლა დააინიცირა არსებითად იგივე შინაარსის კანონი. განგრძობითი მასობრივი პროტესტის მიუხედავად, ამჯერად ხელისუფლებამ კანონი მიიღო, საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე. ამ კანონის მიღებამ “დრამატულად შეცვალა საქართველოს საგარეო პოლიტიკური არქიტექტურა და შედეგად შეაფერხა მისი ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივა” (Kandelaki, 2024, 197).

საყურადღებოა, რომ „საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ირიბად დაუჭირა მხარი აღნიშნული კანონპროექტის დამტკიცებას“ (Kandelaki, 2024, 197). ამ კუთხით მნიშვნელოვანია ითქვას, რომ სამოქალაქო საზოგადოების, მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერება და პროცესებში ჩართულობა ევროპული ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, ხოლო ხსენებული

კანონპროექტის მთავარ სამიზნეებს სწორედ ეს ერთეულები წარმოადგენენ (European Commission, 2023; ENP, 2003; Kandelaki, 2024). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც რამდენჯერმე ვნახეთ, ფორმალურად ყოველთვის ცდილობდა მიმხრობოდა ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის არჩევანს და ზოგადად გაცხადებული პრინციპის დონეზე მხარი დაეჭირა ევროპული ინტეგრაციისთვის, ამ შემთხვევაში ეკლესიამ მხარი დაუჭირა იმგვარ კანონპროექტს, რომელიც ღია წინააღმდეგობაში მოვიდა ევროპეიზაციის და ევროპული ინტეგრაციის გზასთან (Kandelaki, 2024).

აღსანიშნავია, რომ მთავრობისა და მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციების გარდა, ამ საკითხზე გამოიკვეთა თანხვედრა რიტორიკული თვალსაზრისითაც. საქართველოს მთავრობა ეწეოდა საკუთარი ქმედებების იმგვარ რიტორიკულ ჩარჩოში განთავსებას (Framing), რომელიც პოლიტიკურ დასავლეთს წარმოაჩენდა ქართული ღირებულებების, რელიგიისა და ტრადიციების მტრად (Kandelaki, 2024). მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდი არასამთავრობო სექტორისა და მედიის შესახებ საუბრისას აგრეთვე ამბობდა, რომ ისინი ეწეოდნენ მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაციას და პარალელურად აცხადებდა, რომ ქვეყანაში შეინიშნება „LGBT ცხოვრების სტილისა და ცოდვის პროპაგანდის მზარდი ტენდენცია“; სინოდისავე განცხადებით, „მთავრობამ აშკარად აირჩია ტრადიციული ღირებულებების დაცვის გზა“ (საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამსახური, 2024). მთავრობის კამპანია ქართული სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წინააღმდეგ, რომელსაც მხარი დაუჭირა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, კანონის იმგვარ დისკურსულ ჩარჩოში ათავსებდა (საზოგადოებრივი მაუწყებელი, 2024). ეს მას წარმოაჩენდა, როგორც აუცილებლობას დასავლეთის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო და მედია ერთეულებისაგან სახელმწიფო სუვერენულობის, რელიგიური და ტრადიციული ღირებულებების დაცვის მიზნით“ (Kandelaki, 2024, 198).

როგორც ზევით იქნა აღნიშნული, ქართული ოცნების დაპირება, რომ იგი მიიღებდა ჰომოფობიურ კანონმდებლობას, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ

მოწონებული იქნა და ხელისუფლებამ კანონი მიიღო (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2024b). საპატრიარქომ განაცხადა, რომ „საქართველოს ეკლესია ყოველთვის იცავდა ჩვენს ახალგაზრდობას იმ ღირებულებებისგან, რომელიც ტრადიციული ოჯახის სტრუქტურებს ძირს უთხრის და კვლავაც აგრძელებს ამას“ (Orthodox Times 2024; Kandelaki, 2024). პარალელურად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დაუპირისპირდა ევროპული პარლამენტის რეზოლუციას, რომელიც ეკლესიის თქმით მთავრობას მოუწოდებდა არ მიეღო „მოზარდთა შორის LGBT პროპაგანდის ამკრძალავი“ კანონი (საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, 2024a, para. 4). შესაბამისად, საპატრიარქოსა და ხელისუფლების პოზიციები მოვიდა სრულ თანხვედრაში იმ ტიპის საკითხზე, რაც ამავე დროს პირდაპირ წარმოადგენდა საქართველოს ევროპეიზაციის კონტექსტში სრულიად არსებით პოლიტიკის კურსის საკითხს (Kandelaki, 2024).

ამ მნიშვნელოვანი დინამიკის მცირე დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ განიცადა მზარდი კონსერვატიზაცია, რაც მას სულ უფრო აშორებდა ევროპეიზაციის გზისა და ევროპული ღირებულებებისგან. მეორე მხრივ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება სულ უფრო მეტად ცდილობდა მართლმადიდებელი ეკლესიის, და კონკრეტულად ეკლესიის რიტორიკის, ინსტრუმენტალიზებას საკუთარი პარტიულ-პოლიტიკური დღის წესრიგის განხორციელების მიზნით. ამის ცხადი და აშკარა მაგალითი, ისევ და ისევ, „ქართული ოცნების“ მიერ „გამჭვირვალეობის კანონის“ სიკარგეში საკუთარი ამომრჩევლისა და კონსერვატიული ამომრჩევლის დასარწმუნებლად ეკლესიის რიტორიკისა და გავლენის ინსტრუმენტალიზებაა. მესამე მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციულად ამბივალენტური პოლიტიკის ფონზე, ამ შემთხვევაში შეიქმნა სინერგიის პრეცედენტი, როდესაც, საკუთარი შიშების პასუხად, მართლმადიდებელმა ეკლესიამ არჩია მხარი დაეჭირა ხელისუფლებისთვის, რითიც ევროპეიზაციის მკაფიოდ საწინააღმდეგო კურსს დაუჭირა მხარი.

*ომის ეფექტი მოლდოვის ევროინტეგრაციაზე*

საქართველოსგან განსხვავებით, მოლდოვის შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა თანმიმდევრული პოლიტიკის გატარებას ევროპული ინტეგრაციის გზაზე. საკუთრივ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის კუთხით, აღსანიშნავია, რომ პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბესარაბიის მართლმადიდებელმა ეკლესიამ, ხოლო მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფმა მოლდოვის მართლმადიდებელმა ეკლესია მორიგ ჯერზე მოგვევლინა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ინსტრუმენტად. მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესიის ინიციატივით, 2024 წელს, 300 მღვდელი იქნა წაყვანილი მოსალოცად რუსეთში (Human Rights Without Frontiers, 2024). მაია სანდუს ხელისუფლებამ, ისევე როგორც ბესარაბიის ეკლესიამ, ეს აღიქვა, როგორც ანტი-ევროპული კამპანიის შემადგენელი ნაწილი. გამოკითხულ ექსპერტთაგან ერთ-ერთმა MOC-ის ფინანსური გამჭვირვალობის და მათზე რუსეთის გავლენის დასადასტურებლად მაგალითად მოიყვანა 2024 წელს წინასაარჩევნოდ რუსეთიდან არალეგალური დაფინსნების შემოდინების საკითხი და ამის წინააღმდეგ არაეფექტურ ბრძოლაში დაადანაშაულა არსებული - მაია სანდუს მთავრობა. კერძოდ, მან თქვა რომ წინასაარჩევნოდ მოსკოვში 1000 მღვდელი გაემგზავრა ოფიციალური ვიზიტით და უკან კი ფულით დაბრუნდნენ (Vasile, პირადი კომუნიკაცია, 2024). აღნიშნული ინფორმაცია საჯარო წყაროებითაც გავრცელდა, კერძოდ Human Rights Without Frontiers (HRWF) მონაცემებით, არა ათასი, არამედ 300 მოლდოველი მღვდელი გაემგზავნა რუსეთში "უფასოდ მოსალოცად" (Human Rights Without Frontiers, 2024). თუმცა დაზუსტებული ციფრი ღია წყაროებში არ მოიძებნება. აღნიშნულმა ვიზიტმა დისონანსი იმის გამო გამოიწვია, რომ ამ ვიზიტის ორგანიზატორად ილან შორი სახელდება (HRWF, 2024). ილან შორი მოიხსენიება როგორც ყოფილი პოლიტიკოსი და ბანკირი, რომელსაც ბრალად ედება თაღლითობა, რის გამოც მას 15 წლით პატიმრობა მიესაჯა, ის კი 2023 წელს მოსკოლში გაიქცა, მიიღო რუსეთის მოქალაქეობა და მაია სანდუს მიერ დადანაშაულებულია 2024 წელს მოლდოვაში წინასაარჩევნოდ რუსულ ჩარევებში მოლდოვის ევროინტეგრაციის ჩაშლის მიზნით (Reuters, 2024). საგულისხმოა, რომ

HRWF-ის სტატიაზე დაყრდნობით, სასულიერო პირებმა მოსკოვში ყოფნისას მიიღეს MIR-ის “Promsvyazbank”- ბანკის საბანკო ბარათები და დაპირება რომ მათ ყოველთვიურად 1000 ევროს სახით ტაძრის დახმარების თანხა ჩაერიცხებოდათ (HRWF, 2024), რომელი ბანკიც დასავლეთის მხრიდან სანქცირებულია რუსეთის უკრაინაში ომის მხარდაჭერის გამო (US Department of Treasury, 2024). აქვე საგულისხმოა აღინიშნოს 2023 წელს კიშინიოვისა და სრულიად მოლდოვას მიტროპოლიტი, მისი ყოვლისშემძლეობა ვლადიმერის მიერ გაგზავნილი წერილი რუსეთის პატრიარქ კირილთან, სადაც ის წერს რომ მოლდოვის ეკლესია (MOC) ინსტიტუციური გაბანკროტების პირასაა და ასევე აღნიშნავს რომ მოსკოვის საპატრიარქო მათ ექცევა როგორც პერიფერიულ ადამიანებს (Ziarul de Gardă, 2023). აღნიშნულ წერილში იმაზეც არის საუბარი, რაზეც რესპონდენტებიც ამახვილებდნენ ყურადღებას, კერძოს მიტროპოლიტი წერს რომ MOC-ის სასულიერო პირები რუმინეთის სახლმწიფოს მხრიდან მუდმივ ცდუნებაში არიან, რადგან MB-ს წარმომაგენელ მღვდლებს ისინი ხელფასს, სამედიცინო დაზღვევას, პენსიებს და სხვა მატერიალურ სიკეთეებს თავაზობენ. წერილში ასევე კრიტიკა იკითხება იმის შესახებ რომ უკვე დიდი ხანია რაც MOC-ის დასტურის გარეშე ინიშნებიან დნესტრისპირეთის ეკლესიაში სასულიერო პირები (ZGD, 2023). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრიდან მეორმოცე დღეს მოლდოვას მიტროპოლიტმა ვლადიმერმა ღიად გამოთქვა რომ ომის წინააღმდეგი იყო და მზაობა გამოხატა დაზარალებული ლტოლვილებისთვის დახმარების გაწევაზე (ZGD, 2023).

### *ომის ეფექტი უკრაინის ევროინტეგრაციაზე: ეროვნული უსაფრთხოება vs. რელიგიური თავისუფლება*

უკრაინის შემთხვევაში, მიუხედავად ქვეყნის სუვერენულ ტერიტორიაზე მიმდინარე ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებებისა, უკრაინამ დაჩქარებული ტემპით წამოიწყო ევროინტეგრაციისკენ სვლა. რაც შეეხება ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობას, უკრაინის ავტოკეფალიურმა ეკლესიამ დაიცვა ეს კურსი, ხოლო

მოსკოვის საპატრიარქოს ქვეშ არსებული ეკლესია კი ფაქტობრივად აიკრძალა, როდესაც უკრაინის პარლამენტმა აკრძალა რუსეთთან კავშირში მყოფი რელიგიური ორგანიზაციები. ერთი მხრივ, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს პროცესი ემსახურებოდა უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს; თუმცა, მეორე მხრივ, იგივე პროცესი აფერხებს ევროპული ინტეგრაციის და ევროპეიზაციის კურსს. როგორც ვენეციის კომისიამ, ასევე აშშ-ს კონგრესმა უკრაინის მთავრობა გააკრიტიკეს იმ მოტივით, რომ ზემოთ ხსენებული კანონი ზღუდავს რელიგიურ თავისუფლებას.

ბოლო წლებში, განსაკუთრებით უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის (UOC-MP) ავტორიტეტი საზოგადოების დიდ ნაწილში მკვეთრად დაეცა (Razumkov Centre, 2023).

მიუხედავად იმისა, რომ UOC-MP-ის მიტროპოლიტმა ონუფრიმ დაგმო ომი, მოსკოვს მშვიდობისკენ მოუწოდა (Lehnen, 2022), და გამოაცხადა რომ რუსეთის საპატრიარქოს ემიჯნებოდა, შიდა დონეზე კავშირების გაწყვეტა UOC-MP-სა და მოსკოვის საპატრიარქოს შორის ვერ მოხერხდა და მათ შოროს UOC-MP-ის მაღალი იერარქიის წარმომადგენლები აგრძელებდნენ კომუნიკაციას (Polska, 2024). ეს კავშირები მოგვიანებით გამოავლინა უკრაინის ეთნოპოლიტიკისა და სინდისის თავისუფლების სახელმწიფო სამსახურის კვლევამ, კერძოდ კი ის რომ UOC-MP-ის როგორც რელიგიური ორგანიზაციის ცენტრად კვლავ რუსეთი რჩებოდა (Polska, 2024). რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ამ ომს “საღვთო ომი უწოდა” (Mefford, 2024). ამის ფონზე მორალურ, თუ უსაფრთხოების ჭრილში მსგავსი კავშირების შენარჩუნება უკრაინისთვის და მისი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მიუღებელი გახდა, კერძოდ გამოკითხული მოსახლეობის 45%-მა აღნიშნა რომ UOC-MP-ს აკრძალვას ემხრობიან იმ შემთხვევაში, თუ ეს უკრაინაში ომის დასრულებას შეუწყობს ხელს (Raskolam, 2025). მეორე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების თანახმად, მოსახლეობის 80% მიემხრო კანონს რომელიც რუსეთთან კავშირის მქონე ყველა ტიპის რელიგიურ აქტივობას აღკვეთს (Kyiv International Institute of Sociology (KIIS), 2024).

აღნიშნული ეკლესიისადმი უნდობლობა გაჩნდა უკრაინის ხელისუფლებაში და UOC-MP-ს შეფასება დაიწყეს არა სულიერების, არამედ უსაფრთხოების პრიზმაში. საგამოძიებო მოკლეველის შედეგად, 100-დე მეტი სასულიერო პირის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ხოლო მათგან 26 დამნაშავედ იქნა ცნობილი სახელმწიფოს ღალატის და რუსეთთან თანამშრომლობის გამო (Polska, 2024). როგორც შესავალში იყო ნახსენები, უკრაინის პარლამენტმა (Rada) შეიმუშავა კანონი No3894–IX „რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის სფეროში კონსტიტუციური წესრიგის დაცვის შესახებ“ (Verkhovna Rada of Ukraine, 2024). კანონი 2024 წლის 20 აგვისტოს იქნა მიღებული, რის მიხედვითაც რუსული მართლმადიდებელი ეკლესია აგრესორადაა მოხსენიებული, შესაბამისად მასთან დაკავშირებული ყველა რელიგიური ორგანიზცია ვალდებულია მას გამოეყოს. უკრაინულ რელიგიურ ორგანიზაციებს, რომლებიც მოსკოვის საპატრიარქოს ექვემდებარებოდნენ, 9 თვე მიეცათ რუსულ ეკლესიასთან კავშირის გასაწყვეტად (Verkhovna Rada of Ukraine, 2024). კანონპროექტიდან ამოღებულია შემდეგი „სინდისის თავისუფლების სფეროში საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად,“ რამაც ის ნაწილობრივ კრიტიკის საგანი გახდა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მხრიდან (United Nations, 2023). არსებობს ასევე კრიტიკული მოსაზრებებიც იმის შესახებ რომ უკრაინა კონსტიტუცით და კანონით გათვალისწინებულ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების პრინციპს შეიძლება არღევდეს და თუ ეს ასეა, ეს წინააღმდეგობაში შეიძლება მოვიდეს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიასთანაც, თუმცა ეს მიმდინარე საკითხია და განხილვის საგანია (Polska, 2024).

რუსეთთან და მის ეკლესიასთან აფილირებული ყველა რელიგიური ორგანიზაციის აკრძალვას, რის ფარგლებშიც UOC-MP განსაკუთრებული სამიზნეა, ორგვარი შეფასება მოჰყვა რესპონდენტების მხრიდან. ნაწილი მიიჩნევს რომ UOC-MP გეოპოლიტიკურ აქტორად იქცა და შესაბამისად ეროვნული უსაფრთხოებაა დასაცავი, ხოლო ნაწილი მიიჩნევს რომ საქმე რელიგიის თავისუფლების შეზღუდვასთან გვაქვს. აკრძალვის

მომხრეების ორი მთავარი არგუმენი გამოიკვეთა, პირველი უფრო ხისტი, რაც UOC-MP-ის პირდაპირ რუსულ ძალასთან გაიგივებას და შესაბამისად მისი აღკვეთის აუცილებლობას გულიხმობს (Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; Mishchenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; Samokhvalova, პირადი კომუნიკაცია, 2025); ხოლო მეორე არგუმენტი რაც რესპონდენტებს აქვთ არის ის რომ რეალურად მათი თქმით ეკლესიას არავინ კრძალავს, ისინი კანონს იშველიებენ და ამბობენ რომ იკრძალება რელიგიური ორგანიზაციები რომლებიც მოსკოვის საპატრიარქოსთან არიან აფილირებულები, ამიტომ რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს რომ UOC-MP-ს რეალურად აქვს არჩევანი გადავიდეს უკრაინის ავტოკეფალიურ ეკლესიაში და გაწყვიტოს რუსეთთან კავშირი (Metropolitan Oleksandr, პირადი კომუნიკაცია, 2025; Father Serhii Sirenko, პირადი კომუნიკაცია, 2025; Kravchuk, პირადი კომუნიკაცია, 2025).

რესპონდენტების ნაწილი ამბობს რომ არსებობს ფაქტები როგორ ეგებებოდნენ და ადიოდნენ რუსულ ტანკებზე UOC-MP-ის წარმომადგენლები (Samokhvalova, პირადი კომუნიკაცია, 2025), რაც უკრაინელი საზოგადოებისთვის დიდი მორალური დარტყმა იყო. მანვე გულდაწყვეტით თქვა რომ ის ყოველთვის ოცნებობდა ეკლესიის დამოუკიდებლობაზე, ავტოკეფალიის გამოცხადებაზე, რისთვისაც მანდ 10 წლის წინ ჩამოაყალიბა მოძრაობა; ის ამბობს რომ იყო გულუბრყვილო როცა დაიჯერა თითქოს მოსკოვი მათ შეეშვებოდა, მაგრამ სამწუხაროდ სხვა რეალობაში აღმოჩნდა უკრაინა.

OCU-ს მიტროპოლიტმა აღნიშნა რომ მოსკოვის საპატროარქომ დალოცა უკრაინელების ხოცვა, ის რაკეტები რომლებიც უკრაინისკენ მიმართა რუსეთმა და გაანადგურა 500-ზე მეტი ეკლესია (Metropolitan Olexander, პირადი კომუნიკაცია, 2025; Mukhina, 2025). ამავე ეკლესიის სასულიერო პირი ამტკიცებს რომ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება და უფლება რომ აკრძალოს UOC-MP, რადგან ის აგენტის როლში ფუნქციონირებს და ეს მისი აზრით არ არის კავშირში რწმენასთან, ეს მისი თქმით არის ჰიბრიდული ომის ნაწილი (Serhii Sirenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). უკრაინელი პოლიტიკოსი ასევე ამბობს რომ ეს გადაწყვეტილება უკრაინის სუვერენიტეტის და მისი უსაფრთხოების

დაცვიდან გამომდინარეობს (Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). გამოკითხული სოციოლოგი კი თვლის რომ UOC-MP-მ მორალური ავტორიტეტი დაკარგა ( Mishchenko, პირადი კომუნიკაცია, 2025), რასაც ზემოთ ნახსენები სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებიც მოწმობს. ამგვარად, მისივე თქმით UOC-MP საზოგადოების მხრიდან უკვე აღიქმება უცხოურ სტრუქტურად. უკრაინელმა პოლიტიკოსმა ახსნა თუ რა ნაბიჯები გადადგა UOC-MP-მ რუსეთთან კავშირის გასაწყვეტად და თუ რატომ არ იყო ეს საკმარისი (Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). მან თქვა რომ 2022 წელს მათ მოიწვიეს კრება და გამოაცხადეს რომ მათ გაწყვიტეს ყველა პირდაპირი კავშირი რუსეთის ეკლესიასთან, კერძოდ მათ გააუქმეს წესი რის მიხედვითაც მიტროპოლიტის დასანიშნად რუსეთის პატრიარქის თანხმობა იყო საჭირო. თუმცა, მისი თქმით, მათ არ ამოიღეს კრიტიკული ხაზი, რის მიხედვითაც მათი დამოუკიდებლობა განისაზღვრება პატრიარქ ალექსის 1990 წლის წესდებით, რაც გულისხმობს იმას რომ ისინი რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში რჩებიან კანონიკურად (Pavlenko, პირადი კომუნიკაცია, 2025). აქედან გამომდინარე, მისი აზრით უსაფუძვლოა მათი მხრიდან რელიგიის თავისუფლების შეზღუდვაზე აპელირება.

UOC-MP-ის აკრძალვის მოწინააღმდეგე რესპონდენტები ამტკიცებენ რომ 2024 წელს მიღებული კანონი დისკრიმინაცილია (რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია, 2025; Metropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია, 2025). ბელარუსი დარგის მკვლევრის აზრით ის მართლმადიდებელი ქრისტიანი მორწმუნეების უფლებებს არღვევს, აღვივებს შუღლს და დესტაბილიზაციას იწვევს (რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია, 2025). მისი თქმით შეცდომაა როდესაც ეს ეკლესია ისევ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებულად მოიხსენიება, რადგან მან კავშირი გაწყვიტა რუსეთთან 2022 ადმინისტრაციულ დონეზე.  ის ამტკიცებს რომ მიტროპოლიტი ონუფრი აღარ მოიხსენიებს პატრიარქ კირილს და აღარ არის რუსეთის სინოდის შეკრებების ნაწილი. მაგრამ ის ფიქრობს რომ ხელისუფლება ამ ფაქტს უგულებელყოფს. მისი თქმით ამ კანონით ყველა მასში შემავალი ეკლესია, მონასტრის, თუ სასულიერო სკოლის დახურვაა შესაძლებელი რაც მისი თქმით არასამართლიანია. თუმცა ის ასევე უსვამს

ხაზს იმ გარემოებას რომ საერთაშორისო ველზე მართლმადიდებელი ეკლესიების უმეტესობამ კანონი არ მოიწონა და მისი მტკიცებით მხარდაჭერაც გამოუცხადა მიტროპოლიტ ონუფრის (რესპონდენტი 9, პირადი კომუნიკაცია, 2025). UOC-MP-ის მიტროპოლიტი ასევე გმობს აღნიშნულ კანონს და ეკლესიის აკრძალვა დაუშვებელია (Metropolitan Kliment, პირადი კომუნიკაცია, 2025). მისი გადმოსახედიდან სახელმწიფომ ვერ მიჯნავს პოლიტიკას რელიგიისგან. მისი მტკიცებით ამ ეკლესიაში შემავალი სასულიერო პირები მშვიდობისა და უკრაინელი ხალხისთვის ლოცულობს და ამის მიუხედავად ისინი იდევნებიან, რაც მისი თქმით საზოგადოებას ვერ გააერთიანებს. ამგვარად, მისი აზრით ეს არ არის უსაფრთხოების საკითხი, არამედ ეს არის პოლიტიკური დევნის და რელიგიური თავისუფლების შებღალვის მაგალითი.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ომმა უკრაინაში, ეკლესია-სახელმწიფოს შორის ურთიერთობების გადალაგება გამოიწვია, უკრაინასა და მოლდოვაში ევროინტეგრაცია დააჩქარა, ხოლო საქართველოს შემთხვევაში ეს პროცესი ერთი მხრივ ჯერ დაჩქარდა და შემდეგ ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა ამ პროცესის შეჩერება გამოიწვია.

# დასკვნა

საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის მაგალითები მოწმობს რომ მოდერნიზაცია არ იწვევს შეუქცევადად სეკულარიზაციის პროცესს და რელიგია საჯარო სფეროში კვლავაც ფართოდაა შეჭრილი. აღმოსავლეთ ევროპის კონტექსტში, სახელმწიფოებში სადაც დომინანტი რელიგია მართლმდიდებელი ქრისტიანობაა, გვხვდება სეკულარიზმის არა ხისტი, არამედ შედარებით რბილი მოდელი, სადაც სახეზეა ინსტიტუციურ დონეზე სამართლებრივად გამყარებული განცალკევება საერო და სასულიერო სფეროებს შორის. ნაშრომში განხილული ლიტერატურის, სამი სახელმწიფოს სამართლებრივი ჩარჩოების თემატური ანალიზის, ისტორიული მიმოხილვის, ეკლესიების და ხელისუფლებების მიერ გაკეთებული განცხადებების დისკურს ანალიზის, კრიტიკული შემთხვევების შესწავლის და ექპერტული ტიპის ინტერვიუებზე დაყრდნობით გაკეთებული თემატური ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ბიბლიური შეგონება - „ღმერთს ღვთისა, კეისარს კეისრისა“ სამართლებრივ დონეზე სამივე სახელმწიფოში მეტნაკლებად გამართულია, მაგრამ პრაქტიკაში კი რთულად განხორცილებადი. გამომდინარე იქიდან, რომ სამივე სამიზნე ქვეყანაში საზოგადოების უმრავლესობა თავს რელიგიურად მიიჩნევს და კონკრეტულად მართლმადიდებელ ეკლესიებს მიაკუთვნებს თავს, რელიგია გადამწყვეტ როლს თამაშობს საჯარო სივრცეში, კერძოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში, რაც კაზანოვას, ფოქსისა და ჰაბერმასის პოსტ-სეკულარული თეორიული მიდგომისთვისაა დამახასიათებელი.

თუკი საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ჭრილში გამოვლენილ თავისებურებებს შევაჯამებთ, მნიშვნელოვანია გამოვყოთ ის გარემოება, რომ საქართველოში არსებობს ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია, უკრაინაში კი მხოლოდ რამდენიმე წელია ჩამოყალიბდა ახალი დამოუკიდებელი ეკლესია, რომლის ავტოკეფალიაც მსოფლიო პატრიარქმა და ჯერჯერობით მხოლოდ ოთხი სახელმწიფოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღიარა. თუმცა მანამდე უკრაინაში ორი ეკლესია ფუნქციონირებდა: ერთი მოსკოვის

საპატრიარქოს დაქვემდებარებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია (UOC-MP), როგორც რუსეთის ეკლესიის ერთგვარი თვითმმართველი ერთეული და მეორე - კიევის საპატრიარქოს დაქვემდებარებული არაღიარებული ეკლესია (UOC-KP), რომელიც წლების მანძილზე იღწვოდა ავტოკეფალიის მოსაპოვებლად. მოლდოვის შემთხვევაში სახეზე გვაქვს ორი ეკლესია, საიდანაც პირველი და დომინანტურია მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული კიშინიოვისა და სრულიად მოლდოვის მიტროპოლია (MOC), ხოლო მეორე რუმინეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ბესარაბიის მიტროპოლია (BM). ამ ინსტიტუციური მოწყობის გათვალისწინებით, აღსანიშნავია, რომ ამ სამს შორის მხოლოდ საქართველოს ეკლესიას გააჩნია ავტოკეფალია, რომელსაც არ უდგას მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების აღიარების პრობლემა. შესაბამისად, მას შეუძლია მიიღოს ავტონომიური გადაწყვეტილებები. ხოლო შემდეგი ორი ქვეყნის შემთხვევაში საქმე გვაქვს ნახევრად ავტონომიურ და ასევე სხვა სახელმწიფოს კანონიკურ საზღვრებში მყოფი ეკლესიების ფუნქციონირებასთან, რაც სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობებს უფრო კომპლექსურს ხდის. მაშინ როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უპირობოდ ასოცირდება ეროვნული იდენტობის ასპექტებთან, ეროვნული თვითმყოფადობის ფორმირების პროცესში მისი როლი კი კონსტიტუციურადაა აღიარებული, მოლდოვის და უკრაინის შემთხვევაში ეს ასე არ არის. რამდენადაც თავად მართლმადიდებელი ქრისტიანობა წარმოადგენს იდენტობის პოლიტიკის ნაწილს ორივე ქვეყანაში, როცა საქმე ინსტიტუციურ ეკლესიას ეხება, მოლდოვაში MOC ე. წ. რუსულ პრიზმაში ჩამოყალიბებულ მოლდოვურ იდენტობასთან ასოცირდება, ხოლო BM - რუმინულ იდენტობასთან, მოლდოვის რუმინეთთან გაერთიანების იდეასა და რუმინეთის გავლით მოლდოვის ევროპულ იდენტობას უკავშირდება. რაც შეეხება უკრაინას, ამ სახელმწიფოში ყოველთვის სახეზე იყო სწრაფვა ეროვნული ეკლესიის ჩამოყალიბებისკენ, რაც საბოლოო ჯამში 2018-19 წლებში პოროშენკოს მმართველობის დროს მოხერხდა ე. წ. ტომოსზე ხელმოწერით და შემდგომში OCU-ს ავტოკეფალიის აღიარებით. თუმცა, რაც შეეხება მეორე ეკლესიას (UOC-MP), ის ყოველთვის იყო გაიგივებული რუსულ იდენტობასა და იმპერიალიზმთან, თუმცა აღსანიშნავია ისიც,

რომ ომის დაწყებამდე ეს ეკლესია დომინანტი იყო მრევლის პროცენტული მიკუთვნებულობის თვალსაზრისით, რა ტენდენციაც უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა და დომინანტი ეკლესია OCU გახდა.

როდესაც საქმე უშუალოდ სამივე სახელმწიფოში სეკულარიზმის დონის განსაზღვრას ეხება, მნიშვნელოვანია ამ სამ სახელმწიფოს კონტექსტში ძირითადი მსგავსებების და განმასხვავებელი ფაქტორების გამოყოფა. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ სამივე სახელმწიფო ფორმალურად სეკულარულია ინსტიტუციური გამიჯვნის თვალსაზრისით და არა რელიგიის თავისუფლების ან სახელმწიფოს რელიგიისადმი ნეიტრალური დამოკიდებულების კუთხით. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს და უკრაინის შემთხვევაში, სახელმწიფო-ეკლესიის ძალაუფლებრივი ურთიერთობის თვალსაზრისით დომინანტი როლი ცალსახად სახელმწიფოს აქვს, კერძოდ სახელმწიფოების მხრიდან ინსტრუმენტალიზება ხდება რელიგიური ინსტიტუტების, რაც პირდაპირი გაგებით, ან ირიბად ცეზაროპაპისტულ მოდელთანაა კავშირში. ეს ფაქტორი თავის მხრივ ამცირებს პლურალიზმს, ანგარიშვალდებულებას და შესაბამისად შემაფერხებელია დემოკრატიზაციის პროცესის. საქართველოს შემთხვევაში დემოკრატიზაციის პროცესში შემაფერხებელი როლი აქვს ეკლესია-სახელმწიფოს თანამშრომლობას კანონშემოქმედებით საქმიანობაშიც, რაზეც ეკლესიას დიდი გავლენა აქვს.

ასევე შეიძლება ითქვას რომ კვლევის ფარგლებში რესპონდენტის მიერ წამოწეული ტერმინი "სერგიანობაც" ადეკვატურად ასახავს ამ ორ სახელმწიფოში სეკულარიზმის ხარისხს განსაკუთრებით თანამედროვეობაში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს რომ სხვადასხვა მთავრობების დროს სამივე სახელმწიფოში გვხვდება სიმფონიის მოდელიც, როდესაც საერო (პროფანული) და ღვთაებრივი (წმინდა) ძალები ურთიერთჰარმონიაში არიან ერთმნანეთთან. ამის ნათელი მაგალითია დღევანდელი უკრაინის ხელისუფლების ურთიერთობა უკრაინის ავტოკეფალიურ ეკლესიათან (OCU). თუმცა, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ ის სახელმწიფოს პროექტია, ამიტომ „ცეზაროპაპისტული სიმფონიის" მოდელიც შეიძლება განვითარდეს. თუმცა

ეკლესია-სახელმწიფოს ძალაუფლებრივი ინტერაქციის როლი დემოკრატიზაციის პროცესში უკრაინის შემთხვევაში სამართლებრივ დონეზე ნაკლებადაა შემაფერხებელი გამომდინარე იქიდან რომ კანონმდებლობით დარეგულირებულია ეკლესია-სახელმწიფოს კომპეტენციების გამიჯვნა, ეკლესია ფინანსურად არაა დამოკიდებული სახელმწიფოზე, სხვა რელიგიურ დენომინაციებთან მიმართებით მართლმადიდებელ ეკლესიას არ გააჩნია პრივილეგირებული როლი, რაც პლურალიზმსაც უზრუნველყოფს და დანარჩენ ორ სახელმწიფოსთან შედარებით უკრაინაში სეკულარიზმის უკეთესი ხარისხია, როგორც ინსტიტუციური გამიჯვნის, ისე სახელმწიფოს ნეიტრალობის თვალსაზრისით რაც დემოკრატიზაციის პროცესზე დადებითაც შეიძლება აისახოს.

მოლდოვის შემთხვევა განსხვავდება. იგი ირიბად მოიცავს ცეზარიპაპისტურ ელემენტებს, თუმცა გარკვეული გადახრებით. ამ შემთხევაში უფრო მართებულია “პოლიტიკური ორთოდოქსიზმის” და “გეოპოლიტიკური მართლმადიდებლობის” ცნებების გამოყენება, სადაც პირველი უარს აცხადებს სეკულარიზმის დასავლურ შეხედულებებზე რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების შესახებ, ეწინააღმდეგება კერძო და საჯარო სფეროებს შორის სხვაობის პრინციპს, ხდება პოლიტიკური აქტორი, რომელიც ან ლეგიტიმაციას აძლევს, ან ეწინააღმდეგება ეროვნული მთავრობის პოლიტიკას; ხოლო მეორე შესაძლოა გვხვდებოდეს გეოპოლიტიკურ კონტექსტში, კერძოდ რელიგიის გამოყენებით გეოპოლიტიკური მიზნების განხორციელების კუთხით. ამ შემთხვევაში, მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მოლდოვაში MOC და უკრაინაში UOC-MP, რომლებიც კანონიკურ კავშირში არიან რუსულ ეკლესიასთან და რიგ შემთხვევებში, როგორც კვლევამ ცხადჰყო, გამოყენებული არიან რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების გატარების მიზნით, კერძოდ კი ანტიდასავლური რიტორიკის გასაღვივებლად. მოლდოვაში კი MB პირიქითა კონტექსტში შეიძლება იყოს მოაზრებული, როგორც ერთგვარი რბილი ძალის ინსტრუმენტი ევროპეიზაციის პროცესის ხელშეწყობისთვის. მოლდოვის შემთხვევაში, როგორც დემოკრატიზაციის, ისე ევროპეიზაციის პროცესში ეკლესია-სახელმწიფოს ძალაუფლებრივ ინტერაქციას არსებული ორი მართლმადიდებელი ეკლესიის

პირობებში წინააღმდეგობრივი და მაპოლარიზებელი ხასიათი გააჩნია. გარდა ამისა, მაშინ როდესაც მოლდოვაში დემოკრატიული ხელისუფალი მოდის ძალაუფლებაში, ის ყოველთვის ცდილობს ამ ორ ეკლესიასთან მიმართებით ურთიერთობის დაბალანსებას და მათი უფლებრივი მდგომარეობის გათანაბრებას. თუმცა აქამდე ყველა ხელისუფლებას უწევდა MOC-თან მეგობრული ურთიერთობის ქონა ამ ეკლესიისადმი მაღალი საზოგადოებრივი ნდობიდან გამომდინარე, რაც ხელისუფლებების მალეგიტიმირებელ ფაქტორადაც იყო ძირითადად გამოყენებული.

იმ შემთხვევაში თუ სახელმწოფო-ეკლესიის ურთიერთობას ენიედის ტიპოლიგიის ჭრილში შევაჯამებთ ამ სამი სახელმწიფოების შემთხვევის შესადარებლად, შეიძლება ითქვას რომ კანონმდებლობის თვალსაზრისით, ყველაზე გამართული და ლიბერალური, პლურალიზმზე ორიენტირებული კანონები რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით უკრაინას აქვს. კერძოდ, განსხვავებით საქართველოსა და მოლდოვის კანონებისგან, უკრაინის შემთხვევაში აკრძალულია ეკლესიის პოლიტიკური საქმიანობა, მათი სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დაფინანსება, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც რელიგიური და კულტურული შენობების რეაბილიტაციისთვის გამოიყოფა ხოლმე თანხები. საქართველოს და მოლდოვის შემთხვევების მსგავსად, უკრაინაშიც არის სულიერებასთან დაკავშირებული რიგი აქტივობები და შემოსავლები რაც გადასახადებისგან ათავისუფლებს ეკლესიებს. საქართველოში აშკარადაა გამოკვეთილი მართლმადიდებელი ეკლესიისადმი პრივილეგირებული დამოკიდებულება, ხოლო მოლდოვის შემთხვევაში უფრო მჭიდრო ურთიერთობაში ყოფნა ხელისუფლებებს უწევდათ MOC-თან საზოგადოებაზე მისი გავლენებიდან გამომდინარე და ეს ეკლესია ინსტიტუციურადაც ყოველთვის უფრო შეზრდილი იყო, განსაკუთრებით განათლების სფეროში. აქვე შეიძლება ენიედის მეშვიდე ტიპოლოგიის ხსენებაც, კერძოდ, განათლების სფერო მოლდოვაშიც და საქართველოშიც საკვანძოა ეკლესიებისთვის, რადგან მოლდოვაში რელიგია სკოლებში ისწავლება და ის არჩევითი საგანია. სკოლებში რელიგიის სწავლების თვალსაზრისით, MOC-ია დომინანტი ეკლესია, თუმცა MB-ც ჩართულია ამ პროცესში ნაკლები მასშტაბით. ხოლო, ამ მიმართულებით უკრაინაში

ეკლესიებს პრივილეგიები არ გააჩნიათ, რადგან სკოლებში რელიგია არ ისწავლება. ენიედის მიერ შემუშავებული ტიპოლოგიებიდან სახელმწიფოს აღიარების ზღვარს რაც შეეხება, არც ერთ სამიზნე ქვეყანაში მართლმადიდებელი ეკლესია არ არის სახელმწიფო რელიგია, თუმცა საქართველოს შემთხვევაა გამორჩეული როდესაც კონსტიტუციური დონის შეთანხმებაა უშუალოდ მართლმადიდებელ ეკლესიასთან დადებული, რაც მოლდოვის და უკრაინის შემთხვევებში არ გვაქვს. შემდეგი ტიპოლოგიის ფინანსური სუბსიდიების ჭრილში თუ შევაჯამებთ სამივე ქვეყნის შემთხვევას, საგულისხმოა რომ მხოლოდ საქართელოში ხდება მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმწიფო ბოუჯეტიდან დაფინანსება. მოლდოვაში კი MB ოფიციალლურად რუმინეთიდან ფინანსდება, კერძოდ მღვდლები იღებენ ხელფასს, ხოლო MOC ოფიციალური განმარტებებით მხოლოდ შემოწირულობებით ფინანსდება, მაგრამ არის რესპონდენტების პასუხებიდან და ასევე ბოლო წლებში გავრცელებული ანგარიშებიდან ირკვევა რომ მათ რუსეთის მხრიდა გარკვეული დაფინანსება აქვთ. უკრაინაში ეკლესიებს ოფიციალურ წყაროებზე და რესპონდენტების პასუხებზე დაყრდნობით სახელმწიფო დაფინანსება არ აქვთ, მაგრამ აქვთ მდიდარი შემოწირულობები რიგი ბიზნესმენებისგან, მათ შორის რუსეთთან აფილირებული პირებისგანაც. დისკრიმინაციის ტიპოლიგიის ჭრილში თუ შევაჯამებთ სამივე ქვეყნის ხელისუფლებების მხრიდან ეკლესიების მიმართ დამოკიდებულებას, შეიძლება ითქვას რომ საქართველოში მართლმადიდებელი ყოველთვის ეკლესია უპირატეს მდგომარეობაშია სხვა რელიგიურ დენომინაციებთან შედარებით, მაშინ როდესაც სააკაშვილის მმართველობის დროს მოხდა რამდენიმე რელიგიური დენომინაციისთვის გათანაბრებული სამართლებრივი სტატუსის მიცემა, ამას მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან მძაფრი რეაქციები მოჰყვა; მოლდოვას შემთხვევაში, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ MOC-ს მეტი უფლებამოსილებები ჰქონდა ყოველთვის, ვიდრე MB-ს ან სხვა კონფესიებს განსაკუთრებით რელიგიის სწავლებისა და დიპლომატიური პასპორტების ფლობის კუთხით. მაია სანდუს მმართველობის დროს კი საგულისხმოა, რომ MB-ისთვისაც მოხდა დიპლომატიური პასპორტების გადაცემა. რელიგიის მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულების ტიპოლოგიის ჭრილში

შეიძლება ითქვას რომ სამივე სახელმწიფოში მართლმადიდებელი რელიგიისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებაა როგორც ხელისუფლებების, ისე საზოგადოების მხრიდან. ეკლესიის ავტონომურობის კუთხით კი ყველაზე ავტონომიური ეკლესიები მოლდოვაშია, უშუალოდ იმ თვალსაზრისით რომ მოლდოვის სახელმწიფოს არ ექვემდებარებიან, თუმცა სხვა კუთხით ისინიც დამოკიდებულები არიან სხვა გარე სახელმწიფოს ეკლესიებზე და იგივე შეიძლება ითქვას უკრაინაში UOC-MP-ის ეკლესიაზეც. ხოლო OCU-ს რაც შეეხება, ის სამართლებრივად ავტონომიურია, მაგრამ ფაქტობრივად სახელმწიფოს ხელშეწყობით ჩამოყალიბებული ეროვნული პროექტია და სრულად ავტონომიური ვერ იქნება. საქართველოს შემთხვევაშიც, სამართლებრივად უზრუნველყოფილია რომ სახელმწიფო ეკლესიის საქმიანობაში არ ჩაერიოს, მაგრამ ფაქტობრივ დონეზე საპირისპირო სურათი გვაქვს.

ღირებულებების ჭრილში მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგიის და დემოკრატიული ღირებულებების თავსებადობის თვალსაზრისით სამივე ქვეყანაში გამოიკვეთა რომ უბრალო დემოკრატიასთან უშუალოდ ქრისტიანული რელიგია სრულ თანხვედრაშია. რესპონდენტების აღქმით და შეფასებებით, დემოკრატია თავად ქრისტიანობამ შვა, შესაბამისად ქრისტიანობა ყველაზე დემოკრატიული რელიგიაა. ამ არგუმენტის გასამყარებლად რესპონდენტებმა ჩამოთვალეს ის პრინციპები რასაც ქრისტიანული რელიგია და დემოკრატია ითვალისწინებს, როგორიცაა პიროვნების ღირსება, თავისუფლება, სინდისის თავისუფლება, ტოლერანტობა, თანასწორობა, სხვისი პატივისცემა, სუსტების დაცვა, პასუხისმგებლობის გრძნობა - ეს ის არასრული ჩამონათვალია რაც სამივე ქვეყანაში რესპონდენტებმა დაასახელეს. ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ მართალია ეს რელიგია დემოკრატიულ ღირებულებებთან წინააღმდეგობაში არ მოდის, მაგრამ ის თუ ინსტიტუციურად როგორ მოქმედებენ პრაქტიკაში ეკლესიები აცდენაშია დემოკრატიულ ფასეულობებთან, კერძოდ რამდენიმე რესპონდენტის მხრიდან მაგალითად იყო მოყვანილი ეკლესიაში სუბორდინაციის პრაქტიკის დამკვიდრება, რაც ადამიანის თავისუფალი ხმის არსებობას გამორიცხავს. ასევე პასუხებიდან გამოიკვეთა რომ დემოკრატია თავად ქმნის სეკულარულ მოდელს,

რაც ეკლესიასაც და სახელმწიფოსაც უნდა აწყობდეს. ხოლო ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილ სახელმსიფოებში სეკულარული მოდელი ძირითადად სუსტდება და სუბორდინაციის ელემენტები იმატებს. მთავარი წინააღმდეგობრივი ფაქტორი რაც კვლევის შედეგად გამოიკვეთა არის ლიბერალური დემოკრატიის მოდელი, რაზეც რესპონდენტები ამბობენ რომ არ არის ჯერ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში გააზრებული და შესაბამისად არც ქრისტიანულ რელიგიაში მომხდარა ლიბერალური დემოკრრატიის ლეგიტიმაცია. ასევე გამახვილდა ყურადღება იმ ფაქტორზე რომ დემოკრატიას წერტილი არ აქვს და რომ თითქოს და დემოკრატიის იარლიყის ქვეშ ხდება გარკვეული იდეოლოგიების შეფუთვა.

ღირებულებით ჭრილში შეიძლება შეფასდეს პანდემიის როგორც გლობალური მოვლენის როლი ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობებში, როდესაც სახელმწიფოს უნდა აღესრულებინა საერო დემოკრატიული წესრიგი, რაც ეკლესიების ხედვით საფრთხის ქვეშ აყენებდა რელიგიურ საკითხებს - ღირებულებებს და პრაქტიკებს. როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, ეკლესიებმა სახელმწიფოს მიერ შემოღებულ რეგულაციებს სხვადასხვა ფორმითა და ინტენსივობით გაუწიეს წინააღმდეგობა, რამაც სამივე სახელმწიფოს შემთხვევებების მინიმუმ ნაწილში გაამართლა იმ კუთხით, რომ მართლმადიდებელი ეკლესიების მინიმუმ ნაწილმა მოახერხა საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირება სახელმწიფოს ძალაუფლების პირისპირ, რაც ამ ეკლესიების საზოგადოებრივ აღქმასა და თვით-აღქმაში კრიტიკულად მნიშვნელოვანი სალეგიტიმაციო კომპონენტია. როგორც ზევით ასევე იქნა ნაჩვენები, ხაზგასასმელი და კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ გამოიკვეთა ერთგვარი ტენდენცია: რაც უფრო პრო-ევროპელი იყო რელიგიური ინსტიტუტი (მაგალითად, უკრაინის UOC და მოლდოვას BM), მით უფრო მეტ თანამშრომლობას გამოხატავდა საერო ხელისუფლებასთან; რაც უფრო პრო-რუსული იყო რელიგიური ინსტიტუტი (მაგალითად, MOC), მით უფრო მკაფიოდ ნეგატიური იყო მისი დამოკიდებულება საერო ხელისუფლების მიერ დაწესებული პრაქტიკებისადმი; ხოლო უკრაინის UOC-MP და საქართველოს GOC-მა დაიკავეს შუალედური პოზიცია. ეს შესაძლოა მოსკოვთან

დაქვემდებარებული უკრაინული ეკლესიის შემთხვევაში ერთგვარ პარადოქსსაც წარმოადგენდეს, ან იმით აიხსნებოდეს, რომ პანდემიის დაწყებამდე მოხდა კონკურენტი ეკლესიის (OCU-ს) ავტოკეფალიის გამოცხადება, რამაც შეცვალა შიდა საკლესიო დინამიკა და გაზარდა საერო ხელისუფლებასთან თანამშრომლობის საჭიროება.

უშუალოდ ამ სამი ქვეყნის კონტექსტში სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობის დემოკრატიზაციაზე და ევროპეიზაციის პროცესზე გარკვეული როლის არსებობის ჭრილში რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოიკვეთა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რომ 90-იანი წლებიდან მოყოლებული 2024 წლის ჩათვლით ყველაზე მეტად ამ სამი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი იყო ავტორიტარიზმისა და დემოკრატიის ელემენტების შერწყმა, უფრო მკვეთრად კონსოლიდირებული ავტორიტარისმისკენ გადახრით და შესაბამისად ეს სახელმწიფოები ტრანზიტულ რეჟიმებად სახელდემოდნენ. თუმცა, ეს ტრანზიტი მაინც და მაინც დემოკრატიზაციისკენ გზას არ გულისხმობდა. დინამიკაში თუ შევხედავთ, სამივე სახელმწიფოს შემთხვევაში შესამჩნევი იყო დემოკრატიული აღმასვლები და დაღმასვლები, ან თუნდაც სულაც წრეზე სიარული. ამ პროცესში ხშირად ჩნდებოდა ე.წ. “გეოპოლიტიკური მართლმადიდებლობის” ნიშნები, კერძოდ იმ კუთხით რომ ეკლესიების და რელიგიური ღირებულებების ინსტრუმენტალიზების გზით გარე, თუ შიდა ძალები ცდილობდნენ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორის განსაზღვრას, რაც თავის მხრივ დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის ხარისხის ცვლილებასთანაც იყო კავშირში. გარდა ამისა, კვლევის შედეგებმა ცხადჰყო რომ საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის კონტექსტში თითქმის არ არსებობს დემოკრატიზაცია ევროპეიზაციის გარეშე. კერძოდ, ევროპეიზაციის გზიდან გადახვევა იწვევს დემოკრატიზაციის დონის შემცირებას რაც 90-იანი წლებიდან მოყოლებული სამ ქვეყანაში სხვადასხვა მმართველების მიერ გატარებული პოლიტიკის ანალიზისას გამოვლინდა. ეს ორი ერთმანეთს განსაკუთრებით გადაეჯაჭვა 2014 წელს სამიზნე სამ ქვეყანასა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების დადების და ე.წ. “ასოცირებული ტრიოს” ჩამოყალიბების შემდეგ.

დემოკრატიზაციის პროცესში ეკლესია-სახელმწიფოს შორის ძალაუფლებრივი ინტერაქციის როლს რაც შეეხება: საქართველოს შემთხვევაში დემოკრატიზაციის პროცესში ძირითადად ამ ინტერაქციას შემაფერხებელი როლი გააჩნია ეკლესია-სახელმწიფოს შორის ფაქტობრივ დონეზე გაუმიჯნავი ხაზების გამო და შესაბამისად პლურილიზმის ნაკლებობის გამო; მოლდოვის შემთხვევაში აღნიშნული ინტერქაციის როლის განსაზღვრა დამოკიდებულია არსებულ ორ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გეოპოლოტიკურ კონკურენციაზე და ასევე კონკრეტული ხელისუფლებების ღირებულებებზე და გეოპოლიტიკურ ხედვებზე; მოლდოვის შემთხვევაში, როგორც დემოკრატიზაციის, ისე ევროპეიზაციის პროცესში ეკლესია-სახელმწიფოს ძალაუფლებრივ ინტერაქციას არსებული ორი მართლმადიდებელი ეკლესიის პირობებში წინააღმდეგობრივი როლი გააჩნია, მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული კიშინოვისა და სრულიად მოლდოვის სამიტროპოლიტოს (MOC) შემთხვევაში ცალსახად შემაფერხებელი, ხოლო რუმინეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ბესარაბიის მიტროპოლია MB-სთან ურთიერთობის ჭრილში კი მეტწილად ხელშემწყობი. ეს ორი ეკლესია მოჩვენებით პლურალიზმს ქმნის და სინამდვილეში მაპოლარიზებელია. გარდა ამისა, განათლების სფეროში, მათ შორის სკოლებში, საკმაოდ ღრმად არის შეჭრილი ეკლესიის კომპეტენციები და ხალხის აზრის ფორმირებაზე გავლენის მოხდენა შეუძლია. გარდა ამისა, პოლიტიკურ პროცესებშიც პირდაპირ, თუ ირიბად აქტიურად ერთვებიან ეკლესიის წარმომადგენლები მოლდოვაში და ამიტომ ხელისუფლებები ეკლესიებთან, განსაკუთრებით MOC-თან ცდილობენ მეგობრული ურთიერთობის ქონას ლეგიტიმაციის ასამაღლებლად. ეს ფაქტორი კი საზოგადოებისადმი ხელისუფლებების ანგარიშვალდებულებას ამცირებს და შესაბამისად დემოკრატიზაციაზე ნაკლებად პოზიტიური ასახვა აქვს ხოლმე. უკრაინის შემთხვევას რა შეეხება, მოლდოვის შემთხვევის მსგავსად მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია (UOC-MP) თავისი გეოპოლიტიკური და ანტილიბერალური ხედვებიდან გამომდინარე ნებისნიერი ტიპის ხელისუფლებებთან ინტერაქციაში შემაფერხებელ როლს თამაშობს დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესებში. თუმცა როცა საუბარი შეეხება

სახელმწიფოსა და უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია (OCU) შორის ძალაუფლებრივ ინტერაქციას, ხელისუფლების მხრიდან მისი ავტოკეფალიის მხარდაჭერა, მათ შორის "სიმფონიური" ურთიერთობა და სამართლებრივ დონეზე უზრუნველყოფილი სეკულარიზმი და პლურალიზმი მეტწილად ხელშემწყობი ფაქტორი შეიძლება იყოს უკრაინის დემოკრატიზაციის და ევროპეიზაციის პროცესებში.

ხოლო თუ უშუალოდ ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ჭრილში გავაანალიზებთ ევროპეიზაციის პროგრესს, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას რომ მაშინ როდესაც ხელისუფლებები ირჩევდნენ პროევროპულ გზას, საქართველოს შემთხვევაში ხელისუფლებები ცდილობდნენ ეკლესია დაერწმუნებინათ ამ გზის სისწორეში რათა საზოგადიების განწყობები და მათი საგარეო პოლიტიკური კურსის ლეგიტიმაცია მიეღოთ ეკლესიისგანაც. აღმოსავლეთ მართლმადიდებლობისთვის დამახასიათებელია ზოგადად ევროპის იდეისადმი მიმღებლობა, მაგრამ უშუალოდ ლიბერალური ღირებულებებისადმი (როგორიცაა გენდერული თანასწორობა, უმცირესობათა უფლებები) სკეპტიკური დამოკიდებულება. აქედან გამომდინარე საქართველოში, მოლდოვაში და უკრაინაში დემოკრატიული ხელისუფლებები ძირითადად ცდილობენ ეკლესიებთან ევროპეიზაციის პროცესის ხელშესაწყობად ღირებულელების ჭრილში შეთანხმების მიღწევას, ხოლო ავტორიტარი ხელისუფლებები კი ევროინტეგრაციის პროცესისადმი ეკლესიის აღნიშნულ ღირებულებით წინააღმდეგობას სათავისოდ იყენებენ. უკრაინის და მოლდოვის შემთხვევაში, მაშინ როდესაც ხელისუფლებაში მოდიოდა პროევროპელი მმართველი, ორ ძირითადი მართლმადიდებელ ეკლესიიდან მოლდოვაში თანამშრომლობას აღრმავებდნენ და ათანაბრებდნენ ბესარაბიისეკლესიასთან, ხოლო უკაინის შემთხვევაში 2018 წლამდე პროევროპულად განწყობილი ხელისუფლებები აღრმავებდნენ თანამშრომლობას კიევის საპატრიარქოს ქვეშ არსებული უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიათან (UOC-KP), შემდეგ კი უკვე უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელ ეკლესიასთან (OCU). თუმცა, ამავდროულად, ასეთ ხელისუფლებებსაც კი ყოველთვის უწევდათ მოსკოვის

